დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი

რჩევებს იშვიათად
იღებენ მადლიერების
გრძნობით!
ჩესტერფილდი

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.GE

2016 წლის
22-28 თებერვალი

N8 (1111)

ფასი 2 ლარი
და 50 თეთრი

## ბატონო პრემიერო, ფრთხილად, რესპუბლიკელია!

9



„ქართველი საზოგადოების განწყობა ასეთია —
არც ქოცები და არც ნაცები!“

11

## „საქართველოში ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაა დასაწყები!“

## გიგლა ბარამიძე:

თუ ბიძინა ივანიშვილმა დროზე არ ალაგმა რესპუბლიკელები, ისინი არამხოლოდ „ქართულ ოცნებას“, არამედ ქვეყანასაც უფსკრულში გადაჩეხავენ!

6



## ერთსქესიანთა ქორწინების მომხრეებმა სანდრო ბრეგაძეც გადაიყოლეს!

5



„სამეგრელოს მოსახლეობამ კიდევ ერთხელ უნდა გაიხსენოს, რომ დარჩელის გადაწვას, წალენჯიხის, ზუგდიდის, სენაკის აოხრებას რესპუბლიკელები ღიად უჭერდნენ მხარს!“

4

### კაცის კაცზე დაქორწინებას საქართველოს პარლამენტის მხოლოდ 7 დეპუტატი შეეწინააღმდეგა!



„ჩემი ადგილი არ არის იქ, სადაც თინა ხიდაშელი „ქურდად ზის“ და მთავრობის წევრებს მაგიდაზე მუშტებს უბრახუნებს!“

## მოვუწოდებ ბატონ ბიძინა ივანიშვილს...

## გოგი თოფაძე:

თავდაცვის მინისტრმა, ჩვეული თავხედობით, ყველაფერი გააკეთა, რომ არჩევნებში მის ნათესავს გაემარჯვა!



7

„ლევან ბერძენიშვილს შუბლის ძარღვი განყვეტილი რომ არ ჰქონდეს, ხმას საერთოდ არ უნდა იღებდეს!“

## პეტრე მამრაძე:

კოალიციაში კარგად იციან, რომ ივანიშვილს რესპუბლი-კელები გულზე არ ეხატება!

10



„თავად რესპუბლიკელებმაც კარგად იციან, რომ ივანიშვილი მათ მიმართ ნეგატიურად არის განწყობილი!“

## ბატონო ბიძინა, ვილაც ხეებს რალაც ხეებზე ნუ ელაპარაკებით!

2




## მაია ნიკოლეიშვილი:

უკვე კარგა ხანია, ვაცხადებ, ქვანიას საქმეზე სიმართლე მანამდე არ გაირკვევა, ვიდრე ექსჰუმაცია არ ჩატარდება!

12



„ეროსი კიწმარიშვილის საქმეში ჩემთვის კითხვის ნიშნები არ არსებობს!“

## ლალი მოროშკინა:

ზუსტად ვიცი, რომ დასახელდა იმ პირთა წრე, ვისი ფიზიკური ლიკვიდაციაც იგეგმება!



„ვის ემსახურება რეალურად ამერიკის ელჩი საქართველოში, ფსიქიკურად გაუწონასწორებელ სააკაშვილს თუ საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესებს?!“

15



# ბატონო ბიძინა,

# ვიღაც ხეებს რაღაც ხეებზე ნუ ელაპარაკებით!

## ბატონო ბიძინა, თქვენ გარშემო რაც ნაკლები ხე იტრიალებს, მით უკეთესია თქვენთვისაც და ქვეყნისთვისაც!

# ერთხელ და სამუდამოდ უნდა დადგეს დრო, როცა ქართულ პოლიტიკაში ხეების ადგილი აღარ იქნება!

***ციხისძირის ყოფილი სანერგე მეურნეობიდან ასწლოვანი გიგანტური ხეების შეკვეთილში გადარგვა პოლიტიკურ სკანდალად გადაიქცა, რადგან საქმეში ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ფიგურირებს.***



კერძოდ, ივანიშვილი შეკვეთილში ახალ პარკს აშენებს და ხეების გადარგვის სამუშაოებსაც მის სახელთან დაკავშირებული კომპანია აწარმოებს.

ამაზე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა და გარემოს დამცველი ორგანიზაცია „პარტიზანი მებაღეების" აქტივისტებმა ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს, აქაოდა, ივანიშვილი დედაბუნებას გვინადგურებსო.

10 თებერვალს ხეების გადარგვის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციაზე პოლიციამ ნაცმოძრაობის 2 წევრი და „პარტიზანი მებაღეების" 3 აქტივისტი დააკავა, თუმცა, ისინი მეორე დღესვე გაათავისუფლეს.

13 თებერვალს ციხისძირის ყოფილი სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე ბიძინა ივანიშვილი პირადად მივიდა და ხეების გადარგვის სამუშაოები დაათვალიერა.

როგორც ყოფილი პრემიერ-მინისტრი აცხადებს, მან ასწლოვანი გიგანტური ხეები ოფიციალურად შეისყიდა და საჭირო დოკუმენტაციაც წესრიგში აქვს, მაგრამ ამის მიუხედავად, გადაწყვიტა, რომ გადარგვის სამუშაოები შეაჩეროს მანამდე, სანამ შესაბამისი დოკუმენტების კანონიერება კიდევ ერთხელ შემოწმდება.

**ძვირფასო მკითხველო, ხომ წარმოგიდგენიათ, ანალოგიურ სიტუაციაში სააკაშვილი როგორ მოიქცეოდა? — სამუშაოებს შეაჩერებდა კი არა, თავის ჩაფრებსა და ზონდერებს ტელეკამერების წინ უბრძანებდა, ვინც ხელს შეგიშლით, ყველას გადაუარეთო.**

და კიდევ: სააკაშვილსა და მის ნაცხროვას საქართველოს დედაბუნებისათვის რაც ზიანი აქვთ მიყენებული, ივანიშვილი იმის მეასედსაც ვერ მიაყენებს, თავისი დარჩენილი ცხოვრება სულ რომ ბუნების მიზანმიმართულად გაჩანაგებას მიუძღვნას.

**დიახ, სამი ძირი ხის ერთი ადგილიდან მეორეზე გადარგვას აპროტესტებენ ნაცები, რომელთა მმართველობის დროსაც საქართველოში ათასობით ჰექტარი ტყის მასივი უმოწყალოდ გაიჩეხა და უნიკალური ხის მასალა საზღვარგარეთ იქნა გაზიდული, რითაც სააკაშვილის გარემოცვამ მილიონები იშოვა!**

როგორც მაშინ ამბობდნენ, ქართული ხეტყის უცხოეთში უკანონოდ გატანასა და რეალიზაციას სააკაშვილის მკვიდრი ბიძაშვილი — მისი დედის ძმისშვილი **ნიკოლას ალასანია** კურატორობდა!

თუმცა, მაშინ არც „პარტიზანი მებაღეების" პროტესტი უნახავს ვინმეს და არც საქართველოს პარტიზანულად შესეული ნაცების ჭიჭყინი გაგვიგია!

**და მაინც, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც ქველმოქმედებაში 2 მილიარდ ლარზე მეტი აქვს დახარჯული, რაღაც ხეების გამო პოლიტიკურ სკანდალში არ უნდა ეხვეოდეს და ვიღაც ნაციონალ ხეებს ხეებზე არ უნდა ელაპარაკებოდეს!**

დიახ, ბიძინა ივანიშვილი, რომელიც დღევანდელ საქართველოში ყველაზე წონიანი და გავლენიანი პოლიტიკური ფიგურაა, **რაღაც ხეების** გამო **ვიღაც ხეებს** ჭიქაში ქარიშხლის დატრიალების საბაბს არ უნდა აძლევდეს!

დიახ, ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოს მოსახლეობა იმედის თვალით შესცქერის — იქნებ ისევ ამ კაცმა გვიშველოსრამეო — სატელევიზიო „ნიუსებს" **რაღაც ხეების** თემითა და **ვიღაც ხეებთან** დავა-კამათით არ უნდა ქმნიდეს.





„რუსთავი 2"-ის ეთერით გასული კადრები, როგორ უმტკიცებს რაღაცას ბიძინა ივანიშვილი **ვიღაც „ჭე" კლასის აჭარელ ნაცებს,** ანუ **პოლიტიკურ ხეებს** და **ეს ხეები** როგორ ეჭიჭყინებიან ივანიშვილს, ნამდვილად უსიამოვნო სანახავი იყო!

**„ბიძინა იქ არ უნდა მისულიყო!" „ბიძინა იმათ არ უნდა დალაპარაკებოდა!" „როცა ქვეყანას უჭირს და ხალხს შია, ბიძინა ივანიშვილი ძვირფას დროს ვიღაც უსაქმურ ნაცებთან ხეებზე კამათში არ უნდა ხარჯავდეს!"** — ასეთია ქართველი საზოგადოების უმრავლესობის რეაქცია და პოზიცია!

საერთოდ, ქართულ პოლიტიკაში **ხეების პრობლემა** ყოველთვის იდგა!

**ხეები იყვნენ ისინი,** ვინც დამოუკიდებელ საქართველოს ტყვია ესროლეს, ქართველი ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება იარაღის ძალით დაამხეს და ქვეყნის პირველი პრეზიდენტი სადღაც ტყეში მოკლეს!

**ხეები იყვნენ ისინი,** ვინც საქართველოში „სიკვდილის ბრიგადები" შექმნეს, უდანაშაულო ახალგაზრდები ქუჩებში დახოცეს, ციხეებში პატიმრები აწამეს, გააუპატიურეს და ამ ყველაფრის ამსახველი 25 ათასი ელექტრონული ფაილი შექმნეს!

სამწუხაროა, მაგრამ **ხეების პრობლემა** ამ ხელისუფლებაშიც აქტუალურია!

დიახ, **ხეები არიან ისინი,** ვინც ნაცდამნაშავეების გასამართლებასა და სამართლიანობის აღდგენას ვერ ახერხებენ!

**ხეები არიან ისინი,** ვინც სახელმწიფო სტრუქტურებს სააკაშვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილის დოქსოპულო კადრებისაგან ვერ და არ წმენდენ!

**ხეები არიან ისინი,** ვინც საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვის ნაცვლად, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებასა და მსგავს ანტისახელმწიფოებრივ საქმეებზე ფიქრობენ!

ამდენი **ხის** შემყურე საქართველოს მოსახლეობა კი ისევ ბიძინა ივანიშვილის იმედზეა, იქნებ **ამ ხეებს** რამე უშველოს ან თავიდან მოგვაშოროსო!

და ამ დროს საქართველოს მოსახლეობა რას ხედავს? — ბიძინა ივანიშვილი **ვიღაც ხეებს რაღაც ხეებზე** ელაპარაკება!

არადა, ეს ბიძინას საქმე არ არის!

ბიძინას სხვა უფრო დიდი და მნიშვნელოვანი საქმეები აქვს გასაკეთებელი!

**ბატონო ბიძინა, ვიღაც ხეებს რაღაც ხეებზე ნუ ელაპარაკებით!**

საერთოდ, ეცადეთ, რომ „ქართული ოცნების" რიგები **ხეებისაგან** გაწმინდოთ!

ბატონო ბიძინა, თქვენ გარშემო რაც ნაკლები **ხე** იტრიალებს, მით უკეთესია თქვენთვისაც და ქვეყნისთვისაც!

ერთხელ და სამუდამოდ უნდა დადგეს დრო, როცა ქართულ პოლიტიკაში **ხეების** ადგილი აღარ იქნება!

**რაც შეეხება ასწლოვან გიგანტურ ხეებს, ისინი ციხისძირშიც გაიხარებენ და შეკვეთილშიც! მთავარია, ქართულ პოლიტიკაში ხეების შეკვეთილი მუსიკა აღარ ისმოდეს!**

*ჯაბა ხუბუა*

## ქვირგვინოსნები

**გიორგი კვირიკაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**თავდაცვის მინისტრის მიმართ ბრალდებები მიუღებელია და ჩირქს სცხებს არა ერთ პარტიას, არამედ მთლიანად მთავრობას.**

„ინტერპრესნიუსი"

**მამუკა ხაზარაძე**
*„თიბისი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე*



**მას შემდეგ, რაც ბატონი გიორგი კვირიკაშვილი კაბინეტს სათავეში ჩაუდგა, ოპტიმისტურად ვართ განწყობილები.**

„KVIRA.GE"

**ბარაკ ობამა**
*ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი*



**რესპუბლიკელი დონალდ ტრამპი ვერ იქნება პრეზიდენტი, ვინაიდან პრეზიდენტობა სერიოზული საქმეა.**

„ბიბისი"

**კახა კუკავა**
*„თავისუფალი საქართველოს" ლიდერი*



**„ოცნება" თუ ისევ უმრავლესობით მოვა, რევოლუცია მოხდება.**

„ახალი თაობა"

**იან კელი**
*საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი*



**იმისთვის, რათა არჩევნები ჩატარდეს თავისუფალ გარემოში, ყველა პოლიტიკური ძალისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მედიასაშუალებები და თანაბარი სათამაშო ველი უნდა იყოს შექმნილი.**

„ნიუსპრესი"

**დავით ბერძენიშვილი**
*პარლამენტარი*



**მე ვიცავ ჩემს ხელისუფლებას და ჩემს თავდაცვის მინისტრს.**

გადაცემა „20/30"

# ერთსქესიანთა ქორწინების მომხრეებმა სანდრო ბრეგაძეც გადაიყოლეს!



**„პირდაპირ მოუწოდებ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც ძალიან დიდ პატივს ვცემ – თუ თქვენ რესპუბლიკელებს მოიცილებთ, კოალიცია „ქართული ოცნების“ საქმე ბევრად უკეთესად წავა!“**

***დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე, რომელმაც თავის მიერ დაფუძნებულ მოძრაობა „ეროვნულებთან“ ერთად აქტიური კამპანია წამოიწყო საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების წინააღმდეგ, რამდენიმე დღის წინ თანამდებობიდან გადადგა. „მე გადავდექი!!! უფრო სწორად, ყველაფერი გააკეთეს, რომ გადავმდგარიყავი, რადგან კატეგორიულად მომთხოვეს ჩემს პრინციპებზე უარის თქმა!!! ერთსქესიანთა ქორწინება არასოდეს დაკანონდება, ვერც ეკლესიას და პატრიარქს შეაგინებს ვინმე და ჩვენც ეროვნული სახელმწიფო გვექნება!!!“ — დაწერა სანდრო ბრეგაძემ სოციალურ ქსელში. იგი დღეს ჩვენს კითხვებს პასუხობს და აცხადებს, რომ მისი გადადგომა რესპუბლიკელების მიერ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის დაშანტაჟების შედეგია.***

## სანდრო ბრეგაძე: ჩემი ადგილი არ არის იქ, სადაც თინა ხიდაშელი „ქურდად ზის“ და მთავრობის წევრებს მაგიდაზე მუშტებს უბრახუნებს!

**— კონკრეტულად ვინ გაიძულათ, რომ თანამდებობიდან გადამდგარიყავით?**

— რესპუბლიკური პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ, ბატონი **ვახტანგ ხმალაძის** პირით, უარი გვითხრა, ხელი მოეწერა საკონსტიტუციო შესწორების პროექტზე, რომელიც საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების გამორიცხვას ითვალისწინებს. ამის გამო რესპუბლიკელები გავაკრიტიკე და სოციალურ ქსელში დავწერე, რომ ისინი სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ.

ამ განცხადების შემდეგ თავდაცვის მინისტრმა **თინა ხიდაშელმა** პრემიერ-მინისტრ **გიორგი კვირიკაშვილს** ჩემი გადაყენება კატეგორიულად მოსთხოვა!

ინფორმაცია მომაწოდეს, რომ მთავრობის სხდომაზე საათ-ნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა მსჯელობა ჩემი გადაყენება-არგადაყენების თაობაზე.

**— დავაზუსტოთ — ხიდაშელმა პრემიერ-მინისტრს თქვენი გადაყენება მთელი მინისტრთა კაბინეტის თანდასწრებით მოსთხოვა?**

— როგორც ჩემთვის ცნობილია, **ხიდაშელმა ეს საკითხი ჯერ პირადად ბატონ კვირიკაშვილთან დააყენა და პრემიერ-მინისტრს შანტაჟის ენით დალაპარაკებაც კი გაუბედა!**

ფაქტობრივად, თინა ხიდაშელმა აიძულა პრემიერ-მინისტრი, რომ ჩემი გადაყენების გადაწყვეტილება მიეღო!

**— ხიდაშელმა კვირიკაშვილი როგორ დააშანტაჟა?**

— ხიდაშელმა პრემიერ-მინისტრს საკითხი ასე დაუყენა — **თუ ბრეგაძე თანამდებობაზე დარჩება, რესპუბლიკური პარტია კოალიციას დატოვებს და მთავრობა საერთაშორისო მხარდაჭერას დაკარგავსო.**

**— თავდაცვის მინისტრისა და პრემიერის ამ საუბარს ვინმე შეესწრო?**

— ეს ინფორმაცია სწორედ იმ ადამიანებმა მომაწოდეს, რომლებიც იქ იყვნენ და ამ საუბარს ისმენდნენ. უბრალოდ, მათ ვინაობას ვერ დავასახელებ, რადგან სამსახურთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნებათ.

მოკლედ, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა **გელა დუმბაძემ** პრემიერ-მინისტრის სახელით კატეგორიული ტონით მომთხოვა, რომ ან მე თვითონ დამეტოვებინა თანამდებობა, ან გადამაყენებდნენ.

რა თქმა უნდა, **პროტესტის ნიშნად დავწერე განცხადება, რომელშიც აღვნიშნე, რომ ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით რესპუბლიკელების პოზიცია ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია და თანამდებობა დავტოვე!**

ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო, რომ ეს ჩემი თანამდებობიდან გადაყენების პირველი მცდელობა არ ყოფილა. დაახლოებით 6 თვის წინათ **ჰომოსექსუალთა ლიდერმა ირაკლი ვაჭარაძემ** და ნაცმოძრაობასთან დაკავშირებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, **კაპიტან ეკა ბიბაურის** თამადობით, ჩემი გადაყენება მოითხოვეს, რასაც მთავრობის სხდომაზე რესპუბლიკელებმა საოცარი ენთუზიაზმით დაუჭირეს მხარი, მაგრამ მაშინ პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** იყო და მან, როგორც ვაჟკაც და პრინციპულ ადამიანს შეჰფერის, რესპუბლიკელებს საკადრისი პასუხი გასცა და ამ თემაზე ლაპარაკი აუკრძალა.

დღეს, სამწუხაროდ, სხვა რეალობაა და ბატონმა **გიორგი კვირიკაშვილმა** თინა ხიდაშელს წინააღმდეგობა ვერ გაუწია, მთავრობის სრული შემადგენლობა კი რესპუბლიკელების შანტაჟს დანებდა!

**— რა იგულისხმეთ, როცა განაცხადეთ, რომ საკუთარ პრინციპებზე უარის თქმა მოგთხოვეს?**

— ჩემთვის ყველაზე ამაზრზენი და მიუღებელი სწორედ ის იყო, რომ ულტიმატუმი წამიყენეს — **თუკი უარს ვიტყოდი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების წინააღმდეგ ბრძოლაზე, მაშინ შემეძლო, თანამდებობაზე დავრჩენილიყავი.**

რა თქმა უნდა, ხიდაშელის, რესპუბლიკელებისა და მთავრობის ზოგიერთი უპრინციპო წევრის ულტიმატუმს არ დავემორჩილე და კატეგორიულად განვაცხადე, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების წინააღმდეგ ბრძოლაზე უარს არ ვიტყვი.

**— თქვენ ამბობთ, ხიდაშელმა კვირიკაშვილი დააშანტაჟა და ჩემი გადაყენება აიძულაო. კი მაგრამ, მთავრობის რიგითმა წევრმა, ვინც უნდა იყოს, პრემიერ-მინისტრს რამის გაკეთება როგორ უნდა აიძულოს?**

— რა თქმა უნდა, პრემიერ-მინისტრს ვერავინ უნდა უბედავდეს, რომ თითი დაუქნიოს ან მაგიდაზე მუშტი დაურტყას, მაგრამ რესპუბლიკური პარტია და მისი სახე — **საქართველოს სამარცხვინო თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი** იმდენად არის გათავხედებული, თავს უფლებას აძლევს, რომ მთელ მინისტრთა კაბინეტს ულტიმატუმის ენით ელაპარაკოს!

პირდაპირ გეტყვით, რომ ის კრიტიკა, რომელიც მე რესპუბლიკელების მიმართ გამოვთქვი, ნაზი იავნანაა იმასთან შედარებით, რასაც მათზე ჩვენი მინისტრები თუ მათი მოადგილეები ლაპარაკობენ.

**დიახ, რესპუბლიკელებს პირდაპირ მოღალატეებად მოიხსენიებენ და ამბობენ, რომ ისინი ხელისუფლებაში კოროზიას აჩენენ.**

**— ამას, ალბათ, პრივატულ საუბრებში ამბობენ, თორემ**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*



**„თინა ხიდაშელმა აიძულა პრემიერ-მინისტრი, რომ ჩემი გადაყენების გადაწყვეტილება მიეღო!“**

**„ბატონმა გიორგი კვირიკაშვილმა თინა ხიდაშელს წინააღმდეგობა ვერ გაუწია, მთავრობის სრული შემადგენლობა კი რესპუბლიკელების შანტაჟს დანებდა!“**

**„მოძრაობა „ეროვნულები“ პრემიერ-მინისტრისაგან კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ სამარცხვინო, გამყალბებელი თავდაცვის მინისტრი ხიდაშელი თანამდებობიდან გადააყენოს!“**

## კვირგვინოსნები

**ნესტან კირთაძე**
*სახალხო-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი*



უსუფაშვილი ერთი კონფორმისტი კაცია, რომელიც მუდმივად თავისი ოჯახის კეთილდღეობასა და პოლიტიკურ სპექტრში ტივტივზე აგებს საკუთარ აქტივობას.

**ამ ცოლ-ქმრის ნდობა პოლიტიკაში მათმა პატრონმა ბიძინა ივანიშვილმაც უნდა დაასრულოს და სხვა პატრონებმაც.**

„ვერსია“

**პეტრე მამრაძე**
*სახელმწიფო კანცელარიის ყოფილი უფროსი*



**კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ დიდი ხალისით მოირგო და შეირგო სააკაშვილის მიერ შექმნილი მართვის მანკიერი სისტემა, შიდა ვალსაც კი ილებდნენ თავისი ხელფასებისა და პრემიების გაზრდისთვის. აი, ასეთი სისტემა გვაქვს „ოცნების“ გამარჯვებიდან სამი წლისა და 4 თვის თავზე.**

„რეზონანსი“

**ირმა ინაშვილი**
*„პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე*



**თინა გამყალბებლოვა** არც სახელმწიფოა და არც საქართველო. არც **დავით კომუნისტინია** საქართველო, არც **ძმები სტუკაროვები**. ეს ოთხივე სწორედაც რომ წურბელაა, ქართული სახელმწიფოს კისერზე ასული.

„ფეისბუქი“

**ანზორ თოთაძე**
*დემოგრაფი*



**არ მგონია, რომ კოალიცია დაიშალოს. მითუმეტეს რესპუბლიკელებმა იციან, რომ დამოუკიდებლად ისინი ვერცერთ შემთხვევაში ვერ მოხვდებიან პარლამენტში იმ რაოდენობით, როგორც ახლა არიან.**

„რეზონანსი“

**დავით ნარმანია**
*თბილისის მერი*



**ნაციონალების საარჩევნო სიაში არ ვიქნები, დანარჩენი ვნახოთ.**

„ახალი თაობა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

# „დღეს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რომ ყოფილიყო, მას თინა ხიდაშელი დაშანტაჟებას და ულტიმატუმის ენით ლაპარაკს ნამდვილად ვერ გაუბედავდა!“



**მთავრობის არცერთ წევრს რესპუბლიკელების მისამართით ასეთი განცხადება საჯაროდ არასოდეს გაუკეთებია.**

— დიახ, პირად საუბრებში ამბობენ და რესპუბლიკელებს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ!

სხვათაშორის, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები იმ ფურცლებსაც დააფრიალებენ, რომლებზეც **ძმები ბერძენიშვილების აღიარებითი ჩვენება და „კაგებეს“ გენერალ ინაურის სახელზე დაწერილი განცხადებაა დაბეჭდილი,** საბჭოთა უშიშროებასთან თანამშრომლობაზე თანხმობა რომ განაცხადეს.

როცა კოალიციისა და მთავრობის შიგნით რესპუბლიკელების მიმართ ასეთი ნეგატიური განწყობა სუფევს, როცა მათზე ზურგს უკან საშინელებებს ლაპარაკობენ, მაგრამ მთავრობის სხდომაზე ხიდაშელის წინაშე თავჩაღუნულები დგანან და მას მონებივით შეჰყურებენ, ჩემთვის ეს ყველაფერი ამაზრზენია.

დიახ, ჩემი ადგილი არ არის იქ, სადაც თინა ხიდაშელი „ქურდად ზის“ და მთავრობის წევრებს მაგიდაზე მუშტებს უბრახუნებს!

**— რესპუბლიკელების ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა განაცხადა, სანდრო ბრეგაძე თანამდებობიდან ჩვენ არ გაგვითავისუფლებია, მან გადადგომის შესახებ განცხადება პრემიერ-მინისტრის სახელზე დაწერა. თუ მაგარი ბიჭია, რატომ გადადგა, რატომ არ თქვა, მოდით და მომხსენითო? ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?**

— გადადგომის შესახებ განცხადება იმიტომ დავწერე, რომ არ მინდოდა უხერხულ მდგომარეობაში ჩამეყენებინა ეგზალტირებული ხიდაშელის მიერ დაშანტაჟებული გიორგი კვირიკაშვილი, რომელსაც ჩემს მეგობრად ვთვლი!

დავით ბერძენიშვილს მინდა, ვუთხრა — **მე, თქვენგან განსხვავებით, საკუთარ პრინციპებზე უარი არასოდეს მითქვამს! კარგად მახსოვს, 2004 წელს თქვენ და თქვენი ძმა ლევან ბერძენიშვილი მუხლებზე დაჩოქილი როგორ მიხვედით ზურაბ ჟვანიასთან, რადგან მან განაცხადა, ბერძენიშვილები ბოდიშს თუ არ მომიხდიან, საპარლამენტო სიაში არ ჩავსვამო!**

ისიც კარგად მახსოვს, რესპუბლიკელები როგორ ედგნენ გვერდით „მხედრიონს“, ჯაბა იოსელიანს, თენგიზ კიტოვანს! **ძმები ბერძენიშვილები იმ სახელმწიფო საბჭოს წევრები იყვნენ, რომელიც მშვიდობიან მომიტინგეებს ქუჩაში ხვრეტდა და რომელმაც არაერთხელ ააოხრა სამეგრელო!**

**სამეგრელოს მოსახლეობამ კიდევ ერთხელ უნდა გაიხსენოს, რომ დარჩელის გადაწვას, წალენჯიხის, ზუგდიდის, სენაკის აოხრებას რესპუბლიკელები ღიად უჭერდნენ მხარს!**

## „დარწმუნებული ვარ, რომ გიორგი კვირიკაშვილი, საბოლოო ჯამში, ხიდაშელისა და რესპუბლიკელების მძევალი არ გახდება და, ადრე თუ გვიან, საკადრის პასუხს გასცემს მათ!“

**პირდაპირ მოვუწოდებ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც ძალიან დიდ პატივს ვცემ — თუ თქვენ რესპუბლიკელებს მოიცილებთ, კოალიცია „ქართული ოცნების“ საქმე ბევრად უკეთესად წავა!**

**— კოალიციიდან რესპუბლიკელების მოცილებით „ქართული ოცნება“ აშშ-სა და დასავლეთს არ გაალიზიანებს?**

— აშშ-სა და დასავლეთს საქმე აქვს ქართულ სახელმწიფოსთან და არა რომელიმე კონკრეტულ პარტიასთან.

თავის დროზე სააკაშვილიც გაიძახოდა — მე თუ ხელისუფლებაში არ ვიქნები, დასავლეთი საქართველოზე უარს იტყვისო, მაგრამ მშვენივრად ვხედავთ, რომ ეს ასე არ არის!

ასე რომ, ყველას მოვუწოდებ, პროვინციულად ნუ იაზროვნებენ და რესპუბლიკელების შანტაჟზე ნუ წამოეგებიან!

და კიდევ: 2012 წელს, როცა ქართველმა ერმა სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმი დაამარცხა, ჩვენს ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა, რომ საქართველოში არჩევნები აღარასოდეს გაყალბებულიყო.

ბატონი ბიძინა ივანიშვილისა და შემდგომში ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მივაღწიეთ იმას, რომ საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ყოველგვარი გაყალბების გარეშე ჩატარდა. მთელმა მსოფლიომ აღიარა, რომ ეს ორივე არჩევნები აბსოლუტურად დემოკრატიული და გამჭვირვალე იყო.

თუმცა, 2015 წელს ამ ყველაფერს ლაფი გადაასხა რესპუბლიკური პარტიისა და თინა ხიდაშელის ამაზრზენმა ქმედებებმა საგარეჯოს შუალედური არჩევნების დროს, როცა მათ **ირმა ინაშვილს, ფაქტობრივად, გამარჯვება წაართვეს** და მთელ მსოფლიოს აჩვენეს, რომ სააკაშვილის მსგავსი ბინძური მეთოდებით იბრძვიან!

## „ძმები ბერძენიშვილები იმ სახელმწიფო საბჭოს წევრები იყვნენ, რომელიც მშვიდობიან მომიტინგეებს ქუჩაში ხვრეტდა!“



სწორედ ამიტომ, აუცილებელია, რომ საგარეჯოში არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყოს და **გაყალბებაში ეჭვმიტანილი თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი** გამოძიების დასრულებამდე თანამდებობიდან იქნეს გადაყენებული!

დიახ, მოძრაობა „ეროვნულები“ პრემიერ-მინისტრისაგან კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ სამარცხვინო, გამყალბებელი თავდაცვის მინისტრი ხიდაშელი თანამდებობიდან გადააყენოს, რადგან იგი ჩირქს სცხებს არამარტო ხელისუფლებას, არამედ მთლიანად ქართულ სახელმწიფოებრიობას!

**— ზემოთ თქვით, რომ თქვენი გადაყენება-არგადაყენების საკითხს მთავრობის სხდომაზე საათ-ნახევრის განმავლობაში განიხილავდნენ. თუ გაქვთ ინფორმაცია, რომელმა მინისტრმა რა პოზიცია გამოხატა?**

— ზუსტად ვიცი, რომ ჩემი გადაყენების მოთხოვნაში ხიდაშელს აქტიურად დაუჭირა მხარი განათლების სამარცხვინო მინისტრმა **თამარ სანიკიძემ!**

ვიცი ისიც, რომ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა **გელა დუმბაძემაც** ხიდაშელს ვერაფრის თქმა გაუბედა, თუმცა, მინისტრები, რომლებიც ხედავდნენ, რომ ხიდაშელს თვით პრემიერ-მინისტრიც კი ვერ უბრუნებდა სიტყვას, ხმას როგორ ამოიღებდნენ?!

და კიდევ — **ამ მთავრობის სხდომას არ ესწრებოდა ენერგეტიკის მინისტრი და ვიცე-პრემიერი კახა კალაძე.**

**— როგორ ფიქრობთ, კალაძე რომ ყოფილიყო, რას იზამდა?**

**— ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცი, ის არის, რომ კახა კალაძე ვაჟკაცი კაცია!**

ზუსტად ვიცი ერთი რამეც — დღეს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** რომ ყოფილიყო, მას თინა ხიდაშელი დაშანტაჟებას და ულტიმატუმის ენით ლაპარაკს ნამდვილად ვერ გაუბედავდა!

**— მაშ, კვირიკაშვილს რატომ უბედავს ამდენს?**

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## „სამეგრელოს მოსახლეობამ კიდევ ერთხელ უნდა გაიხსენოს, რომ დარჩელის გადაწვას, წალენჯიხის, ზუგდიდის, სენაკის აოხრებას რესპუბლიკელები ღიად უჭერდნენ მხარს!“

## კვირგვინოსნები

**სანდრო ბრეგაძე**
*დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე*



სირაქლემას პოზაში ნურავინ იმყოფებს თავს, თვალები გაახილონ და ნახავენ, რომ კოალიციაში ბზარი კი არა, ნაპრალია გაჩენილი.

**თუკი არჩევნებამდე ჩვენს პოზიციას არ გავიტანთ, მომდევნო პარლამენტი ლიბერალებით იქნება დაკომპლექტებული და გაძლევთ გარანტიას, რომ მომდევნო პარლამენტი ერთსქესიანთა ქორწინებას დააკანონებს, რასაც ველარასოდეს ვუშველით.**

„კვირის ქრონიკა“

**თემურ შაშიაშვილი**
*მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი*



ამასწინათ გამოვიდა ამერიკის ელჩი და დაიცვა ჩვენი პატრიარქი, მისი ავტორიტეტი დიდია ქვეყანაშიო. ჩვენ ამას წამოვეგეთ და არავინ ვიკითხეთ: **კი, მაგრამ, შენ, ამერიკის ელჩო, თუ პატრიარქი ასეთი კარგია, მაშინ იმას რატომღა აფინანსებ, ვინც მას ძირს უთხრის და ებრძვის?**

„კვირის ქრონიკა“

**ლევან ვასაძე**
*ბიზნესმენი*



**გიორგი მარგველაშვილმა, ჩემმა ძმაკაცმა, თავი დაიღუპა, როცა პოლიტიკაში წავიდა.**

„PIA.GE“

**გია ცაგარეიშვილი**
*„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი*



**დღეს ამომრჩევლის 60 პროცენტი გაურკვევლობაშია, ვერ მიუღია გადაწყვეტილება, ვის დაეყრდნოს. ესეც ერთ-ერთი სიახლეა ამ არჩევნებზე, რაც არასდროს ყოფილა.**

„ახალი თაობა“

**მურმან დუმბაძე**
*პარლამენტარი*



**„ქართულ ოცნებაში“ საბჭოთა მენტალიტეტია გამეფებული.**

„ახალი თაობა“

**— გიორგი კვირიკაშვილი ძალიან პატიოსანი ადამიანია, მაგრამ ბიძინა ივანიშვილთან და ირაკლი ღარიბაშვილთან შედარებით რბილი ხასიათი აქვს!**

და მაინც, დარწმუნებული ვარ, რომ გიორგი კვირიკაშვილი, საბოლოო ჯამში, ხიდაშელისა და რესპუბლიკელების მძევალი არ გახდება და, ადრე თუ გვიან, საკადრის პასუხს გასცემს მათ!

**— ბოლოს და ბოლოს, საქართველოს პარლამენტში თქვენ მიერ შეტანილ საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც კონსტიტუციაში ოჯახის ცნების დაკონკრეტებას ითვალისწინებს და ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ არის მიმართული, რამდენმა დეპუტატმა მოაწერა ხელი?**

— ჩვენ მიერ პარლამენტში შეტანილ საკონსტიტუციო შესწორების პროექტს, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვას ითვალისწინებს, **მხოლოდ შვიდმა დეპუტატმა მოაწერა** ხელი!

„ქართული ოცნების“ ფრაქციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ზუსტად იგივე საკონსტიტუციო შესწორებას თვითონ ამზადებენ და ერთხმად დაუჭერენ მხარს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების აკრძალვას.

აი, რესპუბლიკელთა ფრაქციამ კი აღნიშნული ინიციატივის მხარდაჭერაზე კატეგორიული უარი განაცხადა და **ვახტანგ ხმალაძემ** ჩვენს წარმომადგენელს **კახა მიბინეიშვილს** პირდაპირ უთხრა, თვით „ქართულმა ოცნებამაც“ რომ წარმოადგინოს მსგავსი კანონპროექტი, ხმას მაინც არ მივცემთო!

მოკლედ,

**საქართველოს მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ რესპუბლიკელები, ნაციონალებთან ერთად, მხარს უჭერენ საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას!**

**— დაბოლოს, 2012 წლიდან მოყოლებული, მოძრაობა „ეროვნულები“ ბიძინა ივანიშვილს უჭერდით მხარს და „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობდით. თქვენი გადადგომის შემდეგ ეს რეალობა შეიცვლება?**

— დარწმუნებით შემიძლია, გითხრათ, რომ უახლოეს ხანებში ძალიან ბევრი საინტერესო მოვლენის მომსწრენი გავხდებით და **ვინც კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ წასასვლელია, აუცილებლად წავა!**

პირადად მე რაც შემეხება,

პროექტი

**საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:**

**1. 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**

1. ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით მამაკაცისა და ქალის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას.

**მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.**

საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო
დეპარტამენტის უფროსს,
ქალბატონ ეთერ სვიანაძეს

ქალბატონო ეთერ,

საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 302-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტს „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

კონსტიტუციური კანონპროექტის განხილვისას მომხსენებელია საქართველოს პარლამენტის წევრი ......... .

გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი კონსტიტუციური კანონის პროექტისათვის რეგლამენტით დადგენილი წესით შესაბამისი მსვლელობის მიცემა.

(კონსტიტუციური კანონპროექტი 1 ფურცლად, კონსტიტუციური კანონპროექტის განმარტებითი ბარათი 3 ფურცლად და იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი კონსტიტუციური კანონპროექტით შედის ცვლილება 1 ფურცლად თან ერთვის)

საქართველოს პარლამენტის წევრები:

| სახელი, გვარი | ხელმოწერა |
| --- | --- |
| 1. | /ომარ ნიშნიანიძე/ |
| 2. | /თ. მაისურაძე/ |
| 3. სოსო დანელია | |
| 4. თემურ ხუბულური | |
| 5. | |
| 6. | |
| 7. | |

# „ჩვენ მიერ პარლამენტში შეტანილ საკონსტიტუციო შესწორების პროექტს, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვას ითვალისწინებს, მხოლოდ შვიდმა დეპუტატმა მოაწერა ხელი!“


ომარ ნიშნიანიძე


თემურ მაისურაძე


სოსო დანელია


თემურ ხუბულური


თამაზ (გია) ჯაფარიძე


დათო ლორთქიფანიძე


გიორგი გაჩეჩილაძე

**არ გამოვრიცხავ, რომ მთავრობაში დავბრუნდე კიდეც, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენი მთავრობა ეროვნულ და მორალურ პრინციპებზე იქნება დაყრდნობილი და ანტიეროვნული ძალებისაგან გაიწმინდება!**

ვიყავი, ვარ და ვიქნები იმ პრინციპების ერთგული, რომლებითაც **ილია ჭავჭავაძე და ზვიად გამსახურდია** ხელმძღვანელობდნენ! სადაც ამ პრინციპების მსახურებისა და რეალიზაციის საშუალებას დავინახავ, იქ დავდგები და ეროვნულ, ქართულ საქმეს გავაკეთებ!

*ესაუბრა* **ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**გია ჟორჟოლიანი**
*პარლამენტარი*



**მაჟორიტარულ სისტემას არ შევცვლით. ოპოზიციამ ილაპარაკოს, რამდენიც უნდა.**

„ახალი თაობა“

**კონსტანტინე გამსახურდია**
*არასამთავრობო ოპოზიციის ლიდერი*



**არჩევნებში შეიძლება დამოუკიდებელი კანდიდატი ვიყო.**

„ახალი თაობა“

**უჩა ნანუაშვილი**
*ომბუდსმენი*



**ქორწინების, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის, კონსტიტუციაში დაფიქსირება საჭირო არ არის.**

„მედიანიუსი“

**მამუკა გიორგაძე**
*სახალხო პარტიის ლიდერი*



**„ქართულმა ოცნებამ“ დღემდე ვერ მოაგვარა ლობისტური საქმიანობა და ვერ ააწყო ურთიერთობები ევროპის უმსხვილეს სახალხო პარტიასთან.**

„ახალი თაობა“

**ჯონ მაკ-კეინი**
*ამერიკელი სენატორი*



**მოახლოებულ არჩევნებს დიდი გავლენა ექნება ბევრ ფაქტორზე, მათ შორის, საქართველო-აშშ-ის ურთიერთობებზე. ჩვენ ველოდებით თავისუფალ და გამჭვირვალე არჩევნებს და თანამშრომლობას საქართველოს ხელისუფლებასთან.**

„ნიუპოსტი“

**სოსო ცისკარიშვილი**
*პოლიტოლოგი*



**თუ კოალიციას ერთი წევრის — „ქართული ოცნების“ სახელი ერქმევა, დანარჩენები მხოლოდ „არსთაგამრიგეს“ ვასალები იქნებიან.**

„რეზონანსი“



„მივმართავ ხელისუფლებას: თურქეთს სამარეში ნუ ჩავაყოლებთ ქვეყანას!“

## „თუ ბიძინა ივანიშვილმა დროზე არ ალაგმა რესპუბლიკელები, ისინი არამხოლოდ „ქართულ ოცნებას“, არამედ ქვეყანასაც უფსკრულში გადაჩეხავენ!“



„რესპუბლიკელებს ჭირივით ეზიზღებათ ბიძინა!“

# გიგლა ბარამიძე:

# საქართველოში ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაა დასაწყები!

*რესპუბლიკელებისა და „მრეწველების“ შიდაკოალიციური დაპირისპირება უკვე მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა! სწორედ ამაზე მსჯელობით დავიწყეთ ინტერვიუ აღმოსავლეთმცოდნესთან, მეცნიერებათა დოქტორთან, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის სტატუსის მქონე დიპლომატთან, „გაერთიანებული დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერ* ***გიგლა ბარამიძესთან.***

**— ბატონო გიგლა, რესპუბლიკელები გოგი თოფაძის ეგზეკუციას მოითხოვენ! ის კი არა, როგორც დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან საკუთარი ნებით გადამდგარი სანდრო ბრეგაძე აცხადებს, თინა ხიდაშელი პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილისგან დაჟინებით მოითხოვდა მის გათავისუფლებას...**

— ეს ნიშნავს ერთ რამეს: რესპუბლიკელები სახელმწიფო გადატრიალებას აწყობენ! დიახ, პარტიას, რომლის რეიტინგი სულ 2-3 პროცენტია, უკვე „ქართული ოცნების“ კოალიციაში ყველა ბერკეტის დაუფლება სურს!

თქვენთან ინტერვიუებში ჯერ კიდევ წელიწად-ნახევრის წინათ ვამახვილებდი ყურადღებას რესპუბლიკელთა მზარდ მადაზე. რესპუბლიკელებს არ ეყოთ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი, მინისტრების პორტფელები, კომიტეტის თავმჯდომარეების თანამდებობები და სულ უფრო და უფრო მეტს მოითხოვენ!

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და აჰა, ბატონო, რესპუბლიკელებს იმხელა მადა აღმოაჩნდათ, რომ უკვე ქვეყანას მოასხდნენ თავზე! გასდით და იმიტომ!

**— არადა, გოგი თოფაძემ რა თქვა ტყუილი?! თინა ხიდაშელმა ხომ მართლაც გამოიყენა ჯარისკაცების ხმები საგარეჯოში თანაპარტიელი თამარ ხიდაშელის გასამარჯვებლად?!**

— რა თქმა უნდა! გოგი თოფაძის ადვოკატი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ის აბსოლუტურად მართალია!

წარმოიდგინეთ, თინა ხიდაშელი, რომელიც თავს საქართველოში ევროპული დემოკრატიის ერთ-ერთ იპოსტასად აცხადებს, სინამდვილეში ერთი ჩვეულებრივი ფალსიფიკატორია! თანაც, ამ ბინძურ საქმეში თავდაცვის მინისტრმა ქართველი მეომრები გარია!

და ამ დროს პროკურატურაში სძინავთ?!

თოფაძის თქმისა არ იყოს, **თინა ხიდაშელი ურცხვად ჭკუას კი არ უნდა გვარიგებდეს, არამედ პროკურატურაში ჩვენებას უნდა აძლევდეს!**

ანდა, ნახეთ, რას კადრულობს ეს ლევან ბერძენიშვილი, თითქოს დიდი ვინმე მყავდეს — საპნის ქარხნის დირექტორების გასარჩევი კაცი არ ვარ მეო! ანუ **თუ გოგი თოფაძე ადრე საპნის ქარხნის დირექტორი იყო, ხმის ამოღება და აზრის გამოთქმა ეკრძალება?! ესაა ლიბერალური ეკონომიკის აპოლოგეტები ვართო, რესპუბლიკელებო?! საპნის წარმოება როდის აქეთ გახდა სამარცხვინო?!**

**— როგორც ჩანს, ლევან ბერძენიშვილი პირად ჭიგიენასთან მწყრალად არის! თუ გოგი თოფაძე საპნის ქარხნის დირექტორი იყო, ლევან ბერძენიშვილის „ნასედკა“ ბრძანდებოდა, მეტსახელად „დელფინა“! რომელი უფრო სამარცხვინოა?!**

— რესპუბლიკელები არიან საქართველოში „ლიბერალური ფუნდამენტალიზმის“ მთავარი წარმომადგენლები! მათ ლიბერალიზმთან და თავისუფლებასთან საერთო არაფერი აქვთ!

**რესპუბლიკელები ტიპური ნაცები არიან და, მე თუ მკითხავთ, არანაკლებ საშიშებიც!**

**რესპუბლიკელებმა, ბარემ, „სულიერი ძმები“ – ვანო მერაბიშვილი და ბაჩო ახალაია გამოაშვებინონ ციხიდან და პარტიაში გაიწევრიანონ!**

თუ ბიძინა ივანიშვილმა დროზე არ ალაგმა რესპუბლიკელები, ისინი არამხოლოდ „ქართულ ოცნებას“, არამედ ქვეყანასაც უფსკრულში გადაჩეხავენ!

არადა, ზუსტად ვიცი, **რესპუბლიკელებს ჭირივით ეზიზღებათ ბიძინა!**

**— ბიძინა ივანიშვილი რომ არა, რესპუბლიკელებს ვინ მიასუნინებდა პარლამენტში?!**

— საქმეც ეგ არის! რესპუბლიკელებს ეზიზღებათ ბიძინა, მაგრამ, ამავე დროს, იმასაც ხვდებიან, რომ ძალიან სჭირდებათ ის!

გახსოვთ, როგორ გააშაყირა ლევან ბერძენიშვილმა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში შემოსვლის განცხადებისთანავე?!

**— კი, ლევან ბერძენიშვილმა 2011 წლის 7 ოქტომბერსვე გააკეთა გველაძუური კომენტარი: საქართველოში „ფულის ტომრები“ პოლიტიკაში ვერ ვარგიან, ახლახან ვნახეთ, ერთმა ასეთმა 7 პროცენტი ძლივს აიღოო, ანუ გარდაცვლილ ბადრი პატარკაციშვილსაც დასცინა! იმ პატარკაციშვილს, რომლის დაფინანსებითაც იკვებებოდა!**

— თუმცა, როდესაც ბიძინამ რამდენიმე დღეში დაუძახა რესპუბლიკელებს, ისინი სირბილით გაცვივდნენ „შუშის სასახლეში“ და, იქიდან გამოსულები, უკვე ქება-დიდებას ასხამდნენ ივანიშვილს!

**— ფული იყნოსეს!**

— იცით, მე რესპუბლიკელები, ნაცები თუ ქოცები ნაკლებად მაღელვებენ — სიამშობლოს გვიღუპავენ, თორემ...

**— ბატონო გიგლა, რუსულ-თურქულ დაპირისპირებაზეც მინდა, გკითხოთ: საქართველოს ხელისუფლება აშკარად თურქეთს ემხრობა...**

— ჩვენში თურქეთისადმი რაღაც უცნაური დამოკიდებულებაა! კი ბატონო, თურქეთი ჩვენი მეზობელია და მასთან მეგობრული ურთიერთობა უნდა გვქონდეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს ჩვენი მეზობელი, როგორც ფაქტები მეტყველებენ, ისლამური სახელმწიფოს მეგობარია!

საკითხი ასე დგას: **გვინდა ისლამური სახელმწიფოს გაძლიერება და მასთან დაკავშირებული ტერორიზმის და კანიბალიზმის აღზევება?!** ჩვენში ძალიან გაუხარდათ, როდესაც თურქებმა რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდეს, არადა, სწორედ რუსი მფრინავების დამსახურებაა, რომ სირიაში ისლამური სახელმწიფო, პრაქტიკულად, ხერხემალშია გადატეხილი!

ჰოდა, მაშინ, როდესაც რუსეთი თურქეთს ლამის ატომური იარაღით ემუქრება, არ გაბედო სირიაში შეჭრაო, ჩვენ სად მივძვრებით?!

მივმართავ ხელისუფლებას: თურქეთს სამარეში ნუ ჩავაყოლებთ ქვეყანას!

**ჩვენ ეროვნული ინტერესებით უნდა ვიხელმძღვანელოთ და არა — ამერიკის საელჩოდან მოსული დირექტივებით!**

სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები:

საქართველოში ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაა დასაწყები! **ჩვენ, ყველა პატრიოტი უნდა გავერთიანდეთ სულმნათი ზვიადისა და მერაბის დროინდელი ქვეშ, რომელსაც აწერია „მამული, ენა, სარწმუნოება“!** ასეთ უმძიმეს ვითარებაში არ გვაქვს დაყოფისა და დაცალცალკევების უფლება — აი, შენ მაშინ იქ იყავი და შენ — აქო!

ყველა უნდა გავერთიანდეთ საქართველოს გადასარჩენად!

ყველა ერთ მუშტად უნდა შევიკრათ ამ „ლიბერასტული ფუნდამენტალიზმისგან“ სამშობლოს გასათავისუფლებლად!

თორემ ესენი ყველაფერს იკადრებენ...

ამათი მიზანი ქართული მართლმადიდებელი ცივილიზაციის წაბილწვა და განადგურებაა!

**ჩვენ რა კაცები ვიქნებით, თუ ეს დავუშვით?!**

*ესაუბრა*
***გიორგი გიგაური***

# „რესპუბლიკელები სახელმწიფო გადატრიალებას აწყობენ!“

## პუბლიცისტის ხელ-შესახებ-ი აზრები

# საქართველოს მთავარი სიმდიდრის შესახებ



9 წლის განმავლობაში პრეზიდენტი სააკაშვილი ყოველდღიურად გვიმტკიცებდა, რომ საქართველო ღარიბი ქვეყანაა, რომელსაც, თურქმენეთისა და არაბული საემიროებისგან განსხვავებით, გაზი და ნავთობი არ გააჩნია. **ამით სააკაშვილი შეგნებულად აკნინებდა ეროვნულ თვითშეგნებას და არწმუნებდა „მათხოვარ ქართველებს“, რომ მათი გადარჩენის ერთადერთი შანსი დასავლელი კაპიტალისტების მონობაა.** არადა, ქართველმა მეცნიერებმა რახანია, დაამტკიცეს, რომ საქართველო თავისი წყლის რესურსებით თითქმის ყველაზე მდიდარი ქვეყანაა დედამიწის ზურგზე, რადგან საერთო ჯამში 277 მილიარდი დოლარის ღირებულების მტკნარი წყლის მარაგს ფლობს. უფრო მეტიც, ორი კვირის წინათ ამერიკულმა კომპანია „ფრონტერამ“ განაცხადა, რომ საქართველო უსწრებს მსოფლიოში ბევრ უმდიდრეს ქვეყანას ბუნებრივი გაზის რესურსებით, რაც საერთო გამოხატულებით 800 მილიარდი დოლარის ეკვივალენტია.

**ქართველებო!**

ახლა მაინც მიხვდით, რატომ „ვუყვარვართ ასე ძლიერ“ ჩვენს დასავლელ „მეგობარ-პარტნიორებს“, რატომ ხარჯავდნენ ამხელა ფულს „დემოკრატიის შუქურა“ სააკაშვილზე და საქართველოში „დემოკრატიის დამკვიდრებაზე“?! ის ფაქტი, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო ბუნებრივი რესურსებით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა და მის თითოეულ მოქალაქეს შეუძლია არაბ შეიხზე არანაკლებ მდიდრულად იცხოვროს, ამერიკელებსა და ქართველ მეცნიერებზე ადრე **იოსებ ბესარიონის ძე სტალინმა** იცოდა, მაგრამ ამ ინფორმაციას საბჭოთა მეცნიერთა შესაბამისი დასკვნით საგულდაგულოდ ინახავდა სეიფში გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“, რათა დასავლელი ყვავ-ყორნები საბჭოთა საქართველოს არ დასეოდნენ.

დიახ, როცა საქართველოში გაზის მოპოვება დაიწყება, ის მოსახლეობისთვის, თურქმენეთის დარად, სრულიად უფასო გახდება, წყალი კი საქართველოში რახანია უფასო უნდა იყოს ინდივიდუალური მომხმარებლისათვის! იქნებ შორს არ არის ის დრო, როცა საქართველოს სიმდიდრე მის მოქალაქეებს შორის თანაბრად განაწილდება და თითოეული მათგანის ანგარიშზე საკმაოდ სოლიდური ვალუტა დაჯდება? თუმცა, დაუშვებს თუ არა ამას „დემოკრატიული დასავლეთი?!“

*„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი*
***არნო ხიდირბეგიშვილი***

# გოგი თოფაძე:

# თავდაცვის მინისტრმა, ჩვეული თავხედობით, ყველაფერი გააკეთა, რომ არჩევნებში მის ნათესავს გაემარჯვა!

***საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გოგი თოფაძე აცხადებს, რომ თავდაცვის მინისტრის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი სახეზეა, ამიტომ შესაბამისი უწყებები ამ საკითხით უნდა დაინტერესდნენ. ბატონი გოგის განცხადებით, კოალიციას სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვან დარღვევებზე მოუხდენია რეაგირება და ამ მხრივ გამონაკლისი არც ხიდაშელის ქმედება უნდა გახდეს:***



— საერთოდ, ეს დაძაბულობა დაიწყო იმით, რომ თავდაცვის მინისტრმა დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მომაყენა. პრეზიდენტის მიმართ ჩემი სრულიად სამართლიანი კრიტიკა არ მოეწონა, გულზე მოხვდა. საინტერესო ის არის, რომ თავად მარგველაშვილს ხმა არ ამოუღია, რადგან მიხვდა, რომ სათქმელი არაფერი ჰქონდა. **ამ ჩვენმა მეტიჩარა მინისტრმა, უტაქტო ქალმა კი ჩემთვის ძალიან დამამცირებელი, ირონიული კომენტარი გააკეთა. უპასუხოდ არავის დავტოვებ, იმიტომ, რომ ჩემი ქვეყნის წინაშე დანაშაული არ მიმიძღვის.** მითუმეტეს, ამ ქალს ვერ ვაპატიებდი შეურაცხყოფას. პასუხს პასუხი მოჰყვა, ოღონდ ამჯერად — მისი თანაგუნდელებისგან, რადგან მარგველაშვილისა არ იყოს, ხიდაშელიც მიხვდა, რომ გაჩუმება აჯობებდა. კარგად იცის, რაც ჩაიდინა!

**— მაინც, რა ჩაიდინა, ბატონო გოგი?**

— არჩევნებში ჩაერია, რისი უფლებაც მინისტრს არ ჰქონდა. **მან დაარღვია საარჩევნო კანონი, როდესაც საგარეჯოში არჩევნებზე 527 ჯარისკაცი ჩაიყვანა. არადა, იმავე თვეში, არჩევნებამდე, თეა წულუკიანთან ჩატარდა თათბირი, შეიქმნა ოქმი ნომერი სამი, რომლის თანახმადაც მუხროვანის მეცამეტე უბანი, სადაც სულ 25 ჯარისკაცი იმყოფებოდა, უნდა გაუქმებულიყო და ეს ჯარისკაცები სხვა საარჩევნო უბნებზე უნდა გადაენაწილებინათ.** ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, თავდაცვის მინისტრმა, ჩვეული თავხედობით, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ არჩევნებში მის ნათესავს გაემარჯვა. საგარეჯოში 527 ჯარისკაცი ჩაიყვანა სამეგრელოდან, გურიიდან, სვანეთიდან. მათი სრული სია მაქვს. პრაქტიკულად, არჩევნების საბოლოო შედეგი სწორედ ამ ადამიანებმა განსაზღვრეს. ისმის კითხვა: რა დაუჯდა სამინისტროს მათი ტრანსპორტირება და რატომ უარყოფს მინისტრი ხიდაშელი, რომ ეს დარღვევა რეალურად მოხდა? თუ იტყვის, რომ ამის შესახებ არ იცოდა, მთლად უარესი — მაშინ რაღა მინისტრია?

**— ანუ, თქვენი აზრით, ეს დარღვევა საკმარისია იმისთვის, რომ ხიდაშელმა პროკურატურაში დაკითხვებზე იაროს?**

— **კოალიციაში ამაზე ნაკლებად მნიშვნელოვან დარღვევებზე მოხდა რეაგირება და კანონდამრღვევი დაისაჯა. თუ ასეა, რატომ არ უნდა დაინტერესდნენ სამართალდამცავი ორგანოები თავდაცვის მინისტრის ამ თავხედური ნაბიჯით?** როგორც ვიცი, არჩევნების გაყალბება სისხლის სამართლის დანაშაულია და დანაშაული გამოუძიებელი რატომ უნდა დარჩეს?

**— რესპუბლიკელები ამბობენ, რომ თქვენი განცხადებებით უპირისპირდებით არა ერთ პარტიას, არამედ მთელ კოალიციას და მთავრობას, მის ევროატლანტიკურ კურსს.**

— მთავრობის ევროატლანტიკურ კურსს, დემოკრატიის პრინციპებს ჩემი განცხადებები მეტად აზიანებს თუ თავდაცვის მინისტრის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა, არჩევნების პროცესში უხეში ჩარევა?

**სწორედ თინა ხიდაშელმა მოსჭრა თავი კოალიციას და მისი ეს ქმედება თუნდაც იმ ევროატლანტიკურ გზაზე დაბრკოლებად წინ არაერთხელ დაგვხვდება.**

**— თუკი ევროატლანტიკური კურსის წინააღმდეგი არ ხართ, მაშინ კონკრეტულად რას ეწინააღმდეგებით?**

— წლების განმავლობაში ხალხის მოტყუებას — აი, რას ვეწინააღმდეგები! გავიდა წლები და დავინახე, რომ ალიანსში გაწევრიანების დაპირებების მთავარი მიზანი ჩვენი ბიჭების სხვადასხვა ცხელ წერტილში გაგზავნა იყო და სხვა არაფერი. პირდაპირ გვითხრეს **ნატო**-ს ლიდერი ქვეყნების ხელმძღვანელებმა, რომ **მაპ**-საც ვერ მოგვცემენ. სულ ახლახან კი აპატურაიმ ძალიან დიპლომატიურად გამოგვიცხადა, რომ რამდენიმე ევროპულ ქვეყანას არა აქვს სურვილი, საქართველო **ნატო**-ში იხილოს. ისიც კი გვითხრა, უარის თქმით ისევ თქვენ გიფრთხილდებითო.

**— რას გულისხმობდა?**

— იგულისხმა, რომ გვყავს უზარმაზარი, აგრესიული მეზობელი და მიგვანიშნა, მისგან რეაქციის შემთხვევაში ჩვენ ვერ გიშველითო. მე სწორედ ეს ვთქვი — ალიანსში არ გვეპატიჟებიან, არ გვიღებენ და ხალხს ისევ რატომ ვატყუებთმეთქი. თუ ის დღე დადგება, რომ **ნატო**-ში მოვხვდებით და ის ჩვენს მთავარ — ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას გადაჭრის, ყველას ბოდიშს მოვუხდი.

რაც შეეხება ევროკავშირს, მე და ჩემს თანაგუნდელებს ამ კავშირში შესვლაზე უარი არასოდეს გვითქვამს. ეს ჩვენი გეზია. **მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს, რომ ცოტა ამაყად დავიჭიროთ თავი. იქ ისე შევიდეთ, როგორც ღირსეული ქვეყანა და არა გაღატაკებული, დამცირებული ერი.** შეგვიძლია, რომ იმ ათასგვერდიანი პირობებიდან, რომლებიც გაწევრიანების სანაცვლოდ წამოგვიყენეს, ჩვენთვის მიუღებელზე უარი ვთქვათ. თავისი პრინციპების დაცვა ბევრმა ქვეყანამ მოახერხა და ჩვენ, მითუმეტეს, შეგვიძლია.

ჩემზე ამბობენ, რომ რუსოფილი ვარ. არადა, მხოლოდ იმას ვამბობ, საქმეს რუსეთთან საომარ დაპირისპირებამდე ნუ მივიყვანთ-მეთქი. ეს ისევ ჩვენი ქვეყნისთვის დამთავრდება ცუდად. ვისაც რუსოფილი ვგონივარ, ერთ საყურადღებო ფაქტს შევახსენებ — 1921 წელს აჭარის თაობაზე ყარსის ხელშეკრულება დაიდო ასი წლით. იქ ძირითად მხარეებად დაფიქსირებული არიან თურქეთი და რუსეთი. ჩვენ, სომხეთი და აზერბაიჯანი მხოლოდ ხელს ვაწერთ და ვეთანხმებით. წარმოიდგინეთ, ამდენი ლანძღვა-გინების მერე რუსეთმა რომ გაგვწიროს, ხომ დავიშლებით ნაწილებად? იქნებ ამას მაინც გავუწიოთ ანგარიში!

**— ისევ დაპირისპირებას დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობთ, ძმები ბერძენიშვილები სხვებზე მეტად რატომ აქტიურობენ?**

— **ლევან ბერძენიშვილს შუბლის ძარღვი გაწყვეტილი რომ არ ჰქონდეს, ხმას საერთოდ არ უნდა იღებდეს. ახლა აღარ მოყვები, 80-იან წლებში მეგობრები სამარცხვინოდ როგორ ჩაუშვა.** სხვათაშორის, იმასაც კი კადრულობენ, რომ ფარულად ჩემი ფრაქციის წევრებთან დაიწყეს მოლაპარაკება თავის პარტიაში გადაბირების მიზნით. თუმცა, ან ეს რა გასაკვირია, როცა ისე გათავხედდნენ, სადაცაა, იმასაც იტყვიან, სააკაშვილის რეჟიმისგან ქვეყანა ბიძინა ივანიშვილმა კი არა, ჩვენ გადავარჩინეთ და კოალიციაც ჩვენ შევქმენითო.

**— რეალურად რა ძალა აქვს ამ პარტიას?**

— არ ვიცი, უცხოელი ელჩები რას ფიქრობენ, მაგრამ ვიცი, რას ფიქრობს მათზე ქართველი ხალხი. ერთხელ ნაცებთან ერთად მოხვდნენ პარლამენტში და მეორედ ამის შანსი ბიძინა ივანიშვილმა მისცა. მე მათ კარგი რამ შევთავაზე. დამთანხმდნენ და გამოაჩინონ, რეალურად რა ძალა აქვთ.

**— რა შესთავაზეთ?**

— **დროებით დავტოვოთ ორივე პოლიტიკურმა ძალამ კოალიცია, დამოუკიდებლად ვიყაროთ კენჭი არჩევნებზე და ვნახოთ, პარლამენტში ჩვენგან რომელი მოხვდება.**

**— როგორ ფიქრობთ, ამაზე დაგთანხმდებიან?**

— რას ამბობთ, ამას გაბედავენ? რომელ ერთ არჩევნებში გადაულახავთ ზღვარი დამოუკიდებლად? პარლამენტში მხოლოდ ვინმეზე ჩამოკიდებული თუ მოხვდებიან.

**— თქვენ თქვით, რომ ქართველ ხალხს მურვან ყრუც კი არ სძულდა ისე, როგორც რესპუბლიკელები...**

— მრავალწლიანი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე დამოუკიდებლად ერთხელაც რომ ვერ გადალახავ საარჩევნო ზღვარს, ესე იგი, ხალხს სძულხარ!

## როგორც მურვან ყრუ არ იყო საქართველოს გულშემატკივარი და მოკეთე, ისე რესპუბლიკელები არ არიან. თორემ როგორ შეიძლება, ქართველი ილიას და ვაჟას არ აღიარებდეს...

**— ბატონო გოგი, სხვათაშორის, თქვენი განცხადებების გამო არა მხოლოდ ბერძენიშვილებმა, კოალიციის სხვა წევრებმაც გაგაკრიტიკეს...**

— მე არ ვთვლი, რომ რამე საბოდიშო ვთქვი. უკან დახევასაც არ ვაპირებ. ასე რომ, ჩემ მაგივრად ბოდიშების მოხდით სხვა თავს ნუ შეიწუხებს. **ბოდიში თინა ხიდაშელმა უნდა მოგვიხადოს მეც და ქართველ ხალხსაც!**

**— რაც შეეხება პრემიერის შეფასებას?**

— ძმები ბერძენიშვილების წივილ-კივილისგან განსხვავებით, ეს იყო კულტურული, განათლებული კაცის შეფასება. მან ძალიან დინჯად, დიპლომატიურად დააფიქსირა საკუთარი პოზიცია.

**— თუ რესპუბლიკელები ასეთი ანტიეროვნული ძალაა, მათი კოალიციაში შეყვანა იყო თუ არა ბიძინა ივანიშვილის შეცდომა?**

— მადლიერების გრძნობა, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენს პრეზიდენტს ატროფირებული აქვს, საბედნიეროდ, ხალხს ისევ შემორჩა. ბიძინას შეცდომაც რომ დაეშვა, რაც მან გააკეთა, ეს იყო სააკაშვილისგან გადარჩენის ერთადერთი საშუალება.

**— ბატონო გოგი, კოალიციის მომავალზე რას იტყვით, ეს დაპირისპირება ან სხვა მოვლენები ერთობას საფრთხეს ხომ არ უქმნის?**

— არა მგონია, ასეთი საფრთხე არსებობდეს. ძმები ბერძენიშვილების და ქალბატონის გარდა, ამის თქმას პირდაპირ ვერავინ მიბედავს.

**— ეს რას ნიშნავს, კულუარებში არის ლაპარაკი იმაზე, რომ მრეწველებმა კოალიცია უნდა დატოვოთ?**

— კოალიციიდან ჩვენი გარიცხვის უფლება არავის აქვს, ჩვენც არსად ვაპირებთ წასვლას. ვთქვი, რომ გასატანი მაქვს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სურსათის უვნებლობას ეხება. ამას რომ გავაკეთებ, მერე გადავწყვეტ, როგორ მოვიქცე.

**— რესპუბლიკელები თუ გავლენ კოალიციიდან?**

— სად წავლენ, სად? რისი იმედი აქვთ და რისი თავი აქვთ? ერთი გაბედონ ხალხის მხარდაჭერის იმედად არჩევნებში მონაწილეობა...

**— თუ იცით, ამ ყველაფერზე ბიძინა ივანიშვილი რას ფიქრობს, რა პოზიცია აქვს?**

— ვერ გეტყვით. ის ძალიან კორექტულია კოალიციის წევრი ყველა პარტიის მიმართ. ხანდახან არის ხოლმე გარკვეულ თანამდებობებზე კამათი, მაგრამ ყველაფერს კორექტულად წყვეტს...

**— მაგრამ მინისტრთა კაბინეტს თუ გადავხედავთ, როგორც ჩანს, რესპუბლიკელებს მაინც აქვთ მასზე გავლენა...**

— ყველა თანამდებობაზე ომი აქვთ. მერე ერევიან ხოლმე საქმეში ელჩები თუ სხვა... ახლა არ მინდა, პოლიტსაბჭოს დეტალები გავხსნა, თორემ... უნდა გენახათ, რა ამბავი ატეხეს საგარეჯოს კანდიდატზე. „ოცნებამ“ იქ ადგილობრივი იურისტის კანდიდატურა დააყენა, მაგრამ რესპუბლიკელებმა ყველაფერი გააკეთეს და მაინც ხიდაშელი გაიყვანეს.

**— ანუ ხალხს უყვარს თუ არა ისინი, მაინც ანგარიშგასაწევი ძალაა?**

— ძალა, რომელსაც თავისი ქვეყნისა არაფერი უყვარს, სახიფათო ძალაა!

**— ეს არ იცის ბატონმა ბიძინამ?**

— ხომ გითხარით, ის ძალიან კორექტულად იქცევა. მაინც კოალიცია ვართ. რამდენიმე თვე დარჩა და გამოჩნდება, ალბათ...

**— რა გამოჩნდება, შეიძლება კოალიციის კონფიგურაცია შეიცვალოს?**

— ეს უნდა გადაწყვიტოს ხელმძღვანელობამ, პრემიერმა და... არ ვიცი, ვნახოთ, რა მოხდება!

*ესაუბრა*
***ნონა ბენდელიანი***



*2015 წლის 31 ოქტომბერი. საგარეჯო. თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი პირადად ამოწმებს საარჩევნო უბნებიდან შემოსულ ოქმებს*

**„ამ ჩვენმა მეტიჩარა მინისტრმა, უტაქტო ქალმა კი ჩემთვის ძალიან დამამცირებელი, ირონიული კომენტარი გააკეთა. უპასუხოდ არავის დავტოვებ, იმიტომ, რომ ჩემი ქვეყნის წინაშე დანაშაული არ მიმიძღვის!“**




**„ლევან ბერძენიშვილს შუბლის ძარღვი გაწყვეტილი რომ არ ჰქონდეს, ხმას საერთოდ არ უნდა იღებდეს. ახლა აღარ მოყვები, 80-იან წლებში მეგობრები სამარცხვინოდ როგორ ჩაუშვა!“**



# „ᲓᲔᲚᲤᲘᲜᲐᲡ“ ᲫᲛᲐᲡ ᲒᲝᲒᲘᲛ ᲠᲔᲙᲐ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ ᲘᲬᲧᲝ ᲓᲠᲔᲙᲐ!

## „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ“ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲞᲐᲭᲐᲜᲘᲙᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲜᲘᲤᲮᲐᲕᲘ ᲓᲐᲐᲛᲮᲔᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ!

***წინამდებარე წერილის სათაური იმ ხალხური ლექსის პერიფრაზია, რომელიც თხუთმეტი საუკუნის წინათ გმირთაგმირ ვახტანგ გორგასალს კავკასიური ლაშქრობის გამო მადლიერმა ქართველმა ერმა უსახსოვრა. ამ ხალხურ ლექსს, პოლიტიკური მოსაზრებების გამო, ქართულ საბჭოთა სკოლაში პირვანდელი სახით არ გვასწავლიდნენ და მას ბოლო ორი სტრიქონი მოკვეცილი ჰქონდა.***

სრულქმნილი ლექსი ასეთია:

**„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,**
**ციდან ჩამოესმა რეკა,**
**იალბუზზე ფეხი შესდგა,**
**დიდმა მთებმა**
**იწყეს დრეკა,**
**ოსებში გადაიარა,**
**ჩერქეზები გადარეკა“.**

რაც შეეხება ჩვენი წერილის სათაურს, ის საქართველოს პარლამენტის შენობაში მომხდარ ერთ ფაქტს ასახავს, როცა ხუთშაბათს, 18 თებერვალს, „მრეწველთა პარტიის“ ლიდერმა, ბატონმა გოგი თოფაძემ **„ᲓᲔᲚᲤᲘᲜᲐᲡ“,** ანუ იმავე **ლევან ბერძენიშვილის ძმას ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ** სახეში გაულაწუნა.

როგორც ქუთაისიდან მამცნეს, პარლამენტის რომელიღაც კორიდორში ბატონ თოფაძეს პატივცემული დავითისთვის ბებერი მუშტი ისე ღონივრად შემოუკრავს, ნახევარზე მეტ რესპუბლიკელებს, თურმე, იმ დღეს „ტრუსიკებში“ რეზინები დაუწყდათ...

დაბურბუსალებული, მაგრამ შედარებით ახალგაზრდა დავით ბერძენიშვილი სიბერეში ფეხშედგმული გოგი თოფაძისკენ, ცხადია, გაწეულა, მაგრამ გამშველებლებს უყოჩაღიათ და დეპუტატები ერთმანეთზე აღარ მიუშვიათ...

ვინც ამ შემოლაწუნების შესახებ მიამბო, იმაზე არაფერი უთქვამს, სად იყო ამ დროს **თავად „დელფინა“,** ანუ ცნობილი პუტჩისტი, მერე — შევარდნაძისტი, მერე — მიშარასტი და ახლა უკვე „ოცნებისტი“ ლევან ბერძენიშვილი. სხვათაშორის, არც საბჭოთა უშიშროების გენერალი, ბატონი **ანზორ მაისურაძე** მეუბნება გარკვევით, სად იყვნენ და რას აკეთებდნენ ძმები ბერძენიშვილები გაგანია ბრეჟნევისა და ანდროპოვის ეპოქაში — „კაგებეში“, ბოსტანში, ეროვნულ მოძრაობაში თუ იმ ბომბების ქარხანაში, რომლითაც საქართველო უნდა აფეთქებულიყო!

მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ის, რაც გოგი თოფაძემ რესპუბლიკელთა მისამართით თქვა, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ფიქრსა და აზრს გამოხატავს. მაგრამ მაინც რა თქვა ბატონმა გოგიმ ისეთი, რაც ჯერ არ გაგვიგონია და გვსმენია? ცხადია, არაფერი!

**არახალია ის ამბავი, რომ თინა ხიდაშელმა საგარეჯოს შუალედური არჩევნების დროს თავის მოგვარეს ჯარისკაცების ხმებით უსინდისოდ და უსირცხვილოდ გაამარჯვებინა! ხოლო იმის შესახებ, რომ ლევან ბერძენიშვილი „გაკურდღელებული სულის“ პატრონია და ძმებმა ბერძენიშვილებმა „კაგებეში“ ჯერ ერთმანეთი და მერე დანარჩენი თანამებრძოლები „ჩაუშვეს“, თავად ბერძენიშვილის წერილი-აღსარებაც ღაღადებს!** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ დიდმა ქართველმა პოეტმა, ბატონმა **ᲠᲔᲖᲝ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲛᲐ** ძმები ბერძენიშვილების ე.წ. დისიდენტური წარსული მიწაში ჩადო, და საზოგადოებაც გულიანად ახარხარა, როცა ჩვენი გაზეთის მეშვეობით არაერთხელ ბრძანა — **„ბერძენიშვილები ციხეში შევიდნენ, როგორც ძმები და ციხიდან გამოვიდნენ, როგორც დები!“**

თავმოყვარე კოალიციასა და საქმეში ჩახედულ პოლიტიკოსებს რესპუბლიკელები გვერდით ისედაც არ უნდა გაეკარებინათ. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ თვე არ გავიდოდა, რომელიმე გაზეთში ან სოციალურ ქსელში არ აფრიალებულიყო ცნობები ძმები ბერძენიშვილების მამალი „კაგებეშნიკობის“ შესახებ. იმაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რომ **ბატონი „დელფინა“ და პატივცემული დავითი,** ყველა სხვა უბედურებასთან ერთად, ჰიპმოჭრილი პუტჩისტები და საქართველოში დატრიალებული უკლებლივ ყველა სისხლიანი პროცესის იდეური შემამზადებლებიც არიან!



## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲕᲣᲬᲝᲓᲔᲑ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜ ᲐᲜᲖᲝᲠ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔᲡ!

ამდენად, ასეთი წარსულის მქონე ხალხის პარლამენტში შეშვებასა და დასმას, სჯობდა, უბეში გველი ჩაგვესვა, ანდა „მამაკაცური ღირსება“ აკვარჩხალებულ მდუღარეში ჩაგვეყო!

პრივატულ საუბარში არაერთხელ ვთხოვე, მაგრამ ინტერვიუს ამ თემაზე ცოცხალი თავით არ მაძლევს, ახლა კი უკვე ჩვენი გაზეთის მაღალი ტრიბუნიდან მოვუწოდებ საბჭოთა უშიშროების გენერალს, **ბატონ ანზორ მაისურაძეს** — ბოლოს და ბოლოს, წერტილი დაუსვას ძმები ბერძენიშვილების გარშემო ატეხილ მიეთ-მოეთს და უთხრას საზოგადოებას, ვინ არიან სინამდვილეში ისინი — საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი რაინდები, რომლებიც საბჭოთა გულაგებში იტანჯებოდნენ თუ **„ᲙᲐᲒᲔᲑᲔᲡ“ ᲜᲝᲛᲠᲘᲐᲜᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ „ᲒᲐᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲡ“ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲠᲐᲩᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ,** რომლებმაც საქართველოს **გიგა ბოკერია, ლევან ასრაწიან-რამიშვილი, გივი თარგამაძე, თინა ხიდაშელი, თამარ სტალბერის ასული კორძაია და „საია“** აღუზარდეს?

ვფიქრობ, ბატონი ანზორი ჩემს თხოვნას გაგებით მოეკიდება და იტყვის სიმართლეს, რომელიც, როგორც ამბობენ, ურმით დადის, მაგრამ ვაი იმას, ვის ჭიშკართანაც სიმართლის ჩამომტარებელი აჩაჩა ურემი ჭრიჭინით გაჩერდება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ** გოგი თოფაძისკენ კი არ უნდა გაეშვირა ხელი — აქაოდა, შენმა განცხადებებმა მთელ გუნდს „ჩირქი მოსცხოო“! — არამედ **თოფაძის მიერ ტელეეთერში გაკეთებულ განცხადებებს საქართველოს მთავარი პროკურატურა წელში უნდა შევარდნოდა, გამოძიება დაეწყო და ეკითხა — ბატონო გოგი, აბა, ერთი მოგვიყევით, თინა ხიდაშელმა საგარეჯოში არჩევნები როგორ გააყალბა და ამის შესახებ რა ინფორმაციას ფლობთო!**



> **საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს გოგი თოფაძისკენ კი არ უნდა გაეშვირა ხელი — აქაოდა, შენმა განცხადებებმა მთელ გუნდს „ჩირქი მოსცხოო“! — არამედ თოფაძის მიერ ტელეეთერში გაკეთებულ განცხადებებს საქართველოს მთავარი პროკურატურა წელში უნდა შევარდნოდა, გამოძიება დაეწყო და ეკითხა — ბატონო გოგი, აბა, ერთი მოგვიყევით, თინა ხიდაშელმა საგარეჯოში არჩევნები როგორ გააყალბა და ამის შესახებ რა ინფორმაციას ფლობთო!**

როგორც ვხედავთ, მსგავსი არაფერი მომხდარა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხიდაშელი მომავალში არათუ არჩევნებს, არამედ თავის თანამოაზრეებთან ერთად **სქესსაც** გააყალბებს!

**„ქართულ ოცნებას“ ჩირქი მოსცხეს კი არა, უფრო უარესი რამ დამართეს — რესპუბლიკელებმა თავიანთი პაჭანიკებიანი ნიფხავი დაამხეს თავზე!** მაგრამ ამ საქმეში გოგი თოფაძის ხელი კი არ ურევია, ეს ყველაფერი „დიდი ქართველი“ „დისიდენტების“ — ძმები ბერძენიშვილების ნახელავია!

**ცდებით, ბატონო გოგი, ბერძენიშვილებს არც შემოლაწუნება უშველით და არც ნიშადურის ამოცხება! კიტოვანის ჯაბახანა ტანკიდან მოყოლებული, სააკაშვილის საპირფარეშოთი დამთავრებული, ეგენი ყველგან ნათრევი ხალხია!**

**ᲛᲐᲒᲔᲗᲔᲑᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲕᲘᲠᲘᲡ ᲐᲑᲐᲜᲝᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲧᲐᲠᲝ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲓᲔᲑᲐᲓ ᲥᲪᲔᲣᲚ ᲓᲘᲡᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲘᲥᲘᲓᲐᲜ ᲘᲡᲔᲕ ᲫᲛᲔᲑᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲐᲞᲐᲜᲓᲣᲠᲔᲑᲔᲜ.**

*ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ*

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲒᲝᲒᲘ ᲗᲝᲤᲐᲫᲔ**
*პარლამენტარი*



**მურვან ყრუ არ სძულდა საქართველოს მოსახლეობას ისე, როგორც ძმები ბერძენიშვილები სძულს.**

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲚᲐᲓᲝ ᲕᲐᲠᲓᲝᲡᲐᲜᲘᲫᲔ**
*არქიტექტორ-ურბანისტი*



**მრეწველების პოზიცია ვერ ესადაგება საერთო ინტერესებს, ამიტომ შეიძლება ისინი გამოეყონ კოალიციას. დანარჩენები ძალიან მყუდროდ გრძნობენ თავს ამ „მატარებელში“, რომლის თავშიც „ქართული ოცნება“ დგას.**

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐ**
*პარლამენტარი*



**დაპირისპირება არა რესპუბლიკელებსა და „მრეწველებს“ შორის, არამედ გოგი თოფაძესა და კოალიციას შორის, გოგი თოფაძესა და საქართველოს მთავრობას შორისაა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი.**

„NEWS.GE“

**ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*პარლამენტარი*



**თოფაძის შეურაცხყოფა ძალიან გამიჭირდება, რადგან რაც უნდა ვთქვა, იმაზე ნაკლები იქნება, რაც ეკუთვნის.**

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

**ᲡᲝᲡᲝ ᲨᲐᲰᲑᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*„მემარცხენე ალიანსის“ გენერალური მდივანი*



საქართველო პროდასავლური ნეიტრალური სახელმწიფო უნდა გახდეს.

**საქართველოს მოსახლეობაში შეინიშნება იმედგაცრუება დასავლეთის მიმართ. ამას თავისი მიზეზები აქვს. ერთი მიზეზია ის, რომ დასავლეთი მხარს უჭერდა სააკაშვილის რეჟიმს, რომელიც საქართველოს მოსახლეობისათვის საძულველი იყო. მეორეც, ეს მხარდაჭერა გრძელდება. ხდება იმის ხელშეწყობა, რომ სააკაშვილი და მისი ნაცმოძრაობა დაბრუნდნენ ხელისუფლებაში.** კარგი იქნება, თუ ვაშინგტონსა და ბრიუსელში ამაზე ჩაფიქრდებიან და ისინი გვერდით დაუდგებიან არა სააკაშვილს, არამედ საქართველოს.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

# ხალხი უკვე ლაპარაკობს, საქართველოს პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი კი არა, ხიდაშელიაო!



## ბატონო პრემიერო, ფრთხილად, რესპუბლიკელია!

***რესპუბლიკელებისა და გოგი თოფაძის დაპირისპირებამ ისეთ ნიშნულს მიაღწია, რომ ამ საკითხზე თვით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გააკეთა განცხადება. თუმცა, გიორგი კვირიკაშვილმა, ალბათ, ბევრი გააკვირვა, როდესაც აშკარად რესპუბლიკელების მხარე დაიკავა!***

აი, რა ბრძანა პრემიერმა:

**„მინდა, გამოვეხმაურო თავდაცვის მინისტრის მიმართ ბრალდებებს და ვთქვა, რომ ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი. ეს ჩირქს სცხებს არა ერთ პარტიას, არამედ მთლიანად მთავრობას, აბსოლუტურად ყველანაირი საფუძვლის გარეშე, და მინდა, მოვუწოდო ჩვენს თანაგუნდელებს, ასეთი საკითხები თუ მათ აქვთ, შეკითხვები, ალბათ, სხვა წესით და სხვა ფორმატში უნდა იხილებოდეს. ჩვენი ერთიანობა არის ძალიან მნიშვნელოვანი...“**

ანუ კვირიკაშვილმა აშკარად დაიცვა თინა ხიდაშელიც, მისი პარტიაც და მათ მიმართ თანაკოალიციელი გოგი თოფაძის კრიტიკა ლამის მკრეხელობად მონათლა!

არადა, შესაძლოა, ბევრს, მათ შორის, პრემიერსაც არ ახსოვს, საიდან დაიწყო ეს ყველაფერი!

3 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტი მარგველაშვილი პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით წარდგა. იმ დღეს პარლამენტის ტრიბუნასთან გამოსულმა გოგი თოფაძემ მარგველაშვილს შეახსენა, ბოდიში გაქვთ მოსახდელი ქართველი ხალხის წინაშე, „დაუნი“ რომ უწოდეთო!

რა თქმა უნდა, თოფაძეს შეეშალა, მარგველაშვილმა თავის სკანდალურ ესსეში — **„ნიჩურტა, მე ქართველი ვარ!“** — ქართველები **„დაუნებად“** კი არა, **„დებილებად“** მოიხსენია!

ჰოდა, აი, ამ განცხადების გამო თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა არამხოლოდ გააკრიტიკა თანაკოალიციელი თოფაძე (არადა, ხიდაშელს ვინ ეკითხებოდა?!), მან აუცილებლად ბოდიში უნდა მოიხადოსო, არამედ ჟურნალისტების თანდასწრებით, აშკარად დასცინა „მრეწველთა“ ლიდერს — **როგორ, ის კიდევ პარლამენტის წევრიაო?!**

ჰოდა, სწორედ ამის საპასუხოდ თქვა გოგი თოფაძემ — თინა ხიდაშელი ტელეეთერიდან ჭკუას კი არ უნდა გვასწავლიდეს, საგარეჯოში არჩევნების გაყალბების საქმეზე პროკურატურაში უნდა დადიოდეს ჩვენებების მისაცემადო!

როგორც ხედავთ, თოფაძეს არანაირი „ანტინატოური კამპანია“ არ ჰქონდა ჩაფიქრებული (როგორც ეს რესპუბლიკელებმა გააფორმეს!). მან უბრალოდ, თინა ხიდაშელის მხრიდან აგდებულ დამოკიდებულებას მკვახედ უპასუხა!

**ანუ გამოდის, თინა ხიდაშელისთვის დასაშვებია თანაკოალიციელის (მამის ტოლა კაცის!) საჯაროდ გატრიზავება და ეს, თურმე, „ჩირქს არ სცხებს“ კოალიციურ ერთობას, ხოლო გოგი თოფაძისთვის საპასუხოდ ხმის ამოღება დანაშაულის ტოლფასი ყოფილა!**

არადა, ჯერ ერთი, თოფაძემ მაშინვე განაცხადა, ბოდიში, თუკი ვინმეს უნებლიეთ ვაწყენინე, მარგველაშვილმა ქართველ ერს **„დაუნი“** კი არა, **„დებილი“** უწოდაო, და მეორეც, „მრეწველთა“ ლიდერს არანაირი ცილი არ დაუწამებია თინა ხიდაშელისთვის — **საქართველოში ყველა ჭკუათამყოფელმა იცის, რომ თავდაცვის მინისტრმა საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებში მისი თანამებრძოლის თამარ ხიდაშელის გასამარჯვებლად მუხროვანის სპეცუბანზე მანამდე იქ მყოფი 25-ის ნაცვლად 526 ჯარისკაცი მირეკა!** და ამ ჯარისკაცთაგან ყველამ, რატომღაც ხმა ლიბერასტ **თამარ ხიდაშელს** მისცა და არცერთმა — „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერ **ირმა ინაშვილს!**

საქართველოს პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილს, როგორც ჩანს, აშკარად არ ჰყოფნის პოლიტიკური გამოცდილება, თორემ ადვილად გაარჩევდა, რამ უფრო დიდი ჩირქი მოსცხო მთავრობასა და „ქართულ ოცნებას“ — თინა ხიდაშელის მიერ საგარეჯოში განხორციელებულმა ხათუნა გოგორიშვილისეულმა საარჩევნო სპეცოპერაციამ თუ გოგი თოფაძის სრულიად მართებულმა პროტესტმა.

**ბატონ პრემიერ-მინისტრს მინდა, ისიც შევახსენო,** საჯაროდ როგორ დასცინოდნენ რესპუბლიკელები **გოგი თოფაძეს,** რომელმაც ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა — **მალე სტალინის სურათი ყველა ქართველს კედელზე ეკიდებაო!**

მაგალითად, **დავით ზურაბიშვილმა,** რომელიც დედაქალაქის საკრებულოს წევრია, მაშინ უშნო ხორხოცით განაცხადა — **ბედის ირონიაა, თორემ მე და ამას ერთ კოალიციაში რა გვინდაო?!**

**სხვათაშორის, პრემიერმა კვირიკაშვილმა ისიც უნდა იცოდეს, როგორი დამოკიდებულება აქვს იმავე ზურაბიშვილს ბიძინა ივანიშვილისადმი:**

*„აი, მომკალით და ბიძინამ რომ ხეების გადარგვა დაპირა, ეს რანაირადაა მიშას ბრალი, არაფრით არ მესმის... მიშამ ვის რა მიჰყიდა ერთ ლარად თუ სამშაურნახევრად, ეს არანაირად არ ამართლებს ან ამტყუნებს ხეების გადარგვის მიზანშეწონილობას... მიშა კი ივლის საერთაშორისო კონფერენციებზე და ძალიან ბევრს თუ გავახმახებთ, შეიძლება უკრაინის პრემიერ-მინისტრადაც დანიშნონ“...*

**ბატონო პრემიერო, როგორ ფიქრობთ, რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილის მიერ ციხისძირის ასწლოვანი ხეების ეპოპეაში ბიძინა ივანიშვილის გაქილიკება და სააკაშვილის ვექილობა ჩირქს არ სცხებს „ქართული ოცნების“ იმიჯს ხალხში და კოალიციურ ერთობას?!**



**ბატონო პრემიერო, როგორ ფიქრობთ, რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილის მიერ ციხისძირის ასწლოვანი ხეების ეპოპეაში ბიძინა ივანიშვილის გაქილიკება და სააკაშვილის ვექილობა ჩირქს არ სცხებს „ქართული ოცნების“ იმიჯს ხალხში და კოალიციურ ერთობას?!**

**ანდა, რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილის უკმეხი გამოხდომა, თოფაძე ჩემი კი არა, ბიძინა ივანიშვილის ახლობელია და მისი ასაკი გამამართლებელი არგუმენტი ვერ იქნებაო, არ აყენებს ჩრდილს კოალიციურ ერთობას?!**

აღარაფერს ვამბობ იმაზე, როგორ ქედმაღლურად და ცინიკურად მოიხსენია ლევან ბერძენიშვილმა გოგი თოფაძის საპნის ქარხნის დირექტორობა, მე საპნის ქარხნის დირექტორების გასარჩევი კაცი არ ვარო!

ბატონო პრემიერო, **როდის აქეთ გახდა ლიბერალური ეკონომიკის კურსით ამაყ საქართველოში საპნის წარმოება დასაძრახი საქმე, იქნებ, თქვენთვის არის ცნობილი?!**

ის კი არა, გოგი თოფაძის საპნის ქარხნის დირექტორობა იქით იყოს, **ლევან ბერძენიშვილი სუქ**-ის ცნობილი „ნასედკაა“ (მეტსახელად „დელფინა“) და ეს არც ეთაკილება!

ანდა, ბატონმა პრემიერმა იქნებ ლევან ბერძენიშვილის მხრიდან თანაკოალიციელი **გოგი თოფაძისადმი** მიძღვნილი ფრანსუა ვიიონის ლექსი შეაფასოს:

„ფრანსუა ვარ, საქმე ხრაკი,
ვიბრიდები, ხმარაკრაკი,
კიდეც ვნახავ ჩემი კისრით,
რას იწონის ჩემი ტ...აკი“

**(ცენზურა ჩვენი და არა ბერძენიშვილის).**

„ვითარება აშკარად ითხოვს „ფრანსუას“ შეცვლას ა-ზე დამთავრებული სხვა სამმარცვლიანი სახელით... ვარიანტები: „თენგიზა“, „ნუგზარა“, „გოგია“ და ა.შ.“ — ასე „განმარტა“ ეს ყველაფერი პროფესორმა ლევან ბერძენიშვილმა თავის ფეისბუქკედელზე!

დაბოლოს, ბატონმა პრემიერმა მინდა, ისიც იცოდეს, რომ მას შემდეგ, რაც თანამდებობიდან საკუთარი ნებით გადამდგარმა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე **სანდრო ბრეგაძემ** განაცხადა, ჩემი ინფორმაციით, თავდაცვის მინისტრი პირადად შეხვდა პრემიერს და ჩემი გათავისუფლება მოითხოვაო, ხალხი უკვე იმასაც კი ლაპარაკობს, საქართველოს პრემიერი კვირიკაშვილი კი არა, ხიდაშელიაო! არადა, მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ ბოლო დროს კონსტიტუციაში ოჯახის ტრადიციული განმარტების ჩასაწერად პარლამენტში ხელმოწერების შეგროვება დაიწყო, რაც, როგორც ჩანს, ძალიან არ მოეწონა ხიდაშელს!

**ასე რომ, ბატონო პრემიერო, ფრთხილად, რესპუბლიკელია!**

**რესპუბლიკელი კი, როგორც ასეთი, საქართველოში ასოცირდება სოროსის ჭაობთან, ლიბერასტულ სიბილწესთან, გეი-აღლუმებთან და ერთსქესიანთა ქორწინებასთან!**

არადა, რამდენადაც ცნობილია, მებრძოლ უღმერთოთა რესპუბლიკური სექტის წევრთაგან განსხვავებით, თქვენ მორწმუნე ხართ და ეზიარებით!

მინდა, დაგარწმუნოთ, ეს რესპუბლიკელი თინა ხიდაშელისთვის საკმარისი არგუმენტია, რომ თქვენც ჩაგცეთ ზურგში დანა!

***გიორგი გიგაური***

## კვირგვინოსნები



**ლალი მოროშკინა**
*„ძლიერი ქალი — ძლიერი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე*

ვიცი, საიდან მოდის სააკაშვილის განერვიულება. **უკრაინის ძალიან დიდმა გამომცემლობამ მომმართა თხოვნით, რომ ჩემი წიგნები „მე, პრეზიდენტი“, „მსოფლიო ჩემპიონი“ და „გისოსებს მიღმა საქართველოა“ გამოიცეს უკრაინასა და რუსეთში.** უკრაინის ცენტრალურ არხზე და „ენ-ტე-ვე“-ზე გავიდა ამასთან დაკავშირებით სიუჟეტი, რამაც ძალიან გააღიზიანა სააკაშვილი და გადმომცეს, რომ, როგორც ხარძიანის მკვლელობის დამკვეთი ვერ იპოვეს, ისე ვერ იპოვიან იმ დამკვეთს, რომელიც მე „გამასაღებს“. **მინდა, შევუთვალო მას, რომ ამ ყველაფრის არ მეშინია.** დამერწმუნებით, სხვაა, როდესაც უკრაინის ცენტრალური ტელევიზია გადმოსცემს იმას, რაც მოხდა 26 მაისს, 7 ნოემბერს.

TV „პირველი“



**მიხეილ სააკაშვილი**
*ოდესის ოლქის გუბერნატორი*

**ხელისუფლებაში ფიქრობენ, ღმერთმა არ ქნას იაცენიუკი წავიდეს, მოვა გადარეული სააკაშვილი და ყველას დაიჭერსო.**

„ინტერპრესნიუსი“



**რამაზ საყვარელიძე**
*ფსიქოლოგი*

შემთხვევით, ინტერნეტში წავაწყდი ინფორმაციას, **„არგუმენტი ი ფაქტიში“** გამოქვეყნებულს — იმ პერიოდისას, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებას ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა პუტინთან. **გამოქვეყნებული იყო პუტინის სატელეფონო ზარები და მათი სიხშირე და, ყველაზე ხშირად პუტინი, თურმე, ელაპარაკებოდა სააკაშვილს, სხვა პოლიტიკურ ლიდერებთან შედარებით. ამასთან, გავიხსენოთ, ვის ხელში გადავიდა ეგრეთ წოდებული სტრატეგიული ობიექტები?! გავიხსენოთ, ვინ განაგებდა ამ ობიექტების ბედ-იღბალს?!**

„თბილისელები“



**ნიკა ჩიტაძე**
*პოლიტოლოგი*

**როცა ვინმე პარლამენტში ჩხუბს იწყებს, თანაგუნდელს არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებს, ან პრორუსულ განცხადებებს აკეთებს, კოალიცია მის ქმედებას უნდა გაემიჯნოს.**

„რეზონანსი“



# პეტრე მამრაძე:
# კოალიციაში კარგად იციან, რომ ივანიშვილს რესპუბლიკელები გულზე არ ეხატება!




## „თავად რესპუბლიკელებმაც კარგად იციან, რომ ივანიშვილი მათ მიმართ ნეგატიურად არის განწყობილი და პარტია „ქართულ ოცნებაშიც“ ისინი არავის მოსწონს!“



***საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ პოლიტიკური დუღილის ტემპერატურა თანდათან მატულობს. „მრეწველების“ ლიდერი გოგი თოფაძე და რესპუბლიკელი ბერძენიშვილები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი არმაზ ახვლედიანი კი სენსაციურ განცხადებას აკეთებს — ჩვენი პარტია „ბებერი პოლიტიკური ნიანგებისაგან“ სასწრაფოდ უნდა გათავისუფლდესო. კოალიციის შიგნით არსებული დაპირისპირებებისა და პოლიტიკური პროცესების მოსალოდნელი განვითარების შესახებ პარლამენტის ყოფილი წევრი, ანალიტიკოსი და პოლიტოლოგი პეტრე მამრაძე გვესაუბრება:***

— კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი სუბიექტები ერთმანეთს თავიდანვე ვერ იტანდნენ. ჯერ კიდევ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე მოვისმინეთ საჯარო სივრცეში გავრცელებული ფარული აუდიოჩანაწერები, რომლებშიც „ოცნების“ ცნობადი სახეები ერთმანეთზე სიძულვილით ლაპარაკობდნენ, დედის გინებასაც არ ერიდებოდნენ და თვით ბიძინა ივანიშვილსაც კი აუგად მოიხსენიებდნენ.

საერთოდ, კოალიცია „ქართული ოცნება“ ერთი მიზნითა და მიზეზით შეიკრა — ყველას უნდოდა პარლამენტში მოხვედრა, ოღონდ არა ეროვნული ინტერესების დასაცავად, არამედ პირადი კეთილდღეობისა და სოციალური სტატუსის მოსაპოვებლად.

ისიც ცნობილი ამბავია, რომ კოალიციაში პატრონყმური დამოკიდებულება სუფევს. კერძოდ, ივანიშვილს განიხილავენ, როგორც პატრონს, „ხაზეინს“, რომელიც წყვეტს, ვინ რომელ ადგილზე იქნება საარჩევნო სიაში.

შესაბამისად, **არჩევნების მოახლოებასთან ერთად, „ქართულ ოცნებაში“ ერთგვარი „კასტინგია“ დაწყებული და პოლიტიკური სუბიექტები ცდილობენ, პატრონისაგან, ანუ ივანიშვილისაგან, რაც შეიძლება მეტი წყალობა მიიღონ!**

**— თქვენი აზრით, კოალიციაში შემავალ რომელ პოლიტიკურ სუბიექტს აქვს ამ „კასტინგში“ გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი?**

— კოალიციიდან და საპარლამენტო უმრავლესობიდან ალასანიას ჯგუფის გასვლის შემდეგ რესპუბლიკელების ხმებს დიდი ფასი დაედო. ამიტომაც არის, რომ მთავრობაში სამი მინისტრი ჰყავთ და მათ შორის თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრიც კი გახდა. ივანიშვილი ამაზე რომ არ დათანხმებულიყო, მინისტრთა კაბინეტი ვერ დამტკიცდებოდა, რადგან რესპუბლიკელები ხმას არ მისცემდნენ.

მოკლედ, **რესპუბლიკური პარტია კოალიციის შიგნით სარფიანად ვაჭრობს და წინასაარჩევნო „კასტინგის“ დროსაც შეეცდება, რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახოს, ანუ საარჩევნო სიაში რაც შეიძლება მეტი კვოტა მიიღოს.**

**— როგორ ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილი რესპუბლიკელების მოჭარბებულ მადას დააკმაყოფილებს?**

— ალბათ, ყველას კარგად გვახსოვს ივანიშვილის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადება — რესპუბლიკელები მხარს უჭერენ ალასანიას და ამას აღარც მალავენო!

მოკლედ, **კოალიციაში კარგად იციან, რომ ივანიშვილს რესპუბლიკელები გულზე არ ეხატება!**

**თავად რესპუბლიკელებმაც კარგად იციან, რომ ივანიშვილი მათ მიმართ ნეგატიურად არის განწყობილი და პარტია „ქართულ ოცნებაშიც“ ისინი არავის მოსწონს!**

თუმცა, რესპუბლიკური პარტია თავის ბერკეტებს იყენებს და დავით ბერძენიშვილი საჯაროდ აცხადებს, ნებისმიერ კოალიციას, რომელშიც რესპუბლიკელები არ იქნებიან, პრო-დასავლურ ორიენტაციასთან პრობლემა ექნებაო.

**— ანუ რესპუბლიკელები „ქართულ ოცნებას“ აშანტაჟებენ?**

— დიახ, რესპუბლიკელები კოალიციას აშანტაჟებენ — თუ ჩვენ გარეთ დაგვტოვებთ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ „ოცნებამ“ პროდასავლურ კურსზე უარი თქვაო!

შანტაჟია ისიც, რომ რესპუბლიკელები აცხადებენ — საარჩევნო სიასთან დაკავშირებით მხოლოდ ივანიშვილს დაველაპარაკებით და არავითარი პოლიტსაბჭო არ გვაინტერესებსო.

**საერთოდ, რესპუბლიკელები პიარს იკეთებენ, თითქოს ერთადერთი პროდასავლური ძალა არიან,**

## „რესპუბლიკელები პიარს იკეთებენ, თითქოს ერთადერთი პროდასავლური ძალა არიან, სინამდვილეში კი მათი მთელი რიგი ქმედებები სხვა არაფერია, თუ არა დასავლური ღირებულებების ფეხქვეშ გათელვა!“

**სინამდვილეში კი მათი მთელი რიგი ქმედებები სხვა არაფერია, თუ არა დასავლური ღირებულებების ფეხქვეშ გათელვა!**

**— მაინც რომელ ქმედებებს გულისხმობთ?**

— ის, რომ თავდაცვის მინისტრმა ხიდაშელმა საგარეჯოს არჩევნების მოსაგებად სამხედრო სპეცუბანი გამოიყენა, ის, რომ თავდაცვის მინისტრი ხიდაშელი საარჩევნო შტაბში იჯდა და ბიულეტენებს პირადად ითვლიდა, სწორედ დასავლური ღირებულებების ფეხქვეშ გათელვა იყო!

**— რას იტყვით „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრის არმაზ ახვლედიანის სკანდალურ განცხადებაზე, რომ პარტია „ბებერი პოლიტიკური ნიანგებისაგან“ უნდა გათავისუფლდეს?**

— არმაზ ახვლედიანმა ვაჟკაცურად თქვა სიმართლე „ქართული ოცნების“ შიგნით არსებული კრიზისული მდგომარეობისა და იმ ადამიანების შესახებ, რომლებსაც არავითარი იდეოლოგია და პრინციპები არ გააჩნიათ.

**— როგორ ფიქრობთ, კოალიცია „ქართული ოცნება“ დაიშლება?**

— არ გამოვრიცხავ, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებამდე დაიშალოს! **როცა საარჩევნო სია შედგება და ესა თუ ის პოლიტიკური სუბიექტი დაინახავს, რომ ის კვოტები ვერ მიიღო, რასაც ითხოვდა, შესაძლოა, კოალიცია პროტესტის ნიშნად დატოვოს! ასეთი რამ საქართველოში ბევრჯერ მომხდარა და მომავალშიც არაერთხელ მოხდება!**

თუმცა, ისიც არ არის გამორიცხული, რომ კოალიცია ბოლომდე ამ სახით დარჩეს, როგორც დღეს არის, რადგან ივანიშვილის ფაქტორი ძალიან ძლიერია და „ქართულ ოცნებაში“ შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს არავითარი რესურსი არ გააჩნიათ, რომ დამოუკიდებლად მიაღწიონ რაიმე წარმატებას!

**— თავად კოალიცია „ქართულ ოცნებას“ თუ აქვს შანსი, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში წარმატებას მიაღწიოს?**

— „ქართულ ოცნებაში“ შესანიშნავად ესმით, რომ მათი რეიტინგი კატასტროფულად დაეცა! თუკი შეძლებენ ისეთი ახალი სახეების მობილიზაციას, რომლებიც მოსახლეობაში უკეთესობის იმედს გააჩენენ, მაშინ „ოცნება“ ფონს გავა, თუმცა, როგორც გია ხუხაშვილი აცხადებს, ახალი სახეები „ოცნების“ საარჩევნო სიაში ჩაწერაზე უარს ამბობენ, რადგან მმართველი ძალის რეიტინგი საკმაოდ დაბალია!

**და მაინც, დღეს საქართველოში ისეთი პოლიტიკური სპექტრი გვყავს, რომ არჩევნებში უსათუოდ „ოცნება“ გაიმარჯვებს, რადგან ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსი მხოლოდ მას აქვს!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



## „არმაზ ახვლედიანმა ვაჟკაცურად თქვა სიმართლე „ქართული ოცნების“ შიგნით არსებული კრიზისული მდგომარეობის შესახებ!“

## კვირგვინოსნები

**გიორგი უძილაური**
*ჟურნალისტი*



**რატომ არ გააპროტესტეს ქარსაცავი ფიჭვების ჭრა ნამდვილმა გარემოს დამცველებმა სააკაშვილის პერიოდში? ცოტა უხერხული ხომ არაა, ხის გადარგვას აპროტესტებდე და მოჭრაზე ჩუმდებოდე?**

„ფეისბუქი“

**გია კორკოტაშვილი**
*საზოგადოებრივი გაერთიანება „ქართული მისიის“ ლიდერი*



**ნაცებო, თქვენ დროს არ იყო, რუსთაველზე „ლაღიძესთან“ რომ მოჭერით მრავლისმომსწრე ჭადარი?**

„ფეისბუქი“

**ბონდო მძინარაშვილი**
*ჟურნალისტი*



გულჩვილობა როგორ დავწამო, მაგრამ მიმტევებელი კი ყოფილა ბიძინა ივანიშვილი! მე, მის ადგილზე რომ ვიყო, სათითაოდ ჩამოვკიდებდი გარეწარ ნაცებს იმ სამი ხის ტოტებზე და ისე გადავიტანდი.

**სისასტიკეა? დიახ, სისასტიკეა, მაგრამ ამათ სხვა ენა არ ესმით და აქამდეც რომ ენის მოჩლექით ელაპარაკებიან „მეოცნებეები“ და პირადად ბიძინა ივანიშვილი, ეს უფრო მგონია სადიზმი საქართველოს იმ მოქალაქეების მიმართ, ვისაც სიცოცხლე გაუმწარეს ამ გარეწარმა ცინიკოსებმა.**

ამ არამზადებმა 9 წლის განმავლობაში ათასობით ჰექტარი ტყე გაანადგურეს, მილიონები იშოვეს და ახლა სამ ხეს მისტირიან? თან იმ ხეებს, რომლებსაც არავინ ხერხავს და მხოლოდ გადარგვას უპირებენ?

„ფეისბუქი“

**ვახტანგ ხარჩილავა**
*„საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი*



ნაციონალებო, ხეებს გადარგვით არაფერი მოუვათ — ისევ გაიხარებენ, ისევ ჩაუშვებენ მშობლიურ მიწაში ფესვებს, მაგრამ იმ ადამიანებს, იმ ახალგაზრდებს, იმ ოჯახებს, თქვენ რომ ფესვებიანად ამოძირკვეთ და ამოშანთეთ, ვინ უშველის და ვინ გააცოცხლებს?

**2016 წელს ქართველმა ხალხმა ამ დაუმარხავი მკვდრის, ნაცმოძრაობის, პოლიტიკური მესაფლავის როლი უნდა იკისროს, ამის გაკეთება კი მას ძალიან მარტივად შეუძლია — ხმა არ მისცეს ამ მაოხრებელი მკვდრის უკან მობრუნებას!**

„საერთო გაზეთი“



# „ქართულ ოცნებაში“ ისემც უქნიათ, ერთმანეთი დაუჭამიათ!“

# „მესამე ძალის შექმნა აუცილებელია!“

# კახა კუკავა:

## ქართველი საზოგადოების განწყობა ასეთია —

# არც ქოცები და არც ნაცები!

***ბოლოდროინდელმა პოლიტიკურმა ბატალიებმა ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი გადაფარა და უკანა პლანზე გადასწია. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ სასამართლო რეფორმის პროგრამიდან ამოიღო ის პუნქტი, რომელიც მოსამართლეების გამოსაცდელი ვადით დანიშვნას ითვალისწინებდა. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, მოსამართლეები, რომლებსაც უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა გაუვიდათ, თანამდებობებზე 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით უნდა დაეტოვებინათ. იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აცხადებს, რომ ევროპარლამენტისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ძველ მოსამართლეებს გამოსაცდელი ვადა აღარ შეეხებათ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საქართველოს სასამართლო სისტემა სააკაშვილ-ადეიშვილ-კუბლაშვილის კადრებისაგან ვეღარ გაიწმინდება და ქართული მართლმსაჯულება კვლავ „მურუსიძეების“ საჯიჯგნად დარჩება? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერს კახა კუკავას ვესაუბრებით:***

— ამასწინათ კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი „ქართული ოცნების“ 2012 წლის წინასაარჩევნო პროგრამას, რომელშიც უწერიათ, რომ უნდა გატარდეს სასამართლოს, პროკურატურისა და ძალოვანი უწყებების რეფორმა და კონკრეტულ დანაშაულში მხილებული პირები თანამდებობებს ჩამოსცილდნენ.

ყველა ავტორიტარულმა ქვეყანამ სწორედ ეს გზა გაიარა. მაგალითად, პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა აღმოსავლეთ ევროპაში ლუსტრაციის კანონი მიიღეს და შეადგინეს სია, თუ ვისთვის უნდა აეკრძალათ ამა თუ იმ თანამდებობის დაკავება, ოღონდ ეს იყო ერთჯერადი აქტი.

უფრო ადრე პოსტფაშისტურ გერმანიაში დენაციფიკაციის აქტი მიიღეს, რომელშიც ჩაწერეს, რომ **ნაცისტურ პარტიაში გარკვეულ მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფ პირებს სახელმწიფო თანამდებობების დაკავება აღარ შეეძლოთ, ხოლო დაბალი პარტიული იერარქიის ნაცისტებს ამნისტია შეეხოთ.**

საქართველოშიც ეს მოდელი უნდა ამუშავებულიყო, მაგრამ იუსტიციის მინისტრმა წულუკიანმა სხვა სახის „რეფორმა“ შემოგვთავაზა, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა და სრულიად ბუნებრივია, რომ წერია, რომ მოსამართლე არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი, მხოლოდ კანონს ემორჩილება და არავის წინაშე პასუხს არ აგებს.

ამიტომაც ევროპელმა ექსპერტებმა დაწერეს, რომ მოსამართლისათვის გამოსაცდელი ვადის დაწესება იურიდიული ბარბაროსობაა.

**ქალბატონი წულუკიანი საშუალო დონის იურისტი მაინც რომ იყოს, ასეთი ლაფსუსი არ მოუვიდოდა! მას სტრასბურგის სასამართლოში იურისტის პოზიციაზე არასოდეს უმუშავია, მხოლოდ ტექნიკური მუშაკი იყო!**

**— ე.ი. წულუკიანს სასამართლო რეფორმის ჩაფლავებაში ადანაშაულებთ?**

— საზოგადოება ელოდებოდა, რომ ის ახალი ინსტიტუტები თუ საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც წულუკიანმა შემოიღო, ნაწილობრივ მაინც გამოიწვევდა პროკურატურასა და სასამართლოში ადეიშვილისა და კუბლაშვილის კადრების შეზღუდვას, მაგრამ საპირისპირო სურათი მივიღეთ.

დიახ, **წულუკიანის მიერ შემუშავებული სისტემით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად არჩეული იქნა ბირბილიანისა და მოლაშვილის საქმეების მოსამართლე მურუსიძე, ხოლო მთავარ პროკურორად დანიშნული იქნა შოთაძე, რომელიც კეზერაშვილის დროს ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსანი იყო!**

თანაც, მურუსიძე და შოთაძე გამონაკლისები არ არიან. ვხედავთ, რომ იუსტიციის საბჭოში მურუსიძის გვერდით სხედან **ცერცვაძე, ბაბინაშვილი** და სხვა ძველი მოსამართლეები, პროკურატურა კი თავიდან ბოლომდე **ადეიშვილის კადრებით** არის გადავსებული!

ერთი სიტყვით, წულუკიანისეულმა რეფორმებმა ყველა მიმართულებით კრახი განიცადა!

**— მაშ, თქვენი აზრით, როგორ უნდა მოხდეს სააკაშვილის რეჟიმის კადრებისაგან სასამართლოსა და პროკურატურის გაწმენდა?**

— პირადად მე რადიკალურ ფორმას ვუჭერ მხარს —

**პარლამენტის მიერ პოლიტპატიმრად აღიარებული პირების განაჩენები ვინც დაადგინა, იმ მოსამართლეებს, პროკურორებსა და გამომძიებლებს სისტემაში მუშაობა უნდა აეკრძალოთ!**

მაგალითად, რადგან პარლამენტმა დაადგინა, რომ **სულხან მოლაშვილი** პოლიტიკური პატიმარი იყო, მისი საქმის პროკურორს, გამომძიებელსა და მოსამართლეს საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება არ უნდა ჰქონდეთ!

დღეს საქართველოში ვერ ნახავთ საზოგადოებისათვის მეტნაკლებად ცნობილ იურისტს, რომელიც იტყვის, რომ სასამართლო სისტემაში რაიმე პოზიტიური ძვრები მოხდა!

მეტიც, ის უთავმოყვარეო და უპრინციპო ადამიანებიც კი, რომლებმაც მურუსიძის უვადო მოსამართლედ გამწესებას ხმა მისცეს — **ბოცირიძე, სოფრომაძე და თორდია** — საჯაროდ აცხადებენ, მურუსიძის დანიშვნა არასწორი იყო, მაგრამ შანტაჟის გამო მივეცით ხმაო!

**— ამას საქვეყნოდ აღიარებენ?**

— დიახ, განცხადება გაავრცელეს და წერენ, მურუსიძეს სისტემის შიგნით დიდი ავტორიტეტი აქვს, 50-60 მოსამართლეს აკონტროლებს და ხმა რომ არ მიგვეცა, სასამართლოს რღვევას გამოიწვევდაო!



**— ბოლო დღეების განმავლობაში გამოიკვეთა, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შიდა დაპირისპირებაა — გოგი თოფაძე რესპუბლიკელებს დაუპირისპირდა, პოლიტსაბჭოს წევრი არმაზ ახვლედიანი კი „ბებერი პოლიტიკური ნიანგებისაგან“ პარტიის გაწმენდას ითხოვს. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— „ქართულ ოცნებაში“ ისემც უქნიათ, ერთმანეთი დაუჭამიათ! **კოალიციაში მხოლოდ ივანიშვილის ფულის გამო არიან შეკრებილი, თორემ არანაირი საერთო პრინციპები არა აქვთ და ერთმანეთს ვერ იტანენ!**

სხვათაშორის, „ოცნებაში“ განსაკუთრებული არაფერი ხდება — ერთმანეთს ვერც ნაცმოძრაობა და „მოქალაქეთა კავშირის“ წევრები იტანდნენ!

**— როგორ ფიქრობთ, საპარლამენტო არჩევნებამდე კოალიცია დაიშლება?**

— კოალიცია ჯერჯერობით, ალბათ, არ დაიშლება, რადგან მასში შემავალ პოლიტიკურ სუბიექტებს სიხარბე აერთიანებთ. არცერთ მათგანს საქართველოს სიყვარულით გული არ უჩქროლდება და მხოლოდ ის ამოძრავებთ, რომ პარლამენტში 2-3 დეპუტატი გაიყვანონ. ისიც კარგად იციან, რომ თუ არჩევნებში ცალ-ცალკე მიიღებენ მონაწილეობას, მცირედი წარმატების შანსიც არა აქვთ!



# „წულუკიანისეულმა რეფორმებმა ყველა მიმართულებით კრახი განიცადა!“

საერთაშორისო ორგანიზაციებისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა.

**— კი მაგრამ, რა იყო ცუდი იმაში, რომ მოსამართლეები 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშნულიყვნენ?**

— ასეთ მოდელს, შესაძლოა, სადღაც აფრიკაში ჰქონდეს ანალოგი, მაგრამ დემოკრატიული სამყაროსათვის, უბრალოდ, გაუგებარია, რას ნიშნავს მოსამართლის გამოსაცდელი ვადა? ეს არის სრული აბსურდი!

გამოსაცდელი ვადა შეიძლება ჰქონდეს ისეთ თანამდებობის პირს, რომელსაც ზემდგომი ჰყავს, მაგრამ ყველა ქვეყნის და, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირ



**— დაბოლოს, არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები აპირებთ თუ არა, რომ წინასაარჩევნოდ გაერთიანდეთ და „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის საპირწონედ ე.წ. მესამე ძალა ჩამოაყალიბოთ?**

— მესამე ძალის შექმნა აუცილებელია და პირადად ჩემი პოზიცია ასეთია — ყველა ოპოზიციური პარტია, რომელმაც ბოლო არჩევნებში 5-10 ათასი ხმა მაინც აიღო, ერთ ბლოკში უნდა გაერთიანდეს და ასეთ შემთხვევაში გარანტია გვექნება, რომ მომავალი მთავრობა არც ქოცური იქნება და არც ნაცური!

ქართველი საზოგადოების განწყობაც სწორედ ასეთია — **არც ქოცები და არც ნაცები!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები



**თემაზ ბაქურიძე**
*უფლებადამცველი*

**ციხისძირში ნარგავებთან არსებული მიწა მიხეილ სააკაშვილმა ოფშორულ კომპანიას ერთ ლარად გადასცა.**

„ინტერპრესნიუსი“



**არმაზ ახვლედიანი**
*პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი*

**გიორგი კვირიკაშვილმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაათავისუფლოს „ქართული ოცნება“ ბებერი პოლიტიკური ნიანგებისგან.**

„ინტერპრესნიუსი“



**ნინო ბურჯანაძე**
*„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი*

რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტას არ ვაპირებ. კიდევაც ჩავალ და შეხვედრებსაც გავმართავ.

**ის ადამიანები, რომლებიც ვერ ხედავენ, თუ რამდენად დიდია რუსეთის გავლენა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაზე, ან ბრიყვები არიან, ან სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ შეგნებულად მიდიან.**

ხიდაშელის განცხადება მავნებლურია და რუსეთთან ურთიერთობის დალაგების მცდელობას ხელს უშლის მაშინ, როცა ამ ხელისუფლებას არც **ნატო**-სთან და არც დასავლეთთან არანაირი მიღწევა არა აქვს.

„რეზონანსი“



**გუბაზ სანიკიძე**
*პარლამენტარი*

**ნინო ბურჯანაძე ჩემი შვილის ნათლიაა, მეგობრებსა და ნათესავებზე კი არასოდეს ვამბობ უარს. მეტიც, ნინოს ჩემს ოჯახსაც კი ვანდობ. რამე რომ დამემართოს, ვიცი, ჩემებს ლუკმაპურს არ მოაკლებს.**

„კვირის პალიტრა“



**ომარ ნიშნიანიძე**
*პარლამენტარი*

**როდესაც ისინი დაიწყებენ ჩვენი ხელისუფლების რუსულ ორიენტაციაზე საუბარს, მათ უნდა იცოდნენ იმის შესახებ, რაც მიხეილ სააკაშვილის დროს გადაეცათ რუსებს სამართავად ან საკუთრებაში.**

„ნიუსპრესი“

# ვის ექსჰუმაციას მიიჩნევს საჭიროდ ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი?

*ხელისუფლების შეცვლა ბევრ სხვა ქართულ ოცნებასთან ერთად მნიშვნელოვან იმედთანაც იყო დაკავშირებული — არაერთი გახმაურებული მკვლელობის საქმე მართლაც გადაიხედა, მაგრამ კითხვის ნიშნები, რომლებიც არსებობდა, დღესაც იმავე სიმწვავით დაისმის. რომელ საქმეს აქვს გახსნის პერსპექტივა, რა უნდა გაკეთდეს, რომ საზოგადოებისათვის ბურუსით მოცულ მკვლელობებზე სამართალი დადგეს? — ვესაუბრებით დამოუკიდებელ ექსპერტს მაია ნიკოლეიშვილს:*



## მაია ნიკოლეიშვილი:

## შუკვე კარგა ხანია, ვაცხადებ, ჟვანიას საქმეზე სიმართლე მანამდე არ გაირკვევა, ვიდრე ექსჰუმაცია არ ჩატარდება!

— ზოგიერთ გახმაურებულ საქმეზე ექსპერტიზის ხელახალი ჩატარებით სიმართლე ვეღარ დადგინდება, თუ რაიმე სხვა გარემოებები არ გამოვლინდა. თუმცა, არის პოლიტიკური მკვლელობები, სადაც ხელახალმა ექსპერტიზამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვცეს და საბოლოოდ გასცეს პასუხი საზოგადოებაში არსებულ შეკითხვებს.

**— თქვენ, როგორც ექსპერტი, ვის ექსჰუმაციას მიიჩნევთ საჭიროდ?**

— შედეგიანი იქნება **ზია ქრიალაშვილის გვამის ექსჰუმაცია.** ძალიან საინტერესო საქმეა. ბევრი ფაქტობრივი მასალა არსებობს, მათ შორის, შემთხვევის ადგილიც. ექსჰუმაცია დაადგენს დაზიანებების რაოდენობას, სროლის მანძილს, ტრაექტორიას, მიმართულებას, ვინ რა პოზაში იყო. შესაძლოა, სხეულში ტყვიის გულაც იყოს დარჩენილი.

**— შესაძლებელია, ამდენი წლის შემდეგ ტყვია კვლავ სხეულში იყოს და რაიმე სახის ინფორმაცია მოგვაწოდოს?**

— შესაძლოა, ტყვია გაკვეთის დროს ამოიღეს, მაგრამ ნატყვიარს დიდი ინფორმაციის მოცემა შეუძლია.

**— რამდენ ხანს ინახავს გვამი ინფორმაციას, ანუ როდის წაიშლება თუნდაც ნატყვიარები?**

— ძვალზე არსებული დაზიანებები ათასწლეულების შემდეგაც რჩება. მაგალითად, შესაძლებელია დადგენა, ავტოავარიის დროს სად იყო ძალის ზემოქმედება, რა პოზაში იმყოფებოდა ადამიანი შეჯახების მომენტში და ა.შ. ყოფილა შემთხვევა, როცა ექსჰუმაციის ჩატარების წინ მითქვამს, შედეგი ნაკლები იქნება-მეთქი, მაგრამ საოცარი დეტალები აღმოგვიჩენია. თუ ადამიანი დაავადებით არის გარდაცვლილი, ხუთი ან ათი წლის შემდეგ ექსჰუმაციის ჩატარება არაფერს მოგვცემს, ტრავმის შემთხვევაში კი ამას ყოველთვის აქვს აზრი.

**— რადგანაც ავტოავარიაზე ჩამოვარდა სიტყვა, მინდა, მერაბ კოსტავა გავიხსენო. დღემდე არსებობს ეჭვი, რომ შესაძლოა, ის ავტოსაგზაო შემთხვევა ჩვენი ეროვნული გმირის თავიდან მოსაშორებლად იყო მოწყობილი. შესაძლებელია ექსჰუმაციის ჩატარებით უფრო მეტი დეტალის გამოაშკარავება?**

— ამის გარკვევა რთული იქნება, რადგან უშუალოდ მასზე შეჯახება არ მომხდარა, **მერაბ კოსტავა** მანქანის სალონში იჯდა. ასეთ შემთხვევებში რბილი ქსოვილები უფრო ინფორმაციულია, ამიტომ დღეს, რბილი ქსოვილების არარსებობის გამო, რა თქმა უნდა, რთული იქნება შედეგის მიღება, განსხვავებით იმ სიტუაციისგან, როცა მანქანა ფეხით მოსიარულეს ეჯახება. დღემდე ამბობენ, ნინო ბურჯანაძის ესკორტი ფეხით მოსიარულე ადამიანს დაეჯახაო. აი, ამ შემთხვევაში საინტერესო და შედეგიანი იქნება გვამის ექსჰუმაცია. შესაძლებელი იქნება გარკვევა — სად მოხდა შეჯახება, ნამდვილად იყო თუ არა თრევის კვალი და ა.შ.

**— ანუ შესაძლებელია, ექსჰუმაცია ნახევარი საუკუნის წინათ გარდაცვლილ ადამიანსაც ჩაუტარდეს?**

— რა თქმა უნდა. ხორცი იხრწნება, ძვალი — არა! ამის საუკეთესო მაგალითია თუნდაც მზიასა და ზეზვას თავის ქალები.

**— მიუხედავად იმისა, რომ ექსჰუმაცია ჩაუტარდა, დღემდე ბურუსით არის მოცული საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალება — ის მოკლეს თუ თავი მოიკლა?! არსებობს რაიმე მექანიზმი, რომ ამ შეკითხვას საბოლოოდ გაეცეს პასუხი?**

— **ზვიად გამსახურდიას** სად ჰქონდა მიყენებული დაზიანებები, ამაზე ბევრჯერ თქმულა და ყველამ იცის. მე განმეორებითი ექსჰუმაციის დროს აღმოჩენილი მოტეხილობები უფრო მაკვირვებს. როდის იქნა ეს დაზიანებები მიყენებული — გადასვენება-გადმოსვენების დროს თუ მანამდე? რა ტიპის მოტეხილობებია? ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალებია. ზვიად გამსახურდიას გვამი არ იყო იმდენი ხნის, რომ ძვალი ადვილად დაფშვნილიყო, ასეთი რამ მაშინ ხდება, როცა ძვალი საუკუნეებისაა. დროთა განმავლობაში ძვლიდან ორგანული ნივთიერებები ირეცხება და მყიფე ხდება. ჩემთვის, როგორც ექსპერტისთვის, საინტერესო იქნებოდა ზვიად გამსახურდიას ექსპერტიზის დოკუმენტების გაცნობაც. შესაძლოა, ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი აღმოჩნდეს.

აუცილებელია ჩატარდეს **ზურაბ ჟვანიას** გვამის ექსჰუმაცია. უკვე კარგა ხანია, ვაცხადებ, რომ ჟვანიას საქმეზე სიმართლე მანამდე არ გაირკვევა, ვიდრე ექსჰუმაცია არ ჩატარდება!

**— მოდით, კიდევ ერთხელ დავაკონკრეტოთ, რას მოგვცემს ამ შემთხვევაში ექსჰუმაცია?**

— თხემის მიდამოებში არსებული დაზიანებები, რაც ტელევიზიით ვიხილეთ, დიდი ალბათობით, სისხლჩაქცევაა, თუმცა, არ არის გამორიცხული, პათოლოგიითაც იყოს გამოწვეული, რაც ზოგჯერ სისხლის ჩაქცევის მაგვარ სურათს ქმნის. ამიტომ მე, როგორც ექსპერტი, ვერცერთი ვერსიისკენ ვერ გადავიხრები, სანამ მიკროსკოპული კვლევა არ ჩატარდება. **ექსჰუმაცია საბოლოოდ დაუსვამს წერტილს — ზურაб ჟვანიას დაზიანება ტრავმის შედეგად აქვს მიყენებული თუ არა. ოღონდ, თუ ექსჰუმაცია ჩატარდება, დაზიანებული ძვლის უბნის დამუშავება არ უნდა მოხდეს ჩვენში აპრობირებული მეთოდით, სხვა მეთოდიკით უნდა დამუშავდეს.**



ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მშვენიერი ჰისტოლოგიური ლაბორატორიაა, არაჩვეულებრივი აპარატურა აქვთ, მაგრამ არსებობს მეთოდიკები, რომლებიც მე-19, მე-20 საუკუნეებიდან მოდის. **ჩემი კეთილი რჩევა იქნება ოჯახისადმი, ექსპერტიზა რუსეთში ჩაუტარონ, სადაც ზოგიერთი მეცნიერი უშუალოდ ამ მიმართულებით მუშაობს — მეცნიერულ დონეზე იკვლევენ ძვალს.** სერიოზული კორიფეები არიან, მათ პროფესიონალიზმს თვალდახუჭული ვენდობი. შეიძლება საკვლევი მასალის — პრეპარატის გაყოფა და ორ სხვადასხვა ლაბორატორიაში გადაგზავნა, მათ შორის — დასავლეთშიც. მთავარია, ექსჰუმაცია ჩაუტარონ!

**— რადგან საქმე ჯერ ისევ ძიების პროცესშია, აქვს ოჯახს კანონიერი უფლება, დამოუკიდებლად მოახდინოს გვამის ექსჰუმაცია?**

— სასამართლოს უნდა მიმართონ. მათ ამის უფლება აქვთ. ექსჰუმაცია გამოძიების პროცესს ხელს არ შეუშლის. სიმართლე გითხრათ, გაუგებარია, რატომ არ ცდილობენ ამის დროულად გაკეთებას. **კიდევ ერთხელ ვამბობ — ექსჰუმაციის გარეშე ზურაბ ჟვანიას საქმეზე მუდმივად იქნება კითხვის ნიშანი და სიმართლე ვერ დადგინდება!**

**— კიდევ ვის ექსჰუმაციას თვლით საჭიროდ?**

— გამოითქვა ეჭვი, რომ **თამაზ ნინუა** და **გოჩა მაღალდაძე** ერთი და იმავე იარაღით მოკლეს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, ექსჰუმაციის ჩატარებამ ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი გამოააშკარაოს. დიდია ალბათობა იმისა, რომ დადგინდეს, მართლაც ერთი და იმავე იარაღით არიან თუ არა მოკლული. **ძალიან საინტერესო იქნება თამაზ ნინუას ძვლის შესწავლა, რომელიც ბევრად უფრო ინფორმაციულია, ვიდრე კანი.**

**— ძვლის შესწავლით შეგვიძლია დავადგინოთ, რომელი იარაღიდან არის ნასროლი ტყვია?**

— შეიძლება დადგინდეს, როგორი ტყვიაა ნასროლი — მცირე, საშუალო თუ მსხვილი კალიბრის. ასევე შესაძლებელია, იარაღის რაღაც თავისებურება დარჩეს ძვალზე. თუ ახლო მანძილიდან მიბჯენით არის ნასროლი, არ არის გამორიცხული, თოფის წამლის დაუწვავი ნაწილაკებიც აღმოჩნდეს ძვალში. შესაძლოა, ამგვარი ნაწილაკები წლების განმავლობაში შენარჩუნდეს. **თამაზ ნინუას შემთხვევაში ეჭვი მეპარება, ძვლის პრეპარატი ლაბორატორიულად იყოს შესწავლილი. ერთია, როცა სასექციო მაგიდასთან ხდე-**



**„ძალიან საინტერესოა ლაფანყურის საქმე. ექვსივე განცხადება ხელთ მაქვს, სადაც გარდაცვლილთა ოჯახები ექსპერტიზაში ჩემს ჩართვას ითხოვდნენ. ექსჰუმაცია რომ ტარდებოდა, მაშინაც კი მირეკავდა ერთ-ერთი გარდაცვლილის მამა და იქ ჩასვლას მთხოვდა, მაგრამ ეს დიდ სკანდალს გამოიწვევდა და თავი შევიკავე!“**

## კვირგვინოსნები

**სოსო ცისკაძე**
*პოლიტოლოგი*



მერაბიშვილი რისი ხერხემალი იყო, არ ვიცი, მაგრამ ეს ორი ქალბატონი — ბესელია და კობახიძე პარლამენტის ხერხემლები თუ არა, ნეკნები მაინც ნამდვილად არიან და როდესაც ასეთ ორ ძლევამოსილ ფიგურას უყენებ პოლიტიკოსისთვის მომაკვდინებელ ბრალდებას, რომელსაც მხოლოდ მორალური კი არა, კრიმინალური ელფერიც გასდევს, მეტად მომზადებული უნდა იყო და მყარი მტკიცებულებები უნდა გქონდეს მზად.

**ელისაშვილს თუ მართლა ჰქონდა ასეთი მასალები, უფრო საფუძვლიანად უნდა მომზადებულიყო, რომ არ გამოსულიყო ის, რაც გამოვიდა — ბევრი ხმაური, შედეგი კი — ნული.**

„ალია“

**გიორგი ბურჯანაძე**
*ანტიკორუფციული საბჭოს ხელმძღვანელი*



ეს უბედურება მხოლოდ თბილისში არ ხდება, რეგიონებიდან საშინელი ინფორმაციები მოგვდის პედოფილიასთან დაკავშირებით. დასავლეთ საქართველოში ყვავის ეს უბედურება.

**ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა თბილისში. ერთი პიროვნება, რომელმაც ბავშვზე იძალადა, ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე აღიარეს ავადმყოფად და ციხის ნაცვლად, საავადმყოფოში გაუშვეს. იქიდან გამოსვლის შემდეგ მან ანალოგიური დანაშაული ჩაიდინა.**

კანონით პედოფილებისგან ბავშვები დაუცველები არიან. მაინცდამაინც რომელიმე დეპუტატის შვილს უნდა დაესხას პედოფილი თავს, პარლამენტმა ყურები რომ გამოიბერტყოს?!

„ახალი თაობა“

**ირაკლი ბათიაშვილი**
*„დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი*



**„იბერიაზე“ შეტევა იყო პირდაპირი სიგნალი იმისა, რომ სააკაშვილს მასმედიის კონტროლი სურდა!**

TV „იბერია“

**გიორგი კასანიძე**
*ძალოსანი, ყოფილი დეპუტატი*



**სამწუხაროდ, მედიასივრცეზე თავდასხმა დღეს და გუშინ არ დაწყებულა. ამას პერიოდულად ყველა ხელისუფლება ახორციელებდა საქართველოში.**

„კვირის პალიტრა“

# „ეროსი კიწმარიშვილის საქმეში ჩემთვის კითხვის ნიშნები არ არსებობს!“







ბა გვამის შესწავლა და მეორე, როდესაც პრეპარატს ამოიღებ და მიკროსკოპის ქვეშ სწავლობ.



**— რისი თქმა შეგიძლიათ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით? შესაძლებელია, დადგინდეს, პატარკაციშვილი მართლაც გულის შეტევით გარდაიცვალა თუ მოკლეს?**

— ძალიან რთული იქნება ამის გარკვევა. **ბადრი პატარკაციშვილის** გვამს ინგლისში ჩაუტარდა ექსპერტიზა, სადაც ქიმიური კვლევის ძალიან მაღალი დონეა. ამის შემოწმება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ საქმის კვლევას, ექსპერტიზის თვალსაზრისით, პერსპექტივა არა აქვს. სხვათაშორის, ბადრი პატარკაციშვილის დაკრძალვამდე მისი გარემოცვიდან დამიკავშირდნენ, რაღაც შეკითხვები ჰქონდათ, მაგრამ უცებ გაქრნენ — ეს თემა დაიხურაო.

არც **გურამ შარაძის** ექსჰუმაცია შესძენს საქმეს რაიმე ახალს. მის სხეულზე აღმოჩენილი დაზიანებები დაფიქსირებულია და ყველასთვის ყველაფერი ცნობილია. ეს საქმე გამოძიებაშია გაჭედილი! **გურამ შარაძის საქმის გახსნას პოლიტიკური ნება სჭირდება და არა — ექსპერტიზა.**

**— რაც შეეხება ეროსი კიწმარიშვილის საქმეს...**

— **ეროსი კიწმარიშვილის** საქმეში ჩემთვის კითხვის ნიშნები არ არსებობს, ყველაფერი ნათელია. იქ მეორე პირის კვალი არ არის.

**— ანუ თავი მოიკლა?**

— თვითმკვლელობის ან თვითმკვლელობამდე მიყვანის კვალიფიკაციას ვერ მივცემ, მაგრამ როგორც ექსპერტი, დარწმუნებული ვარ, რომ იქ სხვა პირი არ ყოფილა. ეროსი კიწმარიშვილის ძმას ზურაბსაც ვუთხარი, ვინმე თუ რაიმე უცნაურ პოზიციაში იყო, მაგალითად, თოკით ჩამოვიდა, მკვლელობა ჩაიდინა და გაუჩინარდა, არ ვიცი, მაგრამ სხვა შემთხვევაში ეს წარმოუდგენელია-მეთქი. პროკურატურა რატომ არ ამბობს ამას ხმამაღლა, სიმართლე გითხრათ, მიკვირს.

**ძალიან საინტერესოა ლაფანყურის საქმე. ექვსივე განცხადება ხელთ მაქვს, სადაც გარდაცვლილთა ოჯახები ექსპერტიზაში ჩემს ჩართვას ითხოვდნენ. ექსჰუმაცია რომ ტარდებოდა, მაშინაც კი მირეკავდა ერთ-ერთი გარდაცვლილის მამა და იქ ჩასვლას მთხოვდა, მაგრამ ეს დიდ სკანდალს გამოიწვევდა და თავი შევიკავე.** პროკურატურამ უპირატესობა მეორე ექსპერტს — **რუსუდან ბერიაშვილს** მიანიჭა. მაშინ კბილაშვილის პროკურატურას შეკითხვითაც მივმართე — ხომ არ იყო ეს ჩემი პროფესიული დისკრედიტაცია? სხვათაშორის, საინტერესო პასუხი მივიღე — პროფესიულად აბსოლუტურ პატივისცემას გიდასტურებთ, მაგრამ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი ამ სიტუაციას გაიგებსო. მოკლედ, ჩვენ ვიცით ის, რაც შენ არ იცი და არ არის საჭირო შენი ჩართვაო — მე ასე გავიგე. ექსჰუმაცია უკვე ჩატარებულია და დღეს ამ თემაზე ლაპარაკს აზრი აღარ აქვს.



გია კრიალაშვილი

**— თქვენ უშუალოდ იყავით ჩართული გიორგი სანაიას გვამის ექსპერტიზაში. ამ საქმეზე განაჩენი დადგა, მაგრამ ოჯახსა და საზოგადოების დიდ ნაწილს ოფიციალური ვერსიის დღემდე არ სჯერა...**

— **გიორგი სანაიას** შემთხვევაში ყველაფერი წესისამებრ გაკეთდა, შეკითხვები რომ არ დარჩენილიყო, გიორგის ზოგიერთი მეგობრის ისტერიკის მიუხედავად, ბიოლოგიური ექსპერტიზაც ჩავატარეთ — იყო თუ არა სქესობრივი კავშირის კვალი, რათა თბილისში აგორებული ჭორი შეგვემოწმებინა და კითხვის ნიშნები არ დარჩენილიყო. თუმცა, ამ შემთხვევაშიც მაქვს ერთი შეკითხვა. **გიორგი სანაიას სხეულიდან საკუთარი ხელით ამოვილე კანის პრეპარატი, სადაც ახალი თერმული ზემოქმედების კვალი — დამწვრობა იყო დაფიქსირებული.** ეს პრეპარატი შევინახე სითხეში, რომელიც მინიმუმ 20 წელი არ გაფუჭდება და გადავეცი FBI-ს. სამწუხაროდ, გამოძიება არ დაინტერესებულა ჩემს დასკვნაში ჩაწერილი ამ მნიშვნელოვანი დეტალით — **ვინ მიაყენა გიორგი სანაიას ეს დამწვრობა?!**

## „ზვიად გამსახურდიას სად ჰქონდა მიყენებული დაზიანებები, ამაზე ბევრჯერ თქმულა და ყველამ იცის. მე განმეორებითი ექსჰუმაციის დროს აღმოჩენილი მოტეხილობები უფრო მაკვირვებს. როდის იქნა ეს დაზიანებები მიყენებული?“

**— ნუგზარ საჯაიას მოულოდნელ თვითმკვლელობაზე რას იტყვით?**

— იუსტიციის იმჟამინდელმა მინისტრმა **რომან გილიგაშვილმა** მაშინ დამირეკა და მთხოვა **ნუგზარ საჯაიას** ექსპერტიზაზე დასწრება, როდესაც თავი უკვე გაკვეთილი და გამოკვლეული იყო. იქ მისულს თავის ქალის ძვლის რაღაც ნაწილი გადატეხილი დამხვდა. როცა მიზეზი ვიკითხე, მიპასუხეს,— ქალა სარქვლის მოხერხვის დროს შემთხვევით დაზიანდაო. ასეთი რამ ხდება ხოლმე, მაგრამ კითხვის ნიშნები მრჩება, ვინაიდან ეს ფაქტი საკუთარი თვალით არ მინახავს!

**— ქალბატონო მაია, თამაზ ნინუას მკვლელობა ახსენეთ. ამ საქმეში ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც იყო — შემთხვევის ადგილზე მკვლელს წიწაკა ჰქონდა მიმობნეული...**

— წიწაკის მოყრა შემთხვევის ადგილზე მკვლელის კრეატიულობაზე მეტყველებს.

**— ასეთი რამ ხშირია თქვენს პრაქტიკაში?**

— მკვლელობებს აქვს თავისი ხელწერა. არის უხეში მკვლელი, კრეატიული მკვლელი და ა.შ. ზოგიერთი მკვლელობა იმდენად დახვეწილია, რომ ხელწერა ჩანს. მაგალითად, გახმაურებულ **ნათია ჯიჯავაძის** საქმეში, სადაც ახალგაზრდა ქალი სასტიკად მოკლეს, გამაოგნა დანაწევრების მეთოდმა. ხელი ამოსახსრული იყო ბეჭის ძვალთან ერთად. თავის ქალას კი ქვედა ყბა ჰქონდა მოცილებული. ძალიან ბევრი ვიფიქრე — რატომ იყო მხრის ძვალი ბეჭის ძვალთან ერთად, რადგან არცერთი ქირურგი, პათანატომი და სანიტარი სხეულს ასე არ ჭრის. აღმოვაჩინე, რომ მსხვერპლი იმ მეთოდით იყო დანაწევრებული, როგორც მოკლულ საქონელს ანაწევრებენ. ეს იყო ის ჩვევები, რაც შეიძლება მონადირეს ან ყასაბს ჰქონდეს. **სხვათაშორის, იმ ოჯახში, ვისზეც მაშინ ეჭვი გამოითქვა, ყასაბი ცხოვრობდა.**

წიწაკაც ასეთივე კრეატიულობაა. ძაღლს მისი ჩასუნთქვის შემდეგ ყნოსვა უქვეითდება, ცხვირი ეწვება და აღარ უჩნდება სურვილი, კვალის ძებნა გააგრძელოს. ეს ჩემთვისაც ახალი იყო.

**— არსებობს რაიმე სხვა ნივთიერება, რომელიც ექსპერტიზის ჩატარებას ხელს უშლის?**

— რომც ვიცოდე, ამას ხმამაღლა არ ვიტყვი...

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***





ნუგზარ საჯაია



თამაზ ნინუა

## კვირგვინოსნები

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



მე ვიცი ფაქტი, როცა არასრულწლოვანს ცარიელი ბოთლის მოპარვისთვის ლამის 24 წელი მიუსაჯეს და შემდეგ სასჯელი 11 წლამდე ჩამოიყვანეს. ნახევარი საქართველო ციხეში ჰყავდათ გამოკეტილი, რისი გულისთვის? ხშირ შემთხვევაში იმის გამო, რაც დაემართა ჩიორა თაქთაქიშვილის მამას. **დღეს არ არის მთავარი საკითხი, ჩიორა თაქთაქიშვილის მამამ ერთი ფილა შოკოლადი მოიპარა, რომ ივანიშვილის კომპანიამ სამი ხე გადარგო, მოსახლეობას არც „მაესტროს“ გარშემო ატეხილი სკანდალი არ აინტერესებს...** იმდენად მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონია, ხალხი პურს ვეღარ ყიდულობს, კრედიტებს ვეღარ იხდის.

„კვირის ქრონიკა“

**ირაკლი ტრიპოლსკი**
*პარლამენტარი*



ის, რაც სოციალურ ქსელში წავიკითხე — თითქოს თაქთაქიშვილმა შეიძლება ჯიბეში რამე ჩაიდოს და მოიპაროს — გამაოგნებელია. ასეთ ცილისწამებას ვერასოდეს შევეგუები. ჩვენ დიდი ხანია, ვმეგობრობთ და დარწმუნებული ვარ, ასეთ რამეს ის არასოდეს იკადრებს.

**ერთხელ საყვედური მივიღე დათოსგან, საჯარო ბიბლიოთეკასთან ჩიორას ცხვირი რომ გაუტეხეს, შენ სად იყავიო. ქუთაისში ვიყავი, თორემ ჩიორას კი არა, ნებისმიერ მოქალაქეს დავიცავდი. გულახდილად გეტყვით — ჩიორა ბევრს ნერვებს უშლის და მე — განსაკუთრებით, მაგრამ დათო თაქთაქიშვილი უკეთილშობილესი კაცია.**

„კვირის პალიტრა“

**გედევან ფოფხაძე**
*პარლამენტარი*



**რაფალიანცის მკვლელობაში არც ღვინიაშვილის დადანაშაულება სწორი და არც ბერიკაშვილის.**

„ინტერპრესნიუსი“

***„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე საქართველოში პროცესების უკიდურეს დრამატიზებას წინასწარმეტყველებს და იმ კონკრეტულ პიროვნებებს ამხელს, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებაში სააკაშვილის ნაცისტური სექტისა და ლიბერასტების აგენტურას წარმოადგენენ! მჟავანაძის განცხადებით, საქართველოში მოთმინების ფიალა ავსებულია და გამოსაშვები სისხლი უნდა გამოვიდეს:***



# ნიკოლოზ მჟავანაძე: ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინონ, ვინ მართავს საქართველოს – ამერიკის ელჩი თუ ქვეყნის მთავრობა?



## „საქართველოში მოთმინების ფიალა ავსებულია და გამოსაშვები სისხლი უნდა გამოვიდეს!“

— საპარლამენტო არჩევნებამდე ჯერ კიდევ ძალიან შორია, მაგრამ მუქარა უკვე გაისმის. მაგალითად, მამუკა კაციტაძემ განაცხადა — თუ ბიულეტენებს სწორად არ დათვლით, მაშინ ქუჩაში ხალხის დათვლა მოგიწევთო! აქეთ სააკაშვილი იჭაჭება ოდესიდან... მოკლედ, ვიღაცას ძალიან უნდა 2003 წლის ნოემბრის სცენარის გამეორება. ამ საქმეში ჩართულია რამდენიმე „რუსთავი-2“, ე.წ. მედიაექსპერტები და რამდენიმე „კმარა“, რომლებსაც დღეს სხვა სახელები ჰქვიათ...

ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით — საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება თავიდან ბოლომდე კომპლექტდება ფსევდოლიბერალებით, კერძოდ, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და მსგავსი ორგანიზაციების კადრებით. პირდაპირ ვამბობ — **პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სოფო ჯაფარიძე, რომელიც რესპუბლიკური პარტიის კომკავშირის — „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ყოფილი წევრია, ხელისუფლების წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა!** ასეთი სოფო ჯაფარიძეებით სავსეა სახალხო დამცველისა და ნებისმიერი სხვა სახელმწიფო ინსტიტუტის ოფისები — დადიან უცხოეთში და ბიძინა ივანიშვილს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ!

**— მერედა, ამ ხელისუფლებას მტერი და მოყვარე ერთმანეთისგან რატომ ვერ გაურჩევია? რამ შეაძულათ ასე ეროვნული, ქართული ცნობიერების მატარებელი ხალხი? მაინცდამაინც კაცის კაცზე ქორწინება უნდა გინდოდეს და თხაკიკინა და საყურიანი უნდა გახდე, ხელისუფლებაში კარი რომ გაგიღონ?**

— ქვეყანაში შექმნილია პარადოქსული სიტუაცია — **ბიძინა ივანიშვილის მიერ ხელისუფლებაში მოყვანილი ხალხი გამწარებული ებრძვის ბიძინა ივანიშვილს!** დღეს ჩვენს გარშემო ისეთი გეოპოლიტიკური სიტუაციაა შექმნილი, შესაძლოა, საქართველო თავის ისტორიულ საზღვრებში თვალის დახამხამებაში აღდგეს, მაგრამ ქვეყნის დაუძინებელი მტრები — ლიბერასტები ისევ ლომის ხახაში გვაყოფინებენ თავს და გაიძახიან — საქართველომ და დასავლეთმა რუსეთს ერთიანი ფრონტით უნდა შეუტიონო!

რომ არა 2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუცია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დღეს, შესაძლოა, აღდგენილი ყოფილიყო, მაგრამ მოიყვანეს გიჟი სააკაშვილი, რომელმაც რუსეთს ომი დაუწყო!

ახლა უსირცხვილოდ გამოდიან სააკაშვილის გენერლები — **ბოგავა და ყურაშვილი** და გაიძახიან, ომში მაქსიმუმი გავაკეთეთო! **კეზერაშვილი** და **უგულავა** ხელმძღვანელობდნენ ჯარს და ეს იყო ამათი „მაქსიმუმი“?

**ისიც საინტერესოა, თუ რუსეთი ჩვენი „მტერია“, თურქეთი როგორ არის „მეგობარი“ და „სტრატეგიული პარტნიორი“?** ცეცხლითა და მახვილით გაათურქა და გაამაჰმადიანა თურქეთმა ტაოკლარჯეთში ქართველობა, მეჩეთებად გადააკეთა ჩვენი წმინდა ტაძრები და თურქეთია ჩვენი „მეგობარი“?

**ვაცხადებ ხაზგასმით — დღევანდელი ლიბერასტები, მოღალატე ქართველები საქართველოს გაერთიანებისა და გამთლიანების ისტორიულ შანსს აკარგვინებენ!** ხელისუფლებას კაცი ვერ დაუჭერია და სასამართლოს ტელევიზიის საკითხი ვერ განუხილავს, რომ ამერიკამ ჩვენს საქმეში ცხვირი არ ჩაჰყოს! ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინონ, ვინ მართავს საქართველოს — ამერიკის ელჩი თუ ქვეყნის მთავრობა?

**— მერედა, ვის ვაბრალებთ ამ ჩვენს ცრუქაქუნობას?! ამერიკის ელჩს რომ პატაკებს აბარებენ ქართველი პოლიტმეძავეები და ელრიჯებიან, ეს ჩვენი ბრალი არ არის?**

— ითქვა, რომ რუსულ ენაზე უნდა იმაუწყებლოს ერთმა ტელევიზიამ, რათა ოკუპირებულ რეგიონებს ჩვენი ხმა მივაწვდინოთო! გამოვიდა ამერიკის ელჩი და ბრძანა — არ შეიძლებაო! კაცო, ვინ გეკითხება შენ?! სასამართლოში „რუსთავი-2“-ის საკითხი წყდებოდა და მაშინაც თითი გვიქნიეს... **უკაცრავად და, არ შეიძლება, ვინმეს ასე „ახმარინო“ შენი ქვეყანა!**

დღეს საქართველო დასავლეთს აძლევს უფრო მეტს, ვიდრე ჩვენ დასავლეთისგან რამეს ვღებულობთ! თუ ეს ხელისუფლება ამ სამშობლოს გამყიდველებსა და ფსევდოლიბერალებს არ მოგვაშორებს, მაშინ ქართველი ხალხი შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს!

**— რას გულისხმობთ?**

— როგორც სააკაშვილის დროს ამოუვიდა ხალხს ყელში, ისე მოხდება ახლაც! **არ შეიძლება მოღალატეებისა და ლიბერასტების ორპროცენტიანი პარტია — რესპუბლიკელები — ქვეყანას თავზე დაასვა!** ვასილ მჟავანაძეს ურთულეს პერიოდში მოუწია მოღვაწეობამ, მაგრამ ის იყო დიდი ქართველი და მის დროს აყვავდა საქართველო. ვასილ მჟავანაძემ არ დათმო და მთა-თუშეთი არ გადასცა რუსეთს, არ გაიყვანა როკის გვირაბი და 1964 წლის გაზაფხულზე, როცა ხრუშჩოვმა კატეგორიულად დაუსვა საკითხი — ქართველები ყუსტანაიში და ცელინოგრადში უნდა გადავასახლოთ, დაუკავშირდა თავის ფრონტელ მეგობარს კრემლში, მერე დაუკავშირდნენ ბრეჟნევს, იქ მოხდა ინტერესების თანხვედრა და ბიჭვინთაში ჩამობრძანებული ავადსახსენებელი ხრუშჩოვი ალექსი ინაურმა დააპატიმრა. დიახ, ეს ადამიანი ქართველთმოძულე ხრუშჩოვის ეპოქაშიც კი აკეთებდა დიდ ქართულ საქმეებს და ამათ რა ღმერთი გაუწყრათ? შეიძლება, რომ ასე ყველაფერში შეუძვრე და დაეთანხმო ამ დასავლეთის მიერ წარმოგზავნილ „ნამესტნიკებს“? **მოშე კაცავი და ეჰუდ ოლმერტი დაიჭირეს ისრაელში, მაგრამ ამერიკამ მათი დაპატიმრება გააპროტესტა? ისრაელიც ხომ ამერიკის მოკავშირეა?** რომ არა ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის (უფროსი) ის დამღუპველი განცხადება — „ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო!“ — საქართველო არ დაიქცეოდა, არც ის დაწყევლილი პუტჩი მოხდებოდა და ცხონებული ზვიადიც, შესაძლოა, ცოცხალი ყოფილიყო. შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანაც სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ იმართებოდა... ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით — **საქართველოში იგეგმება ლიბერასტული გადატრიალება!**

**— ეს ძალიან სერიოზული განცხადებაა!**

— დიახ, ქვეყანაში იგეგმება თითქოსდა არჩევნების გაყალბების საბაბით ლიბერასტების მობილიზება და მერე თბილისში მეიდნის მსგავსი მოვლენების განვითარება! **მოვუწოდებ ქართველ პატრიოტებს, ამისთვის მზად ვიყოთ!** სახარებაში ნათქვამია — გეშინოდეს იმის, ვისაც შენი სულიერი განადგურება ძალუძს! დღეს ჩვენში სიტუაცია ასეა — თუ გინდა, მთავრობასა და ხელისუფლებაში იყო, ან ფსევდოლიბერალი უნდა გახდე ან „ვაზელინი“! ეს ორი მონსტრი — რუსეთი და თურქეთი ერთმანეთის დასატაკებლად ემზადებიან და ჩვენ იმას ვზეიმობთ, ბათუმის პორტში **ნატო**-ს თურქული გემი „ჰასან ფაშა“ შემოვიდაო?! **მოვუწოდებ ხელისუფლებას, გაემიჯნოს ლიბერასტებსა და საქართველოს მოღალატეებს! მაინტერესებს, დონალდ ტუსკიც „კრემლის აგენტია“, როცა განაცხადა, ევროკავშირი ჩამოშლის პირას არისო? თუ ევროკავშირი იშლება, ჩვენ საითკენ მივდივართ?** რომელს დავუჯეროთ — **ნატო**-ს გენერალურ მდივანს თუ თინა ხიდაშელს? ისიც მაინტერესებს, რატომ არ იწყებს პროკურატურა გამოძიებას იმ განცხადებაზე, რომელიც ბატონმა გოგი თოფაძემ გაახმაურა?

**— რას გულისხმობთ?**

— საგარეჯოს არჩევნებში თინა ხიდაშელი ცუდად იყო ჩარეული და ამის დამამტკიცებელი დოკუმენტაცია მაქვსო... მოკლედ, ისე არიან ეს ფსევდოლიბერალები გამწარებულები, არ გამოვრიცხავ, პატრიოტებზე ნადირობაც დაიწყონ! ყველა ტელევიზია მაგათია და ყველგან ლიბერასტები სხედან! **ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოში მოთმინების ფიალა ავსებულია და გამოსაშვები სისხლი უნდა გამოვიდეს!** მგელი, რომელიც ცხვრის ქურქშია გახვეული, მგელზე უფრო საშიშია!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

„ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით — საქართველოში ლიბერასტული გადატრიალება იგეგმება!“



„თუ ეს ხელისუფლება ამ სამშობლოს გამყიდველებსა და ფსევდოლიბერალებს არ მოგვაშორებს, მაშინ ქართველი ხალხი შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს!“

## კვირგვინოსნები

**კესარია აბრამიძე**
*ტრანსგენდერი*



**ეს შემოთავაზება იყო სახელმწიფო სტრუქტურებისგან. მე უნდა გავმხდარიყავი ერთ-ერთი არასამთავრობოს მთავარი კონკურენტი. რაღაც შეხვედრებზეც ვიყავი, მოლაპარაკებებზე. ძალიან სერიოზულად მუშაობდნენ.**

ხალხი მიხვდა, რომ მკიდია ყველას აზრი, მთავარია, ჩემი პირადი კომფორტი. წარმოიდგინე, მე რამდენი უნდა მებრძოლა და მეომა, რამდენს უნდა დავტაკებოდი იმის გამო, რომ თუნდაც **ლგბტ** თემის პრობლემები მომეგვარებინა. მე მხოლოდ იმის გამო ვერ დავჯდებოდი ოფისში, რომ კარგი ფინანსური შემოსავალი მქონოდა. მე არა ვარ კაბინეტური ტიპი.

„პრაიმტაიმი“

**გიგა ბოკერია**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო ურთიერთობათა მდივანი*



ჰომოსექსუალობა ავადმყოფობა არაა. ავადმყოფობა ისაა, როცა ამ საკითხს ასე სვამენ.

**ვისაც ქართველი საზოგადოება აირჩევს, ის იქნება საქართველოს პრეზიდენტი, რა ორიენტაციისაც არ უნდა იყოს.** ეს ქართველმა ამომრჩეველმა უნდა გადაწყვიტოს. იმ ნიშნით არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რა სექსუალური ორიენტაციის მატარებელია.

„FRONTNEWS.GE“

**გიორგი ღვინიაშვილი**
*საპარლამენტო უმცირესობის წევრი*



**მაძლარ კაცს მშიერიც მაძღარი ჰგონია და ნუ ჰგონია თქვენს მთავრობას, რომ კახეთში ხალხი კარგად ცხოვრობს. ვხედავ, რომ პარლამენტში კახეთის არცერთ მაჟორიტარს არ უთქვამს ამაზე არაფერი. შემოდგომაზე არჩევნებზე მოვა ხალხი და თქვენ საკადრის პასუხს გაგცემთ.**

„ახალი თაობა“



# „ვის ემსახურება რეალურად ამერიკის ელჩი საქართველოში, ფსიქიკურად გაუწონასწორებელ სააკაშვილს თუ საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესებს?!“





## ლალი მოროშკინა:

# ზუსტად ვიცი, რომ დასახელდა იმ პირთა წრე, ვისი ფიზიკური ლიკვიდაციას იგეგმება!

***ორგანიზაცია „ძლიერი ქალი — ძლიერი სახელმწიფოს“ თავმჯდომარე ლალი მოროშკინა აცხადებს, რომ სააკაშვილი საქართველოში მორიგ სისხლისღვრას ამზადებს, კერძოდ, რამდენიმე ადამიანის ლიკვიდაციას გეგმავს. როგორც ქალბატონი ლალი ამბობს, საქართველოს პროკურატურა მისი განცხადებით უკვე დაინტერესდა:***

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ — ზუსტად ვიცი, რომ რამდენიმე დღის წინათ მიუნხენიდან ექსპრეზიდენტ სააკაშვილის ნერვიული ჩართვის შემდეგ დასახელდა იმ პირთა წრე, რომელთა ფიზიკური ლიკვიდაციაც იგეგმება.

**— ვინ დაასახელა ეს პირები, სად და როდის?**

— გეტყვით, ოღონდ მანამდე ორი სიტყვით მინდა, შევეხო სააკაშვილის ესოდენ ნერვიული გამოსვლის მიზეზს. როგორც იცით, მიუნხენში ჩატარდა უმნიშვნელოვანესი კონფერენცია უსაფრთხოების საკითხებზე, სადაც მსოფლიოს სხვა ლიდერებთან ერთად მიწვეული იყო ბატონი გიორგი კვირიკაშვილი, რომელსაც ღირსეული შეხვედრა მოუწყვეს. აი, სწორედ ამან გაამწარა სააკაშვილი, ყველას თავზე გადააბიჯა, დაუპატიჟებლად მივარდა კონფერენციაზე და როგორც ფსიქიკურად გაუწონასწორებელ ადამიანს შეეფერება, ობსტრუქცია მოაწყო. **მართალია, სხდომის ჩაშლა ვერ მოახერხა, მაგრამ იმ დროს, როცა საქართველოსთვის ესოდენ მნიშვნელოვანია ევროპელი ლიდერების მხარდაჭერა, მისი მტრული გამოსვლა, პრემიერის მონად მოხსენიება მაინც არასასურველი ფაქტი იყო.**

ჩემამდე მოვიდა ინფორმაცია, რომ სწორედ მიუნხენში სააკაშვილის გამოსვლის შემდეგ ნაცების პოლიტსაბჭო შეიკრიბა და ითქვა, რომ არის რამდენიმე ადამიანი, ვინც მათ ხელისუფლებაში დაბრუნებას ყოველთვის ხელს შეუშლის. დასახეს გეგმა, რომ უნდა მოხდეს ამ პირთა ფიზიკური ლიკვიდაცია და 2016 წლის არჩევნებში წაგების შემდეგ, ნებისმიერ ფასად, ხელისუფლებაში უნდა დაბრუნდნენ.

**— თქვენ გარდა ვინ არის ამ სიაში?**

— ამ საკითხთან დაკავშირებით ორშაბათს პროკურატურაში მაქვს შეხვედრა. აქედან გამომდინარე, გარკვეული ინფორმაციის გასაჯაროებისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ. თუმცა, პროკურატურაში აუცილებლად ყველაფერს განვაცხადებ.

ახლა იმის შესახებ, თუ რატომ აღმოვჩნდი ამ სიაში პირადად მე. როგორც იცით, ბოლო დღეებში სააკაშვილს სხვა პრობლემებთან ერთად უკრაინაში გაპრემიერების გეგმა სამუდამოდ ჩაეშალა და უკვე ღიად დაუპირისპირდა თავის ერთადერთ მფარველს, პოროშენკოს. ერთი სიტყვით, უკრაინაში უმძიმეს სიტუაციაშია და ამაში დიდი წვლილი შეიტანა იმ სიუჟეტმაც, რომელიც ახლახან НТВ-ზე გავიდა. **ამ გადაცემაში მე მოვყევი 26 მაისზე, 7 ნოემბერზე, ციხის გენოციდზე... როგორც სააკაშვილი ამბობს, ქართული ტელევიზიები მისთვის „მალაგაბარიტკები“ არიან, მაგრამ უკრაინის მრავალმილიონიანი აუდიტორიის წინაშე მისი დანაშაულებრივი მოღვაწეობის გაშუქებამ წყობიდან გამოიყვანა.**

**— ისევ სიას დავუბრუნდეთ, ანუ ის რეალურად არსებობს?**

— რა თქმა უნდა, არსებობს. მაგრამ არ გვეშინია, არც მე და არც დანარჩენებს, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი უმძიმეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია და ყველაფერზეა წამსვლელი. დიახ, მას უკვე აბსოლუტური თვითლიკვიდაცია აქვს დაწყებული, აცნობიერებს, რომ საქართველოში დაბრუნების შანსი ნულის ტოლია და სამშობლო დაკარგა! გეგმები ჩაეშალა უკრაინაშიც და ახლა ის არის მხეცი, რომელიც მზადაა, ყველა და ყველაფერი გაანადგუროს. **ერთადერთი, რაც შერჩა, ქართველი ხალხისთვის მოპარული მილიონებია, საგულდაგულოდ რომ აქვს გადამალული.** იმედია, ამ ფულით რაიმე ახალი უბედურების მოწყობას ვეღარ მოასწრებს და მანამდე ციხეში აღმოჩნდება. მითუმეტეს, რომ ჰააგის ტრიბუნალი კარზეა მომდგარი.

**— ქალბატონო ლალი, როგორც ვიცი, ამერიკის ელჩს წერილით მიმართეთ. გარდა იმისა, რომ ის საქმის კურსში ჩააყენეთ ადამიანთა შესაძლო ლიკვიდაციის თაობაზე, გარკვეულ კითხვებზე პასუხსაც ითხოვთ.**

— ამერიკის ელჩისგან რამდენიმე შეკითხვაზე ველოდები კონკრეტულ პასუხს: მიაჩნია თუ არა, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე და ტელეკომპანია „იმედში“ ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებას? მიაჩნია თუ არა, რომ 2011 წლის 26 მაისს ხელისუფლებამ მშვიდობიანი მომიტინგეების სისხლი დაღვარა? მიაჩნია თუ არა, რომ საქართველოს სააკაშვილის დროს პოლიტპატიმრები ჰყავდა? მიაჩნია თუ არა, რომ სააკაშვილის საპყრობილეებში ადგილი ჰქონდა ადამიანების წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას? მიაჩნია თუ არა, რომ არაერთ ადამიანს უდანაშაულოდ დასდეს ბრალი ქვეყნის ღალატში? დაბოლოს, მიაჩნია თუ არა, რომ ადამიანი, რომელიც ძებნილი სისხლის სამართლის დამნაშავეა, ასე თავისუფლად არ უნდა დათარეშობდეს ქვეყნიდან ქვეყანაში?

**— რა პასუხებს ელოდებით ამ კითხვებზე?**

**— ბატონმა ელჩმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პასუხები ამ შეკითხვებზე არამხოლოდ ერთ ადამიანს, არამედ მთელ საქართველოს აინტერესებს.**

ნაცმოძრაობა და სააკაშვილი კულუარულად მუდმივად აპელირებენ, რომ ამერიკის ელჩი მათი ნათლიმამაა და ყველა ჩადენილი დანაშაული სწორედ მისგან აქვთ „გაპრავებული“. ბატონი იან კელის პასუხი ჩვენს შეკითხვებზე იქნება პასუხი იმ უმნიშვნელოვანეს კითხვაზე, რომელიც ქართველ ხალხს უკვე წლებია, აწუხებს — **ვის ემსახურება რეალურად ამერიკის ელჩი საქართველოში, ფსიქიკურად გაუწონასწორებელ სააკაშვილს თუ საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესებს?!**

*ესაუბრა*

***ნონა ბენდელიანი***

## კვირგვინოსნები

**ალექსანდრე კვიტაშვილი**
*უკრაინის ჯანდაცვის მინისტრი*



**სააკაშვილის განცხადებები აბსოლუტურად მოულოდნელი იყო. გაუგებარია, რა მტკიცებულებებს ემყარება, როცა კორუფციაში ჩემს მონაწილეობაზე მიანიშნებს. ბოლო დროს ოდესის გუბერნატორი ყველას მისამართით უცნაურ და არასერიოზულ განცხადებებს აკეთებს.**

„კვირის პალიტრა“

**ბაკურ ბაკურაძე**
*„დემოკრატიული მოძრაობის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი*



„საქართველოს ეროვნული ბანკი“ ქვეყნის დასახელებაა?! **რატომ არ წერია ახალ 20 და 50-ლარიან კუპიურებზე ქვეყნის სახელი —„საქართველო — GEORGIA“?**

**ვინ ხართ თქვე უვიცებო და მავნებლებო?!**

„ფეისბუქი“

რატომ
კორვალ G ?
გაწუხებთ...
გულის ფრიალი
პულსის აჩქარება
სტრესი და ნევროზი
უსიამოვნო შეგრძნება გულმკერდის არეში
მიიღეთ
კორვალ G
კორვალ G
თქვენი გულის სიმშვიდე
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

„ინტელექტბანკში“ ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაცია, რომელსაც ქადაგიძე მეთაურობდა, კანონის უხეში დარღვევით შემოვიდა!“

# გიორგი ქადაგიძესა და რომან გოცირიძეს ხელს ადებენ!








**„ვითხოვთ, რომ დაზარალებულად გვცნონ, ხოლო ეროვნული ბანკის ყოფილი და ამჟამინდელი ხელმძღვანელობის – გიორგი ქადაგიძის, რომან გოცირიძისა და ეკატერინე გალდავას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას!“**

***რამდენიმე დღის წინათ „ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციამ“ საზოგადოებას სკანდალური კვლევა წარუდგინა, რომელიც კანონიერი მესაკუთრეებისათვის „ინტელექტბანკის“ წართმევას ეხება. კვლევის ავტორები დანაშაულებრივი სქემის განხორციელებაში საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილ და ამჟამინდელ პრეზიდენტებს — რომან გოცირიძესა და გიორგი ქადაგიძეს ამხელენ! „ინტელექტბანკის“ დამფუძნებლები და აქციონერები — ბანკის ყოფილი პრეზიდენტი ნუგზარ ჯაყელი-ხუნდაძე და ყოფილი გენერალური დირექტორი ვლადიმერ ჭანიშვილი, რომლებიც დღეს ჩვენი სტუმრები არიან, აცხადებენ, რომ წინა ხელისუფლების მიერ დატერორებულებმა სამართალს ვერც ამ ხელისუფლების პირობებში მიაღწიეს.***

**ნუგზარ ჯაყელი-ხუნდაძე:** — **„ინტელექტბანკი“** 1993 წელს დავაარსეთ. მიუხედავად იმისა, რომ საქმე ნულიდან დავიწყეთ, საბანკო ბაზარზე სოლიდური პოზიციები მალევე დავიკავეთ და ძალიან კარგი იმიჯიც მოვიპოვეთ. უამრავი მეანაბრე და ძლიერი კლიენტურა გვყავდა. 30 ათასამდე ფიზიკურ და იურიდიულ პირს ვემსახურებოდით.

ავადსახსენებელი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როცა ხელისუფლებაში ნაციონალები მოვიდნენ, „საქართველოს ბანკმა“, ეროვნული ბანკის დახმარებითა და ხელშეწყობით, ჩვენი შევიწროება დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ მაშინ „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტი იყო **ვლადიმერ გურგენიძე,** რომელიც შემდეგ სააკაშვილის მთავრობის პრემიერ-მინისტრი გახდა. გენერალური დირექტორი კი ასევე სააკაშვილის მთავრობის პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის ძმა **ირაკლი გილაური** გახლდათ.

**— „საქართველოს ბანკის“ მხრიდან თქვენი შევიწროება რაში გამოიხატებოდა?**

— 2005 წელს „საქართველოს ბანკის“ მესვეურებმა შემოგვთავაზეს, მათთან გავერთიანებულიყავით, მაგრამ ამის არანაირი სურვილი არ გვქონდა, მითუმეტეს, რომ სრულიად მიუღებელი და ჩვენთვის წამგებიანი პირობები შემოგვთავაზეს.

მოკლედ, უარი ვუთხარით და ამის შემდეგ საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან „ინტელექტბანკზე“ ზეწოლა დაიწყო. კერძოდ, **2005 წლის ზაფხულის მიწურულს ეროვნულმა ბანკმა „ინტელექტბანკის“ შემოწმება დაიწყო, მაშინ, როცა ყოველწლიური ტრადიციული შემოწმება გაზაფხულზე უკვე გავლილი გვქონდა.**

ბუნებრივია, მაშინვე მივხვდით, რომ ეროვნული ბანკის ეს ქმედება ჩვენს დაშინებასა და შეჯანჯღარებას ისახავდა მიზნად.

**— მაშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ვინ იყო?**

— ეროვნული ბანკის პრეზიდენტი იყო **რომან გოცირიძე,** ხოლო დღევანდელი პრეზიდენტი **გიორგი ქადაგიძე** მაშინ ეროვნული ბანკის საფინანსო ზედამხედველობის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

**ვლადიმერ ჭანიშვილი:** — **გურგენიძეს,** რომელიც იმ პერიოდში სააკაშვილის ხელისუფლებამ „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტად დანიშნა, დავალებული ჰქონდა, აღნიშნული ბანკი რაც შეიძლება სწრაფად გაემსხვილებინა, რათა მისი აქციების კვოტირება ლონდონის ბირჟაზე მომხდარიყო.

მან მართლაც ჩაატარა რეიდერული კამპანია და რამდენიმე მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ასევე რამდენიმე სადაზღვევო კომპანია მიიერთა, რის შემდეგაც უკვე ბანკებს გადასწვდა.

სანამ ჩვენ მოგვადგებოდნენ, „საქართველოს ბანკმა“ **„თბილუნივერსალბანკი“** შთანთქა, თუმცა, ამას ხმაური და აჟიოტაჟი არ მოჰყოლია.

**— ეროვნული ბანკი თქვენი ბანკის ჩაძირვით რატომ იყო დაინტერესებული?**

**ვლადიმერ ჭანიშვილი:** — **ეროვნულ ბანკს ხელისუფლებისაგან — პირადად პრეზიდენტ სააკაშვილისა და ზურაბ ადეიშვილისაგან — დავალებული ჰქონდა, რომ ყველანაირად შეეწყო ხელი „საქართველოს ბანკის“ გამსხვილებისა და გაძლიერებისათვის.**

როცა მივხვდით, რომ ჩვენს თავს კარგი არაფერი ხდებოდა და ეროვნული ბანკი რაღაც უბედურებას გვიმზადებდა, მოლაპარაკება დავიწყეთ მსხვილ უკრაინულ ბანკთან — „უკრგაზბანკთან“, რათა ახალი ინვესტიციები მოგვეზიდა და ჩვენი ბანკის საწესდებო კაპიტალი რამდენიმე ათეული მილიონით გაგვეზარდა.



საქმე თითქმის ფინიშზე გავიყვანეთ და უკრაინული ბანკის წარმომადგენლები თბილისში ჩამოვიდნენ, სადაც ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას — **რომან გოცირიძესა** და **გიორგი ქადაგიძეს** შევახვედრეთ.

**ნუგზარ ჯაყელი-ხუნდაძე:** — ამ შეხვედრაზე **გიორგი ქადაგიძემ** უკრაინელ ინვესტორებს ყოვლად გაუგონარი რამ უთხრა — **„ინტელექტბანკში“ ასეთ მაღალ ფასს რატომ იხდითო?** წარმოიდგინეთ, ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მესვეური უცხოელ ინვესტორებს ეკითხება — ჩემს ქვეყანაში ამხელა ინვესტიცია რატომ შემოგაქვთო?! ქადაგიძის ნათქვამი იმდენად აბსურდული იყო, რომ თვით **რომან გოცირიძემაც** კი ვერ დამალა განცვიფრება და უთხრა — შენ ამას ვინ გეკითხებაო?

**ახლა ქადაგიძე რომ გამოდის და გვიქადაგებს, ქვეყანას უცხოური ინვესტიციები სჭირდებაო, ამაზე მწარედ მეცინება!**

**— ე.ი. თქვენი ბანკი ხელისუფლებისა და ეროვნული ბანკის კლანჭებისაგან ვერც უკრაინელმა ინვესტორებმა იხსნეს?**

**ვლადიმერ ჭანიშვილი:** — გოცირიძესთან და ქადაგიძესთან შეხვედრის შემდეგ უკრაინული ბანკის წარმომადგენლებმა ეროვნულ ბანკში, „ინტელექტბანკის“ საკორესპონდენტო ანგარიშზე, ბეს სახით 2 მილიონი დოლარი ჩარიცხეს!

აი, სწორედ ეს აღმოჩნდა ბოლო წვეთი „საქართველოს ბანკისა“ და ეროვნული ბანკისათვის — იფიქრეს, „ინტელექტბანკი“ ხელიდან არ გაგვისხლტესო და მაშინვე მოქმედებას შეუდგნენ!

**— კონკრეტულად რა მოიმოქმედეს?**

— როგორც კი უკრაინელებმა 2 მილიონი დოლარი ჩაგვირიცხეს, მეორე დღესვე, 2006 წლის 10 თებერვალს, პარასკევ საღამოს, როცა სამუშაო დღე დამთავრებული იყო, **„ინტელექტბანკში“** შემოვიდა ეროვნული ბანკის მიერ შექმნილი **დროებითი ადმინისტრაცია გიორგი ქადაგიძის ხელმძღვანელობით,** რომელსაც თან ახლდნენ როგორც პროკურატურის, ასევე **სოდ**-ისა და **კუდ**-ის შეიარაღებული თანამშრომლები!

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეროვნული ბანკი ამა თუ იმ კერძო ბანკში დროებით ადმინისტრაციას მაშინ უშვებს, როცა კერძო ბანკს ფინანსური პრობლემები აქვს, გაკოტრების პირას არის მისული და ა.შ. ჩვენი „ინტელექტბანკის“ შემთხვევაში კი ასეთი რამ არ ყოფილა — არანაირი ფინანსური თუ ორგანიზაციული პრობლემა არ გვქონია, თანაც, წინა დღით ინვესტორმა ბეს სახით 2 მილიონი დოლარი ჩაგვირიცხა.

და კიდევ: დროებითი ადმინისტრაციის შექმნის უფლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გარდა, არავის აქვს, ჩვენს შემთხვევაში კი, დროებითი ადმინისტრაცია ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის **ეკატერინე გალდავას** ხელმოწერით შეიქმნა.

მოკლედ, „ინტელექტბანკში“ ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაცია, რომელსაც ქადაგიძე მეთაურობდა, კანონის უხეში დარღვევით შემოვიდა!

**— სოდ-ისა და კუდ-ის შეიარაღებული თანამშრომლები რისთვისღა მოიყვანეს?**

— ეს სადამსჯელო სპეცოპერაცია იყო და იარაღს ჩვენს დასაშინებლად აჟღარუნებდნენ!

ეროვნული ბანკის დროებითი ადმინისტრაციის, **სოდ**-ისა და **კუდ**-ის სპეცრაზმის კვალდაკვალ „ინტელექტბანკში“ „საქართველოს ბანკის“ თანამშრომელთა მთელი არმიაც გამოცხადდა.

**— საბოლოოდ როგორ დამთავრდა ეს ყველაფერი?**

— საერთოდ, დროებითი ადმინისტრაციის მუშაობა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და რამდენიმე თვე მაინც გრძელდება, მაგრამ ამათ ყველაფერი ზუსტად **ორ დღეში** მოამთავრეს!

**სასწრაფოდ დაიწყეს ჩვენი ბანკის გაკოტრების პროცესი, 36 საათში დანიშნეს აუქციონი, რომელშიც მხოლოდ „საქართველოს ბანკს“ მიაღებინეს მონაწილეობა და 1 ლარად შეაძენინეს „ინტელექტბანკი“, რომლის კაპიტალიც**



## ვლადიმერ ჭანიშვილი: თუ ბატონი ბიძინა ივანიშვილი ქადაგიძეს დანაშაულს პატიობს, ჩვენ ვერ ვაპატიებთ!

### კვირგვინოსნები



**სოზარ სუბარი**
*ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი*

**გიორგი ქადაგიძეს კბილები უკაწკაწებს, როდის შევარდება პოლიტიკაში.**

„ინტერპრესნიუსი“



**ალექსანდრე თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*

**ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომ ვიყო, ყველაფერს ერთ თვეში გამოვასწორებდი.**

„ახალი თაობა“



**ზურა ჯაფარიძე**
*პოლიტიკურ ცენტრ „გირჩის“ დამფუძნებელი*

**ვინც ამბობს, რომ ლარს ძველ ნიშნულზე ჩამოიყვანს, იტყუება! ამის ფორმულა დღეს არ არსებობს! დღეს ვერავინ ჩამოიყვანს ლარს 1,6-ზე ან 1,8-ზე!**

„კვირის ქრონიკა“



**ბახიტჟან საგინტაევი**
*ყაზახეთის ვიცე-პრემიერი*

**ჩვენ გვინდა ვიყოთ საქართველოში, მაგრამ ჩვენი ბიზნესი უნდა იყოს დაცული.**

„ინტერპრესნიუსი“



## „3 წელი შესრულდა, რაც პროკურატურას საჩივრით მივმართეთ, მაგრამ არანაირი შედეგი არ ჩანს!“

# ნუგზარ ჯაყელი-ხუნდაძე: ჩვენი სამართალი ავად-სახსენებელ კოპაბიტაციას შეეწირა!

დღელ სასამართლოში სამართალს ვერ ვიპოვიდით, მაგრამ გვინდოდა, სამივე ინსტანცია გაგვევლო და შემდეგ სტრასბურგის სასამართლოში წავსულიყავით.

**— წახვედით?**

— როგორც კი სამართლებრივ ბრძოლას შევუდექით, ჩვენი ბანკის 8 თანამშრომელზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყეს, 3 მათგანი კი დააპატიმრეს.

**საკმარისი იყო, რაიმე აქტიური ნაბიჯი გადაგვედგა, რომ ჩვენს თანამშრომლებზე ციხეში დიდ წნეხს ახორციელებდნენ. საბოლოო ჯამში, გვაიძულეს, სამართლებრივი ბრძოლა შეგვეწყვიტა, სანაცვლოდ კი დაპატიმრებულები საპროცესო გარიგებით გაათავისუფლეს!**

**— ხელისუფლების შეცვლის შემდეგ არ გიცდიათ, რომ სამართალი გეპოვათ?**

— 2013 წელს საქართველოს მთავარ პროკურატურაში სქელტანიანი საჩივარი შევიტანეთ და ვითხოვთ, რომ დაზარალებულად გვცნონ, ხოლო ეროვნული ბანკის ყოფილი და ამჟამინდელი ხელმძღვანელობის — **გიორგი ქადაგიძის, რომან გოცირიძისა და ეკატერინე გალდავას** წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას!

ამა წლის 6 თებერვალს 3 წელი შესრულდა, რაც პროკურატურას საჩივრით მივმართეთ, მაგრამ არანაირი შედეგი არ ჩანს!

**— არც დაუკითხიხართ?**

**ნუგზარ ჯაყელი-ხუნდაძე:** — პირველი 4 თვის განმავლობაში პროკურატურა მართლა აქტიურობდა, „ინტელექტბანკის“ აქციონერებიც დაგვკითხეს, გვეუბნებოდნენ, ყველაფერი კარგად მიდისო, მაგრამ...

ვფიქრობ, ჩვენი სამართალი ავადსახსენებელ კოჰაბიტაციას შეეწირა!

**ვლადიმერ ჭანიშვილი:** — **ფაქტია, რომ ხელისუფლება გაურიგდა ეროვნული ბანკის დამნაშავე პრეზიდენტს გიორგი ქადაგიძეს, რომელსაც პროკურატურაში ოთხი კერძო ბანკი უჩივის, მაგრამ დღემდე დაკითხულიც კი არ არის!**

**— ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, „ქართუ ბანკის“ გაკოტრების საქმეზე ქადაგიძე დასაჭერი იყო, მაგრამ სერიოზული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მთხოვეს, არ დამეპატიმრებინა და ამიტომ ვაპატიეო!**

— თუ ბატონი ბიძინა ივანიშვილი ქადაგიძეს დანაშაულს პატიობს, ჩვენ ვერ ვაპატიებთ!

დიახ, ჩვენ არ გვაქვს იმდენი შესაძლებლობა, რომ მთელი ახალგაზრდობის განმავლობაში კაპიკ-კაპიკ რუდუნებით ნაგროვები ქონება ქარს გავატანოთ!

ქადაგიძეს არც **„სახალხო ბანკი“** პატიობს და არც **„კორსტანდარტბანკი“.** ისინიც ჩვენსავით იბრძვიან, რომ სამართალს მიაღწიონ!

**ნუგზარ ჯაყელი-ხუნდაძე:** — ყოვლად გაუგებარია, პროკურატურა ქადაგიძეს დაკითხვაზე რატომ არ იბარებს?

**ვლადიმერ ჭანიშვილი:** — ამ ხელისუფლების პირობებში მარწუხებს არავინ გვიჭერს, მაგრამ არც საქმე კეთდება!

არადა, სამართლიანობის აღდგენას, ჩვენთან ერთად, ათასობით დატერორებული და ქონებაწართმეული ადამიანი ელოდება!

**ძალიან სამწუხაროა, რომ ეს მოლოდინი ჯერჯეროგით ამაოა!**

*ესაუბრა*

***ჯაბა ხუბუა***

**რამდენიმე ათეულ მილიონს შეადგენდა!**

აღსანიშნავია, რომ ეროვნულმა ბანკმა ანალოგიური დანაშაულებრივი სქემით იმოქმედა ბადრი პატარკაციშვილის **„კორსტანდარტბანკის“, „სახალხო ბანკისა“** და ბიძინა ივანიშვილის **„ქართუ ბანკის“** წინააღმდეგაც!

**— როგორ მოიქეცით მას შემდეგ, რაც ბანკი წაგართვეს?**

— ჩვენი ბანკის წინააღმდეგ განხორციელებული სპეცოპერაცია ქადაგიძეს ადეიშვილმა მაშინვე დაუფასა და ზუსტად ორ კვირაში გენერალური პროკურატურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსად დანიშნა, იქიდან კი ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დააწინაურა!

ჩვენ, რა თქმა უნდა, სამართლებრივი ბრძოლა დავიწყეთ. კარგად ვიცოდით, რომ მაშინ-

## „ფაქტია, რომ ხელისუფლება გაურიგდა ეროვნული ბანკის დამნაშავე პრეზიდენტს გიორგი ქადაგიძეს, რომელსაც პროკურატურაში ოთხი კერძო ბანკი უჩივის, მაგრამ დღემდე დაკითხულიც კი არ არის!“




მიხეილ სააკაშვილი ალექსანდრე კვიტაშვილს კორუფციაში ადანაშაულებს

## სანდრო კვიტაშვილმა სააკაშვილი, პრაქტიკულად, პოლიტიკურ პროსტიტუციაში და თაღლითობაში ამხილა!



# სააკაშვილი უკვე ნაცებმაც გიჟად გამოაცხადეს!

***ოდესის გუბერნატორად გამწესებულ მიხეილ სააკაშვილს უკვე ისე „აერია რამსები“, რომ საკუთარ თანაგუნდელებსაც აღარ ინდობს! ყველა მიეჩვია, რომ მიშიკოს ყოველი საჯარო გამოსვლა რაიმე სკანდალით სრულდება, მაგრამ სააკაშვილმა, როგორც იტყვიან, საკუთარ თავსაც კი აჯობა...***

სააკაშვილი, ჯერ იყო და, ერთ-ერთი სატელევიზიო ინტერვიუსას ისე გაერთო, რატომღაც, უკრაინის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე „ჩაუშვა“ — **დავით საყვარელიძე** როგორც კი თანამდებობაზე დაინიშნა, უკრაინაში კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისთვის 20 ათასი კაცის ციხეში ჩასმას მთავაზობდა, მაგრამ არ დავეთანხმეო!

ანუ სააკაშვილმა, თავისი ჭკუით, ასე „დაამტკიცა“, რომ, საქართველოსგან განსხვავებით, უკრაინაში კაცთმოყვარე და ჰუმანურია! თუმცა, უკრაინელების თვალში ამხელა ქვეყნის გენპროკურორის პირველი მოადგილე აშკარად მონსტრად წარმოაჩინა!

რამდენიმე დღის წინათ კი მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის ჯანდაცვის მინისტრად მის მიერვე ნალობირებ-ნალოლიავებ **სანდრო კვიტაშვილს** დაასხა თავლაფი! დიახ, უკრაინის ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გამოსვლისას ოდესის გუბერნატორმა ჯანდაცვის მინისტრი კორუფციული სისტემის მფარველად და ბოთედ გამოაცხადა:

**„ჯანდაცვის მინისტრმა ცხრა თვის წინ განაცხადა, რომ თანამდებობას ტოვებდა. მისი განცხადება სერიოზულად არავის აღუქვამს! ის ყოველდღე დადიოდა სამინისტროში და იღებდა ხელფასს. ამ დროს კი ყველა ლობისტური ინტერესი ძალაში რჩებოდა: კომპანიათა ნაწილი ცდილობდა, რომ მონოპოლია ჰქონოდა, ნაწილი კი ბაზარზე ვერ ხვდებოდა და ახალ მედიკამენტებს ვერ აპატენტებდა! ჯანდაცვის სამინისტროს ქმედებამ გამოიწვია ის, რომ უკრაინაში მედიკამენტების ფასი პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე მაღალია! ჯანდაცვის სფერო სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი დაფინანსების მხოლოდ 30 პროცენტით ფინანსდება და ესეც იფლანგება!“**

გაოგნებულ და შეურაცხყოფილ **სანდრო კვიტაშვილს** ისღა დარჩენოდა, თავი ემართლებინა, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა:

**„უკრაინაში სააკაშვილისთვის ოპოზიციაში გადასვლა და ამ გზით პრემიერად მისვლა ძალიან ძნელი იქნება. მოგეხსენებათ, უკრაინაში კოალიციური ხელისუფლებაა, სადაც, ძირითადად, ორი პოლიტიკური ძალის ინტერესებია გაერთიანებული. არარეალურია, რომ რიგით მეორე ფრაქციამ საკუთარ კვოტაზე უარი თქვას და იაცენიუკის თანამდებობაზე** (პრემიერ-მინისტრად — გ.გ.) **სააკაშვილი დანიშნოს...“**

ამდენად, სანდრო კვიტაშვილმა სააკაშვილი, პრაქტიკულად, პოლიტიკურ პროსტიტუციაში და თაღლითობაში ამხილა!

დიახ, კვიტაშვილმა გარკვევით თქვა — **სააკაშვილმა კორუმპირებულად იმიტომ გამომაცხადა, რომ უკრაინის მთავრობის კორუმპირებულობა დაემტკიცებინა და პრემიერის თანამდებობისთვის ბრძოლაში გზა გაეთავისუფლებინაო!**

თუმცა, ეს არახალია და სააკაშვილისგან არც არავის გაკვირვებია!

გაცილებით საგულისხმო ის არის, რომ **სანდრო კვიტაშვილი პირველია სააკაშვილის გუნდიდან, ვინც ფიურერი, პრაქტიკულად, არაადეკვატურად და გიჟად გამოაცხადა!**

დიახ, კვიტაშვილის სიტყვები, **„ბოლო დროს ოდესის გუბერნატორი ყველას მისამართით უცნაურ და არასერიოზულ განცხადებებს აკეთებს“,** სხვა არაფერია, თუ არა იმის თქმა, მიშა **„თავის მოტორზე“** ვერ არის და შინაურისა თუ გარეულისკენ ცოფიანივით საკბენად იწევსო!

აქვე იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ უკრაინელი სამართლდამცავები სააკაშვილს, უკრაინის არმიის საიდუმლო რუკის ვიდეოს გავრცელებისთვის, სახელმწიფო საიდუმლოს გათქმაშიც ამხელენ, კიდევ უფრო ადვილი დასაჯერებელი გახდება:

მიშიკო უკრაინაშიც ჩაფლავდა!

ახლა მხოლოდ იმის გარკვევაა საჭირო, სააკაშვილისთვის რა უფრო უკეთესია — ოფიციალური შეურაცხადობა თუ თანამდებობრივი კრეტინიზმი!

არადა, ნაცების ფიურერისთვის ორივე დიაგნოზი მშობლიური და ზედგამოჭრილია!

და საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ეს სააკაშვილის რეჟიმის ზეობის მთელი 9 წლის განმავლობაში საკუთარი თვალით იხილა და საკუთარ ტყავზე იწვნია — „პრეზიდენტი“ სააკაშვილი ხომ „გაფრენილი გიჟიც“ იყო და თანამდებობრივად არაადეკვატური კრეტინიც!

**ჰოდა, ძალიანაც კარგი, რომ ეს უკრაინაშიც გაიგეს!**

***გიორგი გიგაური***

## კვირგვინოსნები

**ეკა ბესელია**

*პარლამენტარი*



ელისო კილაძე ჟურნალისტიკის არანაირ სტანდარტს არ იცავს და ყველაფრის მკადრებელია. **გამოძიება დაადგენს, ვისგან გამოჩნდა ეს კადრები და რატომ ფიგურირებს ასეთ საქმეებში ყველგან ელისო კილაძე. როგორც ვიცი, ასეთი საქმეების დეტალების გახმაურების უფლება გამომძიებლებს არა აქვთ, შესაბამისად არ ვიცი, ვისგან მიიღეს ეს ინფორმაცია.**

გადაცემა „20/30“

**ნანა კაკაბაძე**

*უფლებადამცველი*



**ელისაშვილი პოლიტპატიმრებს დაემალა. ვერ მობრძანდნენ ვერც ნაციონალები. ზურგს უკან რომ მაგრები არიან და ტლიკინებენ, რატომ ვერ დაუსხდნენ პოლიტპატიმრებს და არ უთხრეს, რომ არ იყავით პოლიტპატიმრობის ღირსი და კორუფციის შედეგად ხართ სიებში შეყვანილიო.**

„ახალი თაობა“

**მანანა კობახიძე**

*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



**პირადად ჩემს ინტერესშია, რომ აღდგეს იმ ეს-ემ-ეს-ების შინაარსი, თუ ეს შესაძლებელია, რადგან ამით მოხდება ალეკო ელისაშვილის ლუსტრაცია.** მზად ვარ, ჩემს ტელეფონსაც ჩაუტარდეს ექსპერტიზა. დაველოდები გამოძიების შედეგებს და აუცილებლად მოვთხოვ პასუხს ელისაშვილს, იქნება ეს სამოქალაქო წესით თუ სისხლის სამართლის წესით, რადგან აშკარად სახეზეა ცრუ დასმენა.

„პრაიმტაიმი“

**ელისო ჩაფიძე**

*პარლამენტარი*



**მინდა, გამოვეხმაურო მეშახტეების აქციას, რომელიც რამდენიმე დღეა, ტყიბულში მიმდინარეობს და რომელიც ძალიან მძიმეა ჩემთვის. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მინდა, პარლამენტის ეს მაღალი ტრიბუნა გამოვიყენო და მივმართო ჩვენი გუნდის ლიდერს — ბიძინა ივანიშვილს — რის გამო ისჯებიან ტყიბულელები?!**

„ახალი თაობა“



დასაწყისი იხ. „ასავალ-დასავალი“ №7

# ირაკლი შონია:

# დარწმუნებული ვარ, ქალბატონი თამარ დეკანოსიძე ჯიხაშკარში ჩაიყვანეს და მან ზვიად გამსახურდიას ცხედარი დაათვალიერა!

*„ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში ჩვენი ერთგული მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნო დამოუკიდებელი ჟურნალისტის ირაკლი შონიას მიერ მომზადებულ შეკითხვებს, რომლებითაც მან საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უახლოეს გარემოცვას, პირადი დაცვის წევრებს, პუტჩისტებსა და ხალხის მიერ არჩეული ეროვნული ხელისუფლების პოლიტიკურ თუ სამხედრო ელიტას მიმართა (იხ. „ასავალ-დასავალი“, 2016 წლის 15-21 თებერვალი, №7 (1110) „ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გასახსნელად პროკურატურამ ამ კითხვარით უნდა იხელმძღვანელოს!“ გვ. 18-19).*

*როგორც ვიუწყებოდით, ერთმა საგაზეთო პუბლიკაციამ ირაკლი შონიას შეკითხვათა ვრცელი ნუსხა ვერ დაიტია და დაპირებისამებრ, გთავაზობთ ამ უაღრესად საინტერესო კითხვარის გაგრძელებას, რომლის ამოხსნის გარეშე ზვიად გამსახურდიას მკვლელობა მართლაც ვერ გაიხსნება!*

**— ირაკლი, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში სხვა უამრავ დეტალთან ერთად გაურკვეველი და ბურუსით მოცულია პირველი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის საკითხი მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში. წინა ინტერვიუში თქვენ კი თქვით, პრეზიდენტი ჯანზე იყოო, მაგრამ არსებობს მისი მხლებლების ჩვენებები, სადაც ლაპარაკია ზვიად გამსახურდიას დაუძლურებაზე და სავალალო ფიზიკურ მდგომარეობაზე. ვის უნდა ვენდოთ?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ზვიად გამსახურდია მთელი მისი დევნილობის პერიოდში, როცა შევარდნაძის ჯალათები და მსტოვრები მაღალმთიანი სამეგრელოს სოფლებში ფეხდაფეხ დასდევდნენ, იყო აბსოლუტურად ჯანმრთელი და ზუგდიდის რაიონის სოფელ ბაშში, ლაშხიების ოჯახში იყო მხოლოდ გაცივებული...** ისევ და ისევ ვკითხულობ — თუ პრეზიდენტი ავადმყოფობდა, ვის სახლში იგრძნო მან თავი ცუდად და თვითონ რა დაასახელა ავადმყოფობის მიზეზად? აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი ამ შეკითხვასაც — **როცა პრეზიდენტი სოფელ ჯიხაშკარში ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში იმყოფებოდა, იქვე, შორიახლოს, გუჯუჯი ებრალიძის სახლში, ჩატარდა თუ არა თათბირი იმის თაობაზე, როგორ უნდა გამოეტყუებინათ ზვიად გამსახურდია ჯონსონის სახლიდან?**

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, მსგავსი თათბირი გუჯუჯი ებრალიძის სახლში მართლა ჩატარდა?**

— ცხადია, ამ თათბირის შესახებ ინფორმაცია მაქვს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა შეკითხვებს მე ვსვამ და ვინც იმ თათბირს ესწრებოდა, კეთილი ინებოს და სიმართლე თქვას! ასევე საინტერესოა პასუხი ამ შეკითხვაზეც — **ზუგდიდში, გია და გოჩა სარიების სახლში ჩატარდა თუ არა შეკრება, სადაც ლაპარაკი იყო ზვიად გამსახურდიას ფიზიკურ ლიკვიდაციაზე?** იმყოფებოდნენ თუ არა ძმები სარიების სახლში ბადრი ზარანდიასა და ზური შონიას („პუშკინა“) მეუღლეები მძევლების სტატუსით ან ამ სტატუსის გარეშე? **შეხვდა თუ არა ბადრი ზარანდია უშიშროების პოლკოვნიკ ბასიკაშვილს, რომელიც დევნიდა ზვიად გამსახურდიას და თავის მრავალრიცხოვან კბილებამდე შეიარაღებულ რაზმთან ერთად დაბანაკებული იყო ზუგდიდში, ე.წ. ტაქსომოტორების პარკის ტერიტორიაზე?**

**— პოლკოვნიკი ბასიკაშვილი, როგორც კონსტანტინე გამსახურდიამ მითხრა, იგორ გიორგაძის მოადგილე ყოფილა...**

— დიახ, როგორც ვიცი, მისი მოადგილე იყო! გასარკვევია, რა მიზეზი დასახელდა პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრების **გოჩა კეკენაძისა** და **ზაზა ბურჯანაძის** ჯონსონ კვარაცხელიას სახლში დასატოვებლად, როცა 1993 წლის 28 დეკემბერს ზვიად გამსახურდია ჯიხაშკარიდან ძველი ხიბულასკენ მიმავალ გზას გაუყენეს?

**— როგორც ცნობილია, ზვიად გამსახურდია ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან ძმებმა ანატოლი და ზაურ ჩუხუებმა გამოიყვანეს...**

— ჰოდა, მეც მაინტერესებს — **რა მიზეზით ახსნეს ძმებმა ჩუხუებმა ის ამბავი, რომ პრეზიდენტს ჯონსონის სახლი სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა და საიდან იცოდნენ მათ, რომ ზვიად გამსახურდია ჯიხაშკარში, ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახს აფარებდა თავს?** ასევე, ჯონსონის სახლიდან წასვლის დროს პრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსმა **რობიზონ მარგველანმა** იცოდა თუ არა, სად მიჰყავდათ ძმებ ჩუხუებს ზვიად გამსახურდია, იკითხა თუ არა მან ამის შესახებ და რამდენად უსაფრთხო იქნებოდა მათი წასვლა გაურკვეველი მიმართულებით?

**— გულისხმობთ, რომ ჩუხუების გარდა, სხვამ არავინ იცოდა, სად მიჰყავდათ პრეზიდენტი?**

— დიახ, როგორც ვიცი, **ძმებმა ჩუხუებმა** არ დაასახელეს ადგილი, საითაც აპირებდნენ წასვლას და ესენიც ბრმად გაჰყვნენ ჩუხუებს. იკითხა **რობიზონ მარგველანმა** იმის შესახებ, სანდო იყო თუ არა ის ოჯახი, სადაც პრეზიდენტი უნდა მიეყვანათ, რა მანძილი ჰქონდათ გასავლელი და რამდენად უსაფრთხო იყო სახლი?

**— ცნობილია, რომ ჩუხუებმა თქვეს, ოთხ კაცზე მეტს ოჯახი ვერ მიიღებს, არ დაეტევიანო!**

— კი ბატონო, უპასუხონ შეკითხვას! როცა ზვიად გამსახურდიამ **ჯონსონ კვარაცხელიას სახლში** დატოვებულ **ზაზა ბურჯანაძესა** და **გოჩა კეკენაძეს** უთხრა, რომ იმავე მანქანით მეორე დღესვე მოაკითხავდნენ და მათაც წაიყვანდნენ, არც იმ დღეს, არც მეორე დღეს და არც მესამე დღეს, როცა პრეზიდენტი უკვე ცოცხალი აღარ იყო, რატომ არ გადმოაკითხეს ზაზასა და გოჩას მანქანით?

**— როგორც არაერთხელ მითხრეს, კარლო ღურწკაიას ოჯახი, თურმე, არ ყოფილა ზვიად გამსახურდიას მიმართ სიმპათიით განწყობილი და ისინი პუტჩისტებს თანაუგრძნობდნენ... ვინ შეარჩია პრეზიდენტის სასტუმროდ ასეთი ოჯახი?**

— ჩემი მორიგი შეკითხვაც სწორედ მაგ პრობლემას ეხება და მაინტერესებს — **ვისი იდეა იყო კარლო ღურწკაიას სახლში ზვიად გამსახურდიას მიყვანა და, საერთოდ, ამდენი რამ იწერება და ძმები ანატოლი და ზაურ ჩუხუები დღემდე რატომ დუმან და ხმას არ იღებენ?** ახლა კი ერთ-ერთი ცენტრალური შეკითხვა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გასახსნელად — რატომ გაიწელა დრო **ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან კარლო ღურწკაიას სახლამდე** 4-5 საათით მაშინ, როცა ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში, ერთ საათში პრეზიდენტი და მისი ამალა ღურწკაიებისას უნდა მისულიყვნენ?.. რა მოხდა გზაში?..

**— იგივე ჩუხუები რით ხსნიან მგზავრობის ასე უსაშველოდ გაჭიანურებას?**

— როგორც ზუსტად მახსოვს, ერთ-ერთმა ჩუხუამ ეს ყველაფერი იმით ახსნა — გზებზე პიკეტები იყოო!

**— მერედა, პიკეტებზე გაგვატარესო?**

— საქმეც ეგ არის!.. ერთ-ერთი ჩუხუა ამბობს — პიკეტზე დაგვაყოვნეს, მაგრამ ხელი დავუქნიეთ და გაგვატარესო! პირდაპირ ვაცხადებ, რომ ეს აბსურდია და აქვე ვკითხულობ — **შევარდნაძის ჯალათებით, ბალტინის ჯარითა და, საერთოდ, პუტჩისტებითა და მათი დამქაშებით სავსე სამეგრელოში, როცა ყველაფერი ოკუპირებული იყო და ზვიად გამსახურდიას ტყეებში დასდევდნენ, კანონიერი ხელისუფლების მომხრე ეროვნული გვარდიის რომელი შენაერთი იდგა ჯიხაშკარიდან ძველი ხიბულასკენ მიმავალ საავტომობილო გზაზე და ვის ჰქონდა მოწყობილი პიკეტი, რომ დევნილი პრეზიდენტი და მისი ამალა უვნებლად, ხელის ერთი აქნევით გაატარეს?** ისიც გასარკვევია, გეგმავდა თუ არა თავად ზვიად გამსახურდია პარტიზანულ მოძრაობას?

**— როგორც ვიცი, ზვიადი პარტიზანულ მოძრაობას გეგმავდა!**

— ყურადღება მივაქციოთ ერთ ფაქტს და იქნებ ვინმემ მიპასუხოს — მაშინ, როცა სოფელი ჯიხაშკარი, სოფელი ყულიშკარი და სოფელი ჯაღრა გაჭედილი იყო შევარდნაძის მსტოვრებით, ჯალათებითა და მათი ჯავშანტექნიკით, რატომ არ ისმოდა ჩამიჩუმი მაინცდამაინც სოფელ ძველ ხიბულაში, იქ, სადაც პრეზიდენტი **კარლო ღურწკაიას ოჯახში** მიიყვანეს? იმ დღეებში, როცა შევარდნაძის ჯალათებს გარშემო აკლებული ჰქონდათ ყველაფერი, ძველ ხიბულაში სრული სიწყნარე სუფევდა და ცხენიან კაცსაც კი არ ჩაუვლია სოფლის შარაზე. **რატომ აღწერენ ჯონსონ კვარაცხელია და კარლო ღურწკაია პრეზიდენტის ჩაცმულობასა და გარეგნობას სხვადასხვანაირად? რა მოხდა, ჯონსონის სახლიდან ღურწკაიებისკენ მიმავალმა პრეზიდენტმა ტანსაცმელი გზაში გამოიცვალა?** ჯონსონის სახლიდან გამოსული პრეზიდენტი გაპარსული იყო, არადა, კარლო ღურწკაია აღწერს, რომ მის სახლში შესულ „ზვიად გამსახურდიას“ წვერი ჰქონდა მოშვებული და თეთრი ნაბადი ჰქონდა მოხურული. ერთი უმნიშვნელოვანესი შეკითხვაც — **კარლო ღურწკაიას სახლთან მისული პრეზიდენტი ფეხზე რატომ ვერ იდგა და რატომ დასჭირდა სხვისი დახმარება, რომ მეორე სართულზე ასულიყო?**

**— ეს არ ვიცოდი... ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან კაცი საღსალამათი გამოვიდა და ღურწკაიების სახლის მეორე**



აკადემიკოსი თამარ დეკანოსიძე კომპიუტერის მონიტორზე ათვალიერებს ზვიად გამსახურდიას ცხედრის ფოტოს

**„როცა ზვიად გამსახურდიას ცხედარი გახსნეს, რატომ აღმოაჩნდა პრეზიდენტს შებინტული თითები, რაც მანამდე არ ჰქონდა და რატომ არ ჩაუტარდა ზვიად გამსახურდიას ცხედარს გროზნოში ექსპერტიზა?“**



ვალიკო ზარანდიას კარ-მიდამო სოფელ ჯიხაშკარში

*„რა პრინციპით შეირჩა ზვიად გამსახურდიას ცხედრის გადასასვენებლად ვალიკო ზარანდიას სახლი? იმ პრინციპით ხომ არა, რომ მთელ ჯიხაშკარში ვალიკო ზარანდიას ეზო ერთადერთი ადგილია, სადაც ვერტმფრენის დაჯდომა შეიძლება?“*

**„რატომ გაიწელა დრო ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან კარლო ღურწკაიას სახლამდე 4–5 საათით მაშინ, როცა ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში, ერთ საათში პრეზიდენტი და მისი ამალა ღურწკაიებისას უნდა მისულიყვნენ?“**



კარლო ღურწკაიას სახლი სოფელ ძველ ხიბულაში

**სართულზე დამოუკიდებლად ვერ ავიდა, ფეხზე ვერ დგებოდა?**

— უპასუხონ ამ შეკითხვას! ასევე, რობიზონ მარგველანმა პრეზიდენტისთვის მოიძია თუ არა ექიმი და თუ პრეზიდენტს ექიმი ვერ მოუყვანეს, რატომ? **თუკი რობიზონ მარგველანმა პრეზიდენტის სიცოცხლეში ვერ შეძლო ზაზა ბურჯანაძესთან და გოჩა კეკენაძესთან დაკავშირება, ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობისთანავე“ როგორ მოახერხა მათთან უპრობლემოდ კაცის გაგზავნა და ამბის შეტყობინება — პრეზიდენტმა „თავი მოიკლაო“?**

**— ანზორ მებონიას პერსონაც ძალიან ბევრ შეკითხვას ბადებს... თუ არ ვცდები, მებონია გარდაცვლილია!**

— ანზორ მებონია სოფელ ჯაღრაში ცხოვრობდა და მის სახლს 1993 წლის 14 დეკემბრიდან 22 დეკემბრამდე თავს აფარებდა ზვიად გამსახურდია. **რატომ იყო, რომ ანზორ მებონია, როცა პრეზიდენტი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მივიდა ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში და ზაზა ბურჯანაძესა და გოჩა კეკენაძეს განუცხადა — თავისუფლები ხართ, იარაღი მე ჩამაბარეთო?!** ამის შემდეგ მებონიამ ზაზასა და გოჩას ტყისკენ მიუთითა და „დააკვალიანა“ — აი, ამ ტყეს პირდაპირ გაჰყევით და სენაკში ჩახვალთო! ყველაზე საინტერესო ის არის, რომ როცა **ზაზა ბურჯანაძე** და **გოჩა კეკენაძე** ღურწკაიებთან მივიდნენ, სადაც უკვე მოკლული პრეზიდენტის ცხედარი იყო, **ანზორ მებონია** მათ იქ დახვდათ! **საიდან იცოდა ანზორ მებონიამ პრეზიდენტის სიკვდილის ამბავი და როგორ მივიდა ის ღურწკაიებთან ზაზა ბურჯანაძეზე და გოჩა კეკენაძეზე უფრო ადრე?** ისიც გასარკვევია, იყო თუ არა საშუალება, **ჯონსონ კვარაცხელიას სახლში** მისვენებული პრეზიდენტის ცხედარი ფოტოაპარატით ან ვიდეოკამერით გადაეღოთ და სცადეს თუ არა, მოეძიებინათ ფოტო და ვიდეოტექნიკა?

**— ამის საშუალება იქ იყო?**

— როგორც ვიცი და მითხრეს, სურვილის შემთხვევაში, ვიდეოკამერის მოძიება შეიძლებოდა და საბოლოოდ დამთავრდებოდა ინსინუაციები იმის შესახებ, პრეზიდენტს ერთი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი თუ რამდენიმე! **ბესარიონ გუგუშვილი** კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა, ვიდეოკამერა ეშოვათ! მან განაცხადა — დაე, დარჩეს ზვიადის სიკვდილი ლეგენდადო! **როცა გუგუშვილი გოჩა კეკენაძესთან ერთად მოლაშხიების სახლში იმყოფებოდა და პრეზიდენტი უკვე დაკრძალული იყო, გუგუშვილმა რატომ იცრუა?**



**— რას გულისხმობთ?**

— მოლაშხიების ოჯახში სუფრა იყო გაშლილი, რომელსაც სხვებთან ერთად **ბესარიონ გუგუშვილი** და **გოჩა კეკენაძე** უსხდნენ. ტელევიზიამ გადმოსცა ზვიად გამსახურდიას დაღუპვის ამბავი და ყველა შეშფოთდა. ბესარიონ გუგუშვილი წამოდგა და თქვა — პრეზიდენტი ცოცხალია, ეს გეგმის შემადგენელი ნაწილიაო!

## „კარლო ღურწკაიას სახლთან მისული პრეზიდენტი ფეხზე რატომ ვერ იდგა და რატომ დასჭირდა სხვისი დახმარება, რომ მეორე სართულზე ასულიყო?“

რატომ? როცა შევარდნაძის ჯალათები და სპეცსამსახურები ახალდამარხულ მიცვალებულებს საფლავებიდან თხრიდნენ და ზვიადის ცხედარს ეძებდნენ, მივიდა თუ არა **ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში** შევარდნაძის ერთ-ერთი საცეცი — **გია მხეიძე** და განაცხადა — მე ვიცი, აქ არის დაკრძალული ზვიად გამსახურდია და რით დაგეხმაროთო?

**— გია მხეიძე ცოცხალია?**

— კი ბატონო, ცოცხალია! იცით, როგორ არის? **ჯონსონ კვარაცხელიას სახლში** ისე ვერანაირად ახვალ, თუ **გია მხეიძის** სახლი არ აიარე... როცა **ჯონსონ კვარაცხელიას სახლიდან** ზვიად გამსახურდიას ცხედარი **ვალიკო ზარანდიას სახლში** გადაასვენეს, ცერემონიალში ოცზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. დავიჯერო, იმ ოც კაცში არცერთი გამცემი და გამყიდველი არ იყო? ახლა მივადექით ერთ-ერთ საკვანძო საკითხს... მოგეხსენებათ, **ვალიკო ზარანდიასა** და **ნათელა ზარანდიას ოჯახში,** სახლის მეორე სართულზე, რამდენიმე დღის განმავლობაში იყო დასვენებული ზვიად გამსახურდიას ცხედარი. მაინტერესებს, რობიზონ მარგველანმა ზვიადის სანახავად შეუშვა თუ არა გარეშე პირი? რა პრინციპით შეირჩა ზვიად გამსახურდიას ცხედრის გადასასვენებლად **ვალიკო ზარანდიას სახლი?** იმ პრინციპით ხომ არა, რომ მთელ ჯიხაშკარში ვალიკო ზარანდიას ეზო ერთადერთი ადგილია, სადაც ვერტმფრენის დაჯდომა შეიძლება? სხვაგან ვერტმფრენის დასმა გამორიცხულია!

**— ირაკლი, ეჭვობთ, რომ ზვიად გამსახურდიას ცხედარი შევარდნაძის წარმომადგენლებმა ნახეს, რომლებიც ვერტმფრენით ჩამოაფრინეს?**

— მიპასუხონ ერთ-ერთ საკვანძო შეკითხვაზე — **საიდან უნდა სცოდნოდა პათანატომ თამარ დეკანოსიძეს ვალიკო ზარანდიას სახლის შიდა ინტერიერის განლაგება, როდესაც ოფიციალურად არცერთი ექსპერტი ჯიხაშკარში არ ყოფილა?** დარწმუნებული ვარ, ქალბატონი თამარ დეკანოსიძე ჯიხაშკარში ჩაიყვანეს და მან ზვიად გამსახურდიას ცხედარი დაათვალიერა! **რატომ აწამეს ზუგდიდის იზოლატორში ვალიკო ზარანდია, რომელიც ამ წამების შემდეგ მალე გარდაიცვალა და რატომ მოუკლეს შევარდნაძის ჯალათებმა მას ერთ-ერთი შვილი?** რატომ არავინ შეეხო **ჯონსონ კვარაცხელიასა** და **კარლო ღურწკაიას?** საერთოდ, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ადგილად ხობის რაიონის სოფელი ძველი ხიბულა პირველად 1997 წელს დასახელდა. მანამდე სულ ლაპარაკი იყო სოფელ ჯიხაშკარის შესახებ... **რატომ დუმდა კარლო ღურწკაია იმაზე, რომ პრეზიდენტი ჯიხაშკარში კი არა, მის სახლში, სოფელ ძველ ხიბულაში აღესრულა?** გეტყვით, რატომაც არ იღებდა ღურწკაია ხმას — **რობიზონ მარგველანმა** გააფრთხილა და იმიტომ! ეს შეკითხვა კი ექსპერტებს ეკუთვნით და მათ გაგვცენ კომპეტენტური პასუხი — თუ ზვიად გამსახურდიას წერტილოვანი დარტყმები ჰქონდა მიყენებული, სხეულზე ამ დარტყმების კვალი უნდა დარჩენილიყო თუ არა? მიპასუხონ — თვითმკვლელობის შემთხვევაში ზვიად გამსახურდიას უნდა შერჩენოდა თუ არა იარაღი ხელში? **თუ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა, საფეთქელთან ტყვია მიბჯენით რატომ არ დაიხალა და რატომ მოძრაობდა ტყვია ზევიდან ქვევით და არა პირიქით?** ასევე, თუ ზვიად გამსახურდიამ „სტეჩკინით“ მოიკლა თავი, ეს იარაღი რატომ დაზეთა **რობიზონ მარგველანმა** და რატომ გაანადგურა ამ გზით თითის ანაბეჭდები? რატომ გაანადგურეს ზვიად გამსახურდიას საწოლი?.. მოგეხსენებათ, იმ ქვეშაგებს, რომელზეც პრეზიდენტი ღურწკაიების ოჯახში იწვა, **რობიზონ მარგველანმა** ჯონსონ კვარაცხელიას ეზოში ბენზინი გადაასხა და დაწვა. რატომ? გროზნოს პროზექტურაში, როცა ზვიად გამსახურდიას ცხედარი გახსნეს, რატომ აღმოაჩნდა პრეზიდენტს შებინტული თითები, რაც მანამდე არ ჰქონდა და რატომ არ ჩაუტარდა ზვიად გამსახურდიას ცხედარს გროზნოში ექსპერტიზა?



## „თუ ზვიად გამსახურდიამ „სტეჩკინით“ მოიკლა თავი, ეს იარაღი რატომ დაზეთა რობიზონ მარგველანმა და რატომ გაანადგურა ამ გზით თითის ანაბეჭდები?“

## „იმ ქვეშაგებს, რომელზეც პრეზიდენტი ღურწკაიების ოჯახში იწვა, რობიზონ მარგველანმა ჯონსონ კვარაცხელიას ეზოში ბენზინი გადაასხა და დაწვა. რატომ?“

**— როცა თბილისში გადმოასვენეს პრეზიდენტის ნეშტი, მაშინ მაინც ჩაეტარებინათ ექსპერტიზა!..**

— გეთანხმებით და ჩემი მორიგი შეკითხვაც ასეთია — საკმარისად ჩაითვალა თუ არა როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზა და რატომ არ შეიძლებოდა პრეზიდენტის ნეშტზე თბილისში ექსპერტიზის ჩატარება? წაკითხული მაქვს გამომძიებელ **მერაბ რაფავას** ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, რომ სააკაშვილის დროს **ზურაბ ადეიშვილმა** მას ორი შუამდგომლობიდან ერთი არ დაუკმაყოფილა. კერძოდ, პირველი შუამდგომლობით ზვიად გამსახურდიას ყველა ბრალდება მოუხსნეს, მაგრამ ადეიშვილმა სამხედრო გადატრიალების ბრალდებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნას ვეტო დაადო. რატომ და ვისი დავალებით მოიქცა ასე ზურაბ ადეიშვილი და ყველაზე მთავარი — **რატომ არ დაიკითხა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეზე ედუარდ შევარდნაძე?**

**— შევარდნაძე კი არა, ამ საქმეზე ჯერჯერობით თითქმის არავინ დაუკითხავთ!**

— ჰოდა, მეც მაინტერესებს — დაჰკითხეს თუ არა **ძმები ჩუხუები, იგორ გიორგაძე,** მაშინდელი უშიშროების **სპეცრაზმ „ალფასა“ და გია გულუას რაზმის წევრები?** მოგვაწოდონ ოფიციალური მონაცემები იმის შესახებ, თუ როდის და რომელ რიცხვში დატოვეს სამეგრელოს ტერიტორია გია გულუას რაზმმა და უშიშროების სპეცრაზმ „ალფას“ წევრებმა? როგორც ვიცი, ესენი ერთმანეთს აბრალებენ — არა, მე გამოვედი სამეგრელოდან უფრო ადრე და არა — მეო!

### ძალიან მაინტერესებს, რატომ არ ხდება ბესარიონ გუგუშვილის, რობიზონ მარგველანისა და ბაჩუკი გვანცელაძის ექსტრადირება საქართველოში

და კიდევ ერთიც — თუ ბესარიონ გუგუშვილი მიიჩნევს, რომ დღევანდელი პროკურატურა არის შევარდნაძის ხუნტის მემკვიდრე და მასთან თანამშრომლობა ამის გამო არ უნდა, მაშინ თვითონ რატომ ითანამშრომლა შევარდნაძის ხუნტასთან, როცა 1994 წლის თებერვალში ავთანდილ მარგიანთან ხელშეკრულება გააფორმა, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გამომწვევ მიზეზებს არასდროს გამოვიძიებთო?

**— ვაღიარებ, რომ ძალიან შთამბეჭდავი შეკითხვებია, რომელთა ამოხსნის გარეშეც ზვიად გამსახურდიას მკვლელობა მართლაც ვერ გაიხსნება. რაც შეეხება თქვენს დოკუმენტურ ფილმს, რომელიც ზვიად გამსახურდიას ეძღვნება, როგორი იქნება ეს ფილმი?**

— ეს არ იქნება საგამომძიებლო ფილმი... დრო გადის, ადამიანები ამქვეყნიდან მიდიან და უმნიშვნელოვანესი ფაქტები და მოვლენები რომ არ დაკარგულიყო, გადავწყვიტე, დოკუმენტური ფილმი გადამეღო. **ჩავწერე და გადავიღე ადამიანები, რომლებიც მშვიდობიანობისა თუ ომის დროს ახლოს იყვნენ ზვიად გამსახურდიასთან, რომლებმაც უმასპინძლეს და დახმარების ხელი გაუწოდეს საქართველოს პირველ პრეზიდენტს.** შევეცადე, შემექმნა შევარდნაძის ჯალათების წინააღმდეგ მებრძოლი ზვიად გამსახურდიას სახე... თუ როგორ გავართვი ამ საქმეს თავი, ეს უკვე საზოგადოებამ შეაფასოს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



## „ბესარიონ გუგუშვილი კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა, ვიდეოკამერა ეშოვათ! მან განაცხადა – დაე, დარჩეს ზვიადის სიკვდილი ლეგენდადო!“

KALMATRON
და არავითარი ნესტი
მარტივი გამოსავალი KALMATRON-ია, რომელიც გამოიყენება ბეტონში და ლესვის დროს ბათქაშში დანამატის სახით, აგრეთვე ნებისმიერი პრობლემური ადგილის დასამუშავებლად. KALMATRON-ი სამუდამოდ აგვარებს მსგავს პრობლემებს. ჩვენს საფირმო მაღაზიებში შეგიძლიათ, შეიძინოთ ჟანგსაწინააღმდეგო, თბოსაიზოლაციო, ბეტონის და ბათქაშის პლასტიფიკატორი, აგრეთვე ბეტონის და ბათქაშის მდგრადობის დამაჩქარებელი და შემანელებელი მასალები, სხვადასხვა ნაირსახეობის ჰიდროსაიზოლაციო მასალები და სამშენებლო ქიმია.
ნესტი
10kg
www.kalmatrongeorgia.ge
თბილისი, გურამიშვილის გამზ. 12-ა, კორპ. 5; 214-80-36; 555-78-98-80; 593-10-94-64. ბათუმი, გრიბოედოვის 2; 214-80-36; 593-11-94-64.
პატივისცემით,
HOLDING KALMATRONGEORGIA

***როგორ მოჩანს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები რუსეთიდან, ვინ მართავს მოვლენებს, იქნება თუ არა რუსეთსა და თურქეთს შორის ომი და რა მოელის საქართველოს რეგიონში კრიზისის გაღრმავების შემთხვევაში? — ექსკლუზიურად ვესაუბრებით ქრისტიანული სოლიდარობის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტს, ქრისტიანული ეკლესიის მხარდამჭერის ფონდის დირექტორს, საერთაშორისო ასოციაცია „ქრისტიანობა-ისლამის“ თანათავმჯდომარეს, ცნობილ რუს ტელეწამყვანსა და პოლიტოლოგს დიმიტრი პახომოვს:***




# დიმიტრი პახომოვი:
# არ გამოვრიცხავ, რუსეთისა და თურქეთის შეიარაღებულ ძალებს შორის შეჯახება საქართველოს ტერიტორიაზეც მოხდეს!

— ყველა იმ კრიზისს შორის, რაც რუსეთსა და თურქეთს შორის ოდესმე ყოფილა, მიმდინარე კრიზისი ყველაზე მძაფრია. რამდენიმე წლის წინათ ეს ორი ქვეყანა თითქმის პარტნიორები იყვნენ. გერმანელების შემდეგ თურქულ კურორტებზე ყველაზე ხშირად სწორედ რუსი ტურისტები ისვენებდნენ, რის შედეგადაც თურქეთის ბიუჯეტში დიდძალი ფული შედიოდა. ახლა სიტუაცია 180 გრადუსით შემობრუნდა, რაც გარე ფაქტორებმა განაპირობა. თურქეთზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ისეთმა საერთაშორისო მოთამაშეებმა, როგორებიც არიან ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები. მათ უკრაინაში მიმდინარე მოვლენების და ყირიმის რუსეთთან შეერთების შემდეგ პირდაპირ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის დამხობა განიზრახეს, რადგან პუტინის მმართველობის პერიოდში რუსეთმა მათგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება დაიწყო.

**ამერიკასა და ევროკავშირს სურთ, რუსეთი იმ მდგომარეობაში დააბრუნონ, როცა ის მუხლებზე დაჩოქილი და ხელგაწვდილი ეხვეწებოდა უცხო ქვეყნებს დახმარებას.** პირდაპირ გეუბნებით, რომ ამერიკა და ევროკავშირი რუსეთში კანონიერი ხელისუფლების დამხობას ცდილობენ და ყველა მათი ნაბიჯი აქეთკენ არის მიმართული.

**— საქართველოშიც თუ აქვთ იგივე ამოცანა?**

— დიახ. ისინი არავის დაინდობენ, ვინც ოდნავ მაინც განუდგება მათ პოზიციებს. ფერადი რევოლუციებისა და პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში დასავლეთისთვის სასურველი ხელისუფლებების ჩანაცვლების პროცესი დღემდე გრძელდება. მათი ინტერესის სფეროშია საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანიც კი! ბოლო დროს ამ მიზნით აქტიურად იყენებენ ე.წ. ისლამურ ფაქტორს. **ახლაც საქართველოს თავს მოახვიეს ახლო აღმოსავლეთიდან დევნილი მოსახლეობის მიღების ვალდებულება, რომელთა შორის მრავლად არიან რადიკალი ისლამისტები და ტერორისტები.** ისედაც, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა — 235 ათასი უცხოტომელი დევნილის მიღება კატასტროფის ტოლფასია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში რამდენიმე ისლამური რეგიონი არსებობს, აჭარის, პანკისის ხეობისა და ქვემო ქართლის სახით, რომელთა მიმართაც რადიკალი ისლამისტები რახანია, ყურადღებას ავლენენ, ამ ლტოლვილების საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვლება ისლამისტების სასარგებლოდ. გამორიცხული არ არის, საქართველოში ხელისუფლების შეცვლაც ამ ძალების საშუალებით განხორციელდეს!

რუსებისთვის განსაკუთრებით შესამჩნევია პანკისის ხეობა, რომელიც ჩეჩნეთში მიმდინარე ომების დროს, ფაქტობრივად, ანტირუსულ, ბოევიკების მოსამზადებელ პლაცდარმად გადაიქცა. ამ პოლიტიკას განსაკუთრებით აქტიურად უჭერდა მხარს სააკაშვილი და მას შემდეგ, რაც იგი საქართველოს ხელისუფლებაში აღარ არის, პანკისში თბილისისთვის სრულიად უკონტროლო სიტუაციაა. ლტოლვილების საქართველოში შემოსახლება გამოიწვევს ჩრდილოეთ კავკასიის ცხელ რეგიონებთან მათი კონტაქტების ჩამოყალიბებას. ამდენ ლტოლვილში ძალზე ადვილი იქნება ბოევიკების შენიღბვა და ჯამში ეს ყოველივე საქართველოში ფეთქებადსაშიშ გარემოს შექმნის!

**— რადიკალი ისლამისტები ჩრდილოეთ კავკასიაში პოზიციების გამაგრებას მოახერხებენ?**

— დაღესტნის საზღვრის მახლობლად ისლამისტურ-ექსტრემისტული ძალების კონცენტრაცია ხდება. გავიხსენოთ, ხასავიურტში როგორ შეეწინააღმდეგა 3-ათასკაციანი ბრბო ვაჰაბიტური მეჩეთის დახურვას, გავიხსენოთ უამრავი ტერაქტი, რომლებსაც რადიკალი ისლამისტები მუდმივად აწყობენ... კავკასია ხომ რუსეთსა და თურქეთს შორის ერთგვარი ბუფერული ზონაა და რუსულ-თურქული დაპირისპირების შემდგომი გაღრმავება, უპირველეს ყოვლისა, ამ რეგიონზე აისახება! გავითვალისწინოთ, რომ კავკასიაში სიტუაციის არევა, ისლამური ფუნდამენტალიზმის წინ წამოწევა — არის მართული პროცესი, რომელიც რუსეთისთვის ახალი თავსატეხების შექმნას ისახავს მიზნად, მაგრამ ამ სიტუაციას კავკასიელი ხალხების უსაფრთხოება და სიცოცხლეც ეწირება! **შეიძლება ითქვას, რომ სემუელ ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების თეორია“, რომელიც ლაღადებს, რომ მსოფლიოში გადამწყვეტი წინააღმდეგობა ისლამურ და ქრისტიანულ სამყაროებს შორის იქნება — ზარალ-ვეულწილად, კავკასიაში უკვე ხორცს ისხამს...**

**— ბატონო დიმიტრი, პირდაპირ გკითხავთ... როგორია თქვენეული პროგნოზი? რუსეთ-თურქეთის ომი იქნება?**

— თურქეთი **ნატო**-ს წევრი ქვეყანაა და ნებისმიერი შეიარაღებული დაპირისპირება შეიძლება გლობალურ ომში გადაიზარდოს, რასაც მთელ მსოფლიოში დამანგრეველი შედეგები მოჰყვება. ომი სირიის ტერიტორიაზე ისედაც მიმდინარეობს, სადაც რუსებიც და თურქებიც მონაწილეობენ და ნებისმიერ მომენტში მოსალოდნელია, მოვლენები კონტროლიდან გავიდეს. არადა, ამ შემთხვევაში საქართველო ყველაზე მეტად დაზარალდება, რადგან რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების ეპიცენტრში მოხვდება!

**— რას მოიმოქმედებს ასეთ შემთხვევაში რუსეთი?**

— რუსეთს ისედაც აქვს გავლენა საქართველოს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც, როგორც ქართველები თვლიან — ოკუპირებულია. რა თქმა უნდა, რუსეთი თავისი ინტერესების და პრორუსულად განწყობილი რეგიონების დაცვას ყოველგვარი საშუალებით შეეცდება. დიდი ალბათობა არსებობს, რომ რუსეთი საქართველოს სხვა ტერიტორიებზეც შეიყვანს თავის შეიარაღებულ ძალებს, **გამორიცხული არ არის, რომ რუსეთისა და თურქეთის შეიარაღებულ ძალებს შორის შეჯახება საქართველოს ტერიტორიაზეც მოხდეს.**

ამას გარდა, არსებობს სხვა ფაქტორებიც: უკრაინაში გადახვეწილი სააკაშვილი და მისი ჯგუფი, რომელიც დასავლეთის რეაქციული წრეებისგან იმართება, ასეთი კონფლიქტის წარმოქმნას ყველანაირად ხელს შეუწყობენ. ისინი ისედაც თანამშრომლობენ ისლამისტ ტერორისტებთან, ვაჭრობენ მათთან იარაღით. გასათვალისწინებელია, რომ დასავლეთის რეაქციული წრეები მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმდევართა წინააღმდეგ დიდ ალიანსში ერთად უყრიან თავს ფსევდოლიბერალებს, სექსუალური უმცირესობის ლობისტებს და ისლამისტებსაც კი.

**საქართველოც და რუსეთიც მართლმადიდებლური ქვეყნები არიან. საქართველოსთვის ყველაზე დიდი ძნელბედობის ჟამს, როცა ქართველების რაოდენობა კრიტიკულ ზღვრამდე, ნახევარ მილიონამდე შემცირდა, სწორედ რუსეთმა იხსნა განადგურებისგან ისინი. ვილაცები ამას ოკუპაციას არქმევენ, თუმცა, ჯანსაღად მოაზროვნე ქართველები ხვდებიან, რომ სინამდვილეში ეს იყო გადარჩენა.**

ქართველებს დაფიქრება მართებთ, რათა ნამდვილი მტერი ამოიცნონ, რომელიც მართლმადიდებლობისგან მათ მოწყვეტას ცდილობს. ტვინის გამორეცხვის ასეთი პოლიტიკა შევარდნაძის მმართველობის პირობებში გაიფურჩქნა და მთელი ინერციით სააკაშვილის დროს გაგრძელდა. საგულისხმოა, რომ, პირველ რიგში, ერის ისტორიულ მეხსიერებაზე მოხდა შეტევა, რაც დღემდე გრძელდება.

**— აქვს თუ არა რუსეთის ხელისუფლებას ქართველ კოლეგებთან კომუნიკაცია, რათა თითქმის ომისწინა სიტუაციაში მყოფი ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო პოზიციაზე შეთანხმდნენ?**

— 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ რუსეთმა არაერთხელ სცადა საქართველოსთან ურთიერთობის მოწესრიგება, მაგრამ საქართველოში მრავლად არიან ისეთი ძალები, ვისაც დავალებული აქვთ, არ დაუშვან ეს პრეცედენტი. იგულისხმება ამერიკის რეაქციული წრეები, რომელთა ნებას, სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებაში სერიოზულ ანგარიშს უწევენ.

**— ახლახან საქართველოს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ესტუმრა. რა არის მისი ვიზიტის მთავარი მიზანი?**

— რამდენადაც თურქეთი ახლო აღმოსავლეთში ამერიკული პოლიტიკის გამტარებელია,. მევლუდ ჩავუშოღლუს ვიზიტის მთავარი მიზანი ქართველების პოზიციის კიდევ ერთხელ შემოწმებაა, რათა თურქებმა ზუსტად იცოდნენ, რუსებთან დაპირისპირების ესკალაციის შემთხვევაში უნდა ჰქონდეთ თუ არა ქართველების იმედი? **თურქეთი დღეს ნეოოსმანიზმის თეორიით ხელმძღვანელობს, ეს კი ოსმანთა ოდინდელი იმპერიის აღდგენას ითვალისწინებს, რომელიც მოლდოვიდან საუდის არაბეთამდე გადაიჭიმება.** ამერიკელებს კარგად ესმით, რომ თურქეთის ამხელა ამბიციებ კარგ შედეგს არ მოიტანს, მაგრამ ამ ეტაპზე თურქეთი მაინც მათი თანადგომით სარგებლობს და რეგიონში ფავორიტად ითვლება. მევლუდ ჩავუშოღლუს ვიზიტი სწორედ ასეთ კონტექსტში უნდა შეფასდეს.

**— ბატონო დიმიტრი, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები — აფხაზეთი და სამაჩაბლო — ოდესმე დაუბრუნდება საქართველოს?**

— ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საქართველო რუსეთთან საერთო ენას გამონახავს, თუ აფხაზ და ოს ხალხებთან ერთად, რომლებიც პრორუსულ პლატფორმაზე არიან — საერთო საგარეო პოლიტიკას შეიმუშავებს... ასეთ შემთხვევაში არსებობს რეალური პერსპექტივები, საქართველო, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კვლავ ერთიან სახელმწიფოდ გადაიქცეს. მინდა, თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ქართველი ხალხის — ამ უძველესი კულტურისა და ტრადიციების, გმირული ისტორიის შემქმნელი ერის მიმართ ჩემი დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოვხატო. მჯერა, რომ ქართველები შეძლებენ, ამ კრიზისულ დროში თავიანთი ქვეყნის არა მხოლოდ გადარჩენის, არამედ აღორძინებისა და გაბრწყინების გზაც იპოვონ!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***



## კვირგვინოსნები



**ჰამლეტ ჭიპაშვილი**
*პოლიტოლოგი*

**საქართველოს ხელისუფლებას რომ მეტი გამჭრიახობა გამოეჩინა და სტამბოლის 1999 წლის გადაწყვეტილებიდან, აგრეთვე 2005 წლის საქართველო-რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებიდან გამომდინარე ბათუმში არსებული ყოფილი რუსული სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე საქართველო-რუსეთის ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრი შეექმნა, ჩემი ღრმა რწმენით, დღეს გაცილებით უფრო დაცულად ჩავთვლიდით თავს.**

„საქართველოს რესპუბლიკა“



**დავით ახალაძე**
*ჟურნალისტი*

თუ რუსეთს აქვს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი დროებით მიტაცებული, დანარჩენი 80 პროცენტი ბრიუსელს, სტრასბურგსა და ვაშინგტონს აქვთ ზნეობრივად „ოკუპირებული“! **მათი რეკომენდაციების გარეშე ნაბიჯს ვერ დგამს საქართველოს მარიონეტული ხელისუფლება და ეს არის ჩვენი ყველა უბედურების სათავე!**

„საქართველოს რესპუბლიკა“



**სოსო ჯაჭვლიანი**
*პარლამენტარი*

**ახლო აღმოსავლეთში მილიონობით გაუბედურებული ადამიანია ევროპისაკენ დაძრული. ჩვენკენაც მოდიან და ეს მავანმა შეიძლება ძალიან კარგად გამოიყენოს. ეტყობა, ვიღაცები ძალიან მსუყედ ფინანსდებიან და ასეთი რაღაც არ აწყობთ.**

„რეზონანსი“

# „რუსეთ-თურქეთის ომის შემთხვევაში საბრძოლო მოქმედებების თეატრი, ჩვენი პროგნოზით, შავ ზღვაზე, კერძოდ, სტამბოლის მიმართულებით გაიშლება და რუსეთი ზღვიდან შეუტევს ძველ კონსტანტინოპოლს!“



„თურქეთში მცხოვრებ ქურთებს, ბულგარელებს, სომხებს, ქართველებს, ლაზებს, ალევებს, რომლებიც, ისევე როგორც ლაზები, ეთნიკური ქართველები არიან, გაუჩნდებათ თვითგამორკვევის სურვილი და წინა პლანზე წამოიწევს ჩრდილოეთ კვიპროსის პრობლემაც!“





„თურქეთის, სირიისა და ერაყის ქურთების გაერთიანებისა და ურთიერთსოლიდარობის პროცესს ვერაფერი შეაჩერებს!“

*საერთაშორისო ორგანიზაცია „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის“ თავმჯდომარე, პოლიტოლოგი ზაალ კასრელიშვილი უკიდურესად გართულებული საერთაშორისო ვითარების ფონზე დაბეჯითებით აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში რუსეთსა და თურქეთს შორის ომი გაჩაღდება! კასრელიშვილის თქმით, ომის თეატრი დიდი ალბათობით შავ ზღვაში გაიშლება და რუსეთი ძველთაძველ კონსტანტინოპოლს, ანუ დღევანდელ სტამბოლს შეუტევს! შექმნილ სიტუაციაში ზაალ კასრელიშვილი საქართველოს ხელისუფლებას სამ პოლიტიკურ რჩევას აძლევს!*

## ზაალ კასრელიშვილი:

# ჩვენი ვარაუდით, 2016 წლის მაის-ივნისში რუსეთსა და თურქეთს შორის მოსალოდნელია დიდი ომი!




**— ბატონო ზაალ, თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს გაზეთს განუცხადეთ — 2016 წლის მაის-ივნისში რუსეთსა და თურქეთს შორის მოსალოდნელია ომის დაწყებაო! მაშინ ამ ცნობას, ცოტა არ იყოს, ირონიულად შევხვდი, მაგრამ დღეს მთელი მსოფლიო ამ ახალი, დიდი ომის საფრთხეზე ლაპარაკობს. რა იქნება — რუსეთი და თურქეთი კიდევ ერთხელ იომებენ?**

— ანკარასა და დიარბექირში ამ დღეებში ტერაქტები მოხდა და თურქეთის მოსახლეობას ამის გამო სამძიმარს ვუცხადებთ. ვამბობდით და კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ ტერორიზმი, როგორც შურისძიებისა და ომის საშუალება, ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია! **რაც შეეხება რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელ ომს, დიახ, ჩვენი ვარაუდით, 2016 წლის მაის-ივნისში რუსეთსა და თურქეთს შორის მოსალოდნელია დიდი ომი!** რუსეთიც და თურქეთიც — ორივე იმპერიული სახელმწიფოა, ორივეს სურს ძველი დიდების აღდგენა და სწორედ ეს ამბიციები უბიძგებს მათ ომისკენ. არც ერთმა და არც მეორემ არ და ვერ გაითავისა ის აზრი, რომ ოცდამეერთე საუკუნეში იმპერიის აღდგენა მეჩვიდმეტე საუკუნის მეთოდებით ყოვლად წარმოუდგენელია. **პუტინსაც და ერდოღანსაც, რომლებიც ერთი ტიპის ლიდერები არიან, შიდა პრობლემების გადასაფარავად და ხალხის უკმაყოფილების ჩასახშობად ყოველ ექვს-რვა თვეში სჭირდებათ მცირე საგარეო წარმატება, რისთვისაც ომი საუკეთესო საშუალებაა.**

**— ფაქტია, რომ სირიაში რუსეთმა, თურქეთმა, საუდის არაბეთმა და ირანმა ერთმანეთს ძალა უკვე მოუსინჯეს...**

— თურქეთი ღიად აცხადებს, რომ ის სირიაში ჯარს შეიყვანს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე მინიმუმ ოთხი სახელმწიფოს ინტერესები დაუპირისპირდება ერთმანეთს. თურქეთი მიიჩნევს, რომ ალეპო და მისი მიმდებარე ტერიტორია ოსმალეთის იმპერიის ნაწილი, ანუ მისი საკუთრებაა. თურქეთს აცოფებს ბაშარ ასადის განცხადება, რომ ის ქურთებს სირიაში ფართო ავტონომიას მისცემს. გავითვალისწინოთ, რომ ერაყში ქურთებს უკვე აქვთ ფართო ავტონომია... **თურქეთს რჩება ერთადერთი გზა — ფიზიკურად გაჭრას და დაიკავოს ის ტერიტორია, რომელიც თურქეთის ქურთებს სირიის ქურთებთან აკავშირებს!** აშკარაა, რომ თურქეთის ხელისუფლებას ძალიან აშინებს სირიელი და ერაყელი ქურთების სოლიდარობა თურქეთის ქურთებისადმი! ობიექტურობა და მოვლენათა განვითარების კანონზომიერება გვაიძულებს, ვაღიაროთ, რომ თურქეთის, სირიისა და ერაყის ქურთების გაერთიანებისა და ურთიერთსოლიდარობის პროცესს ვერაფერი შეაჩერებს!

**— ბატონო ზაალ, თურქეთის სირიაში შეჭრას რუსეთი რით უპასუხებს?**

— ფაქტია, რომ თუ თურქეთი სირიაში შეიჭრება, ამას ავტომატურად მოჰყვება სირიაში საუდის არაბეთისა და ყატარის შესვლა, რომლებიც თურქეთთან ერთად ახალი ისლამური კოალიციის წევრები არიან. ეს გამოიწვევს სუნიტებსა და შიიტურ ირანს შორის ვითარების უკიდურეს გამწვავებას. მოგეხსენებათ, შიიტური ირანის უკან რუსეთი დგას. **რუსეთ-თურქეთის ომის შემთხვევაში საბრძოლო მოქმედებების თეატრი, ჩვენი პროგნოზით, შავ ზღვაზე, კერძოდ, სტამბოლის მიმართულებით გაიშლება და რუსეთი ზღვიდან შეუტევს ძველ კონსტანტინოპოლს...**

**— სხვათაშორის, რუსებს კონსტანტინოპოლზე, ანუ ცარგრადზე ლაშქრობის დიდი გამოცდილება აქვთ — კიევის რუსეთის მთავრები მეათე საუკუნეში ბიზანტიის იმპერიას სწორედ ზღვიდან, კონსტანტინოპოლიდან უტევდნენ... საქართველო თურქეთის ზურგია და რუსეთი ამჯერად ზურგიდანაც ხომ არ შეეცდება თურქეთზე თავდასხმას?**

— ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეს საქართველოს მხრიდან მოხდება... საერთოდ, ეს ომი რუსეთსაც დიდ პრობლემებს შეუქმნის, რადგან არ დაგავიწყდეთ, რომ რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის 27-33 პროცენტი სწორედ სუნიტი მუსლიმია და თურქეთიც სუნიტური სახელმწიფოა. თუ რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობის დროს რუსეთი საქართველოში შემოვა, ეს გამოიწვევს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მოძრავი ენერგომატარებლების ჩაკეტვას, რაც ევროპას იძულებულს გახდის, რუსეთს დაუძინებელ მტრად მოეკიდოს. ამ შემთხვევაში ლარი გაუფასურდება და მოსახლეობაში პროტესტის გრძნობა გამძაფრდება...

**— რა შანსები აქვს მოსალოდნელ ომში თურქეთს? საფრანგეთმა და გერმანიამ უკვე განაცხადეს, რომ ისინი რუსეთის წინააღმდეგ არ იომებენ!**

— თურქეთის შიგნით ისეთი პროცესი მიდის, რაც თითქმის შეუძლებელს ხდის, რომ თურქეთის მმართველმა ელიტამ დღევანდელი თურქეთის სახელმწიფო არსებულ საზღვრებში შეინარჩუნოს!

**— უფრო კონკრეტულად, თუ შეიძლება!**

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ თურქეთში მცხოვრებ ქურთებს, ბულგარელებს, სომხებს, ქართველებს, ლაზებს, ალევებს, რომლებიც ისევე როგორც ლაზები, ეთნიკური ქართველები არიან, გაუჩნდებათ თვითგამორკვევის სურვილი და წინა პლანზე წამოიწევს ჩრდილოეთ კვიპროსის პრობლემაც. რა სტატუსს მიიღებენ ეს ერები და ეროვნული უმცირესობები, არ ვიცით, მაგრამ თურქეთი რომ უსერიოზულესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდება, ეს ფაქტია!

**— ბატონო ზაალ, თუ რუსეთსა და თურქეთს შორის ომი დაიწყო, საქართველოს ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს?**

— ახლა ისეთი სიტუაციაა, საქართველოს მოსახლეობასა და მთელ პოლიტიკურ სპექტრს, როგორც არასდროს, ისე გვმართებს ერთობა. ღვთის ნებით, პროცესები საქართველოს სასიკეთოდ ვითარდება! **ვურჩევ ჩვენს ხელისუფლებას, სასწრაფოდ დაელაპარაკოს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს მიმდინარე პროცესებში საქართველოს როლისა და რეგიონში ჩვენი სტატუსის შესახებ. ეს არ უნდა იყოს ხვეწნა-მუდარა, ეს უნდა იყოს საქმიანი ლაპარაკი, რადგან დასავლეთში ყველამ კარგად იცის, რაც მოხდება.** საქართველოს ხელისუფლება, ასევე, სასწრაფოდ უნდა დაელაპარაკოს მსოფლიოს 21 ქვეყანაში მცხოვრებ კავკასიურ დიასპორებს, რომლებსაც ყველგან ძალიან დიდი გავლენა აქვთ. მესამე და ყველაზე მთავარი — **საქართველომ, როგორც რეგიონულმა ჰაბმა, უნდა გაარკვიოს ურთიერთობა კრემლთან და იმ მესიჯების საპასუხოდ, რომლებიც მოსკოვიდან მოდის, რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას თვითონაც გაუგზავნოს მესიჯი!**

**— როგორი უნდა იყოს ეს მესიჯი?**

— საქართველოს მესიჯი რუსეთისადმი უნდა იყოს მოკლე — **„აფხაზეთი, დვალეთი, ცხინვალი, ყარსის ვერაგული ზავი და ამ ზავით დაკარგული ჩვენი სახელმწიფოებრიობა და ტერიტორიები!“** ჩვენ ილუზიებით არ ვცხოვრობთ, მაგრამ თავს ვდებთ და დარწმუნებული ვართ, რომ ამ მესიჯების გაჟღერების შემთხვევაში ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების, რუსეთის, თურქეთისა და კავკასიელების წინაშე ჩვენი ავტორიტეტი და გავლენა ერთი ათასად გაიზრდება!

> **„საქართველოს მესიჯი რუსეთისადმი უნდა იყოს მოკლე – „აფხაზეთი, დვალეთი, ცხინვალი, ყარსის ვერაგული ზავი და ამ ზავით დაკარგული ჩვენი სახელმწიფოებრიობა და ტერიტორიები!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**ვახტანგ მაისაია**
*ექსპერტი სამხედრო უსაფრთხოების საკითხებში*

**რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება კავკასიაშიც გადმოვა.**

„ახალი თაობა“



**ლევან გუმბერიძე**
*თურქეთის ელჩი საქართველოში*

**თურქეთი დაინტერესებულია, რომ არათუ აჭარა, არამედ აფხაზეთიც და ოსეთიც საქართველოს განუყოფელი ნაწილი გახდეს და მაქსიმუმს გააკეთებს საამისოდ.**

„რეზონანსი“



**ვალერი ხაბურძანია**
*უშიშროების ყოფილი მინისტრი*

საქართველოში რუსული პროპაგანდის ოდნავ ჩანასახსაც კი ვერ ვხედავ, რაც ხდება, ეს არის, უბრალოდ, საზოგადოების რეაქცია დასავლეთის ჩავარდნილ პოლიტიკაზე. **აგერ, გამოდის აპატურაი და კვარტალში ერთხელ ბოდიალობს რაღაცას, ამ ადამიანს ნებისმიერი თავმოყვარე ერი ნამდვილად გალახავდა.** ძალადობის მომხრე არა ვარ, მაგრამ აპატურაი საცემია!

**მაჩვენონ ერთი წარმატებული ამერიკული პროექტი ჩვენს ქვეყანაში. რაში ხარჯავენ ფულს? სიტყვათფუჭობაში, ლაყბობაში, ჭორიკნობაში, ქართველი საზოგადოების გაბოროტებაში.**

„კვირის ქრონიკა“



**ნანი ბრეგვაძე**
*მომღერალი*

**მე ყველა მიყვარს. მიყვარს უკრაინელები, რუსები, ბელორუსები, აზერბაიჯანელები, სომხები... ყველგან არიან არაჩვეულებრივი ადამიანები. ეძიეთ მათში კარგი და არა ცუდი. ასეთ შემთხვევაში ყველა ბედნიერად იცხოვრებს დედამიწაზე.**

„GORDON“



**გია კვენეტაძე**
*კომპოზიტორი, მომღერალი*

**ძალიან მინდა საქართველოში გავაკეთო გრანდიოზული კონცერტი და ქართველ მომღერლებთან ერთად დავპატიჟო რუსი შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები.**

„თბილისელები“



შაქრია ზურაშვილი და ამირან მერებაშვილი

## „ცრუ ბრალდების აღიარების მოთხოვნით, პოლიციის სამმართველოში სასტიკად მცემეს. ტვინის შერყევა, ამნეზია და კონტუზია დამმართეს, კბილები ჩამიმტვრიეს და ხერხემლის მეხუთე მალა წამების შედეგად დამიზიანეს!“

## „ყველა ნიშნის მიხედვით, კლასიკური პოლიტპატიმარი ვიყავი, სტატუსის შესაძენად ფული ვისთვის და რატომ უნდა გადამეხადა?!“

# შაქრია ზურაშვილი:

# მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ სწორედ ქალბატონი ნინო ბურჯანაძის მოკვლა უნდოდათ!



***სააკაშვილის რეჟიმის მიერ 2011 წლის 26 მაისის აქციის სისხლიანი დარბევის თემა იმ პროვოკატორების და ინტრიგანების სამიზნედ რჩება, რომლებიც ფაქტების გაყალბებას და ჯალათების გამართლებას ცდილობენ. ეს არამზადები დაღუპული სპეცრაზმელის ოჯახის წევრების შეცდომაში შეყვანასაც კადრულობენ, რათა მკვლელებად რეჟიმი კი არა, თავად აქციის მონაწილეები წარმოაჩინონ. როდესაც სააკაშვილის სპეცრაზმმა აქციის ორგანიზატორებს ცეცხლი გაუხსნა, დაცვამ ნინო ბურჯანაძე დარბევის ეპიცენტრს სასწრაფოდ გაარიდა. იმავე საღამოს ნინო ბურჯანაძის მანქანის მძღოლი სპეცრაზმელების მკვლელობის ბრალდებით დააკავეს, თუმცა, დროთა განმავლობაში მან თავისი უდანაშაულობის დამტკიცება შეძლო. ამჯერად კი პროვოკატორები ირწმუნებიან, რომ მანქანის მძღოლმა — შაქრია ზურაშვილმა პოლიტპატიმრების სიაში მოსახვედრად კომისიის წევრებს — ნანა კაკაბაძესა და ეკა ბესელიას ფული გადაუხადა!***

**შაქრია ზურაშვილი**, *ნინო ბურჯანაძის მანქანის მძღოლი, ყოფილი პოლიტპატიმარი:* — გარდაცვლილი სპეცრაზმელის **დათო მასურაშვილის** ოჯახის წევრები მიზანმიმართულად შეჰყავთ შეცდომაში. ის ცხონებული აქციაზე არ დაღუპულა და, მითუმეტეს, მისი გარდაცვალება არანაირად არ უკავშირდება ავტომანქანას, რომელსაც მე ვმართავდი, როცა ქალბატონი ნინო ბურჯანაძე იქაურობას ტოვებდა.

**გულწრფელად ვწუხვარ ახალგაზრდა ადამიანის სიკვდილის გამო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისიც რეჟიმის მსხვერპლია, როგორც ამ აქციაზე დაღუპული სხვა ადამიანები.** დათო მასურაშვილი რეჟიმმა სულ სხვა მიზეზით მოკლა, ხოლო შემდეგ დაღუპულის ცხედარი ჩვენთვის ბრალის წასაყენებლად გამოიყენა. ჩვენ ეს ბრალდება სრულიად ლეგიტიმური გზით, ექსპერტიზის ოფიციალური დასკვნით დავანგრიეთ!

**— ბატონო შაქრია, რას გემართლებოდათ ხელისუფლება? რატომ დაგიჭირეს?**

— რეჟიმმა ის არ მაპატია, რომ იმ ღამით — ნინო ბურჯანაძის ლიკვიდაცია, მოგვიანებით კი კომპრომეტაციაც ვერ შეძლო. **მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ სწორედ ქალბატონი ნინო ბურჯანაძის მოკვლა უნდოდათ.** ტყვიებს გვიშენდნენ, მანქანის მინებს გვიმტვრევდნენ. დაცვის ერთ-ერთი წევრის ჟილეტზე, რომელიც ქალბატონ ნინოს ეფარებოდა, ნამდვილი საომარი ტყვია აღმოჩნდა! ეს ჯავშანჟილეტი შემდეგ ჩვენთვის აღარ დაუბრუნებიათ.

დაპატიმრებულს უდიდესი ფიზიკური და ფსიქიკური წნეხი გამომატარეს. ჯერ მოითხოვეს, დამეწერა, თითქოს ნინო ბურჯანაძემ მითხრა — ოღონდ აქედან გამიყვანე და წინ ვინც დაგხვდება, გადაუარეო... მერე მოთხოვნა შეცვალეს — დამეწერე, რომ მანქანის საჭესთან შენ კი არა, ნინო ბურჯანაძის შვილი იჯდაო!

**— იქნებ გაიხსენოთ დეტალები, როგორ გამოიყვანეთ ნინო ბურჯანაძე დარბევის ეპიცენტრიდან?**

— როცა დარბევა დაიწყო და ქალბატონი ნინოს გამორიდება გახდა საჭირო, ესკორტის 6 მანქანიდან ჩემი „ტოიოტა პრადო“ რიგით მეორე იყო. სწორედ ამ მანქანაში ჩაჯდა ბურჯანაძე. პირველმა მანქანამ, პიკაპმა, რომელსაც **ამირან მერებაშვილი** მართავდა, უკან მყოფებს გზა გაგვიხსნა და გაგვიკვალა. მე არავისთვის გამიწევია წინააღმდეგობა, თუმცა, მერე, როცა სპეცრაზმელების მკვლელობა ვერ დამიმტკიცეს, პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა დამდეს ბრალად.

სააკაშვილის მარიონეტმა ტელევიზიებმა ერთხმად ატეხეს წიოკი — არიქა, ბურჯანაძის ესკორტიდან შავმა ჯიპმა ორი სპეცრაზმელი გაიტანაო... **დარწმუნებით გეუბნებით, რომ გარდაცვლილი მასურაშვილის ცხედარი შავი „ემელის“ ჯიპით მიიტანეს და იმ ადგილზე დააგდეს, რათა ჩემთვის ბრალი წაეყენებინათ.** მანქანა, რომელიც მაშინ ტელევიზიით ნაჩვენებ კადრებში ჩანს, პირდაპირ მიუთითებს ჩემს უდანაშაულობაზე, რადგან ასეთი ჯიპი ჩვენს ესკორტში საერთოდ არ ყოფილა! ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ გარდაცვლილის ოჯახს შეუთვალა — ადვოკატს დავიქირავებ და გამოვიძიებ, სინამდვილეში ვინ მოკლა დათო მასურაშვილიო. გარდაცვლილის და და სიძე მობრძანდნენ და განაცხადეს — არ არის საჭირო, ყველაფერი ვიცით, როგორც მოხდა, დათომ ისეთი რამ შეიტყო, რაც არ უნდა სცოდნოდა და ამის გამო მოკლესო. მერე, გარდაცვლილი ხომ უნდა ჩამოეწერათ?! ჰოდა, **ცხედარი აქციის ადგილზე მიიტანეს და ჩვენ დაგვაბრალეს მოკვლა!** დამ და სიძემ ისიც გვითხრეს, გვაშინებენ, ბიზნესის წართმევით და ანგარიშსწორებით გვემუქრებიან, თუ ამაზე ლაპარაკს დავიწყებთო! ასე დასრულდა მათთან ურთიერთობა, თუმცა, სამწუხაროდ, დათო მასურაშვილის დედას რეჟიმის ნარჩენები კვლავ ჩვენ წინააღმდეგ ალაპარაკებენ. ახლა ხმა დაყარეს, თითქოს მასურაშვილი ნინო ბურჯანაძის შვილმა გაიტანა, მისი დანაშაული მე ავიღე თავზე, ხოლო შემდეგ, ჩემი პოლიტპატიმრად გამოცხადების და შესაბამის სიაში ჩაწერის მიზნით, ფული გადავიხადე!

**— თქვენი უდანაშაულობის დასაბუთება როგორ მოახერხეთ?**

— მე ხომ ბრალი ვიდეოფირზე დაყრდნობით წამიყენეს... ეს ვიდეოფირი ჩემმა ადვოკატმა სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში წაიღო, სადაც ოფიციალურად დაიდო დასკვნა, რომ ჩემი მანქანა, „ტოიოტა პრადო“ CBG 777 ისე სუფთად გადის, რომ არავის ეხება! ორი კაცის მკვლელობა მე ვერ ამაღებინეს თავზე, ამიტომ ისე გადაანაწილეს, რომ ერთი სხვას დაბრალებოდა, მეორე — სხვას. მეორე მსხვერპლიც — ყოფილი პოლიციელი **ნოდარ ცხადაძე,** მათივე მოკლულია. ცხონებული სიკვდილამდე ერთი წლით ადრე სამსახურიდან გაუთავისუფლებიათ. ამის მერე მიტინგებზე უნახავთ — ამან კიდევ ვერ ისწავლა ჭკუაო, და მოკლეს. ამ საქმეში შემოგზავნილი კაცი — „ემელის“ ჯიპის მძღოლი ფიგურირებს, სწორედ იმ „ემელის“, რეჟიმის ტელევიზიები ორი კვირის განმავლობაში რომ აჩვენებდნენ და აცხადებდნენ, აი, **შაქრია ზურაშვილმა** მოკლა ორი პოლიციელიო!

**— ბატონო შაქრია, იმათ რა პასუხს აძლევთ, ვინც გაბრალებთ, რომ პოლიტპატიმართა სიაში თქვენი გვარის ჩასმის მიზნით ფული გადაიხადეთ?**

— აბსურდია! ყველა საღად მოაზროვნე მიხვდება ამას! მე ვიყავი პარტიის წევრი, მიტინგების მონაწილე. რეჟიმმა მკვლელობის ბრალდებით დამიჭირა და ექსპერტიზამ დასკვნა დადო, რომ არავინ მომიკლავს! რომ ნახეს, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, ამის შემდეგ პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდება წამიყენეს. ესეც აბსურდია — ჩემ წინ კორტეჟის მანქანა მიდიოდა და ვისთვის უნდა გამეწია წინააღმდეგობა?!

## „ცხედარი აქციის ადგილზე მიიტანეს და ჩვენ დაგვაბრალეს მოკვლა! დამ და სიძემ ისიც გვითხრეს, გვაშინებენ, ბიზნესის წართმევით და ანგარიშსწორებით გვემუქრებიან, თუ ამაზე ლაპარაკს დავიწყებთო!“

პროკურორად ოდიოზური **პროკოფი ჭანკოტაძე** დამინიშნეს. სწორედ ეგ მოითხოვდა, ნინო ბურჯანაძის შვილისთვის დამედო ხელი და სანაცვლოდ მცირე სასჯელს მპირდებოდა. აბა, ხელს როგორ დავადებდი, როცა **ანზორ ბიწაძე** ჩემს მანქანაში საჭესთან კი არა, საერთოდ არ მჯდარა?! ის წინა მანქანაში, „დოჯის“ პიკაპში იჯდა, რომელიც მასვე ემსახურებოდა. **ცრუ ბრალდების აღიარების მოთხოვნით, პოლიციის სამმართველოში სასტიკად მცემეს. ტვინის შერყევა, ამნეზია და კონტუზია დამმართეს, კბილები ჩამიმტვრიეს და ხერხემლის მეხუთე მალა წამების შედეგად დამიზიანეს.** თვითონ ბადრაგმა მიმიყვანა თოდუას სახელობის კლინიკაში, სადაც ასეთი შინაარსის სამედიცინო დასკვნა დაიწერა. ეგეც მე ხომ არ შემითხზავს? გლდანის ციხეში წელიწადი და რვა თვე გავატარე. სასამართლომ 12 წელი მომისაჯა! **ყველა ნიშნის მიხედვით, კლასიკური პოლიტპატიმარი ვიყავი, სტატუსის შესაძენად ფული ვისთვის და რატომ უნდა გადამეხადა?!**

**— ფსიქოლოგიური ზეწოლაც ახსენეთ... რა იგულისხმეთ?**

— ციხეში ყოფნის დროს ორი კვირა საკანში მესმოდა ბადრაგების ყვირილი და ლანძღვა-გინება — **ზურაშვილი!** შენი ასე და ისე, გამოეთრიე საკნიდანო! მე კი არ მომმართავდნენ, შთაბეჭდილებას მიქმნიდნენ, თითქოს ჩემი შვილი ჰყავდათ დაჭერილი და გვერდით საკანში დამწყვდეული! აი, ასეთი ბინძური ფორმით მაიძულებდნენ, გადაწყვეტილება მიმეღო და ნინო ბურჯანაძის ვაჟისთვის დამედო ხელი, შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ! ვიდრე ადვოკატი შემოვიდოდა და შემატყობინებდა, რომ ჩემი შვილი დაჭერილი არ იყო, ჩემი დამემართა!

მზად ვარ, ყველას, ვინც ცილისმწამებლურ განცხადებას ავრცელებს, თითქოს პოლიტპატიმრის სტატუსი ვიყიდე, საკადრისი პასუხი გავცე. მოთმინების ფიალა აივსო. ამდენი ტანჯვა გამოგვატარეს და კიდევ არ ისვენებენ. **ყველაფერი იმის ბრალია, რომ რეჟიმის დამნაშავე წარმომადგენლები ხელისუფლებიდან ჩამოცილებისთანავე საბრალდებო სკამზე კი არ დასვეს, კოჰაბიტაციის ფარგლებში ტრიბუნაც მიართვეს, რასაც ისინი უდანაშაულოდ რეპრესირებული ადამიანების დისკრედიტაციისთვის იყენებენ!**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**გიორგი გაჩეჩილაძე**
*„მწვანეთა პარტიის“ ლიდერი*



ჩვენ ირანი ძალიან გვჭირდება მას შემდეგ, რაც მას საერთაშორისო დონეზე შეზღუდვები მოეხსნა. ჩვენ გვაქვს შანსი, რომ საქართველო ვაქციოთ ენერგეტიკულ ჰაბად. ჩვენ თუ **„შაჰდენიზი 1“**-ის, **„შაჰდენიზი 2“**-ის საშუალებით, ირანის გაზის, აზერბაიჯანული „სოკარის“ გაზის ძირითადი გამტარი გავხდებით, ჩვენი დაცულობა, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოსი, იქნება ძალიან მაღალი და სწორედ მაშინ შესაძლებელია, რომ საქართველომ მართლაც რეალური ნაბიჯები გადადგას **ნატო**-ში გაწევრიანების თვალსაზრისით.

„PIA.GE“

**კახა კალაძე**
*ენერგეტიკის მინისტრი*



საქართველოს მთავრობის სახელით მინდა, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ **ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად არის ბიზნესის კეთების ჯანსაღი, უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო. ჩვენი მთავრობა არის გარანტი იმისა, რომ ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების თითოეული ცენტი მაქსიმალურად იქნება ჩართული.**

„MARSHALPRES“

**ზურაბ ვადაჭკორია**
*ილუზიონისტი*



**დღეს ქართული ცირკი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და იქნებ ცირკის სამინისტროს შექმნით ეშველოს რამე.**

„რეზონანსი“

**დავით ბაქრაძე**
*ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი*



**საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი უმრავლესობა ევროინტეგრაციის მომხრეა.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გიორგი ფარესიშვილი**
*უფლებადამცველი*



**უბედურება ისაა, რომ რასაც გია ხუხაშვილი ეხება, ყველაფერს ანადგურებს, მაგრამ ეს ქვეყნისთვის, თორემ სათავისოდ ყველაფერი კარგად გამოსდის.**

„საერთო გაზეთი“

# ნადგურცემა - სახელად კახა ბენდუქიძე!



„ნაციონალებმა ლამის მთელი საქართველო რომ გვაგლოვეს — ბენდუქიძე გარდაიცვალაო, რატომ არავინ გაიხსენა, რა დამართა ჩვენს უნივერსიტეტს?“

***ამბობენ, მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ, ან — არაფერსო, მაგრამ დღეს ეს პრინციპი უნდა დავარღვიოთ: ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სააკაშვილმა მინისტრად კახა ბენდუქიძე მოიყვანა და ფულის შოვნა დაავალა. მანაც უეკონომიკო ქვეყნის ბიუჯეტის „შევსება“ წინა თაობების მიერ შექმნილი ქონების გაყიდვით დაიწყო და თვითონაც კარგად იხეირა. შემდეგ აგრარულ უნივერსიტეტს დაეპატრონა და მრავალმილიონიანი ქონება ისე ყოჩაღად მიითვისა, კვალიფიციური ფინანსისტებიც კი დააბნია. ამ მსოფლიო დონის თაღლითობის შემდეგ უნივერსიტეტის თანამშრომლებს განუცხადა: ყველაფერი თქვენთვის კეთდებაო და ხალხი ქუჩაში გაყარა. როგორ დაანგრიეს აგრარული უნივერსიტეტი? — გვესაუბრება საქართველოსა და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 1990-2004 წლებში აგრარული უნივერსიტეტის რექტორი ნაპოლეონ ქარქაშაძე:***

— მიუხედავად ჩემი რეგალიების, ორდენოსნობისა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატობისა, სააკაშვილმა ციხეში ჩამსვა, შემდეგ კი აგრარული უნივერსიტეტის ნგრევას შეუდგა. მაშინდელმა პრეზიდენტმა და განათლების გაუნათლებელმა მინისტრმა **კახა ლომაიამ** ქართული აზროვნება ბარბაროსულად გაანადგურეს და აგრარული უნივერსიტეტის უდიდესი სახელმწიფო ქონება ხელში ჩაიგდეს.

**მაინტერესებს, სად ბრძანდებიან ახლა ის ერთუჯრედიანი არსებები, რომლებიც აცხადებდნენ, საქართველოს მეცნიერება და განათლება არ სჭირდებაო?** ამიტომაა, რომ დღეს აგრარული დარგები გაქრა, რადგანაც თავის დროზე არავინ დაფიქრებულა — ვინ შექმნიდა მარცვლეულისა და ნარგავების ახალ ჯიშებს, ვინ იმუშავებდა შინაური ცხოველების ჯიშების გამოყვანაზე, ვინ მოხნავდა და რას დათესავდა?

**ნაციონალებმა ლამის მთელი საქართველო რომ გვაგლოვეს — ბენდუქიძე გარდაიცვალაო, რატომ არავინ გაიხსენა, რა დამართა ჩვენს უნივერსიტეტს?** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, რომელიც შემდეგ უნივერსიტეტად გადაკეთდა, თავის დროზე **პეტრე მელიქიშვილის** დაარსებულია და პირველი რექტორიც ის გახლდათ. 90-იან წლებში უნივერსიტეტის ქონება „მხედრიონისგან“ ძარცვას ჩვენ — სტუდენტებმა და პროფესორებმა გადავარჩინეთ. ქონება კი დიდი იყო, ზოგიერთ ფაკულტეტზე ცდებისათვის მარტო 2 კილოგრამამდე პლატინა ინახებოდა.

**— თქვენ სააკაშვილის პირადი პატიმარი იყავით. რატომ?**

— 1997 წელს დაუსწრებელ განყოფილებას მიშა სააკაშვილის ბაბუა, პრორექტორი **ზივი ალასანია** ხელმძღვანელობდა. ცნობილია, რომ „კაგებე“-ს უნივერსიტეტში თავისი „ოდეერები“ ჰყავდა ჩანერგილი, რომლებიც ვალდებული იყვნენ, რექტორისთვის ინფორმაცია მიეწოდებინათ. მათ მითხრეს: **ეს კაცი შესწავლილი გვყავს და დარღვევების გამო უნდა დავიჭიროთო.** თანამშრომელს როგორ დავაჭერინებდი? ამიტომ „კაგებე“-ს მაშინდელ ხელმძღვანელს **ავთო იოსელიანს** დავურეკე, რომელსაც ჯერ კიდევ სოხუმიდან ვიცნობდი და ვთხოვე, გივი გადაერჩინა. დამთანხმდა, მაგრამ მითხრა, სამსახურიდან გაუშვიო. **ზივი ალასანია** დავიბარე, მასალები წავაკითხე და ერთი პუნქტიც რომ არ გაუპროტესტებია, ისე თქვა — წავალო. სხვა თანამდებობა შევთავაზე, მაგრამ არ ისურვა. მერე ბრალდების ქაღალდები მის თვალწინ დავხიე და მაშინ მითხრა: ამ სიკეთეს არასოდეს დაგივიწყებო.

ამის შემდეგ, როგორც შევიტყვე, გივის სახლში უთქვამს — ქარქაშაძემ იმისთვის გამომიშვა, ჩემი ადგილი რომ გაეთდოსო. ეტყობა, ეს სააკაშვილის ყურამდეც მივიდა.

2004 წელია, რექტორი აღარ ვარ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად ამირჩიეს და ჩემს ცხოვრებაში ყველაზე „საინტერესო ამბები“ მაშინ მოხდა: **თურმე, პრეზიდენტის შავნაბადას რეზიდენციაში შედგა ოთხთა თათბირი, რომელსაც ადეიშვილი, სააკაშვილი, მერაბიშვილი და ჟვანია ესწრებოდნენ და იქ ჩემი დაჭერა გადაწყდა.**

ბევრი რომ არ გავაგრძელო, უშიშროების კომიტეტში ბინძური სტატია დაიწერა — რექტორმა ქარქაშაძემ აგრარული უნივერსიტეტის ქონება როგორ გაანიავა და პრეზიდენტის ბაბუა სამსახურიდან როგორ გააგდო. ამ წერილის შემდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და დამიჭირეს. **ამით სააკაშვილმა ორი კურდღელი დაიჭირა: შურიც იძია და კოლეგებიც დააშინა.**

ციხეში სამ თვეზე მეტი გავატარე და იქიდან საპროცესო გარიგებით გამომიშვეს, რასაც ჩემი და ჩემი ქალიშვილის ქონება და მეგობრების მიერ შეგროვილი ფული შეეწირა.



„სასწავლებლის ქონება, რომელიც დაახლოებით 240 მილიონი დოლარისა გახლდათ, კახა ბენდუქიძემ გარკვეული პირობით 8 მილიონ დოლარად იყიდა: 4 მილიონი წინასწარ უნდა გადაეხადა და დანარჩენი – მოგვიანებით, მაგრამ თანხა ბოლომდე გადაიხადა თუ არა, კაცმა არ იცის!“

## ნაპოლეონ ქარქაშაძე:

## აგრარულ უნივერსიტეტს კახა ბენდუქიძის ქალიშვილი ანასტასია გონჩაროვა და მისი ცოლი დაეპატრონნენ. ეს კი ის ქონებაა, რომელსაც ქართველი მეცნიერები 70 წლის მანძილზე რუდუნებით, ოფლითა და შრომით ქმნიდნენ!

ახლა კი მოგიყვებით, ნაციონალებმა აგრარულ უნივერსიტეტს რა დამართეს: **სასწავლებლის ქონება, რომელიც დაახლოებით 240 მილიონი დოლარისა გახლდათ, კახა ბენდუქიძემ გარკვეული პირობით 8 მილიონ დოლარად იყიდა: 4 მილიონი წინასწარ უნდა გადაეხადა და დანარჩენი — მოგვიანებით, მაგრამ თანხა ბოლომდე გადაიხადა თუ არა, კაცმა არ იცის!** 8 წლის მანძილზე მას უნივერსიტეტისთვის პროფილი არ უნდა შეეცვალა. ამ უზარმაზარ ქონებას ნაციონალებმა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები უფასოდ დაუმატეს: **მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მევენახეობა-მებაღეობის, ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კვლევითი ინსტიტუტები, ზოოვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი, ასევე აგროქიმიის, ნიადაგმცოდნეობის, მცენარეთა დაცვის, რადიოლოგიის, მექანიზაციის, სამთო მიწათმოქმედების, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის, კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სისტემის სხვა სამეცნიერო ცენტრები — სულ 18 ასეთი დაწესებულება ბენდუქიძემ „ხურდად“ მიითვისა.**

უნივერსიტეტში 32 სპეციალობა გვქონდა, მათი ნაწილი გააუქმეს და დარჩენილი ფაკულტეტები რეფორმის სახელწოდებით სულელურად გააერთიანეს. სანამ ბენდუქიძე უნივერსიტეტს შეიძენდა, მანამდე ზოოვეტერინარული ინსტიტუტი გააუქმა და უნივერსიტეტს შემოუერთა.

ცნობისათვის, მთელ ამიერკავკასიაში სულ 5 უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი იყო, ამათგან 3 — საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობდა, იმ სამიდანაც აგრარული უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო ბაზა სრულიად უნიკალური იყო. მოგეხსენებათ, სხვებთან შედარებით აგრარული უნივერსიტეტი ყოველთვის უკეთესად ფინანსდებოდა, რადგანაც მოსკოვის დაქვემდებარებაში ვიყავით: შესანიშნავი, უდიდესი და სრულიად უნიკალური დენდროლოგიური პარკი გვქონდა, სადაც მცენარეები მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოგვქონდა, გვქონდა აგრეთვე სამი უძვირფასესი მუზეუმი, რომელთა განსაკუთრებულობა იქიდანაც ჩანს, რომ ყველა სტუმარი — მეფე იქნებოდა თუ პრეზიდენტი — ჩვენთან მოჰყავდათ. სწორედ ეს ქონება ბენდუქიძის ხელში, ფაქტობრივად, უფასოდ გადავიდა! გორის რაიონში შესანიშნავი საცდელი ტერიტორიები გვქონდა, რომლებიც დღეს ვის ხელშია, არ ვიცით. ნაციონალებმა ესეც არ იკმარეს: დადგენილება მიიღეს, რომლის მიხედვითაც აკადემიებს ყველა კვლევითი დაწესებულება ჩამოართვეს და ისინი თავისი უდიდესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით ასევე აგრარულ უნივერსიტეტს შეუერთეს.

**— გამოდის, აგრარული უნივერსიტეტი ქონების მხრივ ერთგვარი მონოპოლისტი გახდა?**

— კი, მაგრამ თუკი რამე გვქონდა, ყველაფერი ნაციონალური პარტიის სახემ — **კახა ბენდუქიძემ** მიითვისა და ეს ქონება ისე დანიავდა, კაცმა ვერ გაიგო, რადგანაც ინფორმაცია დღემდე მკაცრად დახურულია.

**— ყველაზე ძალიან რაზე გწყდებათ გული?**

— „დინამოს“ სტადიონის გვერდით რომ მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტის ნიკოლოზის დროს აგებული ულამაზესი წითელი შენობაა, იმის გასხვისებაზე ძალიან დამწყდა გული, რადგან არქიტექტურული თვალსაზრისით ის სრულიად უნიკალურია.

როცა საზღვარგარეთ დავდიოდი, კონფერენციის დახურული სხდომები იმართებოდა, სადაც საყოველთაო დათბობით გამოწვეული მომავალი კატასტროფების შესახებ პირველად ითქვა და მეცნიერები გაგვაფრთხილეს: ყველა ქვეყანამ თავის ეკოსისტემას თვითონ უნდა მიხედოსო. ეს საკითხი ჩვენი უნივერსიტეტის პრიორიტეტული თემა უნდა გამხდარიყო, მაგრამ ამ მიმართულების მეცნიერი ვინღა დატოვეს?

**ბენდუქიძემ უნივერსიტეტს პროფილი შეუცვალა: აგრარული თავის „თავისუფალ უნივერსიტეტს“ შეუერთა, ძველი პროფესურა ქუჩაში გაყარა, მხოლოდ მცირე ჯგუფი დატოვა, ამიტომ, როგორც მითხრეს, ლექციას ბაკალავრი სტუდენტი კითხულობს და რა სწავლის ხარისხზეა ლაპარაკი?**

დღეს აგრარულ უნივერსიტეტს ბენდუქიძის ქალიშვილი ანასტასია გონჩაროვა და მისი ცოლი დაეპატრონნენ. ეს კი ის ქონებაა, რომელსაც ქართველი მეცნიერები 70 წლის მანძილზე რუდუნებით, ოფლითა და შრომით ქმნიდნენ. მეტი რაღა გითხრათ?

*ესაუბრა*
*თამარ ოქრუაშვილი*




„სანამ ბენდუქიძე უნივერსიტეტს შეიძენდა, მანამდე ზოოვეტერინარული ინსტიტუტი გააუქმა და უნივერსიტეტს შემოუერთა!“



# „ახია ხელისუფლებაზე, დღეს ნაციონალები ხეების გადარგვას რომ უპროტესტებენ!“

# თამაზ ბაკურიძე:
# ყველა, ვინც დღეს ციხისძირში კარავში ზის და ხის გადარგვას აპროტესტებს, კრიმინალია!

*როდესაც ციხისძირის კარავში რამდენიმე ნაციონალი წამოგორდა და ხეების გადარგვას აპროტესტებდა, უფლებადამცველმა* ***თამაზ ბაკურიძემ*** *საზოგადოებას დოკუმენტები წარუდგინა და შეახსენა, რომ ტერიტორია, სადაც ნაციონალური მოძრაობის წევრებს კარავი აქვთ ჩადგმული, სააკაშვილმა 2011 წელს ერთ ლარად გაასხვისა:*

— ის, რაც ციხისძირში ხდება, ხის გადასარჩენად გამართული ბრძოლა კი არა, ნაციონალების მიერ აგორებული ბინძური პოლიტიკური კამპანიაა. არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ალბათ, სულ გადავლენ ჭკუიდან. თავდაპირველად მათი გამოსვლები არასერიოზულად მივიჩნიე, მაგრამ ბოლოს, როდესაც ხალხმა ქუჩაში გამაჩერა — წავიდეთ, ივანიშვილისგან დავიცვათ ხეებიო, ხოლო გივი თარგამაძემ ხალხს ცინიკურად მიუთითა, თბილისიდან მიწევს აჭარლების მიწის დაცვაო, ძალიან გავღიზიანდი. შევხვდი სპეციალისტებს, ეკოლოგებს, ვესაუბრე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **რეზო ჯაბნიძეს.**

**— ანუ სინამდვილეში რა ხდება?**

— როგორც გავარკვიე, ეს ხეები ტურისტულ და ეროვნულ ფასეულობებს არ წარმოადგენს, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ეს ჭაობის კვიპაროსები ჩრდილოეთ ამერიკიდან შემოიტანეს და ციხისძირის ტერიტორიაზე გააშენეს. მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა 500-600 წელია.

ყველაზე დიდი ცინიზმი რა არის, იცით? სწორედ იმ პერიოდში, როდესაც სააკაშვილის ხუშტურების გამო აჭარის ტერიტორიაზე უნიკალური ხეები იჩეხებოდა, ქობულეთის ხელისუფლებაში **ელგუჯა ბაგრატიონი** და **რევაზ ხარაზი** იყვნენ, ანუ ის ადამიანები, რომლებიც დღეს ნაციონალებთან ერთად ციხისძირში ხეების გადარგვას აპროტესტებენ. სინდისი რომ ჰქონდეთ, ხმას არ უნდა იღებდნენ, იმდენად მძიმე დანაშაულები ჩაიდინეს ხელისუფლებაში ყოფნისას!

**— რა დანაშაულს გულისხმობთ?**

— შავ ზღვაზე, კერძოდ, ქობულეთში ერთადერთი ტერიტორია იყო, სადაც ფიჭვის ასწლოვანი ხეები სამკურნალო კლიმატს ქმნიდნენ. საპროტესტო აქციების მიუხედავად, ნაციონალებმა 15 ათას კვადრატულ მეტრზე ძვირფასი ხეები გაჩეხეს და მათ ადგილზე პარკინგი გააკეთეს. ეს მხოლოდ მომავალი თაობის წინაშე დაშვებული შეცდომა კი არა, სისხლის სამართლის დანაშაულია, რომელზეც დღემდე პასუხი არავის უგია. კომუნისტების დროსაც კი ეს წიწვოვანი ხეები დანომრილი იყო, ერთი ტოტიც რომ მოეჭრა მოქალაქეს, დააპატიმრებდნენ!

ის ტერიტორია, სადაც ახლა ნაცებს კარვები უდგათ და ვითომ ხეებს იცავენ, მიხეილ სააკაშვილმა **1 ლარად გაასხვისა** დაუდგენელ პირზე. დიახ, **შპს „ზიმოს“** მიერ შესყიდული ხეების ტრანსპორტირების ერთადერთი შესაძლო მარშრუტი კერძო საკუთრებაზე გადის — 90.000 კვ/მ ნაკვეთზე, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მიერ 2011 წლის 3 აგვისტოს გაცემული განკარგულების საფუძველზე, ოფშორში დარეგისტრირებულ გაურკვეველ კომპანია „REDMAD FEDERATION INC“-ს 1 ლარად გადაეცა. დოკუმენტებში არ ჩანს არც ამ კომპანიის წარმომადგენელი, არც ხელმომწერი მხარე და, საერთოდ, არცერთი საკონტაქტო პირი, ვისთანაც შეიძლება, რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა დამყარდეს. **სავარაუდოდ, სწორედ 1 ლარად გაცემული 9 ჰექტარი მიწის მაქინაცია აღარდებს ნაციონალურ მოძრაობას და სწორედ ამ ფაქტის გახმაურების შიშით ატეხეს სკანდალი ხეების გადატანაზე, რადგან ამ შემთხვევაში სახელმწიფო ქონების მიტაცების ეს სკანდალური ფაქტი აუცილებლად გამჟღავნდებოდა.**

გივი თარგამაძეს ვეკითხები — გახსოვდათ მაშინ აჭარლები, როცა თქვენი ხელისუფლება უნიკალურ სიმწვანეს აჩანაგებდა და მის ნაცვლად უვარგის შენობებს აშენებდა?! სად იყავით მაშინ, როცა ბათუმისკენ მომავალი სამი აჭარელი ახალა-

იამ ჩაცხრილა?!

**— ამბობენ, ერთი ადამიანის ხუშტურის გამო რატომ უნდა გადარგონ ხეებიო...**

— მცენარის გადატანა ხდება არა ბიძინა ივანიშვილის სახლში, როგორც ამას ნაციონალები აცხადებენ, არამედ შეკვეთილში, სადაც, როგორც ამბობენ, ბოტანიკური ბაღი კეთდება და მსოფლიოს უნიკალური ჯიშის ნერგები იქნება განთავსებული. **რა, არ შეიძლება, კერძო პირმა ხე იყიდოს?! თქვე კაი დედმამიშვილებო, ქვეყანა გაყიდეთ, ტერიტორიები დაკარგეთ, ხალხის ღირსება ფეხქვეშ გათელეთ და ერთი ხის გადარგვაზე ლაპარაკობთ? რა, 9 წელი ერთი კაცის — სააკაშვილის ხუშტურზე არ დადიოდა მთელი საქართველო?!**

გული რაზე მტკივა, იცით? ხელისუფლება კრიმინალებს ზედმეტად ლოიალურად ექცევა. სანამ ესენი ერის ღალატისთვის პასუხს არ აგებენ, კიდევ ბევრს იკადრებენ. ყველა, ვინც დღეს ციხისძირში კარავში ზის და ხის გადარგვას აპროტესტებს, კრიმინალია — სააკაშვილით დაწყებული, ბათუმის ყოფილი მერით **რობერტ ჩხაიძით** დამთავრებული. ახია ხელისუფლებაზე, დღეს ნაციონალები ხეების გადარგვას რომ უპროტესტებენ!

**— სხვათაშორის, ბევრი ამბობს, რაც სააკაშვილი ხელისუფლებიდან წავიდა, ბათუმში მშენებლობებმა იკლოო...**

— ტყუილია! როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, რაღაც პერიოდი მართლაც შეჩერდა მშენებლობები, რადგან, ფაქტობრივად, ყველა ბიზნესი ნაციონალური მოძრაობის და მათთან დაახლოებული პირების ხელში იყო, მაგრამ ახლა სხვა ვითარებაა. დღეს ბათუმში უფრო მეტი კორპუსი შენდება და ქუჩებიც კეთდება, ვიდრე სააკაშვილის დროს... ხდება ე.წ. ჭაობის ზონის რეაბილიტაცია, რომლისთვისაც ბოლო 30 წელია, არცერთ ხელისუფლებას არ მიუქცევია ყურადღება. დროა, სააკაშვილის მიერ შეთხზული ზღაპრების სამყაროდან გამოვიდეთ!




ხეების გადარგვაზე უფრო მნიშვნელოვანი დღეს სულ სხვა რამეა. გამუდმებით რომ ლაპარაკობენ ყარსის ხელშეკრულების ვადის გასვლაზე — შესაძლოა, რუსეთმა ან თურქეთმა პრეტენზიები გამოთქვან და მათი გავლენის ქვეშ მოვექცეთო — ეს საფრთხე კი არ არის, ჩვენ თვალწინ უკვე ხორციელდება. რამდენიმე დღის წინათ ბათუმის პორტში **ნატო**-ს გემები შემოვიდნენ და მათზე აფრიალებული დროშებიდან ყველაზე დიდი თურქეთის დროშა იყო. არადა, **ნატო**-ს გემების დანახვისას ძალიან ბევრს გაუჩნდა შეკითხვა — 2008 წელს, როდესაც ძალიან გვიჭირდა, სად იყო მაშინ ეს გემები?!

**— არადა, როდესაც ბათუმის პორტში დიდი გემები შემოდის, ხალხი ოვაციებით ხვდება ხოლმე...**

— ეს სულ სხვა შემთხვევაა... ყოველ დილით ვვარჯიშობ სანაპიროზე და საკუთარი თვალით ვხედავდი გაღიზიანებულ მოქალაქეებს. განსაკუთრებული გაღიზიანება გემზე აღმართულმა თურქულმა დროშამ გამოიწვია. ყარსის ხელშეკრულებაში წერია, თუ ბათუმს გარე ან შიდა საფრთხე დაემუქრება, თურქეთს შეუძლია, ბათუმის პორტი დაიკავოსო. მოკლედ, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ყარსის ხელშეკრულების სწორედ ეს პუნქტი განხორციელდა.

**ხელისუფლებას მიმართავ:** რაც შეიძლება მეტი კომუნიკაცია გქონდეთ ხალხთან, ნუ მოწყდებით სოფელს, მოსთხოვეთ გამგებლებს, გუბერნატორებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს,

**გამოვიდნენ ჯიპებიდან და ხალხს მოუსმინონ, აუხსნან და განუმარტონ მათ მიერ გადადგმული ნაბიჯების სისწორე. ეს, პირველ რიგში, თქვენსავე ინტერესებში შედის!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## პოლიტიკური თამაშები

# თურქეთი

***დიახ, თურქეთი აშკარად დაგვიტკბა! სულ ძმობასა და მეგობრობას გვეფიცება! და ეს არც არის გასაკვირი: რუსეთში ხომ ღიად ალაპარაკდნენ ყარსის ხელშეკრულების გაუქმებაზე!***

გასულ კვირას ძალიან საგულისხმო განცხადება გააკეთა საქართველოში თურქეთის ელჩმა **ლევენთ გუმრუქჩუმ:**

*„თურქეთისა და საქართველოს თანამშრომლობა არის საუკეთესო მაგალითი და პრეცედენტი, თუ როგორი ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეს დიდ და პატარა* ***(!!! — გ.გ.)****, განსხვავებული რელიგიური მრწამსის ქვეყნებს. ჩვენი მტრები მუდამ ცდილობდნენ, რომ თურქეთ-საქართველოს მეგობრობას ბზარი გაუჩინონ და იგონებენ ჭორებს, თითქოს თურქეთს გარკვეული ინტერესები აქვს აჭარის რეგიონთან, ბათუმთან და ასე შემდეგ.*

*კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო, რომ ეს მტკნარი სიცრუეა, რომელსაც მხოლოდ ბოროტი ზრახვები აქვს. თურქეთი დაინტერესებულია, რომ არა მხოლოდ აჭარა* ***(!!! — გ.გ.)****, არამედ აფხაზეთიც და ოსეთიც* ***(?! — გ.გ.)*** *საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მაქსიმუმს გააკეთებს საამისოდ...“.*



ლევენთ გუმრუქჩუ

დიახ, ძვირფასო მკითხველო, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში თურქეთის ელჩმა აღიარა: **აჭარა თურქეთის მიერ არის ოკუპირებული!**

აბა, სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ ელჩის განცხადება — **არა მხოლოდ აჭარას, არამედ აფხაზეთსაც და „ოსეთსაც“ დაგაბრუნებინებთო?!**

**უკაცრავად, ბატონო გუმრუქჩუ და, აჭარას ვის მიერ ოკუპირებულად მიიჩნევთ?! თურქეთის მიერ ხომ არა?!**

დიახ, ეს არის ელჩის ფროიდისეული წამოცდენის კლასიკური ნიმუში!

და რომ არაფერს ვამატებ, იმითაც მტკიცდება, დიპლომატი (!) როგორ მოიხსენიებს თავის მასპინძელ ქვეყანას **„პატარა ქვეყნად“!**

დიახ, ბატონ გუმრუქჩუს იმდენად აქვს სულში გამჯდარი ეს ოსმალურ-იანიჩრული საწყისი, რომ მისთვის საქართველო **„პატარა ქვეყანაა“!**

და ყოველივე ამის შემდეგ როგორ უნდა დავიჯეროთ, რომ თურქული ინტერესები აჭარისადმი **„მტრების მიერ მოგონილი ჭორები“** და **„მტკნარი სიცრუეა“?!**

არადა, შარბათივით დამტკბარ და ორსახოვან ოსმალურ ნართაულებს განუყრელი ძმობისა და მეგობრობის შესახებ რომელი ჭკუათამყოფელი ქართველი „ჭამს“?!

ქართველებს მაგის მეტი რა მოგვისმენია საუკუნეების მანძილზე...

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ოდილავაძე**
*მწერალი*



ერთი-ორი წელი იმ ფუსფუსში ვმონაწილეობდი, რასაც **„საბები“, „წეროები“** და **ილიას უნივერსიტეტის პრემიები** ჰქვია. პრემია პოპულარიზაციის გზაა, მაგრამ დავინახე, რომ ეს გზა დახურულია, ანუ პარნასი ხუთი ადამიანის მიერაა დაკავებული და მსაჯული სამიოთხი „მწერლის ბუტკაა“ (იგივე „მწერლის სახლი“). „ცისკარში“ ათგვერდიანი წერილიც გამოვაქვეყნე, რომელსაც ასე ჰქვია: **„საბა“ — კერძოდ და ელიტარული სექტები — ზოგადად“.** ამის მერე ვთქვი, რომ ამ უმსგავსობის „გაპრავებაში“ მონაწილეობას აღარ მივიღებ.

„ვერსია“

**მერაბ ხაჩიძე**
*ჟურნალისტი*



**მამა შვილს ვერ დაეხმარება ისე, როგორც დასავლეთი ეხმარება რუსული პროპაგანდის მანქანას.**

„ფეისბუქი“

**ვაჟა ბერიძე**
*ექსპერტი*



**პირადად მე წინააღმდეგი ვარ, ყოველგვარი ინგლისურენოვანი, თურქულენოვანი, სომხურენოვანი ტელევიზიები ყალიბდებოდეს სახელმწიფოს მიერ. არა მგონია, რომ ჩვენ უნდა წავახალისოთ საქართველოს მოქალაქეების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა.**

„FOR.GE“

# ჯონდი ბაღათურია:
# ეს ხელისუფლებაც სააკაშვილის გზას მიჰყვება!



***საქმეს ისეთი პირი უჩანს, რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში, როგორც ორი აქლემის ჩხუბში, საქართველო ისევ კოზაკივით გაიჭყლიტება! თანაც, რაც ყველაზე სამწუხაროა, ეს ჩვენივე სურვილით ხდება! გთავაზობთ ინტერვიუს „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან.***

**— ბატონო ჯონდი, რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება სულ უფრო მწვავდება, საქართველო კი, მგონი, ისევ გეოპოლიტიკური თამაშების ეპიცენტრში ხვდება!**

— ეს, ერთი მხრივ, არის ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელთა არაკომპეტენტურობის, მეორე მხრივ კი, დასავლეთიდან მიღებული დირექტივებისადმი მონური მორჩილების ბრალი!

ხალხო, ამერიკა ჩვენს ტერიტორიას იყენებს თავისი სამხედრო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესებისთვის და, რაც მთავარია, ამას რუსეთის საწინააღმდეგოდ აკეთებს!

სწორედ ამერიკის პატრონაჟის ქვეშ დავკარგეთ აფხაზეთი და ცხინვალი! დიახ,

**90-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენ ამერიკა გვმართავს და აფხაზეთისა და ცხინვალის დაკარგვაზე პასუხისმგებელიც ამერიკაა!**

2008 წლის აგვისტოს ომი იყო ამერიკის მიერ გაქეზებული და უსინდისოდ მიტოვებული საქართველოს ტრაგედია! ჩვენ კი ერთსა და იმავე შეცდომას ვუშვებთ!

**— თუმცა, ჩვენი მედასავლეთეები ამტკიცებენ, ტერიტორიული მთლიანობა რუსეთმა დაგვირღვიაო...**

— ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ამერიკამ ჭიაყელასავით წამოგვაგო ანკესზე და რუსეთს მიგვაგდო! რუსეთმაც გადაყლაპა ეს „ჭიაყელა“, ანკესი კი, ბოლოში და, გადმოაფურთხა!

აი, მაგალითად, 11 თებერვალს, გაგანია რუსულ-თურქული დაპირისპირებისას, ბათუმში შემოვიდა ნატო-ს 4 სამხედრო გემი! და არავინ თქვა ხელისუფლებიდან, რომ ეს



## „სანამ საქართველოს ნატო-ში „შეათრევენ“, რუსეთი გაგვსრესს!“

ნატო-ს (თურქული) სამხედრო გემი ბათუმში

იყო თურქული სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემები!

**— ანუ ეს იყო თურქეთის მიერ ღიად აფრიალებული წითელი ქსოვილი რუსეთისთვის?**

— რა თქმა უნდა! ჩვენი ხელისუფლება კი ისევ გაიძახის, **ნატო**-ში გაწევრიანება ჩვენი სტრატეგიული მიზანია, ხოლო თურქეთი ჩვენი ერთგული სტრატეგიული მოკავშირეაო! **ანუ ჩვენ თურქეთ-რუსეთის ომში თურქეთის მხარეს ვდგებით?!**

დღეს ბევრს ლაპარაკობენ, სამყარო მესამე მსოფლიო ომის ზღვარზეაო! ხალხო, მესამე მსოფლიო ომი დაწყებულია და ჩვენ სად ვეკვეხებით?! რუსეთი უკვე ატომური იარაღის გამოყენებით იმუქრება, თუ სირიაში მის სამხედროებს თურქეთი რამეს დაუშავებს!

**— გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთმა ყირიმში უკვე განათავსა ტაქტიკური ატომური იარაღი...**

— დიახ, ეს არც არის გასაკვირი, რადგან ყირიმი არის რუსეთის სამხედრო პლაცდარმი!

**— რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, თუ საქართველოს ნატო-ში „შეათრევენ“, ჩვენ ამას სათანადო პასუხს გავცემთო!**

— სანამ საქართველოს **ნატო**-ში „შეათრევენ“, რუსეთი გაგვსრესს! აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ რას დაგვმართებს რუსეთი, თუ ჩვენ მართლაც, „შეგვათრევენ“ ალიანსში!

**— ალბათ, თქვენი ოპონენტები შეგეპასუხებიან, ნატო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის იღვწის, რუსეთი კი — ოკუპანტიაო! ანუ ჩვენი თავდაცვისთვის ნატო-ს ალტერნატივა არა აქვსო...**

— ეს არის დემაგოგია! **ნატო** ჩვენი თავდაცვის უალტერნატივო საშუალება კი არა, რუსეთის მხრიდან თავდასხმის „გარანტიაა“!

მოდით, გავიხსენოთ მე-20 საუკუნის 90-იანი წლები! მაშინ რუსეთს ამერიკა მართავდა, ხოლო ელცინი ამერიკელების ყურმოჭრილი მონა იყო!

ჰოდა,

**ჩვენმა მეგობარმა ამერიკელებმა, როცა შეეძლოთ, მაშინ არ დაიცვეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მაშინ არ შეგვიყვანეს ნატო-ში და ამას დღეს, პუტინის ზეობის ხანაში გააკეთებენ?!**

ხომ დღესავით ნათელია, რომ ამერიკა და მისი **ნატო** არ არიან დაინტერესებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით! ჩვენ მათთვის ვართ სავაჭრო ნივთი რუსეთთან ურთიერთობაში!

**— მეტსაც ვიტყვი: ამერიკა და მისი ნატო დაინტერესებული არიან იმით, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის უაღრესად დაძაბული ვითარება იყოს, რადგან ასეთ ვითარებაში ჩვენი ქვეყანა სწორედ ამერიკის ხელის შემყურე იქნება და ვერც კი გაბედავს, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცეს!**

— დიახ, ჩვენ ვართ სათამაშო ამერიკელებისა და **ნატო**-ელების ხელში! ნახეთ, როგორ დაგვცინიან, **ნატო**-ს კარი საქართველოსთვის ღიაა, მაგრამ აი, **მაპ**-ს ახლაც ვერ მოგცემთო!

უბედურება ის არის, რომ ეს ხელისუფლებაც სააკაშვილის გზას მიჰყვება! მართალია, როგორც სააკაშვილის დროს ხდებოდა, რუსეთს ყოველდღე არ აგინებენ, მაგრამ დასავლეთისადმი მონური მორჩილებით ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებენ!

**დღეს საქართველო რუსეთ-თურქეთის ომის ფრონტის ხაზზე იმყოფება და ძალიან უგუნური უნდა იყო, რომ ასეთ ვითარებაში კონფლიქტის მხარე გახდე!**

ეს ქვეყნის ღალატია!

*ესაუბრა*
***გიორგი გიგაური***



# დაგვიტკბა?

ძილზე?!

**ბატონ ელჩს მინდა, ვკითხო: თუ ანკარა საქართველოს „დიდი თურქეთის იმპერიის“ საზღვრებში არ მოიაზრებს, მაშინ რას ნიშნავდა თურქეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის, დღეს კი პრემიერის — დავუთოღლუს ცნობილი განცხადება — ბათუმი ოსმალეთის იმპერიის სივრცის ნაწილიაო?!**

ბატონ ელჩს მინდა, ვკითხო: **თუ თურქეთს ქართველებისადმი ძმობა და მეგობრობა ლამის ღამღამობითაც ესიზმრება, მაშინ რატომ მიჰყავდათ ათასობით აჭარელი ბავშვი თურქეთის მუსლიმურ მედრესეებში, სადაც უფასოდ ზრდიდნენ მათ თურქ მოლებად?!**

და ის როგორ იყო, ბატონო ელჩო, რომ სანამ რუსეთთან არ დაიძაბა თურქეთის ურთიერთობა, აფხაზეთში, საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით, თურქული ბიზნესი ყვაოდა და ხარობდა! არადა, ადვილი წარმოსადგენია, თურქეთში რა გნიასი ატყდება, თუ, მაგალითად, ქურთებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საქართველოს მოქალაქე ქურთები გააბამენ ბიზნესკონტაქტებს!

**მოკლედ, თურქეთი აშკარად დაგვიტკბა, რადგან, ჯერ ერთი, ჩვენს მეზობელ რუსეთთან ლამის ღია ომშია ჩაბმული, და მეორეც, ანკარაში ციებიანივით აკანკალდნენ, როდესაც კრემლის დერეფნებში ყარსის ხელშეკრულების გაუქმებაზე ღიად ალაპარაკდნენ!**

დიახ, ოსმალო აშკარად დაგვიტკბა, რადგან ჩვენი ტაოკლარჯეთი „აეწვა“!

დაბოლოს, თუ თურქები ჩვენი ასეთი ძმები და მეგობრები არიან, მაშინ რას ნიშნავს თურქულ სახელმძღვანელოებში შეტანილი რუკა, რომელზეც 2040 წლისთვის საოცნებო **„დიდი თურქეთია“** წარმოდგენილი?!

**სად ჩანს ამ რუკაზე დამოუკიდებელი საქართველო, ბატონო ელჩო?!**

მოკლედ, თურქეთზეა ნათქვამი — ისეთი მეგობრობა იცის, გადაგყლაპავს და თვალსაც არ დაახამხამებსო!

მანამდე არ აგიდგეთ გვერდები!

**საქართველოს გადაყლაპვაზე ოცნებას, რუსეთთან მამასისხლად დაპირისპირებულმა თურქეთმა უმჯობესია, იმაზე იფიქროს, ქვეყანა თავად არ შემოეფშვნათ და ნაწილებად დაეშალოთ!**

***გიორგი გიგაური***

## თურქეთის ელჩმა აღიარა, რომ აჭარა თურქეთის მიერ არის ოკუპირებული!

## „ხალხო, მესამე მსოფლიო ომი დაწყებულია და ჩვენ სად ვეკვეხებით?!“



**აზერ სულეიმანოვი**
*საპარლამენტო უმცირესობის წევრი*



**ბატონო დავით** (უსუფაშვილს), **ზუსტად თქვენი გუნდის დამსახურებაა, რომ ჩახალიანის მსგავსი სეპარატისტები, ქვეყნის მტრები და მოღალატეები თავისუფლებაზე არიან.** ამ დროს, ვინც ჩვენი ქვეყანა ააშენა, ქვეყნის პატრიოტები **ახალაია, უგულავა და მერაბიშვილი,** თქვენი დახმარებით ციხეში არიან.

„ახალი თაობა“

**გივი თარგამაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ჩვენ ერთი ეპიზოდი მოვიგეთ, ჩვენ მოვიგებთ ბრძოლას, მოვიგებთ ამ ომს და ჩვენ გამოვიყვანთ ამ არსებას მზის შუქზე, გავაშიშვლებთ და ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ 7 მილიარდი დოლარის ფუღურო...

**ოქტომბერში ჩვენ გავაფორმებთ გამარჯვებას.**

„IPRESS.GE“

**ნუგზარ წიკლაური**
*საპარლამენტო უმცირესობის წევრი*



„ქართულ ოცნებასთან“ არანაირ გარიგებაში შესვლას არ ვაპირებთ.

**შემოდგომაზე ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებას გადაიბარებს.**

**ჩვენ ჩვენს შეცდომებზე პასუხი უკვე ვაგეთ.**

„ახალი თაობა“

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ხალხი ამ ხელისუფლებას გაისტუმრებს. იმდენად ზღვარს გადავიდა „ქართული ოცნება“, რომ მას აღარავინ დაუჭერს მხარს.

**ამათ ქმედებებს რომ ვუყურებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვიღაცამ ჩვენი შეცდომები შეაგროვა და აკინძა, „ქართული ოცნება“ კი ამ შეცდომების მიხედვით მუშაობს.**

„ახალი თაობა“



„ჩვენი ხელისუფლება ლტოლვილების საქართველოში ჩამოსახლების საზღაურად დასავლეთისგან 147 მილიონ დოლარს ელოდება!“

# შოთა აფხაიძე: ჯარი მოდის, რომელიც წალეკვით გვემუქრება!

„ამერიკელი და ევროპელი ლიდერები საქართველოს, როგორც თავიანთ „ხელის ბიჭს“, ავალდებულებენ ახლო აღმოსავლეთიდან, ძირითადად, სირიიდან და ერაყიდან დევნილი 235 ათასი ადამიანის მიღებას!“



***საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვეტილება მიიღო, ახლო აღმოსავლეთიდან ომის შედეგად დევნილი მოსახლეობა შეიფაროს. პროცესი მიმდინარე წლის აპრილში დაიწყება. რა შედეგებს მოუტანს ეს, ერთი შეხედვით, ჰუმანური აქტი ჩვენს ქვეყანას? კავკასიის ისლამური კვლევების ცენტრის დირექტორი, ყოფილი პოლიტპატიმარი შოთა აფხაიძე ექსკლუზიურ ინტერვიუში ყველაზე საშინელ მოვლენებს პროგნოზირებს. მას მიაჩნია, რომ დევნილთა ჩამოსახლებამ შესაძლოა, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ჩამოშლა განაპირობოს:***

— ლტოლვილთა აქ ჩამოსახლება მიუნხენის უსაფრთხოების სამიტზე გადაწყდა და რამდენიმე დღის წინათ ეს გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის სხდომაზეც ფორმალურად მიიღეს. ფორმალურად-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ, ფაქტობრივად, საქართველოს მთავრობას არავინ არაფერს ეკითხება, ამერიკელი და ევროპელი ლიდერები საქართველოს, როგორც თავიანთ „ხელის ბიჭს“, ავალდებულებენ ახლო აღმოსავლეთიდან, ძირითადად, სირიიდან და ერაყიდან დევნილი 235 ათასი ადამიანის მიღებას!

**— და რაში მდგომარეობს სიტუაციის ტრაგიზმი?**

— დავიწყოთ იმით, რომ საქართველო საკუთარი ლტოლვილებით არის სავსე და მათი პრობლემების დიდი ნაწილი მოუგვარებელია. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ქვეყანაში უცხოტომელთა კომპაქტურად ჩამოსახლება ისედაც არ არის პოპულარული ნაბიჯი და როგორი ჰუმანისტური მოსაზრებებითაც უნდა იყოს განპირობებული, მისი გადადგმა ევროპის ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებსაც კი არ სურთ! მაგრამ ეს მიზეზები არაფრად მოჩანს იმასთან, რის გამოც მოსახლეობა ერთსულოვნად უნდა დაირაზმოს, რათა საქართველოს მტრების ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას შეუშალოს ხელი!

**— რას გულისხმობთ?**

— ლაპარაკია არამარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი კავკასიის უსაფრთხოებაზე! კარგად მესმის ომის საშინელება, ისიც მესმის, რომ ამ 235 ათასი ადამიანიდან, სულ ცოტა, ნახევარი მაინც მშვიდობიანია, მათ შორის არიან მოხუცები, ქალები, ბავშვები, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ მეორე ნახევარი პოტენციურად ცივსისხლიანი მკვლელებისა და შაჰიდების ნამდვილ არმიას წარმოადგენს. მათ შორის, ასაკის და სქესის განურჩევლად, არიან რადიკალი ისლამისტები, რომელთა გაკონტროლება ჩვენი ძალოვანი სტრუქტურების შესაძლებლობების ზღვარს აღემატება.

**— და მაინც, ვინ არიან ეს ლტოლვილები?**

— სირიის სამთავრობო არმია ბოლო პერიოდში საკმაოდ გააქტიურდა. ისინი წინ მიიწევენ, ქალაქს ქალაქზე ათავისუფლებენ, სულ უფრო და უფრო მეტი ტერიტორია ექცევა **ბაშარ ასადის** კანონიერი ხელისუფლების კონტროლის ქვეშ. ისლამური სახელმწიფოს გარდა, რომელიც უკვე ცალსახად არის მიჩნეული ტერორისტულ ორგანიზაციად, ბაშარ ასადს სხვა ძალებიც ებრძვიან, როგორებიც არიან „ალ მუსრა“, „ახრარ ალ შაში“ და „სირიის თავისუფალი არმია“. დასავლეთი ხომ ბაშარ ასადის წინააღმდეგ სწორედ ამ სამ ძალას აფინანსებდა და ამერიკელები მათ „ოპოზიციად“ ნათლავდნენ. ახლა, როცა ბაშარ ასადი ირანისა და რუსეთის დახმარებით წინ მიიწევს, მასთან მებრძოლი ხალხი, რა თქმა უნდა, გარბის იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც სირიის კანონიერმა ხელისუფლებამ დაიკავა. დასავლელი პარტნიორები ზრუნავენ ამ ადამიანებზე და ცდილობენ, საფრთხეებს გაარიდონ. აი, ასეთ ვითარებაში დასავლეთი მიუნხენის სამიტზე იღებს ამ „ბოევიკებისა“ და მათი ოჯახების საქართველოში ჩამოსახლების გადაწყვეტილებას და საქართველოს მარიონეტ ხელისუფლებას ამაზე დათანხმებას აიძულებს. ეჭვგარეშეა, რომ „ბოევიკების“ და მათი ლტოლვილი ოჯახების ამ ტალღას აუცილებლად შემოჰყვებიან სირიაში საბრძოლველად წასული ჩრდილოკავკასიელი ტერორისტებიც, რათა საქართველოში დამკვიდრების შემდეგ, ამერიკისა და დასავლეთის სპეცსამსახურების კარნახით, მათი სპეცდავალებები შეასრულონ.

**— რა დავალებებს მიიღებენ ისინი დასავლეთის სპეცსამსახურებისგან?**

— რახანია, დასავლეთის სპეცსამსახურები რუსეთის საზღვართან ახლოს, ანუ საქართველოში მორიგი ცხელი კერის ჩამოყალიბებაზე ოცნებობენ! ამას გარდა, **„ვიკილიქსის“ მასალებიდანაც ირკვევა, რომ უკრაინაში გახიზნულ სააკაშვილსა და კეზერაშვილს მჭიდრო კავშირი აქვთ ისლამურ სახელმწიფოსთან!** ჩვენ შევიტყვეთ ლაფანყურის სპეცოპერაციის შესახებ, როცა სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმი ჩრდილოკავკასიელ ტერორისტებთან თანამშრომლობდა.

სააკაშვილმა კარგად იცის, რომ საქართველოს მოსახლეობაში დასაყრდენი არა აქვს, ამიტომ ხელისუფლების დაბრუნების კრიმინალურ, შეიარაღებულ მექანიზმზე ფიქრობს. საქართველოში დაუსჯელად პარპაშობენ სააკაშვილის ფავორიტი ორგანიზაციები, მათ შორის, „თავისუფალი ზონა“. გეგმაშია არამხოლოდ სამოქალაქო ომის პროვოცირება, არამედ საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე „ბოევიკების“ შეჭრა, ჩრდილოეთ კავკასიაში ტერაქტების მოწყობა, რაც საქართველოსთვის „მეორე სირიად“ გადაქცევის პერსპექტივას ქმნის.

**— რა შეიძლება მოჰყვეს ამას?**

— ირანი აუცილებლად დაგვბომბავს, რადგან ეს ტერორისტები მისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. რაც შეეხება რუსეთს, მან სირიაში არ დაუშვა ტერორისტების თარეში და საქართველოსა და კავკასიაში, თავისი სახელმწიფო საზღვრის სიახლოვეს მითუფრო არ დაუშვებს! **დაიწყებს წერტილოვან დარტყმებს და მიწასთან გაასწორებს იმ დასახლებულ პუნქტებს, სადაც ტერორისტები იქნებიან შეფარებული.** ისინი არიან შაჰიდები, ფუნდამენტალისტები, ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ნებისმიერ დავალებას ასრულებდნენ: ხოცავდნენ ბავშვებს, ქალებს, აფეთქებდნენ ობიექტებს. საქართველოში შემოსვლის შემდეგ ისინი ამერიკელების დაკვეთით იმავე საქმიანობას გააგრძელებენ. **დასავლეთის მიზანია, საქართველო რუსეთთან ღია სამხედრო დაპირისპირებაში ჩაითრიოს.** გარწმუნებთ, ამ ე.წ. დევნილების ჩვენს ქვეყანაში შემოშვებიდან მაქსიმუმ ერთ წელიწადში აქ იგივე ტრაგიკული პროცესები განვითარდება, რაც დღეს სირიაში ხდება! ამის შემდეგ უკვე სააკაშვილი შეეცდება მართვის ბერკეტების დაუფლებას და შექმნილი სიტუაციის ომში გადაზრდას.

**— რა გამოსავალი არსებობს ამ მდგომარეობიდან?**

— ხელისუფლებისთვის მოწოდებას აზრი არა აქვს. სამწუხაროა, რომ ჩვენი ხელისუფლება დასავლეთთან მიმართებაში კოლონიის მდგომარეობაშია და თანაც არსებობს ფინანსური მოტივაციაც — ჩვენი ხელისუფლება ლტოლვილების საქართველოში ჩამოსახლების საზღაურად დასავლეთისგან 147 მილიონ დოლარს ელოდება! არადა, ასეთი დამოკიდებულებით საქართველოს რუკიდან გაქრობა ემუქრება. ვფიქრობ, საქმეში უნდა ჩაერთოს ეკლესია, მრევლს, მართლმადიდებელ მოსახლეობას სიტუაცია აუხსნას და ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდოს. უკიდურეს შემთხვევაში, ყველანი დავირაზმოთ და საქართველოს საზღვრებზე 100 ათასი მოწამესავით დავდგეთ ხელიხელჩაკიდებულნი, რათა ლტოლვილის საბურველით ტერორისტების შემოსვლა არ დავუშვათ!

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

ეი, მანდ, ზევით!

# ბახტრიონის აჯანყება მოგენატრათ?!

***რატომღაც ჩვენში, პრაქტიკულად, უყურადღებოდ დარჩა, მე თუ მკითხავთ, გასული კვირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ახალი ამბავი — საქართველოს მთავრობამ ქვეყანაში არაბი დევნილების ჩასახლების გეგმა აღიარა!***

დიახ, საქართველო მზად არის, აქ ჩაასახლოს და „დროებითი დევნილის“ სტატუსი მისცეს იმ უცხოელებს, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტური რეგიონებიდან ომის გამო გამოიქცნენ!

**„ამ კატეგორიის უცხოელი მოქალაქეებისთვის ასეთი სტატუსი გაიცემა ერთი წლის ვადით, ხოლო როგორც კი მათ ქვეყნებში სიტუაცია დალაგდება, ისინი ვალდებული იქნებიან, უკან დაბრუნდნენ!“** — განუცხადა გასულ ორშაბათს ჟურნალისტებს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა **სოზარ სუბარმა!** ცხადია, მას არც არავინ ეკითხება, მიიღონ თუ არა საქართველოში დევნილები სირიიდან ან ერაყიდან! უბრალოდ, ეს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებაა!

ერთი წუთითაც არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ უცხოტომელ დევნილთა დახმარებისა და ჰუმანურობის მოწინააღმდეგე ვარ, მაგრამ ისედაც ატკივებულ თავს კიდევ უფრო რატომ ვიტკივებთ?!

რას ნიშნავს ეს **„ერთწლიანი თავშესაფარი“** და თანაც, იმის მტკიცება, რომ როგორც კი მათ ქვეყნებში ვითარება დალაგდება, ისინი ვალდებულები იქნებიან, უკან დაბრუნდნენ?!

**რა, ერთ წელიწადში დალაგდება სირიასა და ერაყში სიტუაცია?! მე მგონი, უკანასკნელი ბრიყვიც კი ხვდება, რომ ეს არც ერთ, არც ორ და არც სამ წელიწადში არ მოხდება!**

უკაცრავად და, ველური და ქალის უნახავი არაბი ლტოლვილები, რომლებისთვისაც ხიჯაბის გარეშე ყველა ქალი — ბოზია, რასაც აკეთებენ ევროპაში, ძალიან კარგად გამოჩნდა ახალი წლის ღამით კიოლნში, სადაც ასამდე ქალი გააუპატიურეს!

**მაშინ, როდესაც ოქროში მცურავ საუდის არაბეთსა თუ ყატარ-ქუვეითებს ერთი თანამოძმე ლტოლვილიც არ მიუღიათ, საქართველოში რა უნდათ არაბებს?!**

თქვე კაი დედმამიშვილებო, საქართველოდან გაქცეული მილიონ-ნახევარი თანამემამულე, ბოდიში და, ფეხებზე გკიდიათ და არაბ ლტოლვილებზე ზრუნავთ?!

**ანდა, ჯერ ის ათობით ათასი დევნილი დააკმაყოფილეთ ელემენტარული პირობებით, საკუთარ ქვეყანაში რომ ლტოლვილებად გადაიქცნენ?!**

დასავლეთის გულის მოსაგებად, ავღანეთში ქართველი ბიჭების **ნატო**-ს „საზარბაზნე ხორცად“ გაშვებისა არ იყოს, საკუთარი ლტოლვილებით სავსე საქართველო რატომ უნდა ფიქრობდეს სირიელი თუ ერაყელი მიგრანტების დაბინავება-პატრონობაზე?!

თუ სააკაშვილი საქართველოში გუანტანამოს ციხეში გამოკეტილი „ალ-კაიდას“ ტერორისტების ჩამოსახლებაზე ფიქრობდა, „ოცნების“ ხელისუფლება ისლამური სახელმწიფოს ტერორისტების დაბინავებაზე ოცნებობს?!

**სად არის გარანტია, რომ ეს არაბი დევნილები აქ ქართველ ქალებს არ წაეტანებიან?!**

**სად არის იმის გარანტია, რომ, როგორც ევროპულ ქვეყნებში, არაბი ლტოლვილები შილიფად ჩაცმულ ქართველ გოგონებს საქართველოშიც არ დაუწყებენ ქუჩაში ფურთხებას ან სექსუალური კავშირის შეთავაზებას?!**

ბახტრიონის აჯანყებაზე არაფერი გსმენიათ?! ვგონებ, არ ღირს იმის დაკონკრეტება, რის გამო დაიწყო ბახტრიონის ბატალიები!

**მოკლედ, დროა, თავიდან ამოვიგდოთ ეს ყალბი „ჰუმანურობა“ და „ვითომ ევროპელობა“!**

**საქართველოს თავისი პრობლემებიც ეყოფა, რომ ჩვენივე ხელით აქ კიდევ არაბული გეტოები არ მოვიწყოთ!**

ახლა გინდ „ჰომოფობი“ მიწოდონ ჩვენებურმა ლიბერასტებმა, გინდაც — „ფაშისტი“!

რა ჯურის ორფეხებიც ეს ლიბერასტები არიან, მჭევრმეტყველურად გამოჩნდა კიოლნში მომხდარი მასობრივი გაუპატიურების ერთ-ერთი მსხვერპლის ამასწინანდელი „მონანიებით“!

დიახ, კიოლნში არაბი ლტოლვილების მიერ გაუპატიურებულმა ერთ-ერთმა გერმანელმა ლიბერასტმა ქალბატონმა საჯაროდ მოუხადა ბოდიში მოძალადეებს, აქაოდა, მე ვითხოვ პატიებას, რომ იმ საახალწლო ღამით მომხდარის გამო ჩემი თანამემამულეები ასე აგრესიულად განეწყვნენ თქვენდამიო!

**ჰოდა, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, ვის დაიცავენ ჩვენებური ლიბერასტები, ღმერთმა დაგვიფაროს, აქაც რომ ვინმე გააუპატიურონ არაბმა ლტოლვილებმა!**

***გიორგი გიგაური***

## გერმანელები ანგელა მერკელს ისლამური სახელმწიფოს აგენტობას აბრალებენ!





# გიორგი ბურჯანაძე: საბავშვო ბაღში თივა სწორედ იმიტომ დევს, რომ ხვალ ან ზეგ შენობა დაიწვას და სხვა ნაგებობა წამოიმართოს!

***საიდუმლო არავისთვისაა, რომ დღეს საბავშვო ბაღში მოსახვედრად თადარიგი წინასწარ უნდა დაიჭიროთ. რატომ უჭირთ მშობლებს ბავშვის ბაღში მიყვანა და რა უნდა თივის ზვინს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში? — გვესაუბრება ანტიკორუფციული კავშირის ხელმძღვანელი გიორგი ბურჯანაძე:***

**„მაღალჩინოსნები საკუთარ შვილებს სახელმწიფო ბაღებს არ აკარებენ, კერძო ბაღებში დაჰყავთ, რადგან შესანიშნავად იციან, რომ სახელმწიფო ბაღებში არსებული სურათი დიდად განსხვავდება იმისგან, რასაც გვპირდებოდნენ!“**



— ცხადია, სკოლამდელმა ბავშვმა ბაღში უნდა იაროს, რადგანაც სწორედ იქ იღებს იმ აუცილებელ ცოდნას, რაც შემდგომ სკოლაში სწავლას გაუადვილებს, მაგრამ აქ მშობლები დიდ პრობლემას აწყდებიან: მოგეხსენებათ, წინა ხელისუფლებების, განსაკუთრებით — სააკაშვილის დროს ბაგა-ბაღები ინტენსიურად იხურებოდა. **2007 წლიდან მოყოლებული, რაც ნაციონალებმა ფულის საშოვნელად სკოლამდელი ასაკის ბავშვებს შენობები გაუყიდეს, ბაგა-ბაღში მოსახვედრად ცოცხალი რიგი დგას.**

ამას ემატება ის, რომ თავის დროზე „ქართულმა ოცნებამ“ სწორი გადაწყვეტილება მიიღო და დაადგინა, რომ ბავშვის სასკოლო ასაკი ხუთ-ნახევარი კი არა, სრული ექვსი წელია. სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვები მოსამზადებელ ჯგუფებში უნდა განთავსებულიყვნენ, სადაც სკოლისათვის სრულფასოვნად მოემზადებოდნენ, მაგრამ დღის წესრიგში შენობების უკმარისობის საკითხი კიდევ ერთხელ დადგა: **ბავშვებს ადგილები არ ჰყოფნით!** ამიტომ თბილისის მერიასთან არსებული ბაგა-ბაღების სააგენტო აცხადებს, რომ ქალაქში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების სიმცირის გამო სახელმწიფო საბავშვო ბაღების აშენებას იწყებს.

**— თუ იცით, კიდევ რამდენი ბავშვის ადგილზეა მოთხოვნა?**

— ექსპერტთა მონაცემებით, მარტო თბილისში — 70000 ადგილზე, მაგრამ მომავალ წელს ეს რიცხვი გაიზრდება.

**— ნაციონალებმა თავის დროზე რამდენი საბავშვო ბაღი დახურეს?**

— 48, ახალმა მთავრობამ კი ჯერჯერობით მხოლოდ 2 ბაღის აშენება შეძლო და არც მიკვირს, რადგან საბავშვო ბაგა-ბაღი სტანდარტს უნდა შეესაბამებოდეს და საკუთარი დიდი ტერიტორია უნდა ჰქონდეს, ქალაქის ცენტრში კი მსგავს ადგილს სად ნახავთ? ამიტომაა, რომ **არასამთავრობო ორგანიზაციები კიდევ ერთხელ ვსვამთ ბაგა-ბაღების ყოფილი შენობების სახელმწიფო კუთვნილებაში დაბრუნების საკითხს.**

შედით ახლანდელ საბავშვო ბაღში და ნახეთ: სტანდარტი დარღვეულია, ჯგუფები გადავსებულია, ამიტომაც, თუ ერთი ბავშვი გახდა ავად, უამრავი სხვაც ავადდება და ეს განათლების მიღების პროცესს ხელს უშლის. უახლოეს დღეებში ჩვენი ორგანიზაცია მასალებს დადებს, რაც არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს და ამის შესახებ თქვენი გაზეთის მკითხველს მალე მოვუყვებით, მაგრამ მანამდე ვიმეორებ: **კორუფციული სქემებით გასხვისებული საბავშვო ბაღების შენობები სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს, რაც ახლის აშენებაზე ბევრად იაფი დაგვიჯდება.**

გვაქვს ინფორმაცია, რომ ქალაქის შუაგულში, დიღმის მასივში, არსებობს ე.წ. **რკინიგზის ბაგა-ბაღი,** რომელიც ნაცებმა შპს-ზე გაასხვისეს და დღეს ის პურის ფქვილის საწყობად გამოიყენება, პარალელურად კი მეორე სართულზე თივაა შეტანილი. მოსახლეობის მოთხოვნით, ადგილზე მივედით, მაგრამ ძროხა და კამეჩი ვერ ვნახეთ, ამიტომ კითხვას ვსვამ, შპს-ს ადმინისტრაციას რაში სჭირდება თივის დაფასოებული შეკვრები?

**— მფლობელმა რომ გითხრათ, ფართობი ჩემია, მინდა, თივას დავდებ და მინდა — სტაფილოსო?**

— ეგრე არ არის. მოსახლეობამ გვითხრა, რომ რამდენიმე წლის წინათ ბავშვებს ეს შენობა წაართვეს და საწყობად გადააქციეს, ამიტომ ნაცვლად იმისა, რომ ახლომახლო კორპუსების მობინადრეებმა საკუთარი ბავშვები ახლოს მდებარე ბაღში ატარონ, დღეს აქაური პატარები რამდენიმე კვარტალის იქით, გადავსებულ ჯგუფებში დაჰყავთ. ამ კონკრეტულ საბავშვო ბაღზე საუბარი იმიტომ წამოვიწყე, რომ **მინდა, ამ ფაქტს სამართალდამცავ ორგანოებმაც მიაქციონ ყურადღება:** მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ აღნიშნული შენობა ახალ წელს უნდა დამწვარიყო. მთლიანად შენობა მინაშია ჩასმული, მაგრამ მეორე სართულზე, სადაც თივაა მოთავსებული, ზუსტად მის გასწვრივ ფანჯარაზე ცელოფანია აკრული, საიდანაც შენობაში რაიმეს შეგდება სულ ადვილად შეიძლება. იქაურებმა გვითხრეს, რომ ახალ წელს ამ ადგილას უცნობი პირი იდგა და ცდილობდა, შენობაში მაშხალა შეეგდო და ცეცხლი გაეჩინა.

**— რატომ?**

— იქაურობას გადაბუგავდა და ამის შემდეგ რომელიმე დაინტერესებულ პიროვნებას უკვე ყოფილი ბაგა-ბაღის ადგილას ახალი კორპუსის აშენება შეეძლო, ანდა, სულაც არაა გამორიცხული, რომ ადგილი გაეყიდა და სერიოზული ფული ეშოვა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ეს შენობა თავის დროზე გაცილებით იაფად ექნებოდა შეძენილი. კიდევ ერთ დეტალს აღვნიშნავ: **როცა ეს და მსგავსი ფართობები მერიამ ახალ მფლობელს გადასცა, მოლაპარაკების მიხედვით, 10 წლის მანძილზე ობიექტს ფუნქცია არ უნდა შეცვლოდა.** ამიტომ, ჩემი აზრით, ამ საბავშვო ბაღში თივა სწორედ იმიტომ დევს, რომ ხვალ ან ზეგ შენობა დაიწვას და პროფილი შეიცვალოს. სხვა რა მიზეზი უნდა იყოს?

**— 10 წელი ჯერ არ გასულა?**

— საგანგებოდ ვნახე ამ შპს-ს რეესტრის ამონაწერი: ნაცებს შენობა მფლობელისათვის ახალი ხელისუფლების მოსვლამდე — 2012 წელს გადაუციათ. გამოდის, 10 წლის გასვლამდე ჯერ ბევრი დროა დარჩენილი,



**„კორუფციული სქემებით გასხვისებული საბავშვო ბაღების შენობები სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს, რაც ახლის აშენებაზე ბევრად იაფი დაგვიჯდება!“**

თან ფოტოზე ჩანს, რომ პირველ სართულზე ფქვილი ბრეზენტმიფარებული დევს, თივა კი — ღიად. საინტერესოა, უგულავას დროს გასხვისებული ობიექტის ბედი ახალი ხელისუფლებიდან რატომ არავინ მოიკითხა? **რატომ არავის აინტერესებს, რამდენადაა დაცული შენობის პროფილი? იმითაც რატომ არ ინტერესდებიან, რომ ამ შენობას მალე იერსახე შეეცვლება და იქ, ვთქვათ, სასტუმრო ან ბორდელი განთავსდება?** მერიის მაღალჩინოსნები საკუთარ შვილებს სახელმწიფო ბაღებს არ აკარებენ და კერძო ბაღებში დაჰყავთ, რადგან შესანიშნავად იციან, რომ სახელმწიფო ბაღებში არსებული სურათი დიდად განსხვავდება იმისგან, რასაც გვპირდებოდნენ!

**— და რას გვპირდებოდნენ?**

— არ მინდა, უმადური ვიყო და ის დადებითი ცვლილებები არ აღვნიშნო, რაც ბაღებში განხორციელდა, მაგრამ კრიტიკაც ავიტანოთ: გვპირდებოდნენ, რომ ბავშვებს კარგი კვება ექნებოდათ, რომ მასწავლებლებს ხელფასი მოემატებოდათ, რომ ინფრასტრუქტურა შეიცვლებოდა, მაგრამ ბაღის ბავშვები ისევ ნახევრად მშიერ პედაგოგს უყურებენ, რომელსაც ხელფასი 200-300 ლარი აქვს და კვების მხრივაც პრეტენზიები გვაქვს, განსაკუთრებით რძისა და ხორცის პროდუქტების ხარისხზე.

მამა ვარ და ვიცი, რასაც ვამბობ:

**მშობელს ხშირად სურვილი აქვს, კვების ბლოკში შეიხედოს და დარწმუნდეს, რომ მისი შვილი კარგად იკვებება. ამ უფლებას მას საბავშვო ბაღების სააგენტოს წესდება ანიჭებს, მაგრამ მშობლებო, იცოდეთ, რომ იქ არავინ შეგიშვებთ!**

ამიტომ გთხოვთ, ჩვენს პროექტში ჩაერთოთ და გპირდებით, რომ ბარიერები მოიხსნება და საკითხს გამჭვირვალეს გავხდით.

**არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ბაგა-ბაღებში კამეჩის ხორცი შედის, რომლის გადამუშავებაც ბავშვებს უჭირთ, მაგრამ ცოტა ხანში ჩვენი ორგანიზაცია ამ პრობლემას მოაგვარებს და თუ როგორ — მალე გაიგებთ!**

*ესაუბრა*

***თამარ ოქრუაშვილი***

## კვირგვინოსნები

**გია გაჩეჩილაძე**
*ტელეკომპანია „მაესტროს“ მფლობელი*



ეთერ გადაბაძე და მასთან ერთად, ნიკოლოზ გვარამია, ტელევიზიისა და თავისუფალი სიტყვის სახელით სახელმწიფოს აშანტაჟებენ! **„მაესტროში“ აუცილებლად შევალ. არ დავუშვებ, ვინმემ თავზე გადამიაროს. გადაბაძემ „მაესტროსთან“ ბარიკადები როგორც დადო, ისე მოუწევს მათი აღება.**

„კვირის პალიტრა“

**ბაია გადაბაძე**
*ტელეკომპანია „მაესტროს“ დირექტორი*



**ექვსი თვეა, გია გაჩეჩილაძე გვეუბნება, რომ კონკრეტულ გეგმას წარმოგვიდგენს, მაგრამ არაფერი წარმოუდგენია. გვითხრას, როგორ აპირებს 54-მილიონიანი ვალის გადახდას. ვიცით, რომ ირაკლი რუხაძის დახმარებით 10 მილიონის გარანტიის წარმოდგენა შეუძლია, მაგრამ ჯერ არაფერი წარმოუდგენია.**

„კვირის პალიტრა“

**სოსო მანჯავიძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*



ე.წ. ჟურნალისტების უმრავლესობას უბრალოდ ჰქვია ჟურნალისტი, თორემ მათი საქმიანობა სპეცსამსახურების თანამშრომლების მოქმედებებს უფრო ჰგავს. **გრიგოლია, გაბუნია, გვარამია, პაიჭაძე, კვესიტაძე ჟურნალისტები არ არიან!**

„საერთო გაზეთი“

**ნიკა გვარამია**
*ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორი*



**ქვეყანა კი არა, ყანა ვართ.**

„AMBEBI.GE“

**ზაზა ხატიაშვილი**
*ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე*



**ჩემთვის ივანიშვილი არაფრით არ განსხვავდება სააკაშვილისგან.**

„ალია“



# ლია თოდუა:

## ქართული კანონმდებლობა E ჯგუფის მხოლოდ 5 დანამატს კრძალავს იმ ფონზე, როცა ევროპაში დანამატის ჩამონათვალი გაცილებით დიდია!

**იწვევენ სხვადასხვა სახის სიმსივნეებს:**
E 103, E 105, E 111, E 121, E 123 (**განსაკუთრებით საში-ში**), E 125, E 126, E 130, E 131, E 142, E 152, E 210-217, E 240, E 330.

**იწვევენ კუჭ-ნაწლავის დაავადებებს:**
E 221-226, E 320-322, E 338-341, E 407, E 450, E 461-466.

**იწვევენ ალერგიას (კანის გაღიზიანებას, გამონაყარს):**
E 230-232, E 239, E 311-313.

**იწვევენ ღვიძლისა და თირკმლის დაავადებებს:**
E 171-173, E 320-322 (**ქოლესტერინის მომატება**).

**საეჭვო და საშიში ემულგატორები:**
E 102, E 104, E 110, E 120, E 122, E 124, E 127, E 141, E 150, E 200, E 241, E 250-251 (**წნევის ამწევი**), E 477.

***თვალის ბადურის ჩამოშლა, კანის სხვადასხვა დაავადება, შარდის ბუშტისა და სწორი ნაწლავის კიბო, ალერგიული რეაქცია, შაკიკის შეტევა, ჰიპერტონია, თირკმლის უკმარისობა — თქვენი აზრით, რა იწვევს ამ საშიშ დაავადებებს? საკვები დანამატები! მოგეხსენებათ, რა ძნელია მაღაზიაში ისეთი პროდუქტის შერჩევა, რომლის შემადგენლობაში ავადსახსენებელი დანამატი არ ერიოს. კონსერვანტები, საღებავები, ემულგატორები — ეს ნივთიერებები რამდენიმე ათწლეულია, კვების მრეწველობაში გამოიყენება და მათი მავნებლობის შესახებ ბევრჯერ გვსმენია. ვინ იზრუნებს ჩვენს ჯანმრთელობაზე და კიდევ რა უნდა ვიცოდეთ ამ ნივთიერებების შესახებ? ამ შეკითხვებით სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელს ლია თოდუას მივმართეთ:***

— სამწუხაროდ, ევროკავშირის ქვეყნებში აკრძალული და ჯანმრთელობისთვის საშიში მავნე დანამატების შემცველი პროდუქტები საქართველოში ისევ იყიდება. ქართული კანონმდებლობა E ჯგუფის მხოლოდ 5 დანამატს კრძალავს იმ ფონზე, როცა ევროპაში დანამატთა ჩამონათვალი გაცილებით დიდია. ცნობისათვის: **ევროკავშირს საკვებდანამატების მხოლოდ მცირე ნაწილი აქვს გამოყენებისთვის დაშვებული, ხოლო ყველა დანარჩენი აკრძალულია.** ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ და ამას მაგალითითაც დაგიდასტურებთ: ვინც ტყემალს ამზადებს, ხანგრძლივი დროით შენახვის მიზნით ხშირად ასპირინსაც ურევს. ამ შემთხვევაში ასპირინი ქიმიური კონსერვანტია, რომელიც ხელს უშლის მავნე ბაქტერიების გამრავლებასა და პროდუქტის გაფუჭებას, ანუ იმის თქმა მინდა, რომ ამ ნივთიერებებს გარკვეული რაოდენობით სულ ვხმარობთ, მაგრამ აქვე დავამატებ, რომ ამდენი ასპირინის მიღებაც ორგანიზმისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან მოყოლებული, საკვები დანამატების სია მედიის საშუალებით მუდმივად ვრცელდებოდა, სადაც თითქმის ყველა მათგანზე მითითებული იყო, რომ უაღრესად საშიშია. საერთოდ, რამდენიმე ასეული დანამატი არსებობს, მაგრამ დღემდე მათი ყველა მოქმედება ბოლომდე გამოკვლეული არ არის. თუმცა, ცნობილია, რომ კონკრეტული ქიმიური საკვებდანამატი ორგანიზმს ანგრევს და მძიმე დაავადებებს იწვევს. რადგან ევროკავშირში შესასვლელად ვემზადებით, ჩვენთანაც ამ დანამატების ჩამონათვალი ევროპული სტანდარტის შესაბამისად შეიცვლება.

**— როდის?**

— რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ეს პროცესი საქართველოში მალე უნდა დაიწყოს.

**ზურაბ ცქიტიშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი:** — საკვებდანამატები ის თემაა, რომელზეც ბევრი დაწერილა და კიდევ ბევრი დაიწერება, მაგრამ ამ კუთხით მდგომარეობა აშკარად უმჯობესდება: სოფლის მეურნეობის სამინისტროდან წერილობითი თანხმობა მივიღეთ, რომ ჩვენ მიერ მოკვლეული და მეცნიერულად დასაბუთებული ჯანმრთელობისთვის საზიანო 110 საკვები დანამატი აიკრძალება. ეს ის დანამატებია, რომლებიც გემოს, ფერსა და მდგრადობას ახანგრძლივებენ და ტექნოლოგიურ დანახარჯებს ამცირებენ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ორგანიზმს სპობენ. მწარმოებლები მათი გამოყენებით საკვებს შესანიშნავ სასაქონლო სახეს უქმნიან, ამასობაში კი ადამიანი ვერც გრძნობს, როგორ ავადდება — ღვიძლი, კუჭი, თირკმელი, გული და სისხლძარღვები უზიანდება. წარმოიდგინეთ, 110 დანამატი ვახსენე და თითოეული მათგანი ცალ-ცალკე საფრთხის მატარებელია.

**— როდიდან აიკრძალება ეს დანამატები?**

— როგორც კი ნორმატიული აქტი ჩამოყალიბდება, ზაფხულისთვის ეს აკრძალვა ძალაში შევა როგორც ექსპორტიორებისთვის, ისე შიდა ბაზრისთვის.

სხვათაშორის, ყველა ეს დანამატი უცხოეთიდან შემოდის, რადგან კონსერვანტების დამზადების ინდუსტრია ჩვენთან აწყობილი არაა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში იმ უცხოურ ფირმებსა და კომპანიებს წარმომადგენლობები აქვთ გახსნილი და თავიანთ პროდუქტებს ასაღებენ.

**— როგორც სპეციალისტები ამბობენ, თქვენ მიერ გამოკვლეული დანამატების გარდა, კიდევ უამრავი არსებობს, რადგანაც მუდმივად ახალი დანამატები იქმნება.**

— კი, ასეა და სოფლის მეურნეობის შესაბამის დეპარტამენტში ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს. სამწუხარო ფაქტია, რომ ამ შხამით გაჯერებული პროდუქტები აქამდე იოლად შემოდიოდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე. რაც შეეხება ადგილზე წარმოებულ პროდუქტებში მათ გამოყენებას, სიიაფის გამო ამას ბევრი არაკეთილსინდისიერი მეწარმე მიმართავდა.

**— რომელ პროდუქტშია ყველაზე მეტი საკვები დანამატი?**

— ეს არის რძისა და ხორცის პროდუქტები, მცენარეული საკვები, ნამცხვრები, ზოგადად, საკონდიტრო ნაწარმი, კამფეტები, სოსისები... რომ გავაგრძელო, იმ პროდუქტების უსაშველო სია გამოვა, სადაც შესაძლოა, აღნიშნული დანამატები იყოს, ხაზს ვუსვამ — შესაძლოა, რადგანაც მეწარმეებს კანონით აქამდე დანამატის მოხმარება აკრძალული არ ჰქონდათ, ახლა კი სახელმწიფო მეწარმეს დაავალდებულებს.

**— ვალდებულება ერთია და შესრულება — მეორე!**

— არა, წარმოუდგენელია, ამ მხრივ რაიმე „ჩაწყობას" ჰქონდეს ადგილი, სურსათის სააგენტოს სახით სახელმწიფო მაკონტროლებელი სანდო ორგანო გვაქვს, სადაც ქვეყნის მოყვარული ადამიანები არიან და ამ საქმეს კეთილსინდისიერად მიხედავენ.

**— ამბობთ, კვლევა ჩავატარეთო, მაგრამ შესაბამისი ლაბორატორია რომ არ გვაქვს, თქვენი კვლევა რას ეფუძნება?**

— ჩვენ საერთაშორისო დონის სამეცნიერო შედეგების კვლევა გვაქვს ჩატარებული და ინფორმაცია მოვიპოვეთ. ეს შეეხებოდა რომელიმე გავრცელებულ ემულგატორს ან საღებავს, რომელსაც ნომერი და მახასიათებელი აქვს. მის ირგვლივ მთელი ინფორმაცია მოვიძიეთ, რის ხარჯზეც შემდგომში დანამატების სია შეიქმნა და სასიხარულოა, რომ ამ მხრივ რისკის შეფასების სტრუქტურებს დიდი როლი დაეკისრა.

*ესაუბრა*
***თამარ ოქრუაშვილი***



## ზურაბ ცქიტიშვილი:

## სოფლის მეურნეობის სამინისტროდან წერილობითი თანხმობა მივიღეთ, რომ ჩვენ მიერ მიკვლეული და მეცნიერულად დასაბუთებული ჯანმრთელობისთვის საზიანო 110 საკვები დანამატი აიკრძალება!

## „ზაფხულისთვის ეს აკრძალვა ძალაში შევა როგორც ექსპორტიორებისთვის, ისე შიდა ბაზრისთვის!"

**ეს უნდა იცოდეთ!**

# აეროპორტებისა და მეტროს ვიდეოკამერები მხეცის ნიშანს ადვილად ცნობენ!

***ალბათ, ბევრს გასჩენია შეკითხვა, რას ნიშნავს ბიომეტრიული ფოტო და რით განსხვავდება ის ჩვეულებრივისაგან? გავრცელდა შეხედულება, რომ ბიომეტრიული პასპორტის ფოტოს გადაღებისას ადამიანის შუბლზე ლაზერით შეუმჩნევლად ხდება შტრიხკოდის დატანა, რომელიც თვალისათვის უხილავია და მას მხოლოდ სპეციალური მოწყობილობა აღიქვამს, როგორიცაა ვიდეოკონტროლის დისტანციური სკანერები აეროპორტებში, მეტროში და სხვაგან. ამ მოწყობილობებს ასეთი შტრიხკოდის დანახვა თავსაბურავის მიღმაც შეუძლიათ. ამგვარი ფარული ნიშნების დატანისას ორი მეთოდი გამოიყენება — ლაზერული და იზოტოპური მარკირება. ასეთი ფოტოს გადაღება ყველას შეუძლია, ვინც ბიომეტრიული პასპორტის აღების სურვილს გამოთქვამს.***




რადიკალური კონსპირაციული ჭორების თანახმად, მზის განსაკუთრებული აქტიურობის დროს ადამიანების თავებზე დატანილი ეს ნიშნები ყველასათვის ხილული გახდება და მხეცის ნიშანიც მკაფიოდ გამოისახება. უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი განმარტებები ადამიანთა ცნობისმოყვარეობას ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს, თანაც ხომ გვაქვს უფლება, ვიცოდეთ, რა ხდება სინამდვილეში?

ვნახოთ, როგორია თავად ფოტოს გადაღების პროცესი: ადამიანი თავს ჰყოფს შუშის კოლოფში, ოპერატორი არეგულირებს მისი თავის მდგომარეობას და კლიენტს სთხოვს, 3-5 წუთის განმავლობაში არ გაინძრეს.

**წინააღმდეგობა №1** — ყველამ ვიცით, რომ ციფრული ფოტოს გადაღებას სულ რამდენიმე წამი სჭირდება და რაღა საჭიროა ამდენ ხანს გაუნძრევლად ჯდომა?

**ე.წ. ბიომეტრიული ფოტოს გადაღება ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ერთხელ დასჭირდება, თუნდაც ეს ადრეულ ასაკში იყოს.**

**წინააღმდეგობა №2** — ადამიანის ზრდასა და მისი თავის ქალის ფორმირებასთან ერთად ბიომეტრიული მონაცემებიც მნიშვნელოვნად იცვლება.

**აქედან გამომდინარეობს, რომ ე. წ. ბიოფოტოს გადაღების დროს ხდება ფოტოგრაფირების გათამაშება, სინამდვილეში კი ადამიანის შუბლზე უხილავი ნიშანი დააქვთ. არანაირი „ბიომეტრიული ფოტოგრაფია" ბუნებაში არ არსებობს, ეს ტერმინი უბრალო ხალხის მოსატყუებლად არის გამოგონილი.**




ბოლოს აღმოვაჩენთ, რომ ახალ პასპორტში, თურმე, ისევ ჩვეულებრივი ფერადი ფოტოა ჩაკრული. ნუთუ მხოლოდ ამის გამო გვქონდა შუშის კოლოფში თავი გაყოფილი 5 წუთის განმავლობაში?! **ამ შეკითხვაზე პასუხი არ არსებობს.**

მაგრამ თუ საბოლოოდ აპათიაში არ გვსურს ჩავარდნა, ამ იდუმალებით მოცული მოვლენის არსი რამენაირად უნდა ავხსნათ.

**შესაძლოა, საქმე სულაც ის არის, რომ აეროპორტების ვიდეოდაკვირვების ცენტრი გამვლელთა მთელი სახის კი არა, მხოლოდ მათი შუბლის სკანირებას ახდენს, რასაც ნებისმიერი ვიდეოჩანაწერის ნახვა მკაფიოდ დაადასტურებდა.**

ამიტომაც „ბიოპასპორტის" მფლობელებს ვიდეოკონტროლის პროგრამა უშეცდომოდ და მალევე ცნობს, რაც მათ საბაჟო კონტროლის გავლის პროცედურას საგრძნობლად უმარტივებს.

*მოამზადა*
***დავით ჩიხლაძე***

# კონსტანტინოპოლის დაცემა და ამაღლება

***როგორც ადამიანებს, ისე ქვეყნებსა და ქალაქებს თავიანთი განსაკუთრებული ისტორიული ბედისწერა დაჰყვებათ ხოლმე...***
***ასე, მაგალითად, ბიზანტიის პირველმა იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა (306-337) თავისი სამფლობელოს დედაქალაქი რომიდან ბოსფორის სრუტის ნაპირას გაშენებულ ქალაქში 330 წლის მაისში გადმოიტანა და მას „ახალი რომი“, ანუ კონსტანტინოპოლი უწოდა. 1123 წლის შემდეგ, თურქთა გამანადგურებელი და გაუნელებელი ლაშქრობის შედეგად, კონსტანტინოპოლი სწორედ მაისში დაეცა და ეს მოხდა 1453 წელს.***
***მართლაც, 1453 წლის 29 მაისს, დილის 8 საათზე, სრულიად ახალგაზრდა სულთანმა მეჰმედ მეორემ (1451-1481) კონსტანტინოპოლის მამაც დამცველთა გვამებზე გადაიარა და უდიდესი ქრისტიანული ეკლესიის აია-სოფიას ტაძარში დილის ნამაზი აღასრულა...***



*1453 წლის 29 მაისს სულთანი მეჰმედ მეორე გამარჯვებული შედის კონსტანტინოპოლში*

მიჩნეულია, რომ კონსტანტინოპოლის დამცველებს ქალაქის ერთ-ერთი ჭიშკარი — კერკოპორტი ღია დარჩათ და თურქები სწორედ იქიდან შემოიპარნენ, თორემ ბიზანტიის იმპერია გადარჩებოდა...

**მეცნიერებმა ისიც გამოთვალეს, ვენეციიდან ჯაკომო ტებალდის მეთაურობით გამომგზავრებულ 29 ხომალდს 28 მაისს რომ მაინც მოეღწია ბოსფორის სრუტემდე, ქრისტიანული მსოფლიო გლობალურ კატასტროფას აცდებოდა!**

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, მაისი კონსტანტინოპოლის, ანუ დღევანდელი სტამბოლისთვის ბედისწერად იქცა — ეს ქალაქი **330 წლის მაისში** დაიბადა, **1453 წლის მაისში** დაემხო და როგორც პოლიტიკოსები და ექსპერტები წინასწარმეტყველებენ, კონსტანტინოპოლის გარდაცვალებიდან **563 წლის** შემდეგ, რუსეთი და თურქეთი კონსტანტინოპოლის კედლებთან სწორედ **2016 წლის მაისში** დაეტაკებიან ერთმანეთს!

**სიმბოლურია ქართლის მეფის კონსტანტინე მეორის (1478–1505) მიერ 1495 წლის 10 მარტს ესპანეთის დედოფალ იზაბელასადმი გაგზავნილი წერილი, სადაც ვკითხულობთ: „კონსტანტინოპოლის, ტრაპიზონისა და სხვა ქრისტიანთა დაცემის შემდეგ მარტოდმარტო და სრულიად დამდაბლებულნი დავრჩით. გევედრებით, პირდაპირ კონსტანტინოპოლზე გაილაშქროთ... მეც პირადად შვილებით და მთელი ლაშქრით... შენთან ერთად წამოსასვლელად მზად ვიქნები“!**

ამ ერთი კვირის წინათ რუსეთის პატრიარქმა კირილემ უცხოეთში ვიზიტის დროს ერთი მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო განცხადება გააკეთა — აია-სოფიას ტაძარში, რომელიც სტამბოლში დგას, უკვე საუკუნეებია, ქრისტიანული ლოცვა არ აღვლენილაო!

ფროიდის თეორიის თანახმად, პატრიარქ კირილეს ნათქვამი ეს ერთგვარი „წამოცდენა“, ანუ ე.წ. Versprechen-ია, რომელიც სრულფასოვანი ფსიქოლოგიური აქტია და გულისხმობს იმას, რომ **რუსეთის მწყემსმთავარს ჯერ კიდევ 1500 წლის წინათ ბიზანტიის უდიდესი იმპერატორის იუსტინიანე პირველის (483-565) მიერ აშენებულ აია-სოფიას ტაძარში მართლაც სურს ისტორიული წირვის ჩატარება.**

საერთოდ, რუსები იარაღით ხელში უხსოვარი დროიდან მიილტვოდნენ კონსტანტინოპოლისკენ და მსოფლიოს ამ უდიდესი ქალაქის ხელში ჩაგდებას ლამობდნენ. ძველ რუსულ მატიანეებში კონსტანტინოპოლს **„ცარგრადი“, ანუ „მეფეთა ქალაქი“** ეწოდება...

ცარგრადზე ერთ-ერთი პირველი ლაშქრობა **კიევის რუსეთის მთავარმა ოლეგმა** (882-912) მოაწყო 907 წელს, როცა 2 ათასი ნავითა და ამ ნავებში მოკალათებული კბილებამდე შეიარაღებული 80 ათასი მებრძოლით კონსტანტინოპოლის მანამდე აუღებელ კედლებს მიადგა... ბიზანტიელებმა მაშინ ხარკის გადახდა იკისრეს და თავი ასე გადაირჩინეს... იგივე განმეორდა **ოლეგის** (882-912) მემკვიდრის **იგორის** (912-945) მეფობის დროს 941-944 წლებში...

მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულს, როცა რუსეთმა მონღოლების სამასწლოვანი უღელი გადაიგდო და მოსკოვის სამთავრო დაწინაურდა, კონსტანტინოპოლში უკვე მოლების რეჩიტატივი ისმოდა, ხოლო ბიზანტიის იმპერიისაგან ქვა ქვაზე აღარ იყო დარჩენილი.

ბიზანტიური ორთავიანი არწივი, თურქი იანიჩრების მიერ დაჭრილი და გაბრდღვნილი, მიწაზე დანარცხებულიყო და მშველელს ელოდა...

ქრისტიანულ საქართველოს, რომელსაც მოუსვენარი და ცოფიანი თემურ-ლენგის მიერ მიყენებული უმძიმესი ჭრილობები ვერ მოეშუშებინა, ცხადია, ძალა არ შესწევდა, არწივი ხელში აეტაცებინა, მოეღონიერებინა და ფეხზე დაეყენებინა. სამაგიეროდ, ეს რუსეთმა შეძლო, რუსეთმა მოახერხა და პირველი რუსი „ცარ“-ის **ივანე მრისხანეს** (1547-1584) ბაბუამ, მოსკოვის დიდმა მთავარმა **ივანე მესამემ** (1462-1505) 1472 წელს ჯვარი დაიწერა ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის **კონსტანტინე მეთერთმეტე პალეოლოგოსის ძმისშვილზე ზოე, ანუ სოფია პალეოლოგოსზე** (1455-1503).

იმ დღიდან ორთავიანი ბიზანტიური არწივი — თურქეთის მიერ გაქელილი და სულთმობრძავი — გაცოცხლდა და რუსეთის უზარმაზარი სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოდ, გერბად იქცა.

ორთავიანი არწივით ცამეტჯერ დაეტაკნენ რუსები თურქებს და პირწმინდად მოუგეს...

**მოხდა საოცრება — ბიზანტიის თვალუწვდენელი იმპერია, რომელიც კავკასიონიდან ატლანტის ოკეანამდე, ყირიმის სახანოდან სინაის ნახევარკუნძულამდე და დუნაიდან საჰარამდე იყო გადაჭიმული, ჩაანაცვლა უფრო დიდმა და ძლევამოსილმა რუსეთის იმპერიამ, რომლის მსგავსი მონსტრი ცივილიზაციის ისტორიას არც ჰყოლია, არც ჰყავს და არც ეყოლება!**

ბიზანტიური ორთავიანი არწივი რომ მიისაკუთრა, რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ სატახტო ქალაქის — მოსკოვის კონსტანტინოპოლთან შეპირისპირება და მისთვის ახალი მესიანისტური ფუნქციის მინიჭება სცადა. სწორედ ასე შეიქმნა მეთექვსმეტე საუკუნეში **„მესამე რომის თეორია“,** რომლის ავტორადაც ფსკოველი **ბერი ფილოფეი** გვევლინება.

მეთექვსმეტე საუკუნეში **ფილოფეი ბერი ივანე მრისხანეს** (1533-1584) მამას, დიდ მთავარ **ვასილ მესამეს** (1505-1533) წერდა: **„ისმინე, მართლმორწმუნე მეფეო! ორი რომი დაეცა, მესამე — მოსკოვი დგას, მეოთხე არ იქნება! მთელ დედამიწაზე მხოლოდ შენ ხარ ქრისტიანი მეფე!“**

აი, სწორედ ეს მესიანიზმი კვებავს ველიკორუსულ პატრიოტიზმს, რომლის შესახებაც ერთმა ჭკვიანმა ოდესღაც თქვა — დიდი ერების ნაციონალიზმი შოვინიზმია, ხოლო პატარა ერებისა — პატრიოტიზმიო!

**სისხლის ცრემლებით მისტიროდნენ გონიერი ქართველი მეფეები ქრისტიანული და კულტურული ბიზანტიის ადგილზე თურანული მოდგმის ველური და მომთაბარე ხალხის დამკვიდრებას! რა არ იღონეს ქართველებმა და რით არ შეაგულიანეს ევროპელი მონარქები კონსტანტინოპოლის გასათავისუფლებლად, მაგრამ არაფერმა გაჭრა...**

სიმბოლურია ქართლის მეფის **კონსტანტინე მეორის** (1478-1505) მიერ 1495 წლის 10 მარტს **ესპანეთის დედოფალ იზაბელასადმი** გაგზავნილი წერილი, სადაც ვკითხულობთ: **„კონსტანტინოპოლის, ტრაპიზონისა და სხვა ქრისტიანთა დაცემის შემდეგ მარტოდმარტო და სრულიად დამდაბლებულნი დავრჩით. გევედრებით, პირდაპირ კონსტანტინოპოლზე გაილაშქროთ... მეც პირადად შვილებით და მთელი ლაშქრით... შენთან ერთად წამოსასვლელად მზად ვიქნები“.**

**კონსტანტინე მეორემ** მსგავსი შინაარსის წერილი **რომის პაპსაც** გაუგზავნა, მაგრამ უშედეგოდ — ქრისტიანული ევროპა თურქულ ხმლებსა და იატაგანებს უფრო უწევდა ანგარიშს, ვიდრე საქართველოს ღაღადისს!

**მაისი მოდის...**

**მაისი კონსტანტინოპოლის დაბადებისა და სიკვდილის თვეა...**

**იქცევა თუ არა მაისი კონსტანტინოპოლის აღზევებისა და აღდგენის ვარდობისთვედ, ამაზე მომავალი გაგვცემს პასუხს!**

***დიტო ჩუბინიძე***




***ამ ერთი კვირის წინათ რუსეთის პატრიარქმა კირილემ უცხოეთში ვიზიტის დროს ერთი მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო განცხადება გააკეთა — აია-სოფიას ტაძარში, რომელიც სტამბოლში დგას, უკვე საუკუნეებია, ქრისტიანული ლოცვა არ აღვლენილაო!***





## კვირგვინოსნები

**მამა მიქაელ ბოტკოველი**
*პატრიარქის მღვდელი*



**თუ კათოლიკური ეკლესია შეცვლის და აღდგომის დღესასწაულს ძველ სტილზე აღნიშნავს, რა თქმა უნდა, ჩვენ წინააღმდეგი არ ვიქნებით, მაგრამ ჩვენ სტილის შეცვლას არ ვაპირებთ.**

„ალია“

**თაკო ჩარკვიანი**
*ჟურნალისტი*



**ჩვენ მოვახერხებთ და არ გადავუხვევთ დასავლურ კურსს, ხალხი ამას არ დაუშვებს.**

„რეზონანსი“

**ვიქტორ დოლიძე**
*„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი*



**მთავრობა დღითი დღე შორდება ხალხს.**

„ახალი თაობა“

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



**რადგან ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ ლარი გამყარდება, ჩვენ უნდა ვირწმუნოთ, რომ ასეც იქნება. მხარს ვუჭერ ნოდარ ხადურს, როგორც მეცნიერს, პროფესორსა და ჩემს მეგობარს. მისი სიტყვა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.**

„რეზონანსი“

**ნოდარ ხადური**
*ფინანსთა მინისტრი*



**ჩვენს მეზობელ ქვეყნებში სტაბილურობა შეიმჩნევა. უკვე იმედი გვაქვს, რომ კურსი დასტაბილურდება და საშუალოვადიან პერიოდში საკმაოდ სერიოზულ გამყარებას ველოდებით. ეს არ არის მხოლოდ სიტყვები, ნამდვილად ასე იქნება და ლარი აუცილებლად გამყარდება.**

„ბიზნეს-რეზონანსი“

# 9 მარტი 60 წლისაა!

***1956 წლის 9 მარტს ფსიქიკურად შეურაცხადი საბჭოთა ლიდერის ნიკიტა სერგეის ძე ხრუშჩოვის ბრძანებით თბილისში მშვიდობიანი დემონსტრაცია დახვრიტეს!!! ქართველი ხალხი, რომელმაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობაზე ავადსახსენებელი ხრუშჩოვის მიერ დიდი სტალინის „კულტად", „ღოთად", „მშიშრად" და „უცოდინარად" შერაცხვა ეროვნულ შეურაცხყოფად მიიღო, ზუსტად 60 წლის წინათ ქუჩაში გამოვიდა...***

***1956 წლის 9 მარტს, პარასკევს, საქართველოს ძველთაძველ დედაქალაქში, რომელსაც უამრავი მიზანთროპისა და მანიაკის შემოსევა ახსოვს, კიდევ ერთხელ დაიღვარა უმანკოთა სისხლი და ასე გაცამტვერდა ოცნება დიად კომუნიზმზე.***

*1956 წლის 9 მარტი იყო დიდი ტეხილი საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში. მომხვეჭელობა, მაამებლობა, მექრთამეობა და კონფორმიზმი სწორედ 9 მარტის სისხლიანი პარასკევის შემდეგ შეეპარა და მოეძალა პროლეტარიატის დიდი ბელადის — სტალინის გარეშე დარჩენილ საქართველოს.*

***საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის" თავმჯდომარე გრიშა ონიანი 1956 წლის გაზაფხულზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი იყო და 20 წლის ბიჭი „მშრალ ხიდთან" დაწყებული უზარმაზარი საპროტესტო მოძრაობის სათავეებთან აღმოჩნდა...***



თბილისი.1956 წლის მარტი. მომიტინგეები გვირგვინით ამკობენ სტალინის ძეგლს „მშრალ ხიდთან"

***„ერთ-ერთი ულამაზესი და უძვირფასესი გვირგვინი, რომლის მსგავსიც იქ არ მოგვეპოვებოდა, კვარცხლბეკის თავში ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე დავკიდეთ. მას ოქროს ასოებით ეწერა — „ღირსეულ მამას უღირსი შვილებისაგან!" ყველა მიხვდა, რომ ეს თბილისელი „კანონიერი ქურდების" მიერ მორთმეული გვირგვინი იყო!"***

**— ბატონო გრიშა, როგორც ვიცი, სულ მალე გამოვა თქვენი წიგნი სტალინის შესახებ... მითხრეს, წიგნი ძალიან ვრცელიაო!..**

— მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება სტალინის ფენომენის შესწავლას დავუკავშირე. მეგობრების თხოვნითა და დახმარებით, გადავწყვიტე, მთელი ეს მასალა ერთად შემეკრა. **პირველი ტომი, რომელიც 600 გვერდს მოიცავს, 1 მარტს გამოვა და ვფიქრობ, საინტერესო იქნება. წიგნი სავსეა სტალინის დღემდე უცნობი და ორიგინალური ფოტოებით, რომელთა ნაწილსაც დიდი სიამოვნებით გამოვაქვეყნებ „ასავალ-დასავალის" მომდევნო ნომრებში.**

**— სულ რამდენი ტომის გამოშვებას გეგმავთ?**

— იმდენი მასალა მაქვს, ეს საქმე ჯერ კიდევ 1956 წელს რომ დამეწყო, დღესაც არ მექნებოდა დამთავრებული. ვფიქრობ, დარჩენილ დროში 5 ტომს მაინც გამოვცემ!

**— 1956 წელი ახსენეთ და სწორედ ეგ მინდოდა მეკითხა... როგორც გულმხურვალე სტალინისტი, როგორ შეხვდით სტალინის გარდაცვალების ამბავს და სად იყავით 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის დროს?**

— ლენტეხის რაიონის სოფელ სასაში, სადაც დავიბადე და დაწყებით სკოლაში ვსწავლობდი, მახსოვს, როგორი მონდომებითა და სიხარულით ვეგებებოდით დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავს. ეს იყო 1949 წელი, მაშინ მერვე კლასში ვიყავი. სტალინის იუბილის მოსამზადებელ პერიოდში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს **ცავრინა ონიანს,** რომელიც ამავე დროს სკოლის დირექტორიც იყო, გულუბრყვილოდ შევეკითხე — რა ეშველება ქვეყანას, როდესაც სტალინი მოკვდება-მეთქი? სკოლიდან გარიცხვას ან სასტიკად დასჯას მხოლოდ იმან გადამარჩინა, რომ ქართულ ლიტერატურაში საუკეთესო მოსწავლედ ვითვლებოდი და ჩემს დირექტორსა და მასწავლებელს განსაკუთრებით ვუყვარდი. დღესაც მიკვირს, როგორ მაპატია მასწავლებელმა ასეთი მკრეხელობა, რადგან სტალინის სახელი სიკვდილთან ვახსენე.

სკოლაში პირველ დეკლამატორად ვითვლებოდი და ამიტომაც ყველა სადღესასწაულო მიტინგსა თუ შეკრებაზე სტალინზე დაწერილი ლექსებით გამოვდიოდი. არასრული საშუალო სკოლა დავასრულე და სწავლა მეზობელ სოფელში, ჯახუნდრის საშუალო სკოლაში გავაგრძელე. 1953 წლის მარტი იდგა... უკვე მეთერთმეტე კლასში ვსწავლობდი, როდესაც მე და ბაბუაჩემი ხარებით ახლომდებარე ტყეში წავედით, საიდანაც ადრე დამზადებული მორები უნდა წამოგვეღო. როდესაც უკან დავბრუნდით, დავინახე, რომ ჩვენი სახლის კიბეზე ბიძაჩემი **დავით ონიანი** ჩამოდიოდა. ბაბუაჩემის დანახვაზე მან თავიდან ყაბალახი გადაიძრო და მოთქმით შემოსძახა: **„ზურაბ, დაიღუპა ქვეყანა, სტალინი მომკვდარა!".** ბაბუაჩემი მონუსხულივით გაჩერდა, ყაბალახი მოიძრო და ძირს დაანარცხა. უცნაური ხმა ამოუშვა — **„ვაღლა მააქვა მიშქვა ლირდეს!" („ვაი, ჩემო გაუბედურებულო ცხოვრებავ!" ასე იციან, როდესაც ოჯახის წევრი იღუპება).**

ბაბუამ ხარების რქებზე მობმულ თოკს ხელი გაუშვა, ხელები ერთმანეთზე გადააჭდო და შუბლზე დაიწყო შემორტყმა, თან იმავე სიტყვებს იმეორებდა... ბაბუაჩემისა და ბიძაჩემის ტირილ-ყვირილზე მთელი კუთხემეზობლობა შეიკრიბა. ქალები თმაგაშლილი მოთქვამდნენ და გაჰკიოდნენ სტალინის სახელს, ბავშვები კი გულამოსკვნილები ვტიროდით. ზოგიერთი ბავშვი ფეხშიშველი იყო გამოსული თოვლში. სოფელში შეწყდა ყოველგვარი საქმიანობა და ხმამაღლა საუბარი. ქალებმა შავი თავსაფრები შემოიხვიეს, კაცებმა და მოზარდებმა შავი სამკლაურები გავიკეთეთ მარცხენა ხელზე.

**1953 წლის 9 მარტი, ორშაბათი დღე, არაქრისტიანული წესით სტალინის დაკრძალვის დღედ გამოაცხადეს.** ჯახუნდრის საშუალო სკოლის კლუბში, სადაც თავი მოიყარა მთელმა სოფელმა, რა თქმა უნდა, ტევა არ იყო; ამიტომ ხალხი სკოლის ეზოშიც მოგროვდა. დაიწყო სამგლოვიარო მიტინგი, სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მასწავლებლები თუ სოფლის სხვა წარმომადგენლები. სკოლის დირექტორმა **ერაჯ ხაბულიანმა** გამოაცხადა, რომ სიტყვა მეძლეოდა მე — გრიშა ონიანს.

რადგან სცენაზე ხშირად მიწევდა გამოსვლა, ამ შემთხვევაშიც არ დავბნეულვარ და სტალინზე სათქმელი სიტყვების ძებნა არ დამიწყია. მიუხედავად ამისა, როდესაც გამოსვლამ კულმინაციას მიაღწია, ცრემლები ვეღარ შევიკავე. ყელში გაჩხერილ ცრემლებთან ერთად მოვუწოდებდი ახალგაზრდებს, სტალინის დროშით გვევლო წინ მეცნიერების მწვერვალებისაკენ.

აღელვებამ თავისი გაიტანა, — ჩემი ომახიანი სიტყვა ქვითინში და ღრიალში გადაიზარდა. სკოლის დირექტორი სცენაზე ამოიჭრა, ხელში ამიყვანა და ხალხით გაჭედილ დარბაზს გადააწოდა ჩემი თავი. მახსოვს, როგორ ხელიდან ხელში გადავდიოდი და როგორ მკოცნიდნენ მასწავლებლები და სოფლის მცხოვრებნი. პირველად ვიგრძენი, რომ ხალხისთვის რაღაც სასიამოვნო ვთქვი და გავაკეთე. სწორედ იმ სცენასა და იმ ხელების ტალღას მივაწერ სტალინისადმი ჩემს დიდ სიყვარულს, რომელიც დღემდე მომყვა და რომელსაც ჩავიტან კიდეც სამარეში.

გაზაფხულდა... დაიწყო გამოსაშვები გამოცდები. პირველი, როგორც წესი, წერითი გამოცდა იყო ქართულ ლიტერატურაში. დღესაც მახსოვს, როგორ გახსნეს დალუქული კონვერტი მოსწავლეების წინაშე და დაფაზე თემები ჩამოწერეს: **1. სოციალისტური სოფელი ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში; 2. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება; 3. სტალინის სახე ქართულ პოეზიაში (თავისუფალი თემა).** მე, რა თქმა უნდა, თავისუფალი თემა დავწერე და უმაღლესი შეფასებაც დავიმსახურე. სკოლა წარჩინებით დავამთავრე...

1954 წელს სწავლა გავაგრძელე შრომის წითელი დროშის ორდენოსან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. 1955 წლის 9 მარტი „მშრალ ხიდთან" მდებარე სტალინის ძეგლის წინ გავატარე. უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, რომელიც 6 საათისთვის დამთავრდა. მიტინგმა ყოველგვარი ექსცესებისა და ხმაურის გარეშე ჩაიარა.

**— ბატონო გრიშა, 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია სპონტანურად მოხდა? ანუ უტვინო და ბოღმიანმა ხრუშჩოვმა სტალინის სახელი ერთბაშად, მომენტალურად შეურაცხყო თუ ეტყობოდა „საქმეს", რომ ბელადს ასეთ განაჩენს გამოუტანდნენ?**

— არა, „საქმეს" ეტყობოდა... მაგალითად, 1955 წლის განმავლობაში გაზეთებში თანდათანობით იკლო სტალინის სიტყვებმა და სურათებმა; თეატრებში აღარ იდგმებოდა სპექტაკლები, რომლებიც რაღაცით იყო დაკავშირებული ბელადის სახელთან; აღარ აჩვენებდნენ კინოფილმებს სტალინზე... 1956 წლისთვის უკვე სახელმწიფო






*გრიშა ონიანი:*

## აკაკი ხორავამ შუბლზე ხელი მიიდო და წარმოთქვა – ამ შუბლზე ბელადმა მაკოცაო!



ჰიმნსაც მოაშორეს ტექსტი და დილის 6 და ღამის 12 საათზე სახელმწიფო ჰიმნის მხოლოდ მუსიკა ჟღერდა.

ხალხში აქა-იქ გაისმოდა უკმაყოფილების ხმები სტალინის გზიდან გადახვევის გამო, მაგრამ ამას ხმამაღლა არავინ ამბობდა. მთელი ყურადღება გადატანილი იყო მოახლოებულ მე-20 ყრილობაზე, რომელიც **1956 წლის 14 თებერვალს** უნდა გახსნილიყო. მთელი საქართველო რადიოგადამცემებს იყო მიყურადებული, თუ რას იტყოდნენ სტალინის შესახებ.

ყრილობის პირველი დღე არასასიამოვნო გამოდგა, რადგან ყრილობამ პატივი მიაგო გარდაცვლილ პარტიულ მოღვაწეებს — ტოკუდას და სხვა უცნობ თუ ნაცნობ გვარებს. მათ შორის მოიხსენიეს სტალინიც, რაც გამარჯვების უბადლო მთავარსარდლის აშკარად დაუფასებლობა და უპატივცემულობა იყო. ისე გაიარა ყრილობის ათმა დღემ (იგი 25 თებერვალს დამთავრდა), რომ სტალინის სახელი არავის უხსენებია.

შინ დაბრუნებულმა დელეგატებმა ამბავი ჩამოიტანეს ყრილობის შემდეგ გამართული საიდუმლო სერობის შესახებ, სადაც იმჟამინდელმა ქვეყნის უხსენებელმა უთავო მეთაურმა — ხრუშჩოვმა წაიკითხა უპრეცედენტო სიყალბის მოხსენება, რომელშიც სტალინს უამრავ ცილისწამებასთან ერთად ისიც დააბრალა, რომ „ლოთი“, „მშიშარა“ და „უცოდინარი“ იყო; რომ რუკებში ვერ ერკვეოდა და საბრძოლო ოპერაციებს „გლობუსით ხელმძღვანელობდა“.

ამ სერობის მონაწილე საზღვარგარეთის კომპარტიების დელეგაციებმა პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვეს და ზოგიერთმა მათგანმა საბჭოთა კავშირთან კავშირიც გაწყვიტა. არათუ კომუნისტური სამყარო, თვით კაპიტალისტური მსოფლიოც გაურკვევლობაში იყო და არავინ იცოდა, რა ხდებოდა საბჭოთა კავშირის მთავრობაში. ფუტკრის სკასავით ზუზუნებდა მთელი საქართველო, განსაკუთრებით — თბილისი და სტუდენტი ახალგაზრდობა.

**— თბილისში ვითარება რომელი რიცხვიდან დაიძაბა?**

— ახლოვდებოდა 1956 წლის 5 მარტი — სტალინის გარდაცვალებიდან 3 წლისთავი. 4 მარტს, ლექციების შემდეგ, ხუთიდან 6 საათამდე, ვაკის სტუდქალაქში ორმოცდაათამდე სტუდენტი შევიკრიბეთ და მოვილაპარაკეთ, წავსულიყავით „მშრალ ხიდზე“ და სტალინის გარდაცვალების სამი წლისთავის აღსანიშნავად მის ძეგლთან ღამე გაგვეთია. რადგან ხმაურითა და მოწოდებებით მოვდიოდით, გზადაგზა ახალგაზრდობა გვიერთდებოდა. უკვე შებინდდა და აცივდა, მაგრამ ჭადრის გამხმარი ტოტები მოვაგროვეთ და კოცონი გავაჩაღეთ. არავითარი გამოსვლები და მოწოდებები არ ყოფილა, მხოლოდ ერთმანეთში გამოვთქვამდით იმ საყვედურებს, რომლებიც ქალაქად თუ სოფლად გაისმოდა.

სიცივე თანდათან მატულობდა, მაგრამ იქაურობის მიტოვებას არავინ ფიქრობდა. ახლომახლო ამდენი შეშა აღარ იყო, რის გამოც ჩვენს კოცონს ფიჩხთან ერთად ბაღის რამდენიმე სავარძელიც შეეწირა. მარტის გრძელი ღამე მიიწურა. დილით ლექციებზე წასვლა არავის უფიქრია... როდესაც უნივერსიტეტმა და სხვა ინსტიტუტებმა გაიგეს, რომ მათმა ამხანაგებმა ღამე სტალინის ძეგლთან გაათენეს, ყველა მათგანში თავმოყვარეობის გრძნობამ გაიღვიძა და მთელი სტუდენტობა „მშრალი ხიდისაკენ“ დაიძრა.

ძეგლის წინ მოედანი თანდათან ივსებოდა ხალხით. საჭირო გახდა საორგანიზაციო საკითხების მოგვარება. დავიწყეთ სიტყვით გამოსვლა. არავითარი შეურაცხმყოფელი გამოხდომები და შეძახილები არ ყოფილა... გამომსვლელები ბაღის გადარჩენილ სკამებზე დგებოდნენ და ხალხს ისე მიმართავდნენ. 5 მარტის საღამოს ძეგლის წინა მოედანზე უკვე ხალხის ტევა აღარ იყო...

**— ამდენ ხალხს როგორ ელაპარაკებოდით? რუპორი ან მიკროფონი გქონდათ?**

— 6 მარტს, დილით, შევქმენით საორგანიზაციო კომიტეტი 10 კაცის შემადგენლობით და გადავწყვიტეთ, მიგვემართა კავშირგაბმულობის მინისტრისათვის, რათა მოეცათ მოძრავი რადიოსადგური თავისი გამაძლიერებლებით. ჯგუფს, რომელიც კავშირგაბმულობის სამინისტროში წავიდა, გავატანეთ პეტიცია, სადაც ნათქვამი იყო, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს თხოვნას არ დააკმაყოფილებდნენ, მთელი მომიტინგე ხალხი რუსთაველზე ავიდოდა სამინისტროს წინ. სამინისტრომ თხოვნა გაითვალისწინა და უშველებელ სატვირთო ავტომანქანაზე დამონტაჟებული მოწყობილობა მოედნის ერთ დაცულ კუთხეში განათავსა. მეკავშირეებმა კი სწრაფად დაიწყეს ჭადრებზე ხმამაღლა მოლაპარაკეების დამონტაჟება.

**— ტრიბუნა სად მოაწყვეთ?**

— იქ, სადაც სტალინის პატივისცემის გამო ადრე დადგომას ვერ ვბედავდით, ახლა უკვე გადავწყვიტეთ, გაგვეკეთებინა ხის კიბე, რომლითაც კვარცხლბეკის მეორე ტერასაზე ავიდოდით. ტრიბუნის ადგილმდებარეობა ისეთი მოხერხებული იყო, რომ გამომსვლელების ხმა მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე და კოლმეურნეობის მოედანზეც კი ისმოდა. 6 მარტს, გვიან საღამოს, დავრწმუნდით, რომ მიტინგის მიმდინარეობა შეუქცევადი იყო. მოედანზე გაჩნდა რამდენიმე პროჟექტორი. **შეიქმნა ერთი უხერხულობა — ზოგიერთი გამომსვლელი უშვერი სიტყვებით ლანძღავდა პირადად ხრუშჩოვს. სხვა ანტისახელმწიფოებრივი შეძახილები მიტინგზე არ ყოფილა. იყო საპირისპირო „ლენინ, სტალინ!“ უხეში სიტყვების აღსაკვეთად დავაყენეთ ცენზურა, რაც პირადად მე დამევალა...**



თბილისი.1956 წლის მარტი. მომიტინგეები „მშრალ ხიდთან“

**— მაინც რას აკეთებდით?**

— გამომსვლელი ისე ვერ მივიდოდა მიკროფონთან, თუ წინასწარ არ მექნებოდა წაკითხული, რას იტყოდა. ნებადართული იყო ყველაფერი, გარდა უწმაწური სიტყვებისა და გინებისა.

**რა თქმა უნდა, სრული წესრიგი ამ საკითხში ვერ დავამყარეთ, მაგრამ მიტინგზე ხრუშჩოვის დედის გინება ნაწილობრივ მაინც აღვკვეთეთ.** 7 მარტს მიტინგზე გამოჩნდნენ ცეკას, მინისტრთა საბჭოს, საქალაქო კომიტეტისა და ალმასკომის წარმომადგენლები. ჩვენს საქმიანობაში აქტიურად ჩაება მილიცია, რომელიც ყოველგვარი ხელის შეშლის გარეშე გვეხმარებოდა წესრიგის დაცვაში.

როდესაც მომიტინგეთა რაოდენობამ 100 ათას კაცს გადააჭარბა, რიგ ადგილებში მოხდა ჭყლეტა — მიწაზე ცვიოდა საათები, ჩანთები, შარფები და რიგ შემთხვევაში, საფულეებიც კი. დაკარგული ნივთების მპოვნელი ვალდებული იყო, ერთ დანიშნულ ადგილზე მიეტანა და დაეწყო ყველაფერი. არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს სხვისი ნივთი მიესაკუთრებინოს. მოჰქონდათ ასობით და ათასობით ყვავილი და გვირგვინი. კვარცხლბეკის გარშემო გვირგვინების მთები დადგა. გადავწყვიტეთ, მაღლიდან ჩამოგვეშვა თოკები და მათზე ჩამოგვეკიდა ძვირფასად შეკრული გვირგვინები, რომლებსაც სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებისა და სასწავლებლის დასახელებაამშვენებდა.

**— ბატონო გრიშა, მე ვიცი, რომ ქართველმა „კანონიერმა ქურდებმაც“ მიიტანეს სტალინის ძეგლთან გვირგვინი...**

— დიახ, ერთ-ერთი ულამაზესი და უძვირფასესი გვირგვინი, რომლის მსგავსიც იქ არ მოგვეპოვებოდა, კვარცხლბეკის თავში ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე დავკიდეთ. მას ოქროს ასოებით ეწერა — **„ღირსეულ მამას ულირსი შვილებისაგან!“** ყველა მიხვდა, რომ ეს თბილისელი „კანონიერი ქურდების“ მიერ მორთმეული გვირგვინი იყო. სწორედ მათი გავლენაც იყო, რომ იმ დღეებში არც ქურდობა და არც სხვა დანაშაული მთელ ქალაქსა და საქართველოში არ მომხდარა.

8 მარტს ჩაიკეტა მტკვრის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა სანაპირო... „მშრალ ხიდზე“ და მტკვარზე გადებულ ხიდზე ნემსიც კი ვერ ჩავარდებოდა. ტრიბუნაზე მისივე დაჟინებული მოთხოვნით ავიყვანეთ **აკაკი ხორავა.** ხორავას გვარის გამოცხადებასა და მის ახლოდან დანახვას ხალხის გამაყრუებელი ყიჟინა და შეძახილები მოჰყვა. ლეგენდარულმა მსახიობმა არნახული ძალით ჩასძახა მიკროფონში. დაიწყო თხრობა ბელადთან მისი შეხვედრების შესახებ და მომიტინგეებს წაუკითხა, როგორც თვითონ განმარტა, სტალინის უსაყვარლესი ლექსი — **„ვეფხი და მოყმე“.** ლექსის კითხვის დამთავრების შემდეგ აკაკი ხორავამ შუბლზე ხელი მიიდო და წარმოთქვა — ამ შუბლზე ბელადმა მაკოცა!

ხორავას გამოსვლამ ხალხში სულ სხვა იმედი ჩასახა. ტრიბუნისაკენ დაიძრნენ მეცნიერები, პოეტები, მხატვრები... გორიდან ჩამოსულმა მსახიობებმა სპეციალურად გაკეთებულ სცენაზე, რომელიც ხალხს ხელით ეჭირა, წარმოადგინეს ლენინისა და სტალინის შეხვედრის სცენები, რამაც საზოგადოებაში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ მიტინგზე მოსულ ხალხს ვერ ვატევდით, მოხალისეთა ჯგუფები მანქანებით დადიოდნენ ქუჩებში და ხალხს მიტინგზე მოსვლისკენ მოუწოდებდნენ.

8 მარტის შუადღე იყო, როდესაც პირველად გაისმა მოწოდებები — **„ძირს ხრუშჩოვი!“ „გაუმარჯოს მოლოტოვს!“ „ჩვენ არ ვემორჩილებით მე-20 ყრილობის გადაწყვეტილებებს და ვაპროტესტებთ ხრუშჩოვის არჩევას ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად!“** მთელი მოედანი, ქუჩები და ხიდები ზანზარებდა შეძახილებითა და მოთხოვნებით. ყველა ვგრძნობდით, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ არავინ იცოდა — რა...



## „ერთ მხარეს ჩვენ, 10 კაცი ვისხედით, ხოლო მეორე მხარეს – ვასილ მჟავანაძე და მიხეილ გიორგაძე!“



**— როგორც ცნობილია, მაშინ თბილისში ჩინელი პარტიული ლიდერი ჯუ-დე იყო ჩამოსული...**

— დიახ, ასე იყო. სხვათაშორის, მომიტინგეთა ერთი ნაწილი კრწანისის სამთავრობო აგარაკებისაკენ წავიდა, რათა მიტინგზე მოეწვიათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ჯუ-დე. სამთავრობო აგარაკთან მიმდგარი ათასობით კაცი სწორედ „ჯუ-დე, ჯუ-დე!“-ს ძახილით საათის განმავლობაში ამაოდ ელოდა მის გამოჩენას. ზოგიერთი ცნობით, ჯუ-დემ თითქოს მიიღო სტუდენტთა გარკვეული ნაწილი, მაგრამ ეს ჩემთვის დანამდვილებით ცნობილი არ არის.

კრწანისში მიტინგის წამყვანმა ხალხს მიმართა, რომ ჯუ-დე, შესაძლოა, სასტუმრო „ინტურისტში“ ყოფილიყო დაბინავებული და იქ უნდა მივაკითხოთ! სასტუმრო „ინტურისტთან“ მისულ მომიტინგეებს საორგანიზაციო კომიტეტის დავალებით მეც შევუერთდი და სასტუმროს დირექციას პრინციპულად მოვთხოვეთ, რომ, **თუ ჩინეთი მართლაც პატივს სცემდა სტალინის სახელსა და მის სამშობლოს, ჩინეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე რომელიმე აივანზე გამოსულიყო და დანახვებოდა ხალხს!** ჯუ-დე არც იქ გამოჩენილა...

რამდენიმე ათეული კაცი, საგულდაგულოდ ვათვალიერებდით არამარტო სასტუმრო „ინტურისტის“ ოთახებს, არამედ საკუჭნაოებსაც კი, მაგრამ ჯუ-დე ვერსად ვნახეთ... ამიტომაც მეეჭვება, რომ ის კრწანისში ვინმეს ენახა...

**— ბატონო გრიშა, სად იყო ამ დროს ვასილ მჟავანაძე?**

— სასტუმრო „ინტურისტის“ მოპირდაპირე მხარეს, ჩიტაძის ქუჩაზე, მოგეხსენებათ, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იყო განთავსებული. ხალხმა იფიქრა, დაცვის მიზნით ჯუ-დე, ალბათ, აქ მოიყვანესო და ამიტომაც მიმდებარე ქუჩები მომიტინგეებით გაივსო. ხალხი შენობის სახურავებზეც კი იყო ასული და ერთხმად გაჰყვიროდა — **„ჯუ-დე, ჯუ-დე!“**

ცოტა ხნის შემდეგ ცეკას შენობის მეორე სართულის აივანზე კრაველის „ბოხოხიანი“ ორი კაცი გამოჩნდა. ვიცანით — ერთ-ერთი მათგანი **ვასილ მჟავანაძე** იყო, ხოლო მეორე — **მიხეილ გიორგაძე.** მათი გამოჩენის მიუხედავად, ხალხს „ჯუ-დე, ჯუ-დე!“-ს ძახილი არ შეუწყვეტია. ჩვენ, რამდენიმე აქტივისტს, ცოცხალი კედელი გვქონდა გაკეთებული ცენტრალური კომიტეტის შესასვლელთან, რათა მომიტინგეებს არ შეენგრიათ. სახელდახელოდ დადგეს ხმის გამაძლიერებელი და გაისმა გამყინავი და შემზარავი ხმა ბრძანებისა... ჯერ ასეთი ხმა არასოდეს გამიგონია, ხალხი ერთბაშად გაისუსა. მიკროფონით ხელში **ვასილ მჟავანაძე** მიმართავდა ხალხს: **„ჩემო შვილებო, ძმებო და დებო, მეგობრებო! ნუთუ ისე დავეცით ქართველები, რომ საშველად გადამთიელს ვეძახით, ნუთუ ჩვენ არ გვეხება, რომ თქვენი გულისწყრომა და გულისნადები გავიზიაროთ, ვის იცავთ თქვენ? იმას, ვინც მე გამზარდა და გენერალ-ლეიტენანტი გამხადა? ნუთუ მე არ მიყვარს ჩემი უმაღლესი მთავარსარდალი და თქვენ რომელიმეს ჩემზე მეტად გიყვართ იგი? არ დაიჯეროთ და არც მე მჯერა! აქედან ვერ გეტყვით ვერაფერს ყველას გასაგონად და იქიდანაც ვერ მოვისმენ თქვენგან დაწვრილებით ყველაფერს. გამოყავით 10 კაცი თქვენი წარმომადგენელი, ამოდით ჩემთან, მითხარით, რა გინდათ და მე თქვენ ყველაფერს გაგიკეთებთ!“**

ცოცხალი კედელი, რომელიც კართან გვქონდა აღმართული, უმალ მოვხსენით. 10 კაცის სია იქვე ჩამოვწერეთ და მცველს გადავეცით. სულ მცირე დრო გავიდა და ცეკას შენობის მესამე სართულზე, პირველი მდივნის კაბინეტში, გრძელი მაგიდის ერთ მხარეს 10 კაცი ვისხედით, ხოლო მეორე მხარეს — **ვასილ მჟავანაძე** და **მიხეილ გიორგაძე.**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



# „მასტოპათიის ფონზე სარძევე ჯირკვლის კიბო თერთმეტჯერ უფრო ხშირად ვითარდება, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევაში!“

## კახა საბახტარიშვილი:

# პრევენციის მიზნით ჰომეოპათიური წესით დამზადებული არნიკას მიღება ადამიანს კიბოსგან იცავს!

***კიბოს წინარე დაავადებათა გრძელ ნუსხაში მასტოპათიას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებისა და ყველა სახის სამედიცინო გამოკვლევების თანახმად, დედამიწაზე ძუძუს კიბოს შემთხვევათა რიცხვი კატასტროფულად იზრდება. ცნობილი ქართველი მეცნიერის, ჰომეოპათისა და პოპულარული პრეპარატების — „გულის ელექსირისა“ და „მამოსილის“ ავტორის, ექიმ კახა საბახტარიშვილის განცხადებით, მასტოპათიისა და კიბოს წინარე სხვა დაავადებათა პრევენციის მიზნით შეუფასებელია მცენარე არნიკას (Arnica montana. ლათ.) თვისებები, რომელთა შესახებ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები, მწერლები თუ პოეტები საუკუნეების წინათ წერდნენ...***

**— ბატონო კახა, ითვლება თუ არა მასტოპათია კიბოს წინარე დაავადებად?**

— მასტოპათია არის სარძევე ჯირკვლის დაავადება, რომელიც კეთილთვისებიანი მიმდინარეობით ხასიათდება და შესაძლებელია, დიფუზური ან კვანძოვანი ფორმა ჰქონდეს. მეცნიერულად დადგენილი და დამტკიცებულია, რომ მასტოპათიის ფონზე სარძევე ჯირკვლის კიბო თერთმეტჯერ უფრო ხშირად ვითარდება, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევაში! ბევრმა, შესაძლოა, არც იცის, რომ **25-დან 45 წლამდე ქალების 65-80 პროცენტი სწორედ მასტოპათიით გახლავთ დაავადებული!**

**— რამ შეიძლება გამოიწვიოს მასტოპათია?**

— მასტოპათიის გამომწვევ მიზეზებს შორის პირველ ადგილზეა **სტრესი!** სტრესი, ნერვიულობა, ქრონიკული გადაღლა, უძილობა და ა.შ. ქალის ორგანიზმში იწვევს ჰორმონალურ ცვლილებებსა და დისბალანსს, რაც მასტოპათიის მიზეზია.

**— საერთოდ, სტრესი, დაღლილობა და უძილობა კიბოს მაპროვოცირებელი ფაქტორებია?**

— არამარტო მაპროვოცირებელი, სტრესი, დაღლილობა და ღამის თევა კიბოს გამომწვევი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია!

**— ყველაზე ხშირად მაინც ვის შეიძლება განუვითარდეს მასტოპათია?**

— **მასტოპათიის რისკ-ჯგუფს მიეკუთვნება ქალი, რომელიც გადაცილებულია 35 წელს და მის დედას ან ბებიას ჰქონდა მასტოპათია.** ამავე რისკ-ჯგუფში შედის **ქალი, რომელსაც შვილი არ გაუჩენია ან ერთი შვილი გააჩინა, ბავშვს ხელოვნურად კვებავდა, ხშირად იკეთებდა აბორტს, გადატანილი აქვს გინეკოლოგიური ანთებები, აქვს ზედმეტი წონა და წესრიგში არ აქვს ფარისებრი ჯირკვალი.** მასტოპათიის დაავადების რისკი მაღალია იმ ქალებში, რომლებსაც არარეგულარული სექსუალური ცხოვრება აქვთ... ყველა ეს ფაქტორი იწვევს ქალის მკერდის გამკვრივებას, ანუ მასტოპათიური კვანძების წარმოქმნას, რომლებიც, დიდი ალბათობით, შესაძლოა, სიმსივნეში გადაიზარდოს!

**— ბატონო კახა, ქალი, რომელსაც მკერდში არანაირი კვანძი არ აღენიშნება, როგორ უნდა მიხვდეს, რომ შესაძლოა, მასტოპათია აქვს?**

— ამის გამოსავლენად ორგანიზმი თვითონ გამოსცემს სიგნალს... უპირველეს ყოვლისა, ქალმა ყურადღება უნდა მიაქციოს ერთ მეტად საინტერესო სიმპტომს — **თუ ქალს მენსტრუალური ციკლის დაწყების წინ მკერდი უმაგრდება და ტკივილი ეწყება, ეს, დიდი ალბათობით, უტყუარი ნიშანია იმისა, რომ მას უკვე აქვს მასტოპათია, რომელიც მკერდში წარმოქმნილი კვანძებით ჯერ კიდევ არ არის გამოხატული!** სამწუხაროდ, ბევრი ჩემი კოლეგა ამას ყურადღებას არ აქცევს, რაც დანაშაულია! უბედურება ის არის, რომ ოფიციალურ მედიცინას მასტოპათიის წინარე პერიოდის სამკურნალო საშუალება, ფაქტობრივად, არ გააჩნია და ერთადერთი, რაც გინეკოლოგმა ან მამოლოგმა შეიძლება პაციენტს ურჩიოს, ის გახლავთ, რომ წელიწადში ორჯერ და სამჯერ რეგულარულად ჩაიტაროს სამედიცინო გამოკვლევები. ოფიციალური მედიცინა მასტოპათიის „მკურნალობას“ იწყებს მაშინ, როცა მკერდში კვანძი უკვე წარმოქმნილია, ანუ დამდგარია კიბოს წინარე სიტუაცია!



არნიკა

**— საერთოდ, არსებობს კი რამე საშუალება მასტოპათიის თავიდან ასაცილებლად?**

— ასეთი საშუალება არსებობს და ამის შესახებ ცოტა ქვემოთ ვისაუბრებ! **მასტოპათიის განვითარებაში დიდი როლი ენიჭება ტრავმებს...** დედამიწაზე არ არსებობს ქალი, რომელსაც მკერდზე სხვადასხვა ხარისხის ტრავმა არ მიეღოს! დაცემისა და შეჯახების დროს ქალს, შესაძლოა, მკერდი ეტკინოს... მკერდის ნებისმიერი ტრავმა კიბოს წარმოშობის რისკ-ფაქტორია... საერთოდ, ტრავმა, სხეულის რომელ ნაწილზეც უნდა განვიცადოთ, შეიძლება, სიმსივნის განმაპირობებელი მიზეზი გახდეს! იმისათვის, რომ ნებისმიერი სახისა და სიმძიმის ტრავმა სიმსივნეში არ გადაიზარდოს, ინტერესით უნდა გავეცნოთ მცენარე არნიკას ნიშან-თვისებებს!

**— არნიკა ამ მცენარის ქართული სახელია?**

— არა, „Arnica montana“ ამ მცენარეს ლათინურად ჰქვია, თორემ ქართულად მას **„ანგელოზების მცენარე“, „მონაზვნების ბალახი“ და „მთის საოცრება“** ჰქვია. **არნიკა** საქართველოშიც იზრდება, ის ძირითადად მთის მცენარეა და ძლიერ შხამიანია, მაგრამ ჰომეოპათიური წესით დამზადებული მისი შხამი ძალიან სასარგებლოა და სხვა უამრავ თვისებასთან ერთად ჭრილობის სწრაფად შემახორცებელი ეფექტი აქვს. მე-17 საუკუნეში ცნობილი მეცნიერი **დოქტორი ფარი** წერდა — **„არნიკა ყველა დაავადების განმკურნებელი საშუალებაა!“** მის მიერ შემოღებული იქნა ტერმინი — **„პანაცეა იაპსორუმ“,** რაც **„დაცემისგან პანაცეას“** ნიშნავს. მოკლედ, დოქტორი ფარი მიიჩნევდა, რომ არნიკა ტრავმისგან განკურნების უებარი საშუალება იყო. დიდი გერმანელი მწერალი **იოჰან ვოლფგანგ გოეთე** არნიკას თავის **„უსაყვარლეს მცენარედ“** მიიჩნევდა; არნიკას ახსენებს **სერვანტესი** თავის „დონ-კიხოტში“... არნიკას ახსენებს **არტურ კონან დოილიც...** რაც შეეხება **აბუ ალი იბნ-სინას, ანუ ავიცენას,** მან ეს მცენარე თავის ცნობილ ტრაქტატში აღწერა... მე-19 საუკუნის ერთ-ერთ სამედიცინო წყაროში წავაწყდი ინფორმაციას, სადაც წერია: **„არნიკა, ეს მცენარე ტრავმისგან გამოწვეული კიბოსგან დაგვიცავს!“**

**— ამით რისი თქმა გსურთ?**

— ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს უნიკალური მცენარე — **არნიკა,** რომელიც ჰომეოპათიის დამფუძნებელმა ჰანემანმა დაამკვიდრა ჰომეოპათიაში, ადამიანის ორგანიზმს ტრავმისგან გამოწვეული სიმსივნისაგან იცავს! **როგორც ექიმი-კლინიცისტი, ოფიციალურად ვაცხადებ — ტრავმის შემდგომ ორგანიზმის მართვის არანაირი მეთოდი ოფიციალურ მედიცინას არ გააჩნია და პრევენციის მიზნით ჰომეოპათიური წესით დამზადებული არნიკას მიღება ადამიანს კიბოსგან იცავს!**

ჩემი მიზანი იყო, შემექმნა პრეპარატი, რომელსაც ექნებოდა ანტისიმსივნური, ანტიტოქსიკური, ანთების საწინააღმდეგო, ჰორმონთა ცვლის მარეგულირებელი თვისებები და თავიდან აგვაცილებდა როგორც მასტოპათიებს, ისე ტრავმისგან წარმოქმნილ სხვადასხვა სიმსივნეს. ამიტომაცაა, რომ ჩემ მიერ შექმნილ პრეპარატ **„მამოსილში“** კონიოსთან და ჭიაფერასთან ერთად **არნიკაც** შედის... წლების წინათ გავიცანი შესანიშნავი პიროვნება, საქართველოში კიკბოქსინგის დამფუძნებელი ბატონი **გოჩა ჯავახია...**

**— ვიცნობ ბატონ გოჩას, ღირსეული კაცია, სააკაშვილის ბინძურ რეჟიმს ქედი არ მოუხარა და თავისი მოწაფეები ზონდერებად არ გადააქცია!**

— დიახ, ბატონი გოჩა მართლაც ღირსეული კაცია... მე და ბატონმა გოჩამ მაშინ დიდხანს ვისაუბრეთ ჰომეოპათიური მედიცინის შესახებ. მოგეხსენებათ, კიკბოქსინგში ხშირია ტრავმები... მას ვურჩიე, დაეწყოთ ჰომეოპათიური წესით დამზადებული არნიკას მიღება, რომელიც არამარტო ტრავმული სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატია, არამედ ხსნის დაღლილობასაც, არნიკას წყალობით ორგანიზმი სწრაფად აღიდგენს ძალებს. სწორედ იმ წელს ბატონი გოჩა ჯავახიას შეგირდებმა ტაილანდში გამართულ შეჯიბრზე 8 ოქროს მედალი აიღეს... **შეჯიბრის დაწყებამდე ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში სპორტსმენები სისტემატურად ღებულობდნენ ჰომეოპათიური წესით დამზადებულ არნიკას და შედეგმაც არ დააყოვნა.** კიბოს წინარე სხვა დაავადებების შესახებ საუბარს მომავალში გავაგრძელებთ!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

# «გულის ელექსირმა» გულის არსებობა დამავიწყა!

***ექიმის, საერთაშორისო ჰომეოპათიური მედიცინის ლიგის წევრის, მედიცინის ისტორიკოსთა მსოფლიო საზოგადოების ნამდვილი წევრის კახა საბახტარიშვილის და ექიმ სოფიკო მარგალიტაშვილის მიერ შექმნილი „გულის ელექსირი“ უმოკლეს დროში გახდა ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი საგულე საშუალება არა მარტო საქართველოში, არამედ აშშ-ში, საბერძნეთში, იტალიაში, შვეიცარიაში და უცხოეთის მთელ რიგ ქვეყნებში.***

ათასობით მადლიერი პაციენტი, ნატურალური, მხოლოდ და მხოლოდ **ბუნებრივი კომპონენტებისაგან** შემდგარი **„გულის ელექსირი“** მრავალი ოჯახისათვის მართლაც რომ შეუცვლელ წამლად იქცა.

**— „ამ საგულე საშუალებას უკვე შეუძლია ათასობით სიცოცხლე იხსნას!“**

„საქართველოს მოსახლეობას უნიკალური შანსი ეძლევა, **ერთხელ და სამუდამოდ დაივიწყოს გულთან დაკავშირებული პრობლემები**“.

10 წლის წინათ დამეწყო **ქოშინი, გულის ფრიალი, ადვილად დაღლა, წნევის ცვალებადობა.** გულზე უშედეგო მკურნალობის შემდეგ შემომთავაზეს გულის სტენტირების ოპერაცია. შემთხვევით გავიგე **„გულის ელექსირის“** შესახებ. დავიწყე მისი მიღება. ვლებულობ უკვე 10 წელზე მეტია. **84 წლის ადამიანს დამავიწყდა, სადა მაქვს გული“** — ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, ყველასათვის საყვარელი ტელედიქტორი **დავით სოკოლოვი.**

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რაც **„გულის ელექსირის“** შესახებ დაიწერა და გაჟღერდა პრესით და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით.

**— ბატონო კახა, სამკურნალო მედიკამენტების რეცეპტით გაცემის ახალმა წესებმა ხომ არ შეუქმნა სირთულეები „გულის ელექსირის“ მომხმარებელ მრავალათასიან კონტინგენტს?**

— **„გულის ელექსირი“** საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ დაარეგისტრირა როგორც **სამკურნალო წამალი.** ვინაიდან ის მხოლოდ და მხოლოდ მცენარეული წარმოშობის კომპონენტებისაგან არის შემდგარი, **არ გააჩნია გვერდითი მოქმედებები, წინააღმდეგ ჩვენება** და ა.შ. ამიტომაც წამლის სააგენტომ მას მიაკუთვნა მე-3 ჯგუფი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გაცემა ნებადართულია **რეცეპტის გარეშე** და გამოყენება შესაძლებელია ექიმის დანიშნულების გარეშეც.

**— რა თვისებები აქვს „გულის ელექსირს“?**

— „გულის ელექსირი“ ნატურალური, ბუნებრივი კომპონენტებისგან შემდგარი **გულის სამკურნალო და პროფილაქტიკური წამლების** ჯგუფს მიეკუთვნება. **„გულის ელექსირი“ აფართოებს გულის მკვებავ სისხლძარღვებს,** არის **სპაზმის მომხსნელი, გულის კუნთის მკვებავი და არითმიის საწინააღმდეგო, წნევის მარეგულირებელი** (ე.ი. არა აქვს შეზღუდვა: შეიძლება გამოყენება როგორც **დაბალი**, ისე **მაღალი წნევის** დროსაც!) **„გულის ელექსირის“** შემადგენლობაში შედის ისეთი ნატურალური კომპონენტებიც, რომლებიც ხელს უწყობენ ნერვული სისტემის რელაქსაციას. აქვს **დამამშვიდებელი** მოქმედებაც. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ინფარქტის, ინსულტის** თავიდან ასაცილებლად სასურველია „**გულის ელექსირი**“ ჯანმრთელმა ადამიანმაც მიიღოს **პროფილაქტიკის მიზნით** დღეში თუნდაც ერთხელ!

**— რამდენი ხნის განმავლობაში შეუძლია ადამიანს მიიღოს „გულის ელექსირი“?**

— **„გულის ელექსირს“** მიჩვევის ეფექტი არ გააჩნია. **არა აქვს გვერდითი მოქმედებები.** მისი მიღება შესაძლებელია წლების განმავლობაში დანიშნულ ქიმიურ მედიკამენტებთან ერთად. ბევრ შემთხვევაში **ცვლის ძვირად ღირებულ საგულე საშუალებებს** ან ამცირებს მათი მიღების ინტენსივობას.

**P.S.**

რედაქციაში ბევრი ზარი შემოდის ექიმ **კახა საბახტარიშვილის** მიერ შექმნილი მეორე პრეპარატის **„მამოსილის“** შესახებაც. როგორც **მასტოპათიების, ფიბრომების, კისტების** და ქალთა გინეკოლოგიური **ანთებითი პროცესების** სამკურნალო და პროფილაქტიკურ სამკურნალო ბუნებრივ წამალს, აგრეთვე **პრეპარატს, რომელიც იცავს ორგანიზმს სიმსივნისაგან,** არამარტო საქართველოში, **უცხოეთშიც ანალოგი არ გააჩნია,** ფასის მხრივაც ხელმისაწვდომია (18 ლარამდე) და „ჯი-პი-სის“ სააფთიაქო ქსელშია!


„GPS“-ის სააფთიაქო ქსელში გამოჩნდა უნიკალური ბუნებრივი წამალი „გრიპისი-საბა“, რომელმაც „ღორის გრიპის“ პანდემიის დროს, წლების წინათ, ათასობით ადამიანს ღორის გრიპი თავიდან აარიდა!






„გულის ელექსირის“ შეძენა უკვე შესაძლებელია ყველა სააფთიაქო ქსელში.
კონსულტაცია:
593-31-70-34, 558-51-40-65



„მამოსილი“ ძალიან ეფექტური საშუალებაა ფიბროზულ-კისტოზური მასტოპათიების, ფიბრომიომების, ქალთა გინეკოლოგიური ანთებითი პროცესების დროს!“

**P.P.S.**

„გულის ელექსირის“ და „მამოსილის“ ექსკლუზიური დისტრიბუტორია „ჯი-პი-სის“ აფთიაქები.
ტელ: 2-71-07-07, 593-31-70-34.



კადრი ფილმიდან „მონანიება“. დავით ქემხაძე და ნატო ოჩიგავა აბელ არავიძისა და ქეთი ბარათელის როლებში



**„დედაჩემი დღემდე არ მეუბნება, ვინ იყო უშიშროების გამომძიებელი, ვისაც მამა დაკითხვებზე დაჰყავდა, მინდა, თვალებში ჩავხედო!“**



ნატო ოჩიგავა

## დავით ქემხაძე:

# 10 წლის ვიყავი, როდესაც „მონანიებაში“ აბელ არავიძე ვითამაშე!

**„ნატო პეტერბურგშია გათხოვილი, 20 წელზე მეტია, იქ ცხოვრობს, შესანიშნავი ოჯახი აქვს. წარმოშობით ისიც ბათუმელია, რუსული სკოლიდან შეარჩიეს!“**

***დავით ქემხაძე 10 წლის იყო, როდესაც თენგიზ აბულაძის ფილმ „მონანიებაში“ პატარა აბელ არავიძის როლი შეასრულა. კინოში სრულიად შემთხვევით მოხვდა, ახალგაზრდა რეჟისორმა ნანა ჯანელიძემ ბათუმის მეორე საშუალო სკოლაში აღმოაჩინა და გადაღებაზე მიიწვია. ფილმის გადაღებიდან 33 წლის შემდეგ დავით ქემხაძე წარსულს და თავის პატარა გმირს იხსენებს:***

— 1983 წელს, როდესაც თენგიზ აბულაძე „მონანიებაზე“ ბათუმში მუშაობდა, პარალელურად პატარა აბელ არავიძის როლზე კონკურსი ჩაატარა. კონკურსანტების შესარჩევად რეჟისორი **ნანა ჯანელიძე** ბათუმის სკოლებს სტუმრობდა. ათობით ბავშვი შეარჩიეს, მათ შორის, მეც და მშობლებთან ერთად სასტუმრო „მედეაში“ დაგვიბარეს. მივედით, დაიწყო კონკურსი. მახსოვს, ერთი ულვაშიანი კაცი ძალიან მაკვირდებოდა, თურმე, ეს იყო **თენგიზ აბულაძე,** მაგრამ მაშინ მის შესახებ, რა თქმა უნდა, არაფერი ვიცოდი. ჩემზე თქვა — შეიყვანეთ და ჩააცვითო. კოსტიუმი ჩამაცვეს, გამსინჯეს და მითხრეს — ერთ თვეში დაგირეკავთო. მართლაც დარეკეს, დაგვიბარეს, დედაჩემს სცენარი მისცეს და უთხრეს — როლზე დამტკიცებულია და ეს ასწავლეთო. მახსოვს, როგორ მასწავლიდა მამაჩემი ამ სცენარს.

**— თქვენი ეპიზოდები ბათუმში გადაიღეს?**

— გარკვეული ეპიზოდები ბათუმში გადაიღეს (ბულვარში მდებარე შენობაში, რომელსაც ჭაბუა ამირეჯიბის სახლს ეძახიან), მაგრამ ბატონმა თენგიზმა ეს კადრები დაიწუნა. შემდეგ გადაღებები დაინიშნა თბილისში, ილია ჭავჭავაძისა და ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმებში. ერთ ეპიზოდში სწორედ ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმის ფანჯრიდან ვხტები, ხოლო ჯვარს ილია ჭავჭავაძის მუზეუმიდან ვიპარავ.

**33 წელი გავიდა და დღესაც, როდესაც ელენე ახვლედიანის მუზეუმს ჩავუვლი, მანქანას ვაჩერებ და იმ სცენას ვიხსენებ — მეორე სართულის ფანჯრიდან 4-ჯერ თუ 5-ჯერ გადმოვხტი.**

ლეიბებით დატვირთულ მანქანას ვეცემოდი, 5-6 ადამიანი წესრიგს იცავდა, უსაფრთხოების წესები მკაცრად იყო დაცული. ჩემთვის ძალიან ემოციური იყო ამ ეპიზოდებში გადაღება, ქეთი ბარათელი როცა მეკითხებოდა — შენ დედა არ გყავსო? — მეტირებოდა, გავხედავდი ხოლმე დედაჩემს, რომელიც გადაღებას თვალს ადევნებდა, მინდოდა, მეთქვა, რომ დედა მყავს, მაგრამ რა მექნა — ჩემს გმირს არ ჰყავდა!

ბატონ თენგიზს ერთი საყვედური არ დასცდენია, მამასავით მეპყრობოდა, შავი „გაზ-24“ ემსახურებოდა და მეც ამ მანქანით დავყავდი. ერთხელ გადასაღებ მოედანზე სპირალიანი ნათურით ვთამაშობდი — გადამღები ჯგუფისა იყო და ხელის ხლება არ შეიძლებოდა. იმის ნაცვლად, რომ შენიშვნა მოეცა, ბატონი თენგიზი მშვიდად დამელაპარაკა, ეს ნათურა გამომართვა და ვიღაცას უთხრა — ბავშვს სოსისი აჭამეთო... ჯგუფში კი ერთი ამბავი აუტეხავს, ბავშვს ნათურა ვინ მისცაო? სამწუხაროდ, ამ გადაღებების მერე თენგიზ აბულაძე აღარ მინახავს! მახსოვს ისიც, რომ რაღაც პერიოდი „მონანიების“ გადაღება შეჩერებული იყო, მოგეხსენებათ, 1983 წლის ნოემბერში თვითმფრინავის გატაცება მოხდა, ჯგუფის ერთ-ერთი წევრი **გეგა კობახიძე** გახლდათ, რომელიც ფილმში მონაწილეობდა.

**— გეგა კობახიძე გახსოვთ?**

— მახსოვს. ჯერ კიდევ გადაღებებზე ვკითხე — შენ რას თამაშობ-მეთქი და მიპასუხეს, შენს შვილს თამაშობსო. ვერ მივხვდი, ჩემზე დიდი იყო და ჩემი შვილი როგორ უნდა ეთამაშა —. მერე ყველაფერი დალაგდა. გეგას როლზე შემდეგ **მერაბ ნინიძე** დაამტკიცეს.

როდესაც თვითმფრინავის გატაცებასთან დაკავშირებულ პროცესებს ტელევიზიით აჩვენებდნენ და გეგა დავინახე, წამოვხტი და ვთქვი — ამას ვიცნობ, მეთამაშებოდა-მეთქი. რა თქმა უნდა, მაშინ არ მესმოდა, რა ხდებოდა და არც დედაჩემმა მითხრა.

**— ეს ფილმი იმ დროისთვის აკრძალულ თემატიკას ეხებოდა, პრობლემები არ შეგექმნათ?**

— ჟელეზნოვოდსკში ვისვენებდით, როდესაც მამაჩემი უშიშროებაში დაკითხვაზე დაიბარეს. დედაჩემს მთელი ღამე არ ეძინა. ეს დაკითხვები მთელი თვე გაგრძელდა. არ მავიწყდება მამაჩემის განცდები, 10 კილოგრამი დაიკლო. მიზეზი ის იყო, რომ „მონანიება“ კასეტების საშუალებით ვრცელდებოდა, ჩვენც კასეტაზე ვნახეთ. მამაჩემს უშიშროება ეკითხებოდა — კასეტა ხელში როგორ ჩაგივარდათ, რატომ უყურეთ, თქვენი შვილი ამ ფილმში როგორ მოხვდაო? **დედაჩემი დღემდე არ მეუბნება, ვინ იყო უშიშროების გამომძიებელი, ვისაც მამა დაკითხვებზე დაჰყავდა, მინდა, თვალებში ჩავხედო.**

ჩემი მშობლები არავითარ შემთხვევაში არ იტყოდნენ უარს იმ ფილმში ჩემს მონაწილეობაზე, სადაც თენგიზ აბულაძე იყო რეჟისორი. შემდეგ, როდესაც „მონანიება“ გამოვიდა, ყველა მეფერებოდა და თავზე ხელს მისვამდა, ჩემთან ერთად სურათებს იღებდნენ.

**— პატარა ქეთი ბარათელის როლის შემსრულებელ ნატო ოჩიგავას არ დაუმეგობრდით?**

— ნატო პეტერბურგშია გათხოვილი, 20 წელზე მეტია, იქ ცხოვრობს, შესანიშნავი ოჯახი აქვს. წარმოშობით ისიც ბათუმელია, რუსული სკოლიდან შეარჩიეს. ვმეგობრობდი ნატოს ძმასთან **გოგა ოჩიგავასთან.**

**— ამ ფილმში მონაწილე მსახიობებთან თუ გაქვთ ურთიერთობა?**

— ვმეგობრობ **ია ნინიძესთან,** ქალბატონ **ნანა ჯანელიძესთან,** რომელიც ჩემთვის პრიმა რეჟისორია, სწორედ მისი დამსახურებაა ამ კინოში ჩემი მოხვედრა. მაშინ 25-26 წლის იყო, ნანა დეიდას ვეძახდი, გამოთქმაში მამეცადინებდა. უნიჭიერესი მსახიობია **ავთო მახარაძე,** რომელიც მამაჩემის როლს ასრულებდა. ერთად ვთამაშობდით ჭადრაკს, მახსოვს, იაპონიის შესახებ რაღაც ისტორიებს მიყვებოდა. გრიმს როცა იკეთებდა, მეშინოდა. გახსოვთ, ალბათ, ნაბდის სცენა — სულ მარიგებდა, მის გარკვეულ მოძრაობაზე რა უნდა გამეკეთებინა. სამწუხაროა, რომ დღეს ფილმებში აქტიურად არ იღებენ. ვმეგობრობ **ზურა ქავთარაძესთან.**

„მონანიება“ ნამდვილი შედევრია, ეს არის ფილმი 1937 წლის სახელმწიფო ტერორზე, რომელიც თითქმის ყველა ოჯახს დაატყდა. იმ პერიოდისთვის, თურმე, ბაბუაჩემსაც ჩალაგებული ჰქონია ჩემოდანი — რომ მომაკითხონ, მზად ვიყოო. ბებიაჩემს ფეხის ხმის ისე ეშინოდა, კიბეზე შალი დააგო, ნაბიჯებს რომ სუსტი ხმა ჰქონოდა.

სხვათაშორის, „მონანიება“ რუსეთში უფრო აღიქვეს და გაითავისეს, ვიდრე საქართველოში. კინოთეატრებში ხალხი ტიროდა, ტაშს უკრავდა, განსაკუთრებით განიცდიდნენ იმ ეპიზოდებს, როდესაც ბარათელს იჭერენ, როდესაც მორებზე ახლობელთა სახელებს კითხულობენ. მაგრამ ისიც მახსოვს, იმ სცენაზე, **კახი კავსაძის** გმირი როიალს თავს რომ ურტყამს, ზოგიერთი იცინოდა, რადგან ამ ეპიზოდის სიღრმეს ვერ ხვდებოდა.

**— ამ ფილმიდან რომელი ფრაზები გახსოვთ?**

— ორი ფრაზა: **„დოქსოპულო, შენ დედა გყავს?“** და **„ეს ქუჩა ტაძრამდე მიმიყვანს?“** ძალიან კარგად მახსოვს **ვერიკო ანჯაფარიძე,** მაგრამ რატომღაც მასთან მისვლა ვერ გავბედე.

**— ფილმებში გადაღება აღარ გაგიგრძელებიათ?**

— მხოლოდ პატარა როლები მქონდა. ქვეყანაში სიტუაცია ძალიან რომ არ არეულიყო, ბოლომდე კინოს გავყვებოდი. ერთხანს ქიმიის განხრით ვმუშაობდი, შემდეგ — მრეწველობის სამინისტროში, მეზღვაურიც ვიყავი. მერე უცებ ეს ყველაფერი მივატოვე, სცენარი დავწერე და რეჟისორ **ზაზა ხალვაშს** მივუტანე. სწორედ ამ სცენარით მოვხვდი კინოსარეჟისოროზე, ახლა მოქმედი რეჟისორი ვარ, დოკუმენტურ ფილმებს ვიღებ, ჩემი ფილმებია „ბევრეთი“, „ლიბერტანგო“. ვმუშაობ სამშენებლო კომპანიაში, ნებართვებისა და ლიცენზირების მენეჯერი ვარ.

**— გაგვაცანით თქვენი ოჯახი.**

— მყავს მეუღლე **მაკო მშვენიერაძე,** ორი შვილი — **თამარი და გიორგი,** მყავს და — **თამარ ქემხაძე,** პედაგოგი დედა — **ნანი ჟღენტი,** 90 წლის ბებია **თამარ ანდღულაძე** (საქართველოს ორგზის დამსახურებული პედაგოგი, დღემდე ბავშვებს ამზადებს), დეიდა — **დოდო ჟღენტი,** რომელიც ბათუმში დელფინარიუმში მუშაობს. 2002 წლიდან თბილისში ვცხოვრობ, მანამდე ჯერ ბათუმში ვცხოვრობდი, მერე — ქუთაისში, ახლა კი აქ ვარ.





**„33 წელი გავიდა და დღესაც, როდესაც ელენე ახვლედიანის მუზეუმს ჩავუვლი, მანქანას ვაჩერებ და იმ სცენას ვიხსენებ – მეორე სართულის ფანჯრიდან 4-ჯერ თუ 5-ჯერ გადმოვხტი!“**

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***



„საწამლავს მიირთმევთ, რომელსაც შხამქიმიკატებით მოყვანილ და შემდეგ ქიმიური ნივთიერებებით გაჟღენთილ-გაპრიალებულ ხილს შეექცევით!“



# ჯაბა ექიმი:

# რაც უფრო შეუხედავი და ჭიანია ვაშლი, მით უსაფრთხოა თქვენი ჯანმრთელობისათვის!

***დღეს დახლებზე მადისაღმძვრელი შესახედაობის ხილისა და ბოსტნეულის ფართო ასორტიმენტია, რომელიც კვირების მანძილზე არ ფუჭდება. საინტერესოა, რა ნივთიერებებით ამუშავებენ შემოტანილ პროდუქტებს და როგორ პროცესებს იწვევს ჩვენს ორგანიზმში მათი მოხვედრა? ამჯერად ჯაბა ექიმი სწორედ ამ თემაზე გვესაუბრება:***

— ხილი, რომელიც დღეისათვის სუპერმარკეტებში და ჰიპერმარკეტებში იყიდება, ძალიან ჰგავს **პარაფინისაგან დამზადებულ ბუტაფორიულ ხილ-ბოსტნეულს,** რომლის შეძენა წლების წინათ საბურთალოზე, საირმისა და პავლოვის ქუჩების კვეთაზე მდებარე სპეციალურ მაღაზიაში შეგეძლოთ ბოტანიკის გაკვეთილებზე დემონსტრირებისათვის. თუ მარტივ ექსპერიმენტს ჩაატარებთ და პრიალა ვაშლს დანით მოფხეკთ, დანის პირზე პარაფინის მსგავს ნივთიერებას დაინახავთ, რომლითაც ყველა მიმზიდველი და პრიალა ხილია დაფარული. და როგორი ჯანსაღიც უნდა იყოს თვითონ ხილი ამ ნივთიერების ფენის ქვეშ, ის უდიდესი საფრთხის შემცველია. მითუმეტეს, საწამლავს მიირთმევთ, როდესაც შხამქიმიკატებით მოყვანილ და შემდეგ ქიმიური ნივთიერებებით გაჟღენთილ-გაპრიალებულ ხილს შეექცევით.

ასეთი ხილი რომ იყიდოთ და დეკორაციასავით დადოთ სამზარეულოში, ძალიან დიდხანს არ გაფუჭდება, არ დალპება და არც დაჭკნება. არადა, პროდუქტი, რომელშიც ბაქტერიები ვერ ხარობენ, როგორ შეიძლება, ადამიანის ორგანიზმისათვის სასარგებლო და მარტივად მოსანელებელი იყოს?

ერთი პერიოდი მწვანე ვაშლის ბუმი იყო და დილით საუზმემდე ყველა ამ ხილს შეექცეოდა. შემდეგ მათ, ვინც ინტენსიურად მიეძალა მწვანე ვაშლს, ფსიქიკური აშლილობები დაეწყოთ. გარდა ამისა, ამ ადამიანებში საგრძნობლად გახშირდა **სიმსივნის შემთხვევები.** როგორც კვლევებით დადგინდა, გამყიდველები კრეფდნენ მოუმწიფებელ მწვანე ვაშლს, სპეციალურ სითხეში, ე.წ. ბალზამში აწყობდნენ და შემდეგ, სიხასხასის შესანარჩუნებლად, პარაფინის მსგავსი ნივთიერებებით ამუშავებდნენ.

**— ჯაბა ექიმო, უფრო კონკრეტულად, რა ნივთიერებებით არის დამუშავებული ხილ-ბოსტნეული და რამდენად გვიცავს მათი გაფცქვნა ან გათლა ამ ნივთიერებების ზემოქმედებისაგან?**

— დავიწყოთ იმით, რომ **აუცილებელია, ხილი და ბოსტნეული კარგად გარეცხოთ სარეცხსნარებით ან სარეცხის საპნითა და ჯაგრისით.** მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ გაფცქვნათ ან გათალოთ, თუმცა, შემოტანილი პროდუქტები არც ამის შემდეგ არის ბოლომდე უსაფრთხო. ხილ-ბოსტნეულის ბიზნესში ჩართული მომწოდებლების და გამყიდველების ინტერესში შედის, რომ მათი პროდუქცია რაც შეიძლება დიდხანს იყოს მიმზიდველი. შესაბამისად, ხილსა და ბოსტნეულს, დიდი ხნით სალი სახით შესანარჩუნებლად, **კარბიდებით** ჟღენთენ. არამარტო ვაშლს, არამედ თითქმის ყველა სახეობის ხილს დაუმწიფებელს კრეფენ და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებებით ამუშავებენ. **ბანანის კანზე ლაბორატორიული კვლევისას კარბიდების, აცეტონის და სხვა ქიმიური მინარევების კვალი არაერთხელ აღმოჩნდა. ამიტომაც აუცილებელია ხილისა და ბოსტნეულის კარგად გარეცხვა სპეციალური ნაერთებით და ჯაგრისით. ჩვეულებრივად რეცხვის დროს ეს მომწამვლელი ნივთიერებები არ შორდება.**

ბოლო დროს თბილისში გარემოვაჭრეებიც გაეშმაკდნენ და წარმოუდგენლად ტოქსიკური ნაერთებით ამუშავებენ ხილს. განსაკუთრებით ეს ეხება ციტრუსებს, ყურძენს, ანანასს და ბანანს. ისიც დამტკიცდა, რომ ხილის შესანახი ბადეები, ყუთები და ქაღალდის პარკები სპეციალური ქიმიური ნივთიერებით მუშავდება.

**თითოეულ თქვენგანს შეუძლია, ჩაატაროს ცდა. აიღოს სოფელში ხიდან მოწყვეტილი ხილი და მაღაზიაში ნაყიდი. ბუნებრივი პროდუქტი რამდენიმე დღეში მიიღვენთება და დალპება, ხოლო კარბიდით დამუშავებული კვირების მანძილზე სალი დარჩება.** საყურადღებოა ისიც, რომ ციტრუსებს და ყურძენს ზრდის ჰორმონის მსგავსი ნივთიერებებით ამუშავებენ, რაც სიმსივნური პროცესების რისკს ამაღლებს. ამგვარად დამუშავებული ხილ-ბოსტნეული განსაკუთრებით საშიშია ორსულებისთვის, რადგან ნაყოფის განვითარების დეფექტებს იწვევს.

სამწუხაროდ, არამარტო შემოტანილი, არამედ ადგილობრივი პროდუქტებიც აღარ არის სანდო, განსაკუთრებით — ყურძენი. **ვენახის შესაწამლად საჭირო პესტიციდების, ჰერბიციდებისა და შხამქიმიკატების მწარმოებლები მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად ისეთ ნაერთებს უმატებენ, რომლებიც ვაზიდან მათ ჩამორეცხვას აძნელებს, მოსავალი ბევრი და ხარისხიანი მოდის, თუმცა, მომხმარებელს არამარტო ყურძენი, არამედ ღვინოც შხამად ერგება.** არავინ ზომავს შხამების შემცველობას, მითუმეტეს, ქარხნულ ღვინოში. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ქართული ღვინო არ იყიდება განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მასში შხამების შემცველობა იზომება.

**— რას იწვევს ამ შხამების მოხვედრა ჩვენს ორგანიზმში?**

— როგორც მოგახსენეთ, მცენარეული საკვების ძალით დამწიფებას კარბიდული შენაერთებით აღწევენ, რომლებიც ორგანიზმში მოხვედრისთანავე გამოყოფენ **აცეტილენს, ტოლუოლს** და სხვა მომწამვლელ ნივთიერებებს. მათი მოქმედება პირდაპირ კავშირშია სიმსივნეებისა და ფსიქოზების მომრავლებასთან. სამედიცინო თვალსაზრისით, მათი გამოყენება ხილ-ბოსტნეულის დასამწიფებლად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. მაგრამ **ბიზნესმენებს სულაც არ აღარდებთ, რომ კარბიდისგან გამოყოფილი ტოლუოლი იწვევს კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, ნერვული უჯრედების კვდომას, ინტოქსიკაციის გამო ღვიძლის ფუნქციების დაქვეითებას.** ეს ნივთიერებები, რომლებიც ბუნებრივი ჭკნობისა და ლპობის პროცესებს უშლიან ხელს, ზუსტად იმავეს აკეთებენ ორგანიზმში. ამგვარად დამწიფებული და გაპრიალებული ხილის მიღების შედეგად ადამიანის ორგანიზმში ხვდება დაახლოებით ისეთი ნივთიერება, რომლითაც გვამს ბალზამირებას უკეთებენ. შედეგად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის უჯრედები და ლორწოვანი გარსი ქიმიურ დამწვრობას იღებს. **სისტემატური ქიმიური დამწვრობა და უჯრედების დაზიანება ნორმალურ უჯრედებს გარდაქმნის ტრანსფორმირებულ უჯრედებად და სიმსივნის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. სერიოზული დარტყმა ადგება ლიმფურ ჯირკვლებს, რომლებიც ადამიანის ორგანიზმს სოკოს, ტუბერკულოზის ჩხირის და სიმსივნეების გამომწვევი მიკრობებისაგან იცავენ.**

**— დაბოლოს, ჯაბა ექიმო, როგორ შევარჩიოთ სწორად საკვები პროდუქტები?**

— იდეალური ვარიანტია, თვითონ მოიყვანოთ ხილ-ბოსტნეული, შეგიძლიათ, სადმე სოფელში შეიძინოთ ან ბაზარში გლეხისაგან იყიდოთ. გახსოვდეთ: **რაც უფრო შეუხედავი და ჭიანია ვაშლი, მით უსაფრთხოა თქვენი ჯანმრთელობისათვის!**

*ესაუბრა*

***მეგი საჯაია***



„ბანანის კანზე ლაბორატორიული კვლევისას კარბიდების, აცეტონის და სხვა ქიმიური მინარევების კვალი არაერთხელ აღმოჩნდა. ამიტომაც აუცილებელია ხილისა და ბოსტნეულის კარგად გარეცხვა სპეციალური ნაერთებით და ჯაგრისით. ჩვეულებრივად რეცხვის დროს ეს მომწამვლელი ნივთიერებები არ შორდება!“



„მცენარეული საკვების ძალით დამწიფებას კარბიდული შენაერთებით აღწევენ, რომლების ორგანიზმში მოხვედრისთანავე გამოყოფენ აცეტილენს, ტოლუოლს და სხვა მომწამვლელ ნივთიერებებს. მათი მოქმედება პირდაპირ კავშირშია სიმსივნეებისა და ფსიქოზების მომრავლებასთან!“

# ნინო გაფრინდაშვილი: მეცნიერები ტელეპატიას აზრების გადაცემის რუდიმენტულ თვისებად მიიჩნევენ და თვლიან, რომ მას ძლიერი გრძნობები იწვევს, მათ შორის, დედაშვილური სიყვარული!

***აზრების ტელეპატიური კითხვა და შორ მანძილზე გადაცემა ყველასთვის ცნობილი პარანორმალური ფენომენია. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტს შეუძლია ინფორმაციის ამ გზით მიღება. ტელეპატიას მეცნიერები ინტუიციის საფუძვლად და აზრების გადაცემის რუდიმენტულ თვისებად მიიჩნევენ. მათი თქმით, ტელეპატიურ კავშირს ძლიერი გრძნობები იწვევს.***

*ტელეპატია ბერძნული ტერმინია და ნიშნავს: **„შეგრძნება შორ მანძილზე“.** ამ ფენომენითა და ჰიპნოზით ძალიან იყო დაინტერესებული ადოლფ ჰიტლერი და ზოგიერთ სპეციფიკურ ხერხს ბრბოსთან ან კონკრეტულ პირებთან ურთიერთობაში იყენებდა კიდეც. „ანენერბის“ სპეციალურ განყოფილებაში ნაცისტი მეცნიერები სერიოზულ კვლევებს ატარებდნენ ტელეპატიისა და ჰიპნოზის შესასწავლად — ექსპერიმენტებში მონაწილეობდნენ ერთ-ერთი ტიბეტური სექტის („მონპო“) წევრები, რომელთა სულიერი პრაქტიკა მაგიურ რიტუალებს ეფუძნება.*




**ნინო გაფრინდაშვილი,** ***პარაფსიქოლოგი:*** — ტელეპატიის უნარის წყალობით ადამიანი შედის სამყაროს ინფორმაციულ ველში და ნებისმიერ კითხვაზე იღებს პასუხს.

**— ქალბატონო ნინო, თქვენ თვითონ ხართ ტელეპატიის უნარით დაჯილდოებული, გვითხარით, ვინ იძლევა ამ პასუხებს?**

— მოაზროვნე ეთერი, უმაღლესი გონი, ანუ ღმერთი! ტელეპატია სპონტანურიც (ანუ ყოფითი) შეიძლება იყოს და გამიზნულიც.

**— რა იგულისხმება სპონტანურ ტელეპატიაში?**

— თუ ადამიანი უეცრად იგრძნობს ან დაინახავს, რომ მის ახლო ნათესავს საფრთხე ემუქრება, სპონტანურ, ანუ ყოფით ტელეპატიასთან გვაქვს საქმე.

**— რით აიხსნება სპონტანური ტელეპატიის შემთხვევები?**

— მეცნიერები თვლიან, რომ ჩვენი და ჩვენი ნათესავების ცნობიერება ერთ ტალღაზეა მომართული და სწორედ ამის გამო გრძნობს კლანის ერთი წევრი მეორის მდგომარეობას, მაგრამ მხოლოდ ნათესავთა სისხლი როდი ყივის, ყოფილა შემთხვევები, როცა მეგობარსაც უგრძნია მეგობრის გაჭირვება. ჩემი აზრით, ტელეპატიურ კავშირს ნებისმიერ ადამიანთან დაამყარებ, თუ ის ნამდვილად გიყვარს.

*აღსანიშნავია, რომ აზრის გავრცელება მისი ჩამოყალიბებისთანავე ხდება ყველა მიმართულებით, ოღონდ არათანაბრად, ამდენად, მისი გადაცემა რთული როდია, თითოეული ჩვენგანი ამას ყოველდღე აკეთებს გაუცნობიერებლად, აზრის გამიზნულად გაგზავნა კი იოლი საქმე არ არის, მაგრამ თუ ხშირად ივარჯიშებთ, ამასაც შეძლებთ.*

**ნინო გაფრინდაშვილი:** — სივრცეში აზრის ტრანსლირება იოლია, ხოლო მისი წაკითხვა და გაშიფვრა — გაცილებით რთული. ასე რომ, ტელეპატიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიმღების შესაძლებლობებს.

**— დედა-შვილს შორის ტელეპატიურ კავშირზე რას გვეტყვით?**

— აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტს შეუძლია ინფორმაციის ტელეპატიურად მიღება. მეცნიერები ამ ფენომენს აზრების გადაცემის რუდიმენტულ თვისებად მიიჩნევენ და თვლიან, რომ ტელეპატიურ კავშირს ძლიერი გრძნობები იწვევს, მათ შორის, დედაშვილური სიყვარული. ჩაატარეს ექსპერიმენტი ორმოც ახალნამშობიარებ ქალზე, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო სუროგატი დედა. **ახალშობილებს ერთსა და იმავე დროს აულეს სისხლი — თქვენ წარმოიდგინეთ, ყველა დედამ იგრძნო, სუროგატის გარდა!** სხვათაშორის, მამაშვილური სიყვარულიც არანაკლებ ძლიერია... შუახნის კაცმა, რომელსაც ორსული ცოლი სახლიდან გაექცა, სწორედ ტელეპატიური კავშირის წყალობით იპოვა თავისი გოგონა. ის წლების განმავლობაში უშედეგოდ ეძებდა მეუღლეს და ბოლოს, შვილის ბედზე გამუდმებული ფიქრით გულდამძიმებულმა, გადაწყვიტა, ბავშვი აეყვანა.



**— შვილის სქესი მაინც თუ იცოდა?**

— რას ამბობთ, იმაშიც კი არ იყო დარწმუნებული, რომ გაჩნდა და მაინც ეძებდა, როგორც ჩანს, მეექვსე გრძნობა არ ასვენებდა. თითქმის ყველა ბავშვთა სახლი შემოიარა და ერთ-ერთ მათგანში 4 წლის გოგონა ნახა, რომელსაც ცემისგან სახე და კიდურები დალურჯებული ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ აღმზრდელი ეხვეწა, ტრავმირებული ბავშვია და გირჩევთ, სხვა აიყვანოთო, გულმა მხოლოდ მისკენ გაუწია, იმხელა სითბო და სიყვარული იგრძნო, რომ გოგონა უყოყმანოდ იშვილა. არაჩვეულებრივი ურთიერთობის მიუხედავად, კაცი მაინც ეძებდა მეუღლეს ბავშვის ამბის გასაგებად და ბოლოს მიაგნო კიდეც. სწორედ მისგან შეიტყო, თუ სად დატოვა მორიგი საყვარლის მიერ ნაცემი 4 წლის გოგონა.

**— აყვანილი ბავშვი მისი ბიოლოგიური შვილი აღმოჩნდა?**

— დიახ! ეს შემთხვევა სპონტანური ტელეპატიის ნათელი მაგალითია. შვილის მდგომარეობას ნებისმიერი მშობელი გრძნობს.

**— ცხოველები თუ ექვემდებარებიან ტელეპატიურ ზემოქმედებას?**

— გახსოვთ, ალბათ, ცნობილი საბჭოთა მომთვინიერებელი **ვლადიმერ დუროვი.** ის გამიზნულ ტელეპატიას იყენებდა და შეეძლო, ცხოველებისთვის შორ მანძილზეც კი შთაეგონებინა აზრები.

**ტვინს აქვს უნარი – გამოსახულება, აზრი და ემოცია სხვა ადამიანის ტვინს გადასცეს და პირიქით, მიიღოს. ამ ფენომენს მეცნიერები ბოლომდე ვერ ხსნიან. სხვათაშორის, ბევრი მკვლევარი თვლის, რომ ტელეპატია და ჰიპნოზი ენათესავება ერთმანეთს – აზრების შორ მანძილზე გადაცემას „ტელეპატიური ჰიპნოზი“ ეწოდება.**

**— როგორც ვიცი, არსებობს გრძნობადი და აზრობრივი ტელეპატია, რა განსხვავებაა მათ შორის?**

— გრძნობადი ტელეპატიის შემთხვევაში ჩვენი ნერვული სისტემა სხვა ადამიანის მდგომარეობას შეიგრძნობს, ხოლო აზრობრივი ტელეპატიის დროს გამოსახულებასაც ვიღებთ და ხმოვან სიგნალებსაც.

**— ყველა, ვისაც უცხოპლანეტელებთან ჰქონია კონტაქტი, ამბობს, რომ ტელეპატიურად მიიღო ინფორმაცია. რა კომენტარს გააკეთებთ ამგვარ ფაქტებზე?**

— თუ მაღალგანვითარებული ცივილიზაციის წარმომადგენლები ტელეპატიას ერთმანეთთან ურთიერთობისთვისაც იყენებენ და ადამიანებთან კონტაქტის დასამყარებლადაც, გამოდის, რომ ინფორმაციის ამ გზით გადაცემა და მიღება უფრო პროგრესულია, ვიდრე მეტყველების საშუალებით. ჩვეულებისამებრ, ადამიანები კომუნიკაციისთვის იყენებენ სიტყვებს, ციფრებს, მიმიკას და ხმას, მხოლოდ ერთეულებს შესწევთ უნარი, აღიქვან გარშემომყოფთა უხილავი აზრები, თუმცა არცკი იციან, როგორ ახერხებენ. საქვეყნოდ ცნობილი **ვოლფ მესინგი** მთელი ცხოვრება ოცნებობდა სამეცნიერო ლაბორატორიის შექმნაზე ამ ფენომენის გამოსაკვლევად, მაგრამ, სამწუხაროდ, ოცნება ოცნებად დარჩა.

*ესაუბრა*
***ნინო გოძიაშვილი***

---

ბიოენერგოკორექტორი

# ელა მჟავია: აპენდიქსის ამოკვეთა მნიშვნელოვნად ასუსტებს იმუნიტეტს!

## „პარაზიტები, ნაწლავების გარდა, კუნთის ქსოვილებში, თირკმლებში, გულში, ფილტვებში, სისხლში, ტვინსა და ადამიანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სხვა ორგანოებშიც აღმოაჩინეს!“

***შაბლონური წარმოდგენა, თითქოს პარაზიტები მხოლოდ კუჭ-ნაწლავის ტრაქტში ბინადრობენ, მცდარია. მათი კვერცხები ადვილად უძლებენ გარეგან ზემოქმედებას — ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებას, მაღალ და დაბალ ტემპერატურას, სინესტეს, სიმშრალეს და აგრესიულ სითხეებს. თითოეული პარაზიტი ყოველდღე ასიათასობით კვერცხს ტოვებს გარესამყაროში და მოთმინებით ელის მსხვერპლს!***

*ორგანიზმში მოხვედრილი ნებისმიერი ბაქტერიის მთავარი ამოცანაა, პატრონისთვის შეუმჩნეველი დარჩეს. თავისი გამონაყოფითა და ტოქსინებით ის ადამიანს წამლავს. ბაქტერიები სხეულში ხვდებიან წყლიდან, ჰაერიდან, ნიადაგიდან და საკვებიდან (ხორცი, ძეხვი, ღორის ქონი, ხორცის ნახევარფაბრიკატები, შებოლილი ხორცი და თევზი, ბოსტნეული, ხილი, ჩირი). სახიფათოა, ასევე, შინაურ ცხოველებთან კონტაქტი, დაუბანელი ხელები, საყოფაცხოვრებო ნივთები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები.*



**ელა მჟავია,** ***ბიოენერგოკორექტორი:*** — პარაზიტების მიერ პროვოცირებულ დაავადებათა უზარმაზარ სიაში მოხვდა ალერგია, ანგინა, ართრიტი, ადენოვირუსული ინფექცია, ათეროსკლეროზი, ბრონქიალური ასთმა, ბრონქიტი, ვარიკოზი, ვიტილიგო, ჰაიმორიტი, გასტრიტი, ბუასილი, ჰეპატიტი, ჰერპესი, ჰიპერტონია, სოკოვანი დაავადებები, გრიპი, დისბაქტერიოზი, დუოდენიტი, სახსრების დაავადებები, კანდიდოზი (რძიანა), ხველა, ნაწლავური გაუვალობა, ნაწლავური ინფექციები, კოლიტი, კონიუქტივიტი, მიოკარდიტი, რინიტი, ფრჩხილის სოკო, ოტიტი, პანკრეატიტი, პესიკარდიტი, პნევმონია, რევმატიზმი, სტენოკარდია, ფარინგიტი, ქოლეცისტიტი, ცელულიტი, ღვიძლის ციროზი, ეგზემა, ფსორიაზი, წყლული და, თქვენ წარმოიდგინეთ, კიბოც კი.

**— დაუჯერებელია!**

— ამ ბოლო დროს სპეციალისტები სულ უფრო მეტად ემხრობიან ვერსიას **კიბოს სოკოვან-პარაზიტული ბუნების შესახებ.** სხვათაშორის, ახლახან ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ აპენდიქსის ანთებასაც პარაზიტი იწვევს. ინფიცირების შემთხვევაში ბრმა ნაწლავი სივდება, იბერება, ნერვულ დაბოლოებებსა და სისხლძარღვებს აწვება, რაც ძირითადად (98%), ქირურგიული ჩარევით მთავრდება. აპენდიქსის ამოკვეთა მნიშვნელოვნად ასუსტებს იმუნიტეტს, ასე რომ, ნაწლავებში მიკროფლორის შესანარჩუნებლად და იმუნური უჯრედების დასახმარებლად საჭიროა, ნაოპერაციებმა სიცოცხლის ბოლომდე სვას პრობიოტიკები.

**— კი მაგრამ, რა კავშირი აქვს აპენდიქსს იმუნიტეტთან? მას ხომ უფუნქციო გადმონაშთად თვლიან?**

— აღმოჩნდა, რომ აპენდიქსის კედლების ლორწოვანი გარსის ქვეშ არსებულ შრეში დიდი რაოდენობით ლიმფური ფოლიკულებია, რომლებიც ნაწლავებს ინფექციისა და ონკოლოგიური დაავადებებისგან იცავენ, ასე რომ, **აპენდიქსი „ნაწლავების ნუშისებრი ჯირკვლებია“ და სწორედ ის ამუხრუჭებს მიკრობებს, რომლებიც ნაწლავების შიგთავსში გამრავლებას ცდილობენ.** მეცნიერებმა დაადგინეს, რომ აპენდიქსს მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს — ის სასარგებლო ბაქტერიების დეპოა, რომლებიც ნაწლავებში ცხოვრობენ და ხელს უწყობენ იმუნიტეტის ფორმირებას.

**— არადა, ნუშისებრ ჯირკვლებსაც და აპენდიქსსაც ზედმეტ ორგანოებად მიიჩნევდნენ!**

— სხვათაშორის, იყო დრო, როცა ამერიკაში ყველა ახალშობილს ორივეს ერთდროულად აჭრიდნენ. **აღმოჩნდა, რომ ვისაც ნუშისებრი ჯირკვლებისა და აპენდიქსის ოპერაცია აქვს გაკეთებული, სხვებზე ხშირად (3-ჯერ) ავადდება სიმსივნით ან ნაადრევად კვდება.**

*პარაზიტები ყოველთვის არსებობდნენ, რასაც ჩვენამდე შემორჩენილი კელტების საგანგებო ლოცვაც ადასტურებს: **„ო, ჭიავ, გრძელი ხარ თუ მოკლე, მრგვალი თუ ბრტყელი, დატოვე ჩემი სხეული“.** მსოფლიო სტატისტიკის თანახმად, ყოველ მეოთხე ადამიანს — ერთი, ხოლო ყოველ მეშვიდეს ორი ან მეტი პარაზიტი ჰყავს. ისინი ჩვენს ხარჯზე იკვებებიან და სიცოცხლეს გვიმოკლებენ.*

**ელა მჟავია:** — პარაზიტებს საჭმლის მომნელებელი სისტემა, ძირითადად, არა აქვთ ან თუ აქვთ — ძალიან პრიმიტიული, რის გამოც მხოლოდ კარგად გადამუშავებული და ფერმენტებით გამდიდრებული საჭმლით იკვებებიან. გამოდის, რომ უკვე დაღეჭილ, გადამუშავებულ, ტრანსპორტირებისთვის გამზადებულ ცილებს, ცხიმებს, ნახირწყლებს და მიკროელემენტებს, რომლებიც თითოეულ უჯრედამდე უნდა მივიდეს, პარაზიტები მიირთმევენ. მათ არ გააჩნიათ, აგრეთვე, ნერვული, გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის სისტემები, სამაგიეროდ, რეპროდუქციული ორგანოები აქვთ და ყოველდღე უამრავ კვერცხს დებენ.

**— როგორ ხვდებიან ჩვენს სხეულში?**

— ორგანიზმში შეღწევის მიხედვით ისინი გეოჰელმინთებად, ბიოჰელმინთებად და კონტაქტურ პარაზიტებად იყოფიან.

**— რა განსხვავებაა მათ შორის?**

— გეოჰელმინთების კვერცხები მიწიდან ხვდებიან ჩვენს ორგანიზმში (ბოსტნეული, კენკრა, სოკო, მარცვლეული და ა.შ.), ხოლო ბიოჰელმინთებისა ჯერ შუალედური პატრონის სხეულში აღწევენ, მას ინკუბატორად იყენებენ და შემდგომ ადამიანის ორგანიზმში ინაცვლებენ, რათა იქ სიცოცხლის ბოლომდე დარჩნენ. რაც შეეხება კონტაქტურ პარაზიტებს, ყველაზე მოკლე და პირდაპირ გზას ირჩევენ — საყოფაცხოვრებო საგნები, ჭურჭელი, ხელები...

**— რომელი პარაზიტი ხვდება სხვებზე ხშირად ჩვენს ორგანიზმში?**

— ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, პლანეტის ყოველი მეოთხე მცხოვრების ორგანიზმშია **ოპისტორქი,** რომლის შუალედური პატრონი სხვადასხვა ჯიშის თევზია. ეს პარაზიტი საკმაოდ მძიმე დაავადებას იწვევს. ადამიანებიც და ცხოველებიც, რომლებიც თევზს ჭამენ, მაგალითად, კატა, ძაღლი, ღორი, შეიძლება ოპისტორქოზით დასნეულდნენ, თუ თევზი კარგად არ არის დამუშავებული. კუჭში მატლის კაფსულა ადვილად იხსნება და მაშინვე ზრდასრულ პარაზიტად იქცევა.

**— როგორ დავიცვათ თავი ოპისტორქოზისგან?**

— ოპისტორქის მატლი კვდება პლუს 120 გრადუსზე მეტი ტემპერატურის დროს 40 წუთში, ხოლო მინუს 40 გრადუსზე — 7-10 დღე-ღამის შემდეგ. რაც შეეხება დამარილებას, 100 გრამ თევზზე 20 გრამია საჭირო, რომ 7-10 დღის მერე მატლი მოკვდეს. სამწუხაროდ, ზოგმა არ იცის, ზოგს კი ეზარება თევზის სათანადოდ დამუშავება, რითაც თავს საფრთხეში იგდებენ, აღარაფერს ვამბობ უმი თევზისგან მომზადებულ ტრადიციულ კერძებზე, როგორიცაა, მაგალითად, ერთობ პოპულარული სუში.

**„აღმოჩნდა, რომ ვისაც ნუშისებრი ჯირკვლებისა და აპენდიქსის ოპერაცია აქვს გაკეთებული, სხვებზე ხშირად (3-ჯერ) ავადდება სიმსივნით ან ნაადრევად კვდება!“**

*ესაუბრა*
***ნინო გოძიაშვილი***

## ორშაბათი, 22 თებერვალი

### იმედი

06:30, 14:40 სერიალი **ორი ბედი** 07:30, 08:00, 08:30, 09:00, 10:00, 11:00, 14:00, 17:00, 19:00, 20:00, 02:00 ქრონიკა 07:35, 08:10, 08:35, 09:15 იმედის დილა 10:05 სერიალი **ოცი წუთი** 11:20 სერიალი **დახურული სკოლა** 12:30 დღის შოუ 16:00 სერიალი **თანხმობა** 17:35, 19:03 სერიალი **პატარძალი** 20:55 სერიალი **ნამსხვრევები** 22:00 იუმორინა 00:00 მხ.ფილმი **კაცი ჩანთით** 02:10 მხ.ფილმი **ჟიგოლოს ნიღბის ქვეშ** 03:40 ერთხელ საქართველოში 05:00 მხ.ფილმი

### პირველი არხი

06:30 მუსიკა 07:00, 07:30, 08:00, 08:30, 09:00, 09:30, 10:00, 12:00, 14:00, 16:00, 18:00, 20:00 01:00 მოამბე 07:05, 09:10 დილა 10:10 პირადი ექიმი 10:50, 23:00 სერიალი **დაუნტონის სააბატო** 12:30 ფერმა 13:00 სერიალი **ჩენტო ვეტრინე** 14:05 მუსიკოლოგოსი 14:30 მულტფილმი **მხიარული ფერმა** 15:00 დოკ.ფილმი 16:45 ეკონომეტრი 17:00 სერიალი **ქესლი** 19:00 ტელებლოგი 19:30 სიტყვების თამაში 20:30 მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად 21:00 თოქ-შოუ: რეალური სივრცე 22:00 სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად 00:00 კომუნიკატორი 01:10 მხ.ფილმი

### რუსთავი 2

06:30 სერიალი **დაკარგული ბავშვობა** 07:30, 07:40, 08:10, 08:35, 09:15 დილა მშვიდობისა, საქართველო 07:35, 08:00, 08:30, 09:00, 10:00, 12:00, 14:00, 15:00, 18:00, 20:00, 21:00 კურიერი 10:15 სერიალი **დინასტია** 12:30, 14:05 შუა დღე 15:55 სერიალი 16:55 სერიალი **ინდური საგა** 18:45 სერიალი 19:45, 20:05 სერიალი **აღთქმა** 22:00 მხ.ფილმი 3+3 23:30, 03:30 მხ.ფილმი 03:00 კურიერის დაიჯესტი

### ქართული არხი

08:00 კონცერტი 09:00 გადაცემა **ეთნო არტი** 12:00 მხ.ფილმი **არაჩვეულებრივი რეისი** 13:40 გადაცემა **პერსპექტივა** 15:00 ნაწყვეტები - კინო კლასიკა 16:00 გადაცემა **ფიქრი ხმამაღლა** 17:00 გადაცემა **ქართული გვარები** 18:00 გადაცემა **შენ და სამყარო** 19:00 გადაცემა **ქართული სპორტი** 20:00 გადაცემა **სამედიცინო ფანჯარა - მაია გოთუა** 21:00 გადაცემა **ქრისტიანობა დღეს** 22:30 გადაცემა **მრავალხმიანი რესპუბლიკა** 00:00 მხ.ფილმი 02:00 ღამის ეთერი

### ერთსულოვნება

06:10 მუს.პაუზა 06:15 ივერიის ეკლესია 06:35 პატერიკი 06:45 ქართული ალბომი 07:20 დოკ.ფილმი 08:00 დილის ლოცვა 08:20 სახარება 08:25 მუს. პაუზა 08:30 განთიადი 10:10 პატრიარქის ქადაგება 10:40 საკვირაო სახარების განმარტება 10:50 კვირიაკე 12:05 მხ.ფილმი **მამლუქი** 13:30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14:30 დეკორატიული ფლორა ვალერიანი - ბალზამინა 15:00 საეკლესიო კალენდარი 15:10 ქართული მულტფილმი 15:30 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 15:55 სპექტაკლი 16:45 დოკ.ფილმი 17:50 მართლმადიდებლური კატეხიზმო - საზოგადო ღვთისმსახურების შესახებ 18:05 განთიადის სტუმარი 18:40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18:50 ისტორიის დღიური 19:00, 22:00, 00:05, 02:30 სიახლენი 19:20 მოკ. მხ.ფილმი 20:15 კვირიაკის სიუჟეტი ბერი გაბრიელი 20:40 ძილი ნებისა - სამი მტევანი ყურძენი 21:05 პატრიარქის ქადაგება 21:25 პატერიკი - ცხოვრების ძიებისა და სიკეთის შესახებ 21:35 საეკლესიო აღმშენებლობა 22:25 საქართველოს სამართლის ისტორია 22:30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებ-წინასწარმეტყველი ამოსიII ნაწ. 23:00 საღამოს ლოცვა 23:15 საუბარი მოძღვართან 23:30 დოკ.ფილმი 00:25 დოკ.ფილმი 01:00 შუადღე ერთსულოვნებაზე

## სამშაბათი, 23 თებერვალი

### იმედი

06:30, 14:40 სერიალი **ორი ბედი** 07:30, 08:00, 08:30, 09:00, 10:00, 11:00, 14:00, 17:00, 19:00, 20:00, 00:50 ქრონიკა 07:35, 08:10, 08:35, 09:15 იმედის დილა 10:05 სერიალი **ოცი წუთი** 11:20 სერიალი 12:30 დღის შოუ 16:00 სერიალი 17:35, 19:03 სერიალი 20:55 სერიალი 22:00 ცოდნა ფულია 23:00 2016 წლისBAFTA-ს დაჯილდოების ცერემონია 01:00 მხ.ფილმი 03:00 მხ.ფილმი 04:30 ერთხელ საქართველოში 05:00 მხ.ფილმი **ჟიგოლოს ნიღბის ქვეშ**

### პირველი არხი

06:30 მუსიკა 07:00, 07:30, 08:00, 08:30, 09:00, 09:30, 10:00, 12:00, 14:00, 16:00, 18:00, 20:00 01:30 მოამბე 07:05, 09:10 დილა 10:10 პირადი ექიმი 11:00 სერიალი **დაუნტონის სააბატო** 12:30 გურმანია 13:00 სერიალი 14:05 დღე მუზეუმში 14:30 მულტფილმი **მხიარული ფერმა** 15:00 დოკ.ფილმი 16:45 ეკონომეტრი 17:00 სერიალი 19:00 ტელებლოგი 19:30 სიტყვების თამაში 20:30 ცხოვრება ციფრებში 21:00 თოქ-შოუ: რეალური სივრცე 22:00 დოკ.ფილმი **თოფ-გიარი** 22:54 ეპოქის ფრაგმენტი 22:59 კომუნიკატორი 23:00 ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა 23:40 ფეხბურთი **არსენალი – ბარსელონა** 01:40 მხ.ფილმი

### რუსთავი 2

06:30 სერიალი **დაკარგული ბავშვობა** 07:30, 07:40, 08:10, 08:35, 09:15 დილა მშვიდობისა, საქართველო 07:35, 08:00, 08:30, 09:00, 10:00, 12:00, 14:00, 15:00, 18:00, 20:00, 21:00 კურიერი 10:15 სერიალი 12:30, 14:05 შუა დღე 15:55 სერიალი 16:55 სერიალი **ინდური საგა** 18:45 სერიალი 19:45, 20:05 სერიალი **აღთქმა** 20:50 ლოტო 22:00 არჩევანი 01:00, 03:30 მხ.ფილმი 03:00 კურიერის დაიჯესტი

### ქართული არხი

08:00 კონცერტი 09:00 გადაცემა **ეთნო არტი** 12:00 მხ.ფილმი **მშობლიურო ჩემო მიწავ (რაიკომის მდივანი)** 13:15 გადაცემა **პერსპექტივა** 15:00 მხ.ფილმი **ზღვის ბილიკი** 16:00 ნაწყვეტები კინო კლასიკა 17:00 გადაცემა **კვირის ფაქტი** 18:00 გადაცემა **შეკითხვა მოძღვარს** 20:00 გადაცემა **სამედიცინო ფანჯარა - ლექსო კეზევაძე** 21:00 გადაცემა **გაგვიძლოს, ჩემო საქართველო** 22:00 გადაცემა **ჩვენი ქალაქი** 00:00 მხ.ფილმი **მშობლიურო ჩემო მიწავ (რაიკომის მდივანი)** 02:00 ღამის ეთერი

### ერთსულოვნება

06:10 სპექტაკლი **მტრედის მოტანილი ბარათებიII** ნაწ. 07:00 დოკ.ფილმი 07:55 საქართველოს სამართლის ისტორია 08:00 დილის ლოცვა 08:20 სახარება 08:25 მუს. პაუზა 08:30 განთიადი 10:10, 19:00, 22:00, 00:05, 02:30 სიახლენი 10:35 პატერიკი-ცხოვრების ძიებისა და სიკეთის შესახებ 10:40 ზღვარზე (ნარკომანია) - ავღანეთი 11:10 თაობა ზეტი 11:30 გამოყენებითი ხელოვნება - მულტფილმი -ლელა ტაბლიაშვილი 11:40 ღვთის სახლი 12:10 მხ.ფილმი 13:30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14:30 დეკორატიული ფლორა კატესტემონია 15:00 საეკლესიო კალენდარი 15:20 ქართული მულტფილმი 15:40 კონცერტი - რობერტ ბარძიმაშვილი 80 17:10 მგზავრები წუთისოფლისა - არგვეთი 17:45 სიბრძნისმეტყველება - სიბრძნე ზირაქისა და სიბრძნე სოლომონისა 18:10 განთიადის სტუმარი 18:40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19:20 სჯანი 19:50 ღია აუდიტორია 20:30 კვირიაკის სიუჟეტი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატები 20:40 ძილი ნებისა 21:05 პატრიარქის ქადაგება 21:25 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 22:00 სიახლენი 22:25 ჩვენი ფონდი 23:00 საღამოს ლოცვა 23:15 საუბარი მოძღვართან 23:30 დოკ.ფილმი 00:30 ერთსულოვნების სალონი 01:00 შუადღე ერთსულოვნებაზე

## ოთხშაბათი, 24 თებერვალი

### იმედი

06:30, 14:40 სერიალი 07:30, 08:00, 08:30, 09:00, 10:00, 11:00, 14:00, 17:00, 19:00, 20:00, 02:30 ქრონიკა 07:35, 08:10, 08:35, 09:15 იმედის დილა 10:05 სერიალი 11:20 სერიალი 12:30 დღის შოუ 16:00 სერიალი 17:35, 19:03 სერიალი 20:55 სერიალი 22:00 ეკა ხოფერიას თოქ-შოუ 23:30 სტუმრად იუმორინასთან 00:30 მხ.ფილმი 02:40 მხ.ფილმი 04:15 ერთხელ საქართველოში 04:40 მხ.ფილმი

### პირველი არხი

06:30 მუსიკა 07:00, 07:30, 08:00, 08:30, 09:00, 09:30, 10:00, 12:00, 14:00, 16:00, 18:00, 20:00 01:30 მოამბე 07:05, 09:10 დილა 10:10 პირადი ექიმი 11:00 დოკ.ფილმი 12:30 გურმანია 13:00 სერიალი 14:00 მოამბე 14:05 ხანმოკლეXX საუკუნე 14:30 მულტფილმი **მხიარული ფერმა** 15:00 დოკ.ფილმი 16:45 ეკონომეტრი 17:00 სერიალი **ქესლი** 19:00 ტელებლოგი 19:30 სიტყვების თამაში 20:30 მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად 21:00 თოქ-შოუ: რეალური სივრცე 22:00 დოკ.ფილმი 22:50 ეპოქის ფრაგმენტი 22:59 კომუნიკატორი 23:00 ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა. 23:40 ფეხბურთი **ეინდჰოვენი - ატლეტიკო** 01:40 მხ.ფილმი **ბნელეთის ადამიანი**

### რუსთავი 2

06:30 სერიალი **დაკარგული ბავშვობა** 07:30, 07:40, 08:10, 08:35, 09:15 დილა მშვიდობისა, საქართველო 07:35, 08:00, 08:30, 09:00, 10:00, 12:00, 14:00, 15:00, 18:00, 20:00, 21:00 კურიერი 10:15 სერიალი **დინასტია** 12:30, 14:05 შუა დღე 15:55 სერიალი **ქარადაი - ახალგაზრდობა** 16:55 სერიალი **ინდური საგა** 18:45 სერიალი **შენ, მხოლოდ შენ** 19:45, 20:05 სერიალი **აღთქმა** 22:00 ნანუკას შოუ 00:00 გააცინე და მოიგე 01:00, 03:30 მხ.ფილმი 03:00 კურიერის დაიჯესტი

### ქართული არხი

07:00 მუსიკა 07:30 ქართული კინო მუსიკა 08:00 გადაცემა **სამედიცინო ფანჯარა** 09:00 დოკ.ფილმი **ჟურნალისტის დღიური** 10:30 გადაცემა **შენ და სამყარო** 11:30 ეთნო არტი 12:00 მხ.ფილმი **მშობლიურო ჩემო მიწავ (რაიკომის მდივანი)** 13:15 გადაცემა **პერსპექტივა** 15:00 ნაწყვეტები - კინო კლასიკა 17:00 გადაცემა **მრავალხმიანი რესპუბლიკა** 18:00 გადაცემა **შეკითხვა მოძღვარს** 20:00 გადაცემა **სამედიცინო ფანჯარა - ზაზა ვარდიაშვილი** 21:00 გადაცემა **სამართლის დრო** 22:30 გადაცემა **24 მე - 8** 23:30 პატრიარქის გამონათქვამები 00:00 მხ.ფილმი **მშობლიურო ჩემო მიწავ (რაიკომის მდივანი)** 02:00 ღამის ეთერი

### ერთსულოვნება

06:10 მუს.პაუზა 06:15 დროის ჩანაწერები 07:00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07:30 ჩვენი ფონდი 08:00 დილის ლოცვა 08:20 სახარება 08:25 მუს.პაუზა 08:30 განთიადი 10:10, 19:00, 22:00, 00:05, 02:30 სიახლენი 10:30 ქრისტიანული ხელოვნება 11:15 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 11:30 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან - პავლე ინგოროყვა 12:10 ღია აუდიტორია 13:00 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 13:30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14:30 დეკორატიული ფლორა - პიონიიორდასალამი 15:00 საეკლესიო კალენდარი 15:10 ქართული მულტფილმი 15:30 კონცერტი 17:00 დოკ.ფილმი 17:30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-წინასწარმეტყველი ამოსიII ნაწ. 18:10 განთიადის სტუმარი 18:40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19:20 მხ.ფილმი 20:40 ძილი ნებისა 21:05 პატრიარქის ქადაგება 21:20 ივერიის ეკლესია 21:35 ეპოქის სახელები 22:25 ქართული ალბომი 23:00 საღამოს ლოცვა 23:15 საუბარი მოძღვართან 23:35 ივერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული 01:00 შუადღე ერთსულოვნებაზე

## ხუთშაბათი, 25 თებერვალი

### იმედი

06:30, 14:40 სერიალი **ორი ბედი** 07:30, 08:00, 08:30, 09:00, 10:00, 11:00, 14:00, 17:00, 19:00, 20:00, 02:10 ქრონიკა 07:35, 08:10, 08:35, 10:05 იმედის დილა 10:05 სერიალი 11:20 სერიალი 12:30 დღის შოუ 16:00 სერიალი 17:35, 19:03 სერიალი 20:55 სერიალი 22:00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00:00 მხ.ფილმი **ხელშეუხებელნი** 02:20 მხ.ფილმი 04:20 ერთხელ საქართველოში 04:40 მხ.ფილმი

### პირველი არხი

06:30 მუსიკა 07:00, 07:30, 08:00, 08:30, 09:00, 09:30, 10:00, 12:00, 14:00, 16:00, 18:00, 20:00 01:50 მოამბე 07:05, 09:10 დილა 10:10 პირადი ექიმი 11:00 დოკ.ფილმი **თოფ-გიარი** 12:30 ტრანსმისია 13:00 სერიალი 14:05 წიგნების თარო 14:30 მულტფილმი 15:00 დოკ.ფილმი 16:45 ეკონომეტრი 17:00 სერიალი 19:00 ტელებლოგი 19:30 სიტყვების თამაში 20:30 ინტერვიუ სალომე ასათიანთან ერთად 21:00 თოქ-შოუ: რეალური სივრცე 22:00 დოკ. ფილმი 23:00 სერიალი 23:59 კომუნიკატორი 00:00 კონცერტი: ირაკლი ჩარკვიანი – ისტორიას დარჩება 02:00 მხ.ფილმი **დანტეს პიკი**

### რუსთავი 2

06:30 სერიალი **დაკარგული ბავშვობა** 07:30, 07:40, 08:10, 08:35, 09:15 დილა მშვიდობისა, საქართველო 07:35, 08:00, 08:30, 09:00, 10:00, 12:00, 14:00, 15:00, 18:00, 20:00, 21:00 კურიერი 10:15 სერიალი **დინასტია** 12:30, 14:05 შუა დღე 15:55 სერიალი 16:55 სერიალი **ინდური საგა** 18:45 სერიალი 19:45, 20:05 სერიალი 22:00 პროფილი 00:00P.S. 01:00, 03:30 მხ.ფილმი 03:00 კურიერის დაიჯესტი

### ქართული არხი

07:00 კონცერტი 09:00 გადაცემა **ჩვენი ქალაქი** 11:00 გადაცემა **გაგვიძლოს, ჩემო საქართველო** 12:00 მხ.ფილმი **მშობლიურო ჩემო მიწავ (რაიკომის მდივანი)** 13:15 გადაცემა **პერსპექტივა** 14:20 გადაცემა **არხის სტუმარი** 15:20 დოკ.ფილმი **ჟურნალისტის დღიური** 16:00 ნაწყვეტები - კინო კლასიკა 17:00 დოკ.ფილმი **რომის იმპერია** 18:00 გადაცემა **სტუმრად მამა გურამთან** 19:00 გადაცემა **პრესის მიმოხილვა** 20:00 გადაცემა **სამედიცინო ფანჯარა -ელზა ვაშაკიძე** 21:00 გადაცემა **მრავალმხრივი რესპუბლიკა** 22:30 გადაცემა **არხის სტუმარი** 23:30 პატრიარქის გამონათქვამები 00:00 მხ.ფილმი **მშობლიურო ჩემო მიწავ (რაიკომის მდივანი)** 02:00 ღამის ეთერი

### ერთსულოვნება

06:10 სიმღერის კვალდაკვალ 06:40 პატერიკი 06:50 სჯანი 06:20 ქართული ალბომი 06:50 მხ.ფილმი **აპრილი** 06:45 მუს. პაუზა 08:00 დილის ლოცვა 08:20 სახარება 08:25 სიბრძნისმეტყველება 08:30 განთიადი 10:10, 19:00, 22:00, 00:05, 02:30 სიახლენი 10:40 ერთსულოვნების სალონი 11:30 ეპოქის სახელები 12:10 დოკ.ფილმი 13:30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14:30 დეკორატიული ფლორა - თეთრყვავილა 15:05 ივერიის ეკლესია 15:20 ქართული მულტფილმი 15:40 დოკ.ფილმი 16:40 ჩვენი ფონდი 17:10 დოკ.ფილმი 17:50 მართლმადიდებლური კატეხიზმო - ეკლესიის არსი და მისი დაფუძნება 18:10 განთიადის სტუმარი 18:40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19:20 პორტრეტები 20:00 დოკ. ფილმი 20:40 ძილი ნებისა - სოლომონ ბერი და ბერიკაცი 21:05 პატრიარქის ქადაგება 21:25 ივერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული 21:30 ლექციები მეფუტკრეობაზე 21:40 ფსალმუნის განმარტება 21:45 განთიადის სიუჟეტი ოკუპაციის მუზეუმი 22:00 სიახლენი 22:25 დოკ.ფილმი 23:00 საღამოს ლოცვა 23:15 საუბარი მოძღვართან 23:35 დოკ.ფილმი 01:25 შუადღე ერთსულოვნებაზე

## პარასკევი, 26 თებერვალი

### იმედი

06:30, 14:40 სერიალი **ორი ბედი** 07:30, 08:00, 08:30, 09:00, 10:00, 11:00, 14:00, 17:00, 19:00, 20:00, 02:30 ქრონიკა 07:35, 08:10, 08:35, 10:05 იმედის დილა 10:05 სერიალი **ოცი წუთი** 11:20 სერიალი 12:30 დღის შოუ 16:00 სერიალი **თანხმობა** 17:35, 19:03 სერიალი 20:55 სერიალი **ნამსხვრევები** 22:00 პოლიტიკა 23:30 მხ.ფილმი **რიგითი რაიანის გადასარჩენად** 02:40 მხ.ფილმი **ძილის წინ** 04:10 ერთხელ საქართველოში 05:30 მხ.ფილმი **კოდი**

### პირველი არხი

06:30 მუსიკა 07:00, 07:30, 08:00, 08:30, 09:00, 09:30, 10:00, 12:00, 14:00, 16:00, 18:00, 20:00 01:00 მოამბე 07:05, 09:10 დილა 10:10 პირადი ექიმი 11:00 სერიალი **დაუნტონის სააბატო** 12:30 ადამიანი კამერით 13:00 სერიალი **ჩენტო ვეტრინე** 14:05 წიგნების თარო 14:30 მულტფილმი **მხიარული ფერმა** 15:00 დოკ.ფილმი 16:45 ეკონომეტრი 17:00 სერიალი **ქესლი** 19:00 ტელებლოგი 19:30 სიტყვების თამაში 20:30 მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად 21:00 პროექტი ზღვარზე ტელებლოგში 21:30 თოქ-შოუ: რეალური სივრცე 23:00 სერიალი 00:00 კომუნიკატორი 01:10 მხ.ფილმი

### რუსთავი 2

06:30 სერიალი **დაკარგული ბავშვობა** 07:30, 07:40, 08:10, 08:35, 09:15 დილა მშვიდობისა, საქართველო 07:35, 08:00, 08:30, 09:00, 10:00, 12:00, 14:00, 15:00, 18:00, 20:00, 21:00 კურიერი 10:15 სერიალი **დინასტია** 12:30, 14:05 შუა დღე 15:55 სერიალი **ქარადაი - ახალგაზრდობა** 16:55 სერიალი 18:45 სერიალი **შენ, მხოლოდ შენ** 19:45, 20:05 სერიალი 20:50 ლოტო 22:00 ვანოს შოუ 23:00 ქერის უბანი 23:30, 01:00 მხ.ფილმი 03:00 კურიერის დაიჯესტი

### ქართული არხი

07:00 კონცერტი 09:00 გადაცემა **ფიქრი ხმამაღლა** 10:00 გადაცემა **კვირის ფაქტი** 11:00 დოკ.ფილმი **პლანეტა დედამიწაზე** 12:00 მხ.ფილმი **მშობლიურო ჩემო მიწავ (რაიკომის მდივანი)** 13:15 გადაცემა **პერსპექტივა** 15:00 ნაწყვეტები **კინო კლასიკა** 16:00 გადაცემა **ზვარაკად შეწირულნი** 17:00 გადაცემა **ქართული გვარები** 18:00 გადაცემა **შეკითხვა მოძღვარს** 20:00 გადაცემა **სამედიცინო ფანჯარა - ზურა ვარაზი** 21:00 გადაცემა **კვირის მიმოხილვა** 22:00 გადაცემა **აქტუალური თემა** 23:00 გადაცემა **ქართული გზა** 0:00 მხ.ფილმი **დონ კიხოტი** 02:00 ღამის ეთერი

### ერთსულოვნება

06:10 მუს.პაუზა 06:15 კვირიაკე 07:20 დოკ.ფილმი 08:00 დილის ლოცვა 08:20 სახარება 08:25 მუს.პაუზა 08:30 განთიადი 10:10, 19:00, 22:00, 00:05, 02:30 სიახლენი 10:35 ლექციები მეფუტკრეობაზე 11:00 ერთსულოვანი ოჯახი 11:30 ღვთის სახლი - აფხაზეთის საკათალიკოსო 12:10 პორტრეტები 13:15 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 13:30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14:30 დეკორატიული ფლორა - კლავია მინიატა 15:00 საეკლესიო კალენდარი 15:10 ქართული მულტფილმი 15:30 დოკ.ფილმი 16:30 კონცერტი 17:10 ტელეზღაპრები ჭკუა და იღბალი 17:30 მიწათმოქმედი მარხვა და შაქარი 18:10 განთიადის სტუმარი 18:40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19:20 ჩვენი ფონდი 20:00 თაობა ზეტი ქველმოქმედება და აქტიურობა 20:40 ძილი ნებისა - ქრისტე ყველას სიხარულით იღებს თავის ოჯახში 21:05 პატრიარქის ქადაგება 21:15 დროის ჩანაწერები 22:25 მოგზაურობა სამშობლოში - ხმა უდაბნოში-დავით გარეჯიII ფ. 23:00 საღამოს ლოცვა 23:15 საუბარი მოძღვართან 23:35 თბილისის ტაძრები ფერისცვალების დედათა მონასტერი 00:35 დოკ.ფილმი 01:00 შუადღე ერთსულოვნებაზე

## შაბათი, 27 თებერვალი

### იმედი

07:00 სერიალი **ორი ბედი** 08:00 მხ.ფილმი **ბრეისი** 10:00 სტუმრად იუმორინასთან 11:00, 14:00, 17:00, 19:00, 20:00, 02:20 ქრონიკა 11:15 რისკ-ფაქტორი 11:45 ილო ბეროშვილის შოუ 13:00 კულინარიული დუელი 14:40 სერიალი **ორი ბედი** 16:00 სერიალი **თანხმობა** 17:35, 19:03 სერიალი **პატა** 20:55 სერიალი **ნამსხვრევები** 22:00 სერიალი **შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ** 23:00 2016 წლის მსახიობთა გილდიის დაჯილდოების ცერემონია 01:00 მხ.ფილმი **უხილავი სამიზნე** 02:30 მხ.ფილმი **კოდი** 04:00 ერთხელ საქართველოში 04:30 მხ.ფილმი **ძილის წინ**

### პირველი არხი

08:00 წიგნების თარო 08:30 პირადი ექიმი 09:30 მულტფილმი **მადაგასკარის პინგვინები** 11:00 მხ.ფილმი **გოგონა ასანთით** 12:00, 14:00, 16:00 მოამბე 12:15 გურმანია 12:45 მხ.ფილმი **არდადეგებზე** 14:05 მხ.ფილმი **მატყუარა ადვოკატი** 16:30 დოკ.ფილმი **თოფ-გიარი** 16:50 **რაგბი.** ევროპა: **საქართველო – ესპანეთი** 19:00 მუსიკოლოგოსი 19:30 წიგნების თარო 20:30 ხანმოკლე XX საუკუნე 21:00 ადამიანი კამერით 21:30 ტრანსმისია 22:00 ბრაუზერი 22:15 წითელი ზონა 23:15 მხ.ფილმი **პავანა** 01:30 მხ.ფილმი **ჰანიბალი**

### რუსთავი 2

08:00 კურიერის დაიჯესტი 08:30, 09:00 მულტფილმი 11:00 ექიმები 12:00, 15:00, 18:00, 21:00 კურიერი 12:30 ბიზნეს კურიერი 14:00 კომედი შოუ 15:30 მხ.ფილმი 3+3 18:30 ევროპაბეთი - გათამაშება 18:50 იღბლიანი ბორბალი 20:05 გააცინე და მოიგე 23:00, 01:00, 03:30 მხ.ფილმი 03:00 კურიერის დაიჯესტი

### ქართული არხი

07:00 მუსიკა 07:30 ქართული კინო მუსიკა 08:00 გადაცემა **ქრისტიანობა დღეს** 09:40 გადაცემა **პრესის მიმოხილვა** 10:40 ნაწყვეტები - კინო კლასიკა 11:00 გადაცემა **სტუმრად მამა გურამთან** 12:00 მხ.ფილმი **დონ კიხოტი** 13:35 გადაცემა **პერსპექტივა** 15:00 მხ.ფილმი **სერენადა** 15:30 მხ.ფილმი **ბენზინის ჩამსხმელი** 16:00 ნაწყვეტები **კინო კლასიკა** 17:00 გადაცემა **მრავალხმიანი რესპუბლიკა** 18:30 მულტფილმი 19:00 გადაცემა **ფიქრი ხმამაღლა** 20:00 გადაცემა **მარტივი კითხვები** 21:00 გადაცემა **ეთნო არტი** 00:00 მხ.ფილმი **დონ კიხოტი** 02:00 ღამის ეთერი

### ერთსულოვნება

06:10 მუს.პაუზა 06:15 საეკლესიო აღმშენებლობა 06:40 თბილისის ტაძრები - ფერისცვალების დედათა მონასტერი 06:50 ეპოქის სახელები 07:20 მოგზაურობა სამშობლოში ხმა უდაბნოში-დავით გარეჯიII ფ. 08:00 დილის ლოცვა 08:20 სახარება 08:25 მუს.პაუზა 08:30 ჩვენი ფონდი 09:05 განთიადი (კოლაჟი) 10:15, 19:00, 22:00, 00:35 სიახლენი 10:35 კონცერტი 11:00 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-წინასწარმეტყველი ამოსიII ნაწ. 12:10 მხატვრული ფილმი **ფატიმა** 14:00 ღია აუდიტორია 14:45 საკვირაო სახარების განმარტება 15:00 საეკლესიო კალენდარი 15:20 ანიმაციური ფილმი **მეგობარი გასაჭირში გამოიცნობა** 15:40 თაობა ზეტი 16:40 კვირიაკე 17:20 გაცოცხლებული წარსული 18:10 საქართველოს ისტორია 18:40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19:25 ქართული ალბომი 19:45 ქრისტიანული ხელოვნება 20:20 აქტუალური თემა ბილწსიტყვაობა 20:50 სიბრძნისმეტყველება 21:05 პატრიარქის ქადაგება 21:15 ერთსულოვნების სალონი 22:20 შუადღის სტუმარი 22:50 საკვირაო სახარების განმარტება 23:00 საღამოს ლოცვა 23:20 სჯანი 00:05 უძღები შვილის კვირა 01:45 მხატვრული ფილმი **ოქროს ტბასთან**

## კვირა, 28 თებერვალი

### იმედი

06:00, 14:40 სერიალი **ორი ბედი** 07:00 მხ.ფილმი **სოფი** 09:00 მხ.ფილმი **მოგზაურობა საშობაო ვარსკვლავისკენ** 10:20 ბასტი-ბუბუ 11:00, 14:00, 17:00, 19:00, 20:00 ქრონიკა 11:15 ერთხელ საქართველოში 12:00 სერიალი **შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ** 13:00 ცოდნა ფულია 16:00 სერიალი **თანხმობა** 17:35 მხ.ფილმი **გადარჩენის სკოლა** 19:30 რისკ-ფაქტორი 20:30 ილო ბეროშვილის შოუ 21:30 ერთხელ საქართველოში 22:00 მხ.ფილმი **პომპეი** 00:00 მხ.ფილმი **პოლიციელი ბევერლი ჰილზიდან** 02:00 მხ.ფილმი **უხილავი სამიზნე** 03:30 ერთხელ საქართველოში 04:45 მხ.ფილმი **სოფი**

### პირველი არხი

